



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
Georgian Academy of Sciences  
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება  
Besarion Jorbenadze Society

საენათმეცნიერო  
ძ ი ე ბ ა ნ ი

**XXIX**

Linguistic  
P a p e r s

თბილისი 2009 Tbilisi

**„საენათმეცნიერო ძიებანი“**

XXIX წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

„Linguistic Papers“ volume 27 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

სარედაქციო კოლეგია: EDITORIAL BOARD:

მ. ბერიძე, კ. გაბუნია, **გ. გოგოლაშვილი** (მთავარი რედაქტორი), **ლ. გოქსაძე** (ინგლისური ნაწილის რედაქტორი), ნ. დარასელია, **ც. კვანტალიანი** (სწავლული მდივანი), მ. კიკონიშვილი, რ. ლანდია, **ნ. ლოლაძე** (მთ. რედაქტორის მოადგილე), თ. ლომთაძე, მ. ქურდიანი ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე

M. Beridze, K. Gabunia, **G. Gogolashvili** (editor-in-chief), **L. Goksdze** (editor of the English part), N. Daraselia, **Ts. Kvantaliani** (scientific secretary), M. Kikonishvili, R. Landia, **N. Loladze** (deputy editor-in-chief), T. Lomtadze, M. Kurdiani N. Chumburidze, N. Jorbenadze

ISSN 1987-6653

ციური ახგვლიანი

**ფრანგული ფონოლოგიური სისტემის თეორიული და პრაქტიკული მოდელები**

ფრანგული ენის სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საწარმოთქმო ასპექტს ორთოგრაფიული და ორთოეპიული ნორმების მკვეთრი სხვაობის გამო. ასევე მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს წარმოთქმის შესაბამისი მოდელის შერჩევა. ფრანგი ფონეტიკოსები მიიჩნევენ, რომ ასეთი მოდელი უნდა იყოს საკმაოდ გავრცელებული, პედაგოგიური მასალით კარგად ილუსტრირებული. გ. კაპელის და ო. სოვაყოს აზრით, ასეთ მოთხოვნებს შეესაბამება განათლებული პარიზელის წარმოთქმა.

ამ წანამძღვრებიდან გამომდინარე, ენის სწავლებისას, შესაძლებელია უგულვებელყოთ ოპოზიციები [ɑ]~[a] და [ɛ̃]~[ɛ], რომლებიც პრაქტიკულად ქრებიან ახალგაზრდა პარიზელთა მეტყველებიდან. მაგალითად, ფრანგ ფონეტიკოსთა დაკვირვებით, ახალგაზრდა პარიზელს არ შეუძლია წარმოთქვას [œlapɛ̃] და წარმოთქვამს [ɛlapɛ̃]. ფ. კარტონი წერს: «ოპოზიცია [ɛ̃]~[ɛ] ქრება პარიზულ წარმოთქმაში მახვილიან პოზიციაშიც კი (ბგერა [œ] იხმარება როგორც ვარიანტი ოფიციალურ მეტყველებაში)» (კარტონი, 1974, 62).

ამ მოსაზრებათა გათვალისწინებით, ფრანგული ფონოლოგიური სისტემის თეორიული წარმოდგენისაგან განსხვავებით, პრაქტიკული მოდელი შემდეგ სახეს იღებს:

ლიაობის ხარისხი	წინა რიგის არაბაგისმიერი ხმოვნები	წინა რიგის ბაგისმიერი ხმოვნები	უკანა რიგის ბაგისმიერი ხმოვნები
I	[i]	[y]	[u]
II	[e]	[ø]	[o]

III	[ɛ]	[œ]	[ɔ]
IV	[a]		
	ცხვირისმიერი ხმოვნები		
[ɛ̃]	----- [ɔ̃]		
	[ɑ̃]		

ნახევარხმოვნები [j], [Y] და [w] გაიაზრებიან როგორც ხმოვნების — [i], [y] და [u]-ს კომბინატორული ვარიანტები, რადგან არასდროს აღმოჩნდებიან იმავე პოზიციაში, ანუ იმყოფებიან დამატებით დისტრიბუციაში. გამონაკლისს წარმოადგენს [j], რომელიც აბსოლუტურ ბოლოში უპირისპირდება [i]-ს: *abbaye* — *abeille* და ამ შემთხვევაში შეფასდება როგორც თანხმოვანი.

ფრანგი ფონეტიკები დიდ ყურადღებას უთმობენ ფონემათა პოზიციურ განაწილებას. მაგალითად, კ. დეზირა და ტ. ორდე გვთავაზობენ, რომ [ŋ] განვიხილოთ როგორც [g]-ს პოზიციური ვარიანტი, რადგან ეს ორი ელემენტი არასდროს გვხვდება ერთსა და იმავე გარემოცვაში, ანუ იმყოფებიან დამატებით დისტრიბუციაში.

ცნობილია, რომ ფრანგული ენის ფონემებსა და გრაფემებს შორის არ არსებობს ერთნიშნა შესაბამისობანი. მაგალითად, [o] გრაფიკულად გადმოიცემა სხვადასხვაგვარად: *o* (*numéro*), *au* (*chaud*), *eau* (*beau*), *ô* (*alcôve*), *os* (*Vosges*), *aô* (*Saône*), გრაფემა x-ს კი შეესაბამება ბგერები: [ks] *taxi*, [gz] *examen*, [s] *soixante*, [z] *dixième*. ფ. კარტონი აღნიშნავს, რომ [ɛ]-სათვის არსებობს გრაფიკულ შესაბამისობათა 24 შესაძლებლობა (კარტონი, 1974, 209). რადგან, უმეტეს შემთხვევაში, გრაფიკა არ წარმოადგენს მაჩვენებელს, ამიტომაც ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს იმ პოზიციას, რომელშიც იმყოფება ბგერა.

წარმოთქმის სწავლება ხშირად ეყარება მინიმალურ წყვილთა გამოვლენას, მაგალითად, *chanter—chantais*. სინამდვილეში, ამ შეპირისპირებას საფუძვლად უდევს მორფოლოგიური ოპოზიცია, თუმცა ამ ფორმების ერთსა და იმავე სამეტყველო კონტექსტში ყოფნა შეუძლებელია. სინტაქსური და ლექსიკური გარემოცვა საშუალებას გვაძლევს უშეცდომოდ განვასხვავოთ *chanter* და *chantais*; იმავდროულად, გაბმულ მეტყველებაში, მრავალ ფაქტორთა მიხედვით, წარმოთქმის ან [e], ან [ɛ] ან რაღაც საშუალო. ფ. კარტონი წერს, რომ,

ზოგი ინდივიდის ვარაუდით, როდესაც ორი სიტყვის ორთოგრაფია განსხვავებულია, ისინი უნდა სხვადასხვაგვარად წარმოთქვამთ და უშედეგოდ, ხელოვნურად ცდილობენ განასხვავონ ხმოვნები სიტყვებში: *cornet/cornait*, *coq/coque*, *trop/trot*, (კარტონი, 1974, 210); თუმცა ზოგიერთ დიალექტში ეს შესაძლებელია. მაგალითად, ბურგუნდიასა და ლოტარინგიაში განასხვავებენ *peau*-ს დახურული [o]-თი და *pot*-ს ღია [ɔ]-თი.

ფრანგ ფონეტიკთა აზრით, მრავალი ოპოზიციის შესწავლის დროს, სასურველია, შერჩეული გასაშუალებული სისტემის გვერდით, მივუთითოთ დიალექტური, სოციალური და ასაკობრივი ვარიანტები. მაგალითად, ასეა აგებული ფ. კარტონის სახელმძღვანელო, რომელშიც ხმოვანთა პარიზული წარმოთქმის სისტემის გვერდით მოყვანილია მარსელური წარმოთქმის ხმოვანთა სისტემა (კარტონი, 1974, 65). არსებობს მკვეთრი გამოჯვნა შეცდომასა და სოციალური ან რეგიონალური ვარიანტის ხმარებას შორის. მაგალითად, ფრანგული ნორმის მკაცრი დამცველები კრძალავენ ორმაგი l-ს წარმოთქმას სიტყვაში *hollandais*, რაც ახასიათებს ფრანგი ინტელიგენციის წარმოთქმას. თანხმოვანთა გაორმაგება ხშირად გაისმის ფრანგ მწერალთა მეტყველებაში. არამართლზომიერია, რომ ასეთი წარმოთქმა ნორმიდან გადახრად მივიჩნიოთ. თვით ნორმის ცნება, ბოლო ხანებში, არსებითად შეიცვალა ლინგვისტიკაში და ეს არ შეიძლება არ აისახოს უცხოური ენის ფონეტიკის სწავლებაში. რასაკვირველია, ნორმის როგორც ნიმუშის გაგება არ არის გამორიცხული, მაგრამ მოლაპარაკეს უფლება აქვს ასეთად აირჩიოს ის, რომელიც მიბაძვისათვის ყველაზე მეტად ღირსეულად მიაჩნია (საფრანგეთის რადიო, შუა თაობის განათლებულ პარიზელთა მეტყველება და ა. შ.). ნებისმიერი თავისუფალი ვარიანტის არჩევა შეიძლება და არ წარმოადგენს შეცდომას, მაგრამ ამასთანავე უნდა გათვალისწინებულ იქნეს, რომ ამით შეიძინება ესა თუ ის სოციალური ან რეგიონალური „აქცენტი“. შეცდომად ითვლება ის, რაც აბრკოლებს, ხელს უშლის კომუნიკაციას. ფ. კარტონს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: სერიოზულ შეცდომას წარმოადგენს წარმოთქმა *du vin pire* ნაცვლად *du vin pur*-სა. ამავე დროს ნორმალურ კომუნიკაციას არ აბრკოლებდა ის ფაქტი, რომ ყ. პომპიდუ *logique*-ს წარმოთქვამდა დახურული [o]-თი (კარტონი, 1974, 198). მშობლიური ენის წარმოთქმის ჩვევების უცხოურ ენაზე გადატანა შეცდომად ითვლება. სწორი წარმოთქმის სწავლება შეი-

ცავს არა მხოლოდ ფონემათა და ოპოზიციათა ჩამონათვალს, არამედ ფონემათა ვარიანტების ჩამონათვალსაც, ფონემათა კომბინატორული ვარიანტების ჩამონათვალსაც მათი პოზიციისა და მიხედვით გაბმულ მეტყველებაში.

ნორმის ცნებას მჭიდროდ უკავშირდება ენობრივ რეგისტრთა ცნება, ანუ საწარმოთქმო ვარიანტის გამოყენება ურთიერთობის სიტუაციისა და მიხედვით. ენის შესწავლა-დაუფლება — ეს არის უნარი და უკავშირო ურთიერთობის სიტუაცია შესაბამის ენობრივ რეგისტრს. თითოეულ რეგისტრს გააჩნია ლექსიკურ ერთეულთა და გრამატიკულ კონსტრუქციათა საკუთარი კრებული, ასევე წარმოთქმის თავისებურებანი. უცხოურ ენაზე ადეკვატური ურთიერთობა, რისთვისაც, საბოლოო ჯამში, ხდება უცხოური ენის შესწავლა, შეუძლებელია ენის რეგისტრთა თავისებურებების დაუფლების გარეშე. პ. ლეონი წარმოგვიდგენს სამ რეგისტრს: ყოველდღიური სასაუბრო (**familier**), სტანდარტული (**moyen**) და საჯარო მეტყველება (**recherche**). სტანდარტული რეგისტრი ახასიათებს სასკოლო სწავლებასა და რადიომაუწყებლობას. სტანდარტული რეგისტრის წარმოთქმას გააჩნია შემდეგი თავისებურებანი: 1. [ɛ]~[e], [œ]~[ø], [a]~[ɑ] ხმოვანთა ოპოზიციები რეალიზდება მახვილიან მარცვლებში და ნეიტრალიზდება უმახვილოებში; 2. მრავალ შემთხვევაში გამოიტოვება ფაკულტატიური გადაბმები (**liaison**) და ჩურჩულა [ə]; 3. არტიკულაცია საკმაოდ დაჭიმულია, რათა მკაფიოდ განსხვავდეს ხმოვანთა ტემბრი.

ყოველდღიურ-სასაუბრო რეგისტრი ახასიათებს ურთიერთობებს ოჯახში, ახლო მეგობრებთან, კოლეგებთან. ამ რეგისტრისათვის ჩვეულია სპონტანურობა, თვითკონტროლის არარსებობა; მასში თანაარსებობს ორი ტენდენცია: სიტყვის სიმოკლე და გამომხატველობა; ამიტომაც შეინიშნება ბგერათა და მარცვალთა ხშირი ამოვარდნა. ამ პროცესში ელემენტთა ამოვარდნას აქვს დასაშვები (მისთვის მიღებული) საზღვრები. მაგალითად, დასაშვებს წარმოადგენს [ø]-სა და [r]-ს ამოვარდნა **peut-être**-დან, მაგრამ [b]-ს ამოვარდნა **obstiné**-დან [ɔstine] არის — მდაბიური, დამახასიათებელი მოსახლეობის მცირე განათლების მქონე ფენისათვის. მდაბიურს განეკუთვნება ასევე წარმოთქმები: **se(p)tembre**, **o(b)scure**, **cataplas(m)e**, **rhumatis(m)e**, **augus(t)e**, **a(v)oir**, **c'te femme**, **meub(l)e**. თუმცა განათლებული ფრანგები, ყოველდღიურ-სასაუბრო რეგისტრში, წარმოთქვამენ **p(eu)t-êt(r)e**, **quat(r)e francs**, **e(lle) vi-ent**, **e(lle)s ont**, **i(l)s ont**, **y en a p(l)us**, **que(l)que chose**, **j'(l)ui dirais**, **p(u)is**

და ეს არ არის შეცდომა. პირიქით, სახელდობრ ეს წარმოთქმა არის ნორმა ყოველდღიურ-სასაუბრო რეგისტრში.

გადაბმათა რეალიზაციის არარსებობა შეიმჩნევა დამხმარე და ზოგი მოდალური ზმნის შემდეგ, მაგალითად, **j'y sui(s) allé, je vai(s) aller, je voudrai(s) aller**. შეინიშნება იმ გადაბმათა უგულებელყოფის ტენდენცია, რომლებიც ახასიათებს სინტაგმატურ მთლიანობას; მაგალითად, **de plu(s) en plus, de moin(s) en moins, de mieu(x) en mieux, Pont(s) et Chaussées, Art(s) et Métiers, avan(t)-hier, de hau(t) en bas, rie(n) à dire** და ა.შ. რაც უფრო მეტია მეტყველებაში ასეთი მოვლენა, მით უფრო უახლოვდება იგი მდაბიურს. ყოველდღიურ-სასაუბრო რეგისტრში ეზიტაციის პაუზები ხშირად ივსება, მაგალითად, ჩანართით **euh**; ჩანართის სახით შეიძლება გამოიყენებოდეს სიტყვები **bien, bon, donc, alors, enfin, par exemple**, რომლებიც წარმოითქმის როგორც [bɛ] **bien**, [mal ɔr] **mais alors**, [mɛfɛ̃] **mais enfin**, [stadir] **c'est-à-dire** და ა.შ.

მეტყველების სპონტანურობა გამოიხატება ხმოვანთა არაფონოლოგიური დაგრძელებით, განსაკუთრებით გამონათქვამის თავკიდურში, მაგალითად, სიტყვებში **je, il, la, à, le, on, un, que, qui, en, pour, du, de, nous** და სხვ. ამ ნიშნებს ო. სოვაჟო უმატებს თანხმოვანთა აკუმულაციას (სოვაჟო, 1972, 123).

საჯარო მეტყველება ვარაუდობს აუდიტორიის არსებობას და, აქედან გამომდინარე, თვითკონტროლის გაძლიერებას. იგი ხასიათდება ორი ტენდენციით: მკაფიოობა და გამომხატველობა. საჯარო მეტყველების წარმოთქმას გააჩნია შემდეგი თავისებურებანი: 1. მკაფიო და დაჭიმული არტიკულაცია. [ɛ]~[e], [a]~[ɑ], [œ]~[ø] ხმოვანთა ოპოზიციები რეალიზდება არა მარტო მახვილიან მარცვლებში, არამედ უმახვილოთა დიდ რაოდენობაშიც. 2. ჩურჩულა [ə] წარმოთქმის ბევრ შემთხვევაში, რადგან საჯარო მეტყველებას საფუძვლად უდევს წერიტი ტექსტი. 3. ხდება თანხმოვანთა გაორმაგება, რაც აიხსნება წერიტი ტექსტის გავლენით. ამასთან დაკავშირებით ო. სოვაჟო წერს: „შეიძლება წესად მივიღოთ, რომ ნებისმიერი მარტივი თანხმოვანი ხმოვნებს შორის ორმაგდება“ (სოვაჟო, 1972, 125). საინტერესო დაკვირვებას წარმოგიდგენენ კ. დეზირა და ტ. ორდვი: „რთული დროების პირველი და მეორე პირის ზმნურ ფორმებში, მესამე პირის დამატება-ნაცვალსახელის არსებობის დროს, შეინიშნება არარსებული გაორმაგებული თანხმოვნის წარმოთქმის ტენდენცია: **jel l'ai dit, tul l'as dit**“. ნაცვალსახელის ამ გაძლიერებას ისინი ხსნიან მისი დიდი აზ-

რობრივი დატვირთვით (დუზირა, 1976, 125). იმავე აზრს ადასტურებს ფ. კარტონი: „ფრაზაში ნაცვალსახელი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე არტიკლი. ის საშუალებას გვაძლევს განვსხვავოთ: **je l'apprends** (გაორმაგებული II-თი) და **je la prends**“ (კარტონი, 1974, 107). 4. შეინიშნება შეერთებათა დიდი რაოდენობა, რაც, შესაძლებელია, ასევე წერითი ფორმის გავლენით აიხსნებოდეს. რაც უფრო უჩვეულოა შეერთებები, მით უფრო ეფექტურია საჯარო მეტყველება. უჩვეულო შეერთებათა მაქსიმუმი ახასიათებს პოეტურ ნაწარმოებთა დეკლამაციას. ეს ტენდენცია შეინიშნებოდა ასევე გენერალ დე გოლის გამოსვლებშიც; მაგალითად, **nous avons assumé [nu-za-v ɔ̃-za-sy-me]**. შემდგომში დე გოლი უპირატესობას ანიჭებდა წარმოთქმას შეერთების გარეშე, მაგრამ ძლიერი შემართვით მესამე სიტყვის წინ.

პ. ლეონის მიერ აღწერილი რეგისტრები წმინდა სახით არ არსებობენ. სოციალურ ჯგუფთა ინტერფერენცია იწვევს რეგისტრთა ინტერფერენციასაც, რასაც თან სდევს მათი გამიჯვნის სირთულეები. შეუძლებელია რეგისტრის დახასიათება ერთი რომელიმე ნიშნის საფუძველზე. ასე, მაგალითად, შესუსტებული არტიკულაცია, დამახასიათებელი ყოველდღიურ-სასაუბრო რეგისტრისათვის, ჩვეულია პარიზელ სნობთა მეტყველებისათვის. ამგვარად, რეგისტრის განსაზღვრა ეფუძნება ნიშანთა ერთობლიობას. პ. ლეონი წერს: „ძალიან ხშირად ავიწყდებათ, რომ ენის კარგად ფლობა — ეს არის გამოყენებულ მოდელთა ადეკვატურობის შეგრძნება ყოველ მომენტში“. (ლეონი, 1971, 159).

ენის რეგისტრთა რაოდენობა და მათი შემადგენლობა, ფრანგ ფონეტიკოსთა წარმოდგენების მიხედვით, ერთნაირი არ არის. მაგალითად, ფ. კარტონი გამოყოფს ოთხ რეგისტრს: მდაბიური (მაგრამ არა უხეში), ყოველდღიურ-სასაუბრო, სტანდარტული, დახვეწილი (ოფიციალური, საჯარო მეტყველება, ლიტერატურულ ნაწარმოებთა კითხვა).

რეგისტრთა გამიჯვნის ნათელ მაგალითად გამოდგება გადაბმა. ამის საილუსტრაციოდ ფ. კარტონს მოჰყავს ფრაზა: **Des hommes importants ont attendu**. ყოველდღიურ-სასაუბრო მეტყველებაში თითქმის არ არის ფაკულტატიური გადაბმები, არის მხოლოდ აუცილებელი — არტიკლსა და არსებით სახელს შორის: **Des hommes / importants / ont / attendu**. ნახევრადოფიციალური ურთიერთობისას, რომელიც უფრო კონტროლირებადია, ფაკულტატიურ შეერთებათა რაოდენობა იზ-

რდება: **Des—hommes importants / ont—attendu**. სატელევიზიო გადაცემასა ან ლიტერატურულ კონფერენციაზე ფაკულტატიურ შეერთებათა რაოდენობა იზრდება: **Des—hommes—importants / ont—attendu**. ავტორი ამტკიცებს, რომ ფაკულტატიურ შეერთებათა სია სავსებით უსარგებლოა, მთლიანად დამოკიდებულია ენის რეგისტრზე (კარტონი, 1974, 218). ფ. კარტონი გვათავაზობს რეგისტრთა გამიჯვნის 9 ნიშანს: 1). ფაკულტატიურ შეერთებათა რაოდენობა, 2). უმახვილო ხმოვანთა ნეიტრალიზაციის საკითხი, 3). ხმოვანთა ჰარმონიის უარყოფა, 4). [a]-ს რეალიზაციათა რაოდენობა, 5). ასიმილაციის უარყოფა, 6). არტიკულატორული დაჭიმულობა, 7). მარცვალთა შეფარდებითი თანაბრობა, 8). რეგიონალურ ნიშანთა უარყოფა, 9). კონსონანტურ ჯგუფთა შენარჩუნება.

რეგისტრი განისაზღვრება იმისდა მიხედვით, რა რაოდენობით და რა ხარისხით მოქმედებენ მოცემული ნიშნები. ნიშანთა უმცირესი რაოდენობითა და ხარისხით ხასიათდება მდაბიური, უდიდესით კი — საჯარო მეტყველება. ენის ფლობა გულისხმობს რეგისტრთა გამოყენებას ურთიერთობის გარემოებებისა და მიზნების მიხედვით. თანამედროვე ორთოპეია მკაცრი დანიშნულებები კი არ არის, არამედ შესაძლებლობათა მწკრივიდან არჩევის უფლებაა. ფ. კარტონს მოჰყავს ასეთი მაგალითი: „როგორ წარმოვთქვათ მეორე ხმოვანი ზმნაში **essayer?** არსებობს ორი მტკიცებულება, რომ წარმოვთქვათ [**eseje**]: — ხმოვნის ღია ტემბრი არსებით სახელ-ფუძეში და გრაფიკის გავლენა. მაგრამ ასევე არსებობს სხვა ორი მტკიცებულება, რომ წარმოვთქვათ [**eseje**]: — უმახვილო მარცვალში არტიკულაციის დავიწროებისაკენ და ამ პოზიციაში ტემბრის ნეიტრალიზაციისაკენ ტენდენცია; ბოლოკიდური მარცვლის დახურული [e]-ს გავლენა (ხმოვანთა ჰარმონია). აქედან გამომდინარე, მაგალითად, შატობრიანის პროზის მხატვრული კითხვისას უნდა წარმოვთქვათ [**eseje**], ხოლო ყოველდღიურ-სასაუბრო მეტყველებისას შეიძლება ვისარგებლოთ ფონეტიკური ტენდენციებით“ (კარტონი, 1974, 203).

თუ ადრე ნორმატიული ფონეტიკა შემოიფარგლებოდა მითითებით: „ასე ლაპარაკობენ, ასე წარმოთქვამენ“, ამჟამად ფონეტიკოსს მოეთხოვება დაზუსტება: „სად და როდის ლაპარაკობენ ასე, წარმოთქვამენ ასე“, ანუ რომელ რეგიონში, რომელი სოციალური და პროფესიული ჯგუფი, რა ასაკის ადამიანები წარმოთქვამენ ამგვარად.

სამწუხაროდ, დიალექტოლოგიური ნაშრომები ჯერჯერობით ვერ

გვაძლევენ საფრანგეთის სრულ ფონეტიკურ სურათს, სოციოლინგვის-ტური კვლევები ჯერჯერობით განცალკევებული და დაქსაქსულია. ამიტომაც სოციალურ, ასაკობრივ და ტერიტორიალურ ჯგუფთა სა-წარმოთქმო თავისებურებების ზუსტი თანაფარდობის წარმოდგენა რთულია.

ლიტერატურა

**გაკი, 1974** — В. Г. Гак. Типология романских языков и различные аспекты языковой реализации. In: Вопросы испанской филологии. Ленинград.

**დეზირა, 1976** — Cl. Désirat, T. Hordé . La langue française au 20 siècle. Paris.

**კაპელი, 1971** — G. Capell. Les phonèmes du français et leurs réalisations. In: La grammaire du français parlé. Paris.

**კარტონი, 1974** — F. Carton. Introduction à la phonétique du français. Paris, Bruxelles, Montréal.

**კოსერიუ, 1969** — E. Coseriu. Systema, norma e « parola » . In: Studi linguistici in onore di Vittore Pisani. t.I. Brescia.

**ლეონი, 1971** — P.-R. Léon. Aspects phonostylistiques des niveaux de langues. In: La grammaire du français parlé. Paris.

**სოვაჟო, 1972** — A. Sauvageot. Analyse du français parlé. Paris.

**ტორსუევა, 1974** — И. Г. Торсуева. Интонация и смысл высказывания. Москва.

TSIURI AKHVLEDIANI

## Theoretical and Practical Models of French Phonological System

### Summary

Because of the great difference between the orthographic and orthoepic norms, pronunciation is of particular importance when teaching French. The choice of register appropriate pronunciation model is also of relevance. As is known, each register is characterized by specific pronunciation, lexical and grammatical norms. Hence a good command of French implies the knowledge of the register-specific peculiarities of the language. From this standpoint the theoretical and practical models of the French phonological system differ from each other.

## ციური ახვალდანი

სოციოლინგვისტურ კვლევათა მნიშვნელობა ენის  
ეკოლოგიის ნიშანთა გამოსავლენად  
/ფრანგული ენის მასალაზე/

რადიოსა და ტელევიზიის მძლავრი განვითარება დიდ გავლენას ახდენს ზოგიერთ ფონეტიკურ მოვლენათა გავრცელებაზე, რომელთა შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ძლიერი შემართვა (*coup de glotte*)<sup>1</sup>. ეს მოვლენა ახასიათებს სამეტყველო ქმედების განსაზღვრულ ტიპს, სახელობრ, დიქტორთა მიერ დღის ახალი ამბების, უკანასკნელი ცნობების გადმოცემას. ჯერ კიდევ მ. გრამონი აღნიშნავდა, რომ ძლიერი შემართვა ახორციელებს გამოყოფ მახვილს თავიკიდური თანხმოვნის არარსებობის დროს. ი. ფონაჟიმ სტატია მიუძღვნა ძლიერ შემართვას, რომელშიც ეს მოვლენა ლინგვისტურად განიხილა (ფონაჟი, 1979).

უპირველეს ყოვლისა, ძლიერი შემართვა ემსახურება ზოგიერთი ემოციის გამოხატვას: უკმაყოფილების, სიძულვილის, აგრესიული მდგომარეობის: *Oh, cet imbécile!* [ ?ɛbesil ]; *Je le hais!* [ ?ɛ]. იგი აუცილებელია სამხედრო ბრძანებებში: *Halte!* ძლიერი შემართვა ხშირად ახასიათებს სამეცნიერო თხრობას და გვხვდება განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ფრაზებში, რომლებიც შეიცავენ მიზეზობრივ კავშირებს ან დაპირისპირებებს.

გარდა ძლიერი თავიკიდური შემართვისა, ფრანგულ ენაში, შეინიშნება ძლიერი ბოლოკიდური დამართვაც. ამ ნიშნით გამოირჩევიან

<sup>1</sup> ძლიერი შემართვა (ხორხისმიერი შემართვა, ხორხისმიერი ხშვა) — ბგერა, რომელიც წარმოიშობა სახმო იოგების შემჭიდროებით. ჩნდება სიტყვის თავიკიდურში, ხმოვნის წინ.

ძლიერი დამართვა — ხორხისმიერი ხშვა, რომელიც ჩნდება სიტყვის ბოლოკიდურში, ხმოვნის შემდეგ.

ძლიერი შემართვა და ძლიერი დამართვა ტრანსკრიფციაში გამოიხატებიან ნიშნით — [ʔ].

ფორმა-კლიშეები: *Ah.... ça!* [ ?a?sa? ]; *Ah ... là...* [ ?a la? ]. ძლიერი დამართვა ასხვავებს გამონათქვამთა აზრს: *Evidemment!* ძლიერი დამართვის გარეშე ეს ფრაზა გამოხატავს თანხმობას, ძლიერი დამართვით კი — უარყოფას. ამგვარად, ფრაზა დასრულებული ხდება აზრის თვალსაზრისით. ხორხისმიერი ხშვა ასრულებს აგრეთვე აზრთა განმასხვავებლობით ფუნქციასაც სიტყვის დონეზე, შდრ. *le Laos — la hausse*.

სემანტიკურ განსხვავებათა შემჩნეული გამა საფუძველს იძლევა დადგეს საკითხი ამ მოვლენის ფონემური სტატუსის შესახებ.

ენობრივი კონტაქტები, და კერძოდ, ფრანგულ ენაში ინგლისურ ნასესხობათა აქტიური შესვლა, იწვევს ახალ ბგერათა გაჩენა-დანერგვას. ინგლისურ ნასესხობათა ფონეტიკური ადაპტაციისადმი მიძღვნილია მრავალი ნაშრომი. მაგალითად, რ. რეტმანმა (რეტმანი, 1978) გააანალიზა 958 ნასესხობა, შეადარა რა მათი წარმოთქმა — მარტინესა და ვალტერის ლექსიკონის მონაცემთა მიხედვით, ამოსავალ სიტყვათა წარმოთქმას — ჯოუნზის ლექსიკონის მიხედვით. ანალიზს ექვემდებარებოდა ყველა თანხმოვანი და ხმოვანი ბგერა. ზოგადი კანონზომიერება გამოიხატა იმ ფაქტით, რომ მოხდა ინგლისური ორთოგრაფიის ფონეტიკური ინტერპრეტაცია ფრანგული ენის ორთოგრაფიული ნორმების მიხედვით. ენის მრავალი მატარებელი წარმოთქვამს ინგლისურ ბგერებს — [h], [w], [ŋ] —s, რომლებიც არ ახასიათებს ფრანგულ ენას.

ა. მარტინე (მარტინე, 1977) ვარაუდობს, რომ არსებობს [ŋ]-ს შესვლის რეალური შესაძლებლობა ფრანგული ენის ფონოლოგიურ სისტემაში, ინგლისური ენის *ing*-იანი ფორმების საშუალებით. ჰ. ვალტერი მიიჩნევს, რომ ფონემა [ŋ] — უკვე შევიდა ფრანგული ენის ფონოლოგიურ სისტემაში. აი, რას წერს იგი თავის წიგნში „ფრანგული ენის ფონოლოგია“: „არცთუ დიდი ხნის წინ შექმნილი უკანა-ენისმიერი ხშული ცხვირისმიერი სონანტი [ŋ], ამჟამად არსებობს ჩვენ ინფორმანტთა უმეტესობაში. ეს თანხმოვანი გვხვდება მხოლოდ იმ სიტყვათა აბსოლუტურ ბოლოში, რომლებიც ნასესხებია ინგლისურიდან (*parking, living, camping*), ან იმ სიტყვებში, რომლებიც წარმოქმნილია დერივაციული ელემენტის — *ing*-ის მეშვეობით. [ŋ] უპირისპირდება წყვილბაგისმიერ სონანტს — [m]-ს: *rime-ring*, აპიკალურ სონანტს — [n]-ს: *copine — camping*, პალატალურ [ŋ]-ს *vigne-living*. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფონემის რეალიზაცია, უმეტეს შემთხვევა-



ში, ხდება ზუსტად ისევე, როგორც ინგლისურში, ანუ თანხმოვან [g]-ს დამატების გარეშე. ყველაფერი ეს მიუთითებს, რომ ფონემა [ŋ] არსებობს ფრანგული ენის ფონოლოგიურ სისტემაში (ვალტერი, 1977, 34).

პალატალური სონანტი [ŋ] ჯერ კიდევ არსებობს ფრანგული ენის ფონოლოგიურ სისტემაში, თუმცა მეტყველებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მოლაპარაკეთა უმეტესობა წარმოთქვამს [nj]-ს. მოლაპარაკეთა ძალიან მცირე რაოდენობა ასხვავებს [ŋ]-ს და [nj]-ს ინტერვოკალურ პოზიციაში.

ფონემა [r] წარმოითქმის როგორც სუსტი უკანასასისმიერი სპირანტი. უგულარული მთრთოლი არტიკულაცია ენის მატარებელთა წარმოთქმაში პრაქტიკულად არ არსებობს.

ოპოზიცია [ɛ] ~ [ɛ:] ჩნდება მხოლოდ დახურულ მარცვალში: *mètre – maître*, ოპოზიცია [e] ~ [ɛ] სრულად რეალიზდება მხოლოდ აბსოლუტურ ბოლო პოზიციაში, იმ დროს როდესაც [ø] ~ [œ] და [o] ~ [ɔ], პირიქით, ყველა შემთხვევაში რეალიზდებიან, გარდა აბსოლუტური ბოლოსა. რეალობასთან უფრო ახლოა ხმოვანთა წარმოდგენა ოთხ პოზიციაში: აბსოლუტურ ბოლოში, ბოლოკიდურ დახურულ მარცვალში, არაბოლოკიდურ ღია მარცვალში, არაბოლოკიდურ დახურულ მარცვალში. აბსოლუტურ ბოლოში შეინიშნება ღიაობის ოთხი ხარისხი — წინა რიგის ხმოვნებისათვის [i, e, ɛ, a], სამი — უკანა რიგის ხმოვნებისათვის [u, o, ɔ] და ორი — წინა რიგის ლაბიალური ხმოვნებისათვის [y, ø]. ამ პოზიციაში ოპოზიციები [o] ~ [ɔ] და [ø] ~ [œ] ნეიტრალიზდება. ფონემათა რეალიზაცია ხდება მხოლოდ დახურული ვარიანტით — [o] და [ø]. ოპოზიცია [ɑ] ~ [a] ძლიერ არასტაბილურია. იგი ვარირებს იდიოლექტებს შორის. სიტყვაში *cas* ზოგი მოლაპარაკე წარმოთქვამს [ɑ]-ს, ზოგი კი — უპირატესობას ანიჭებს [a]-ს. ამასთანავე, იგივე ინფორმანტები წარმოთქვამენ *mal*-ს [a]-თი, *mâle* –ს [ɑ] – თი. ზოგჯერ ამ ოპოზიციის რეალიზაციის არარსებობა ართულებს კომუნიკაციას, რაც იწვევს ზოგიერთ ლექსიკურ ერთეულთა ხმარების სიხშირის შეცვლას. მაგალითად, ზედსართავი *las*, უფრო და უფრო ხშირად, ადგილს უთმობს ზედსართავ *fatigué*-ს, რადგან *las*-ს ხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს აღრევა ზმნიზედა *là*-სთან.

ბოლოკიდურ დახურულ მარცვალში, ოპოზიცია [e] ~ [ɛ] ნეიტრალიზდება, ხდება მხოლოდ ღია ვარიანტის რეალიზაცია: *net* [nɛt], *avec* [avɛk]. მაგრამ ასეთ პოზიციაში მჟღავნდება ოპოზიცია [ɛ]~[ɛ:] ,

რომელიც არ არის წარმოდგენილი აბსოლუტურ ბოლოში; მაგ., *mètre – maître*. ამ ოპოზიციის რეალიზაცია ვარირებს მოლაპარაკეთა ასაკის მიხედვით: რაც უფრო ახალგაზრდაა მოლაპარაკე ინდივიდი, მით უფრო სუსტი და იშვიათია ამ ოპოზიციის გამოვლენა.

ოპოზიცია [ø]~[œ]-ს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამ სისტემაში. [ø] რეალიზდება [-k], [-z], [-ʒ], [-t] და [-tr]-ს წინ, [œ]-კი — [-b], [-bl], [-j], [-gl], [-pl], [-r], [-rs] და [-v]-ს წინ. ერთადერთ კონტექსტს, რომელშიც [ø] და [œ] ანსხვავებენ გამონათქვამის აზრს, წარმოადგენენ მინიმალური წყვილები: *veule – veulent* და *jeûne – jeune*, ანუ [-n]-სა და [-l]-ს წინ. აქედან გამომდინარე, ამ ოპოზიციის ფუნქციონალური დატვირთვა არცთუ დიდია.

ბოლოკიდურ დახურულ მარცვალში, ჩვეულებრივ, ხდება ხმოვანთა არაფონოლოგიური დაგრძელება. ეს შეიმჩნევა ყველა ხმოვანში, ბოლოკიდურ [-r]-ს წინ: *faire* [ɛ:], *part* [a:], *fort* [ɔ], *pire* [i:]. ფრანგული ენის ფონეტიკაში, ნორმატიულად ითვლება ხმოვანთა დაგრძელება ბოლოკიდურ [-v], [-z], [-ʒ] და [-j]-ს წინაც: *neuve, beige, seize, veille*. ამასთან დაკავშირებით, ჰ. ვალტერი განსხვავებული აზრისაა. მისი დაკვირვებები აჩვენებენ, რომ [-ʒ]-სა და [-v]-ს წინ ხმოვანი შეიძლება მოკლე იყოს. მხოლოდ [-r] იწვევს სტაბილურ დაგრძელებას; დანარჩენი თანხმოვნების (ე. წ. დამაგრძელებლების) წინ, გრძლიობა ვარირებს იდიოლექტებისდა მიხედვით.

არაბოლოკიდურ ღია მარცვალში, ოპოზიციების — [e] ~ [ɛ], [ø] ~ [œ] და [o] ~ [ɔ] — ღიაობის ხარისხი რეალიზდება დიდი ვარიაციულობით. ხმოვნები შეიძლება ერთნაირად წარმოითქვან სიტყვებში — *pêcher* და *pêcher*, *périssoire* და *territoire*; ღია და დახურული E ხშირად არ უპირისპირდება ერთმანეთს. სუსტად ვლინდება ოპოზიცია [ø] ~ [œ]. ერთსა და იმავე კონტექსტში შესაძლებელია ორივე ვარიანტი. რაც შეეხება [o] ~ [ɔ] ოპოზიციას, მოლაპარაკეთა უმრავლესობა ასხვავებს *botté – beauté*-ს ტიპის მინიმალურ წყვილებს. მაგრამ ამ ოპოზიციის რეალიზაციაში გაჩნდა ახალი ტენდენციები. ახალგაზრდა თაობა (დაახლ. 20 წლისა) უპირატესობას ანიჭებს [o]-ს წარმოთქმას ისეთ სიტყვებში, როგორცაა *apogée, joli, volet*.

არაბოლოკიდურ დახურულ მარცვალში იგივე მდგომარეობაა, რაც ბოლოკიდურ დახურულ მარცვალში; მაგრამ, თუ ბოლოკიდურ დახურულ მარცვალში მუდამ რეალიზდება [ɛ], არაბოლოკიდურ დახურულ მარცვალში — მოლაპარაკეები ყოყმანობენ ვარიანტის

შერჩევასა. შეიძლება ითქვას, რომ, ამ პოზიციაში, შეინიშნება [e]-ს წარმოთქმის ტენდენცია: **septembre** [septäbr], **exact** [egzakt], რაც სიახლეა ტრადიციულ საწარმოთქმო ნორმასთან შედარებით.

ბოლოკიდურ დახურულ მარცვალთან შედარებით, არაბოლოკიდურ დახურულ მარცვალში იგრძნობა [r]-ს გავლენა ხმოვანთა ღიაობის ხარისხზე; მაგალითად, **meurtrier** წარმოთქმის [œ]-თი პირველ მარცვალში, **borborygme** — [ɔ]-თი პირველ მარცვალში.

როგორც ცნობილია, ჩურჩულა [ə] შეიძლება გამოჩნდეს ან გაქრეს წარმოთქმაში გამონათქვამის აზრის შეცვლის გარეშე, მაგრამ არსებობენ მინიმალური წყვილები, სადაც [ə]-ს წარმოთქმას აზრთა განმასხვავებლობითი ფუნქცია აკისრია: **plage – pelage, le hêtre – l'être, dehors – dors**. ამ ერთეულის ([ə]) ფონეტიკური რეალიზაცია ძლიერ ვარიაციულია. ზოგი მოლაპარაკე [ə]-ს წარმოთქვამს როგორც ნეიტრალურ ხმოვანს, არალაბიალურს; მაგრამ უმეტესობა წარმოთქვამს ან [ø]-დ, ან [œ]-დ. ჩურჩულა [ə] არასოდეს არ ჩნდება არც აბსოლუტურ თავკიდურ პოზიციაში და არც აბსოლუტურ ბოლოკიდურ პოზიციაში, რითაც იგი განსხვავდება სხვა დანარჩენი ხმოვნებისაგან. როგორც პ. ვალტერი აღნიშნავს, სამხრეთულ (სამხრეთ საფრანგეთის) წარმოთქმაში, უმეტეს შემთხვევაში, შეინიშნება [ə]-ს წარმოთქმის ტენდენცია იქ, სადაც იგი არ არსებობს სტანდარტულ ფრანგულში, მაგალითად, აბსოლუტურ ბოლოკიდურ პოზიციაში: **mère, belle**.

პ. ვალტერი მიიჩნევს, რომ ამჟამად ვლინდება [ə]-ს სტაბილიზაციის ტენდენცია, რაც შეიძლება აიხსნას ორი ფაქტორით: 1. გამომყოფი მახვილის მზარდი სიხშირე, რაც პირველ მარცვალზე ხვდება: **Venez à nous!** 2. ამ ხმოვნის აღრევა ფონემების — [ø] ~ [œ]-ს რეალიზაციებთან. თუ ეს ტენდენცია დამკვიდრდა, მაშინ მოხდება [ə]-ს ფონოლოგიზაცია.

ცხვირისმიერ ხმოვანთა სისტემა შეიცავს ოთხ ფონემას: [ä], [ö], [ë] და [œ]. ოპოზიცია [ë]~[œ]-ს აქვს ძლიერ სუსტი ფუნქციონალური დატვირთვა და არასტაბილურია. ყველა ინფორმანტი წარმოთქვამს [ë]-ს როგორც ძალიან ღია ხმოვან [ae]-ს. დიფერენციალური ფონეტიკური ნიშანი, რომელიც განასხვავებს [œ]-ს [ë]-საგან, ეს არის — ლაბიალურობა, მაგრამ ღიაობის ხარისხის გაზრდისას ლაბიალიზაცია რთულდება და ფონემათა რეპრეზენტანტები (ბგერა-ტიპები) ძნელი გასარჩევია.

ფრანგული ენის ფონოლოგიური სისტემის ამგვარი აღწერა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ მისი ევოლუცია. რადიოს, ტელევიზიისა და მასობრივი კომუნიკაციის სხვა საშუალებათა გავლენით ხდება წარმოთქმის სტანდარტიზაცია, უკიდურესი ვარიანტები სწორდებიან და წარმოიქმნება რაღაც გაშუალებული სისტემა. ზოგიერთი ოპოზიცია ამჟღავნებს არასტაბილურობის განსაზღვრულ ხარისხს. გრძლიობის მიხედვით ერთადერთი ოპოზიცია [ɛ] ~ [ɛ:] თანდათანობით ქრება. ფრანგი ლინგვისტები ეჭვქვეშ აყენებენ ოპოზიცია [ɛ]~[œ]-ის არსებობას. ოპოზიცია [ɑ] ~ [a]-ს რეალიზაციათა დიდი ვარიაციულობაც ასევე მიგვანიშნებს მის არასტაბილურობაზე. ალბათ, მომდევნო თაობათა წარმოთქმაში ძნელი იქნება ამ ოპოზიციათა შენარჩუნება. ამავდროს იზრდება [ə]-ს სტაბილურობა. შეინიშნება რბილი ცხვირისმიერი [ɲ]-ს გაქრობის და უკანაენისმიერ სონანტ [ŋ]-ს გაჩენის ტენდენციები.

ამგვარად, სოციოლინგვისტური კვლევები ხელს უწყობენ ენის ევოლუციის ნიშანთა გამოვლენას, მის თანამედროვე მდგომარეობაში. ფონეტიკურ ცვლილებათა მიზეზები იკვთებიან ენობრივ კონტაქტებში, სოციალური პრესტიჟის გავლენაში, „ნორმის“ ცნებასთან ურთიერთობაში.

ენის მატარებლებს გაუცნობიერებელი წარმოდგენა აქვთ ნორმისა და დასაშვები განსხვავებების შესახებ ფონოლოგიურ ოპოზიციათა რეალიზაციაში. ეს განსხვავებები შეიძლება იყოს მოლაპარაკის დიალექტური კუთვნილების, კულტურული დონის, სოციალური ან პროფესიული გარემოს, ასევე განსაზღვრული თაობის წარმომადგენლობის შედეგი. ყველაზე მეტად აშკარაა დიალექტური განსხვავებანი, შემდეგ ასაკობრივი და უფრო ნაკლებად — პროფესიული და კულტურულ-სოციალური განსხვავებები.

ფრანგული წარმოთქმის კლასიკური აღწერები ეფუძნებოდა პარიზის ბურჟუაზიული წრეების მეტყველებაზე დაკვირვებებს. დიდი ხნის მანძილზე, ფრანგული ენის, როგორც მშობლიურის და როგორც უცხოურის, სწავლებისას დამკვიდრებული იყო აზრი, რომ არსებობს „კარგი“ წარმოთქმის მხოლოდ ერთი ვარიანტი, ისევე როგორც არსებობს ორთოგრაფიის ერთი ვარიანტი. ფრანგული ენის მასწავლებლები ეყრდნობოდნენ პ. ფუშეს (ფუშე, 1959) ნაშრომს, რომელიც წარმოადგენდა ფრანგულ წარმოთქმას როგორც ერთგვაროვანს (ერთსახოვანს), ვარიანტების გარეშე. ლ. ვარნანიც (ვარნანი,

1962) ასევე ეყრდნობა ერთი სოციალური ჯგუფის წარმოთქმას, რომელსაც იგი უწოდებს „განათლებულ პარიზელებს“. ეს კვლევები წმინდა ფონეტიკური ხასიათის ნაშრომებია.

XX ს.-ის ოცდაათიანი წლებიდან გამოჩნდა ა. მარტინეს ფონოლოგიური შრომები, ორმოციანი წლებიდან კი იგი კვლევებს აწარმოებდა საფრანგეთის სხვადასხვა რეგიონის ინფორმანტთა წარმოთქმაზე, რათა წარმოედგინა წარმოთქმის სხვადასხვაგვარი ვარიანტი, ფრანგული საერთონაციონალური ენის ჩარჩოებში. ა. მარტინეს ეს შრომები, მიძღვნილი წარმოთქმის ვარიაციულობისადმი, საფუძველი იყო თანამედროვე ფრანგ ფონოლოგთა კვლევებისათვის, რომლებიც ცდილობენ სხვაგვარად აღწერონ ფრანგული ენის ფონოლოგიური სისტემა — წარმოადგინონ ერთიანობა მრავალგვარობაში.

მაშასადამე, ფონოლოგიური ოპოზიციები უნდა განიხილებოდეს ვარიანტთა ფონზე. ამასთანავე უნდა განვსხვავოთ ვარიაციულობის ტიპები. დიალექტის აღწერისას, მკვლევარი, ერთი მხრივ, შეიძლება აღმოჩნდეს სხვა ფონოლოგიური სისტემის წინაშე, მეორე მხრივ, იგი აკვირდება თავისუფალ ვარიანტებს, მოლაპარაკეთა ასაკის, სოციალური და პროფესიული კუთვნილებისა და მიხედვით.

თანამედროვე ფრანგი ლინგვისტები ფიქრობენ, რომ ენის ფონოლოგიური აღწერა უნდა ეფუძნებოდეს წარმოთქმის რაღაც გაშუალებულ, კოდიფიცირებულ ნორმას. პ. ვალტერი მიიჩნევს, რომ ენის აღწერის საფუძველი უნდა იყოს პარიზული წარმოთქმა, მაგრამ ეს უნდა იყოს სხვაგვარი, არა ძველებური. ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო მკვიდრ პარიზელთა წარმოთქმას, არამედ დედაქალაქში პროვინციებიდან ჩამოსული მოსახლეობის წარმოთქმასაც; მათი წარმოთქმა სახეცვლილებას განიცდის დედაქალაქში, მაგრამ იგი (პროვინციელთა წარმოთქმა) ასევე ახდენს გავლენას პარიზელთა წარმოთქმაზე. ამ მუდმივი ურთიერთქმედების შედეგად წარმოიშვება წარმოთქმის ის ტიპი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს გაშუალებული.

ლიტერატურა

**ვალტერი, 1977** — Walter H., La phonologie du français, Paris, 1977.

**ვარნანი, 1962** — Warnant L., Dictionnaire de la prononciation française, Gembloux, 1962.

**მარტინე, 1977** — Martinet A., La prononciation française des mots d'origine étrangère. In : Phonologie et société. Montréal. Paris, Bruxelles, 1977.

**რეტმანი, 1978** — Retman R., L'adaptation phonétique des emprunts à l'anglais en français. — La linguistique, vol. 14. fasc. 1/ 1978.

**ფონაჟი, 1979** — Fonagy I., Gamme Sémantique des coups de glotte dans le français moderne. — Le français dans le monde, 1979, № 143.

**ფუშე, 1959** — Fouché P., Traité de prononciation française, Paris, 1959.

**TSIURI AKHVLEDIANI**

### **The Importance of Sociolinguistic Research for Revealing Language Evaluation Markers**

#### Summary

The study of sociolinguistic works of the French linguists (A.Martinet, I.Fonage, L. Warnant) has proved that the research in question helps to state language evaluation markers. For instance, the reasons for phonetic changes are revealed in language contacts and the influence of social prestige, in relation with the accepted norm. The native speaker's knowledge about the usage of phonological opposites is subconscious. The accepted differences in the usage of phonological opposites depends on the speaker's origin, social status, age, profession and cultural level. The most relevant being dialect and age factors.

## ეთერ ბალიაშვილი

სემანტიკური მარკინგები „Where? – სად?“  
საინფორმაციო საბაზეთო სტატიებში

ყოველი საინფორმაციო სტატია, იქნება ეს ცნობა, ანგარიში, რეპორტაჟი თუ ინტერვიუ პასუხობს შეკითხვებს: **What? Who? Where? When? Why? How?** (რა? ვინ? სად? როდის? რატომ? როგორ?). ეს ერთი შეხედვით მარტივი ექვსი კითხვა ინტერპრეტაციის მთელ სტრუქტურას მოიცავს.

საგაზეთო სტატიათა სემანტიკური კვლევის ფორმებად გამოყავით სპეციალური კითხვებით რეალიზებული შემდეგი მარკინგები:

1. **ვინ? (Who?)** — მოქმედების სუბიექტი ან ინფორმაციის წყარო.
2. **რა? (What?)** — რაზე მოგვითხრობს პრესა, ანუ „ფაქტები“ და „ახალი ამბები“.
3. **როდის? (When?)** — დროის მითითება (ე.წ. deadlines, datelines and history).
4. **სად? (Where?)** — ადგილი, გეოგრაფიული გარემო.
5. **რატომ? (Why?)** და **როგორ? (How?)** — ფაქტის, მოვლენის, ახალი ამბის ახსნა.

აღნიშნულ სტატიაში ჩვენ მიერ გამოყოფილი სემანტიკური მარკინგებიდან დეტალურად განვიხილავთ მეოთხე სემანტიკურ მარკინგებს, ანუ **სად? Where? — ადგილი, გეოგრაფიული გარემო.**

ნებისმიერი საინფორმაციო სტატია გვპასუხობს კითხვაზე სად? **Where?**; თვითმფრინავი ჩამოვარდა — სად? მიწისძვრა — სად?, წყალდიდობა — სად?, აფეთქება — სად?, კონფლიქტი — სად?, დელეგაცია — სად ჩავიდა? ან საიდან ჩამოვიდა? და ა.შ. როდესაც ჟურნალისტი ადგილს მიუთითებს, ამით ის ზოგჯერ უბრალო ფაქტის კონსტატაციას ახდენს, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც აღ-

გილს უფრო მეტი დატვირთვაც აქვს. სივრცე სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოიხატოს. სამეცნიერო სტატიებში ის გარკვეული ტიპის ცოდნის ობიექტია. რომელიმე ასტრონომიული მოვლენის აღწერისას ის სამეცნიერო თემატიკასთან ერთად მკითხველს გართობას სთავაზობს, კოსმოსზე სტატიებში ადგილი ტექნოლოგიური მიღწევების საგანია, პოლიტიკურ სტატიებში ქვეყნებს შორის პოლიტიკური ბრძოლის, ურთიერთობების ობიექტია. საინფორმაციო სტატიებში ზოგჯერ უფრო მეტის მომცველი პასუხი შეკითხვაზე **"Where?"** შეიძლება ექსპლიციტურად იყოს მოცემული. მაგ. **The White House** — ადგილი, მართო კონკრეტული შენობა არ არის, ის მთელი ქვეყნის, ქვეყნის პოლიტიკის მნიშვნელობით იხმარება ცნობებში. ამრიგად, საინფორმაციო სტატიებში ადგილი შეიძლება იყოს:

- ვიწრო გაგებით სად? **Where?** — მხოლოდ კონკრეტული გეოგრაფიული არეალი.
- ფართო გაგებით სად? **Where?** — მარტივი გეოგრაფიის მიღმა — მსოფლიო პოლიტიკური სისტემის იმიჯი, მაგ. თავისუფლებისა და ტოტალიტარიზმის იმიჯი.

საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში პასუხი კითხვაზე **Where?** სად? ფართო და ვიწრო გაგებით ახალი ამბის ბევრ განსხვავებულ ფუნქციას გვიჩვენებს. გამოყოფთ ადგილის ექვს ასეთ ფუნქციას (მენოფი, სჩადსონი, 1986, 111-112):

1. ადგილი, როგორც ავტორიტეტი (**Place as Authority**).
2. ადგილი, როგორც ინფორმაცია (**Place as Information**).
3. ადგილი, როგორც სოციალური კავშირი (**Place as Social Connection**).
4. ადგილი, როგორც სიუჟეტური ქარგა (**Place as Setting**).
5. ადგილი, როგორც სუბიექტი, საუბრის თემა (საგანი) (**Place as Subject**).
6. ადგილი, როგორც გეოპოლიტიკა (**Place as Geopolitics**).

განვიხილოთ თითოეული ფუნქცია ცალ-ცალკე:

1. ადგილი, როგორც ავტორიტეტი — გეოგრაფიული გარემო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადგილის მითითება საინფორმაციო სტატიებისთვის ავტორიტეტის მიმნიჭებელია (მაგ. **The White House, the Houses of Parliament, the Pentagon** და ა.შ.). საინფორმაციო სტატიების უმრავლესობა თავის ავტორიტეტს შეუმჩნეველად ამკვიდრებს, მაგალითად, შემდეგი ფრაზების გამოყენებით: **"officials here believe"**,

ან "according to observers here" — "here" აქ ის ადგილია, რომელიც სტატიის იმ სტრიქონშია, სადაც ადგილი და დროა (dateline) მითითებული. ამრიგად, ყველა საინფორმაციო სტატიის იმ მნიშვნელოვანია ეს სტრიქონი (dateline), იმიტომ, რომ ადამიანები სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა რამეს ამბობენ. განსხვავებულია მოვლენის ადგილზე მყოფი რეპორტიორისა და, ვთქვათ, ოფიციალური ვაშინგტონის შეხედულება რომელიმე პოლიტიკურ მოვლენაზე, ან კრიზისზე. მოვლენის ადგილიდან შეხედულება უფრო ნიუანსობრივია, ვიდრე ვაშინგტონიდან; მაგრამ არის ის ტენდენცია, რომ ზოგჯერ სტატიებში იგრძნობა კონკრეტული ქვეყნის ინტერესები. სხვადასხვა ადგილებიდან ერთსა და იმავე ისტორიას განსხვავებული ელფერი შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ "dateline" ყოველთვის ინფორმაციის წყაროს სიზუსტეს არ განსაზღვრავს. შეიძლება ჟურნალისტი იყოს მოვლენის ეპიცენტრში, მაგრამ მას კონტაქტი არ ჰქონდეს საარწმუნო წყაროებთან.

დროისა და ადგილის სტრიქონების (dateline) უმეტესობა დედაქალაქების, ანუ რეალური ამბებისთვის ხელმისაწვდომი ადგილების — სამთავრობო ოფისების, საელჩოების და სხვ. მითითებაა.

## 2. ადგილი, როგორც ინფორმაცია.

ადგილი, როგორც ინფორმაცია, გვხვდება იმ სტატიებში, რომელიც „შაბათ — კვირას“ ('week-end' — section-ს) შეეხება, აქ არის ინფორმაციები მოგზაურობაზე, მოძრა-უძრავ ქონებაზე, მიმდინარე მოვლენებზე ან ყოველდღიურ ამბებზე. საინფორმაციო საგაზეთო სტატიები ძირითადად საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროებს შეეხება, მაგრამ გვხვდება ინფორმაციები ცნობილი და ჩვეულებრივი ადამიანების კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაზეც.

ამრიგად, ჩვენ ვთვლით, რომ ადგილი, როგორც მოქმედება, ინფორმაცია, როგორც ბრიტანულ, ასევე ამერიკულ პრესაში შემდეგი სახის სტატიებს გულისხმობს:

- ყოველდღიური ცხოვრება.
- მიმდინარე მოვლენები.
- შაბათ-კვირა.
- კერძო და საზოგადოებრივი ცხოვრება.

## 3. ადგილი, როგორც სოციალური კავშირი.

ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ისეთ სტატიებს, როდესაც მკითხველის მშობლიური ქალაქი, ან მისთვის კარგად ნაცნობი ქალაქია მითითებული, როგორც მოვლენის ადგილი, რომლითაც მკითხველის

მოთხრობილ ამბავში მონაწილეობა იგულისხმება. მსგავს შემთხვევებში საინფორმაციო სტატიები საზოგადოების შემქმნელად გვევლინებიან, რადგან საინფორმაციო საგაზეთო სტატიის მთავარი სოციალური ფუნქციაა, რომ მკითხველმა თავი დიდი საზოგადოების ნაწილად იგრძნოს.

## 4. ადგილი, როგორც სიუჟეტური ქარგა — ფონი, გარემო.

ზოგიერთ საინფორმაციო სტატიის იმ მოთხრობილი ახალი ამბავი გარკვეულ ფონს მოითხოვს. მაგ. პოლიტიკური დემონსტრაციების აღწერა. ის საინფორმაციო სტატიები, რომლებსაც გარკვეული ფონი, მხატვრული გაფორმება არ აქვს, სიღრმეს მოკლებულია. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ საინფორმაციო სტატიებში გვხვდება ფონი, როგორც სიუჟეტის ნაწილი. მაგრამ, ფონი — მოვლენის ანალიზით უფრო ანალიზური სტატიების პრეროგატივაა.

საინფორმაციო სტატიისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ჰქონდეს კონკრეტული სიუჟეტი — მოვლენის ფონი, ე. ი. მოვლენა ხდება განსაკუთრებულ ადგილზე, განსაკუთრებულ დროს. ეს ერთ ადგილზე ლოკალიზებული მოვლენა უფრო დიდი, უფრო რთული რეალობის ნაწილს წარმოადგენს.

ფონად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემო, სადაც ინფორმაციაა მოპოვებული. ამგვარი ფონი მეტ-ნაკლებად გვხვდება ცნობაშიც, ანგარიშშიც, რეპორტაჟშიც და ინტერვიუშიც. რაც შეეხება სენსაციურ რეპორტაჟებს (Feature Reports), მათაც ახასიათებთ გარკვეული ფონი, რომელიც სიუჟეტის ნაწილია, რადგანაც აქაც მოვლენა ხდება განსაზღვრულ ადგილზე, განსაზღვრულ დროს.

ზოგჯერ საინფორმაციო სტატია აერთიანებს ნარაცისა და მსუბუქ ანალიზს, იყენებს კონკრეტულ ფონს მკითხველზე შთაბეჭდილების მოსახდენად. ფონი ხშირად შეიძლება განპირობებული იყოს პოლიტიკური ფაქტორებითაც.

## 5. ადგილი, როგორც სუბიექტი, საუბრის თემა (საგანი).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადგილი შეიძლება ახალი ამბის მთავარი საგანი და თემა იყოს. ზოგიერთ საინფორმაციო სტატიაში ხშირად, როდესაც ავტორი მთავარ ნაციონალურ მოვლენას ეხება, მან შეიძლება მოგვაწოდოს ჩვეულებრივი ადამიანური ინტერესების დამაკმაყოფილებელი ინფორმაცია. საინფორმაციო ცნობაში, ანგარიშში, რეპორტაჟსა და ინტერვიუში ადგილი ხშირად პოლიტიკური დავის ობიექტი ხდება. მაგ. სტატიებში, რომლებიც შეეხება ქვეყნებს,

რომელიც შესახელმწიფოთა კონფრონტაციის ობიექტს წარმოადგენენ. ამგვარი სტატია მთლიანად წანმოადგენს პასუხს შეკითხვაზე — **Where?** სად?.

ამრიგად, ყველა ადგილი, მხოლოდ მისი მცხოვრებლების გამო არ ხვდება პრესის ფურცლებზე. ერთი პატარა პრობლემა, თუ ის ფართო მნიშვნელობას არ შეიძენს, არ შეიძლება იქცეს ყველა საინფორმაციო სტატიის საგნად. რა თქმა უნდა, აქ საინფორმაციო ცნობა გამონაკლისად შეიძლება ჩავთვალოთ.

ბ. ადგილი. როგორც გეოპოლიტიკა.

შეკითხვას **Where?** სად? არსად ისეთი დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება, როგორც საერთაშორისო პოლიტიკაში, სადაც „გეოპოლიტიკური“ პერსპექტივა დომინირებს რეპორტაჟების ყველა ამბებს შორის. რა შეიძლება იყოს გეოპოლიტიკური თვალსაზრისი:

- შესახელმწიფოთა დავის საგანი (ყოფილი „ცივი ომის“ პერიოდი, ახლა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობა და სხვ.)
- ქვეყნის „სტრატეგიული ლოკაცია“.
- გეოგრაფიული რუკა — საინფორმაციო საგაზეთო სტატიების წყარო (დასავლეთი და აღმოსავლეთი, ამერიკა — ერაყი და სხვ.)
- ადამიანის უფლებათა პერსპექტივა ("human rights perspective") — ანუ, ად-გილი, დემოკრატიის სიმბოლო.
- ტერორიზმი — გეოპოლიტიკური მდებარეობა ტერორიზმის ობიექტი (სტატიები 11 სექტემბრის ტერაქტზე, ტერაქტები სხვა ქვეყნის ტერიტორიებზე, ტერორისტულ ორგანიზაციებზე და სხვ.)

ტერორისტულ აქტებზე, „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნებზე, ამერიკა რუსეთზე გამოქვეყნებული საინფორმაციო სტატიები ადგილის (**Where?**) გეოპოლიტიკურ ფუნქციას გამოხატავს.

საინფორმაციო საგაზეთო სტატიათა ინფორმაციულობის ხარისხი დამოკიდებულია მათში სემანტიკური მაჩვენებლების რეალიზაციაზე. ამრიგად, ბრიტანულ და ამერიკულ პრესაში გამოქვეყნებულ ჩვენ მიერ განხილულ სტატიებზე დაყრდნობით ვასკვნით, რომ კითხვა **Where?** სად? რეალიზებულია ყველა საგაზეთო სტატიაში. აღნიშნული მაჩვენებელი განსაკუთრებით დომინირებს იმ საინფორმაციო სტატიებში, სადაც ახალი ამბავია — პოლიტიკური მოვლენა, მიმდინარე ამბები, სპორტი, ეკონომიკა და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ

ადგილს, როგორც გეოპოლიტიკას ბრიტანულ და ამერიკულ პრესაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ის უფრო დომინირებს ამერიკულ გაზეთებში.

ლიტერატურა

**ვერდონკი, 2002** — Peter Verdonk, *Stylistics*, Oxford University Press, 2002.

**კუკი, 2003** — Guy Cook, *Applied Linguistics*, Oxford University Press, 2003.

**მენოფი, სჩადსონი (რედ.), 1987** — Robert Karl Manoff and Michael Schudson (eds), *Reading the News*, New York, 1987.

**სჩენდლი, 2001** — Herbert Schendl, *Historical Linguistics*, Oxford University Press, 2001.

**უიდეუსონი, 1996** — H. G. Widdowson, *Linguistics*, Oxford University Press, 1996.

**ფაულერი, 1991** — Roger Fowler, *Language in the News, Discourse and Ideology in the Press*, London, 1991.

ETER BALIASHVILI

### The Semantic Indicator 'Where?' in Informative Newspaper Articles

#### Summary

The paper deals with the realization of the semantic indicator 'where?' in informative newspaper articles (an account, a notice, a report and an interview). The study is based on the material of British and American newspapers. The following functions of the given indicator have been singled out: 1. place as authority; 2. place as information; 3. place as social connection; 4. place as setting; 5. place as subject, topic of the conversation; 6. place as geopolitics. The study has proved that the indicator in question is realized in every newspaper article. It dominates in those articles whose topics are political events, current affairs, sport, economy etc. The place as geopolitics occupies an important place in British and American newspapers, however it dominates in American newspapers.

ციალა ბანდელიანი

კუნცხურ-ის ენობრივი სტრუქტურა სამეტყველო კოდების  
შერევის თვალსაზრისით

**კუნცხური-** მთის სახელწოდებაა ხონის რაიონის სოფელ სუხჩე-ში, რომელიც ცხენისწყლის ხეობაში, ქვემოიმერულის სამეგრელოსპირა ზოლში მდებარეობს. სახელწოდება საინტერესოა ენობრივი სტრუქტურის და, აქედან გამომდინარე, სამეტყველო კოდების შერევისა და ბგერათმეცნიერების თვალსაზრისით დიაქრონიულსა და სინქრონიულ ჭრილებში.

გამოიყოფა **კუნცხ-** ფუძე, იგი **კონცხ-** ფუძის ფონეტიკური ვარიანტია, თუ მასში **ნ** განვითარებული არ არის. **ო-ს უ-**ში გადასვლა სონანტის მეზობლად, ტ. გუდავას წესის მიხედვით, დამახასიათებელია ზანურისთვის (მეგრულ-ზანურისთვის) (გუდავა, 1960, 119-122).

სოფელი, სადაც სახელწოდება გვხვდება, ასევე, აღნიშნული არეალი, ახლო წარსულშიც ზანური ენის გავრცელების ზონას წარმოადგენდა, ამჟამად მის მიმდებარედ მეგრული სოფლებია; ამიტომ **უ-**ხმოვნის ფორმა კანონზომიერია სამეტყველო კოდების შერევის საფუძველზე.

მაგრამ, თუ დავუშვებთ, რომ **ი** განვითარებულია, მაშინ ამოსავალ ფუძედ გამოიყოფა ქართულისავე ნიადაგზე მომხდარი ფონეტიკური პროცესის შედეგი: **კუ(ნ)ცხ-** < **კო(ნ)ცხ-**, ძალზე საინტერესო ვითარებას ქმნის ის, რომ მეგრულში არის **კონჩხ-** ფუძე, რომელიც სემანტიკით არ ემთხვევა **კონცხ-** / **კუნცხ-** ფუძის მნიშვნელობას, მაგრამ არც ძალიან დაშორებულია: „ნაპირი, კიდე“ (ყიფშიძე, 1994), რომელიც შეიძლება ჰქონდეს როგორც მდინარეს, ისე კლდეს). გამოდის, რომ **კონცხ-** / **კონჩხ-** ფორმებში ბგერათმეცნიერების თანხმობა გვაქვს თანხმობებში: **ცხ** : მეგრ. **ჩხ**;

მაშასადამე, **ო-ხმოვნის** ფორმებია ქართულსა და მეგრულში (**კონცხ-** / **კონჩხ-**), ხოლო ქვემოიმერულ-მეგრული სამეტყველო კოდების შერევის შედეგად გვაქვს **უ-ხმოვნის** ფორმა **კუნცხ-**. შეუძ-

ლებელია ქართულ-ზანური ბგერათმეცნიერების თანხმობა: **ა** : **ო**, **ცხ** : **ჩხ**, არ დავინახოთ იმავე სემანტიკის ფუძის **კაცხ-**ის სახით (კაცხ-ის სვეტი): ქართ. **კაცხ-** : მეგრ. **კო(ნ)ჩხ-**, რომლის თანხმობების მხრივ ბგერათმეცნიერებისა ქართული **კო(ნ)ცხ-** **კონცხ-**-ი.

ქართ. **კაცხი**, **კონცხი** — მეგრ. **კონჩხი** ვარიანტები ნავარაუდევია რაჭულსა და ლეჩხუმურ ტოპონიმებში (იხ. ალაგიძე, 1971, 81; ჯორბენაძე, 1993, 145).

**კაცხის სვეტი** მდებარეობს ჭიათურის რაიონში, იგი არის კირქვის სვეტისებრი დენუციური „მოწე“ — შთენილი კლდე (ქსე), გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, **კაცხ-ი** უნდა იყოს ჰიდრონიმ **ო-კაცე-**ს (მდინარე და კანიონი ხონის რაიონის სოფ. კინჩხაში) ამოსავალი ფუძე: **\*ო-კაცხ-ე**, სადაც **ო-პრეფიქს** შეესატყვისება ქართ. **სა-პრეფიქსი**, **სა — ე** : **ო** — დანიშნულების აფიქსებია, ე. ი. კაცხის მსგავს კლდეთა წარმომქმნელი მდინარე. შესაძლოა, **კაცხ-**, **კონცხ-**, **კუნცხ-**, **კონჩხ-** ფუძეები ქართველურ ენებში ერთნაირი გეოლოგიური წარმომავლობისა და შედგენილობის (კირქველ, კარსტულ) კლდეთა აღმნიშვნელები იყოს. ამას გვაფიქრებინებს ჰიდრონიმ **ოკაც(ნ)ე-**ს კანიონები, რომელიც უნიკალური ჰიდროგრაფიული ძეგლია: ზოგან ას მეტრზე მეტი სიღრმის და ვიწრო სიგანის კლდეთა კალაპოტში მიედინება მდინარე.\*

მაშასადამე, ქართველურ ენათა მონაცემების მიხედვით, ქართულში არის **კონცხ-** **კონცხ-ი**, მეგრულში — **კონჩხ-** **კონჩხ-ი** „ნაპირი, კიდე“; **კონცხ-ი** დასტურდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში. ქართულ **კონცხ-** (<\* **კონცხ-**) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **კონჩხ**. მეგრულ ძირს უნდა უკავშირდებოდეს **კონჩხ-** ტოპონიმი (ინჩხურის თემი, ცაგერის რაიონი) (იხ. სარჯველაძე, ფენრიხი, 2000); (აღნიშნავთ, რომ ინჩხურის თემი მარტვილის რაიონშია).

ჩვენ მიერ აღნიშნულ არეალში **კონჩხი** ამჟამად გამოიყენება, ნიშნავს „მაღალ ადგილს“ (იხ. ქვ.).

საინტერესოა, რომ იგივე **უ-ხმოვნის** ფორმა გვხვდება სულხან-საბას ლექსიკონში. აქ შეტანილია **კონცხ-** / **კუნცხ-** ვარიანტები.

\* ამ მდინარის სახელს კ. ბოროზდინი იხსენიებს, როგორც **ოკასო**, მაგრამ ეს სახელი მდინარეს არასოდეს რქმევია, მან უთუოდ მცდარად მოისმინა, წიგნის მთარგმნელს, თ. სახოკიას, ცხადია, ნათარგმნი აქვს ის, რაც რუსულ დედანში იყო (იხ. კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861. მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, თბ., 1934, 154).

უფრო ძველია **კონც-** ფონეტიკური ვარიანტი, რადგან საბა იმოწმებს ბიბლიის წიგნს (I მეფეთა), იქვე მოაქვს **კუნც-** ვარიანტი, და განმარტავს: „ესე არს ცხვირი კლდეთა, მაგარი და ძნელოვანი“ (საბა).

საბას დროინდელ ქართულში, „სიტყვის კონის“ მიხედვით, იყო **კონც-** ფონეტიკური ვარიანტი, რადგან ერთ რედაქციაში იგი მხოლოდ უთითებს ბიბლიის წიგნს და მოაქვს მხოლოდ „კუნცხი“, განუმარტავად. რატომ არ არის განმარტებული, არაფერი შეგვიძლია ვთქვათ; გაურკვეველია ისიც, დიდი ლექსიკოგრაფი ამ ფონეტიკურ ვარიანტთან თანადროული სალიტერატურო ენისთვის რომელს ანიჭებდა უპირატესობას: მას, რომელიც ძველ ტექსტებშია, თუ მას, რომელიც, როგორც ჩანს, მის თანადროულ სამწერლობო ენაშიც იყო. თუკი სამწერლობო ენაში არ იყო, მას საბა მიუთითებდა. სიტყვა არც ნასესხებია, რადგან ფუძე, როგორც ვნახეთ, აღდგენილია.

ამიტომ საფიქრებელია, რომ **კაცხ-** არის ქართულენოვანი არეალის თავდაპირველი ფონეტიკური ვარიანტი, რომელიც ზანურში კანონზომიერად გვაძლევს **კონხ-** ფორმას, **ნ** განვითარებულად უნდა მივიჩნიოთ. ეს ფორმა დასტურდება ჩვენს საანალიზო არეალში, სადაც **ნ** ჩანართი ჩანს ზანურში ნაზალიზაციის საფუძველზე: კონჩხი „**მაღალი ადგილი**“.

რომელი დიალექტური წრის კუთვნილებად შეიძლება ჩაითვალოს **კონც-**ი. ჩვენი აზრით, როგორც აღვნიშნეთ, იგი ბგერათმეცნიერების ვარიანტია, ოღონდ მხოლოდ თანხმოვნებისა: **ცხ > ჩხ**. შესაძლოა იყოს არა მაინცდამაინც ქართველურ ენათა, არამედ ქართლის დიალექტთა შორის შესატყვისობაც, რადგან გვაქვს: ქართ. სალიტ. **ნაკვერცხალი** : დიალ. **ნაკვერჩხალი** — ლეჩხუმურში და ქვემოიმერეთის სამეგრელოსპირა ზოლში, ამავე არეალში მიგრირებულ ლეჩხუმელთა ნაწილობრივ ნარევ სამეცნიერლო კოდში **ჩხ** კომპლექსი შეიძლება ზანიზმად ჩავთვალოთ, მაგრამ ხვესურულში არის **ნაკორჩხალ** „ნაკვერცხალი“ (ალ. ლლონ.). შდრ. ქვემოიმერეთი **ჩხ-ოლ-**ი „ბოლი, კვამლი“, რომლის წარმომავლობა უთუოდ ცეცხლი : დაჩხირთან შეიძლება იყოს დაკავშირებული და მომდინარეობდეს **ცხ-** სი-**ცხ-**ის / **ცხ-**ელ-ის სემანტიკიდან. შდრ. ქიზიყ. **კრიცხვა** || **კრიჩხვა** „გაკილვა, სხვისი ძრახვა, გაჭორვა“ (ს. მენთ.) (ვიმოწმებთ: ალ. ლლონ.).

სახელწოდება **კუნც-ურ-**ი მომდინარეობს „**კუნც-**ი“-დან, **-ურ** სუფიქსი მიუთითებს მის კლდოვან წარმომავლობას, მაგრამ უფრო მიემსგავსება კორტოსს. შდრ. ინგილ. კუნტუტხ „კლდის ან მთის მწვერვალი, კენწერო, კორტოხი“ (მ. ჯან.) (ვიმოწმებთ: ალ. ლლონ.), მაგრამ კუნც-ურ-ს კიდევ სხვა ნიუანსი უნდა ჰქონდეს.

სხვა „კონცხი“ ამჟამად ამ სოფლებში იშვიათად გამოიყენება, უფრო გავრცელებულია სახელის ზანური ვარიანტი: **კონჩხი**, გვხვდება მიკროტოპონიმებშიც, მაგრამ ზემოაღნიშნულ სახელწოდებაში ქართული ენობრივი ვარიანტია დაცული. „**კონჩხი**“, აქაურთა განმარტებით, როგორც აღვნიშნეთ, არის „**მაღალი ადგილი**“. შდრ. ლეჩხ. **კანჩხა** „ძლიერი მაღალი“ (მ. ჩიქ.) (ვიმოწმებთ: ალ. ლლონ.). ასეთივე სემანტიკა აქვს ძალზე მაღალმთიან სოფელ **კინჩხა-ს** (ხონის რაიონი) ამოსავალ ფუძეს. **ჩხ** ორსავე შემთხვევაში შესატყვისი **ცხ** კომპლექსით გვაძლევს: **კანცხა, კინცხა** ფონეტიკურ ვარიანტებს, რომელნიც **კაცხ-, კუნც-, კონჩხ-** ფუძეთა სემანტიკის არა გადაწვევა, არამედ დიალექტებში მოცემულია მათი არსებითი ნიშნის — **სი-მაღლის** აღნიშვნა, შდრ.: საბა „ესე არს ცხვირი კლდეთა, **მაგარი** და **ძნელოვანი**“ (საბა).

**ურ-** სუფიქსი ამ სოფლებში სხვა სახელწოდებებშიც გვხვდება, მაგ., სილაურის წყარო, სალაურის ციხე (ასე იხსენიებს ხიდის ციხეს პ. ვაჭრიძე, ხონის რაიონის შესახებ ნაშრომის ავტორი), მაგრამ, ჩვენი აზრით, სილაური || სალაური ამოსავალი ფუძის — სიტყვის დიალექტურ მეტყველებაში გაქრობის შედეგად მიღებული ვარიანტებია, უნდა იყოს: სელ-ა-ური(ს) წყარო / ციხე, ლექსებიდან — **სელი** (ტექნიკური მცენარე, რომელიც ამ ადგილებში უძველესი დროიდან გასული საუკუნის დასაწყისამდე მოჰყავდათ). **სელ-** ფუძისგან საქართველოს მრავალ კუთხეში გვხვდება ადგილის სახელები.

მაშასადამე, ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად შეიძლება აღინიშნოს, რომ **კაცხ- || კონცხ- || კუნცხ-** ფუძეები, ბგერათმეცნიერების მეგრ. **კონჩხ-** ფუძესთან ერთად ერთგვაროვან კლდეთა სახელებია, მაგრამ მათი ერთგვაროვნება არ ვლინდება არა მხოლოდ მათ ფორმაში, შდრ.: „ესე არს ცხვირი კლდეთა“ (საბა), არამედ მათ გეოლოგიურ წარმომავლობასა და გეომორფოლოგიურ ხასიათში. მათი დამახასიათებელი ნიშნები: სიმარე და „ძნელოვანება“ დიალექტებში შევსებულია: „მაღალი“, „ძალიან მაღალი“.



შეიძლება ასე დავაჯგუფოთ: **კაცხ-** / **კანჩხ-** / **კინჩხ-**, **კონცხ-** || **კუნცხ :** **კონჩხ-**, სადაც **ცხ :** **ჩხ** შესატყვისობა შესაძლოა ქართული-სავე საფუძველზე იყოს მომხდარი, ხოლო **ა :** **ო** შესატყვისობა ქართულ-ზანური მოვლენაა, აქედან გამომდინარე: **კაცხ-** : **კონცხ-** || **კუნცხ-**, ამ უკანასკნელის ქართულ სამეტყველო არეალში უძველესი დროიდანვე არსებობას ადასტურებს ჩვენ მიერ განხილული **კუნცხ-ურ-ი**, ასეთივე ნიმუშია კაცხის სვეტის ახლოს ჰიდრონიმი **კაცხ-ურ-ი**.

ლიტერატურა

**გუდავა, 1960** — ტ. გუდავა, ო-ს უ-ში გადასვლის ზოგიერთი შემთხვევა ზანურ (მეგრულ-ჭანურ) ენაში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XXV, 1. თბ., 1960).

**ყიფშიძე, 1994** — იოს. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი (ლექსიკონი), თბ., 1994.

**ალავიძე, 1971** — მ. ალავიძე, რაჭა-ლეჩხუმის ტობონიმიკიდან (ეტიმოლოგიური დაკვირვებანი). ქუთაისის პედინსტიტუტის XXXV სამეცნიერო სესია (თეზისები), 1971.

**ჯორბენაძე, 1993** — ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბ., 1993.

**სარჯველაძე, ფენრიხი, 2000** — ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.

შემაჯავებელი ბანარტა

**ქსე** — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. V, თბ., 1980.

**ალ. ღლონ.** — ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

**საბა** — სულხან-საბა ორბელიანი, რჩეული თხზულებანი ოთხ ტომად, ტ. IV<sub>1</sub>, თბ., 1965.

## The Linguistic Structure of *ḵuncxuri* from the Standpoint of Code Mixing

### Summary

*ḵuncxuri* is a mountain name in Imereti (Khoni region). *ḵacx/ḵoncx/ḵuncx* stems, together with the Megrelian stem *konCx* denote karst rocks. According to Sulxhan-Saba *ḵuncxi/ḵoncxi* means a rock top. In the dialects the senses 'high', 'very high' (Low Imeretian), and 'near the water' (the Megrelian *ḵoncxi*) are attested. The paper argues that : the correspondence *cx:Cx* may have taken place on the Georgian basis, whereas the correspondence *a:o* is of Megrelian-Laz origin. Consequently, *ḵuncxuri* is the result of code mixing. Sulxhan-Saba's dictionary proves the archaic origin of the phonetic variants *ḵoncx/ḵuncx* in Georgian.

The hydronym *kacxuri* is of a similar pattern.

ნანა ბოლქვაძე

თარგმნის თეორიისა და პრაქტიკის საუნებრისტიკო  
სწავლავის ზოგიერთ ლინგვისტურ-მეთოდურ  
საკითხთან დაკავშირებით

## შესავალი

რა არის თარგმანი თუ არა ხიდი ორ კულტურას შორის, მათი ურთიერთდაახლოებისა და მათ შორის კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი საშუალება და თუ კომუნიკაცია, მაშ არის დისკურსიც და თუ სხვადასხვა ენაა, მაშასადამე, ინტერკულტურულ კომუნიკაციასთან გვაქვს საქმე; აქედან დასკვნა: პრობლემა, როგორ უნდა ვასწავლოთ თარგმანი, მისი თეორია და პრაქტიკა სხვადასხვა ეტაპზე: ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის დონეზე, უნდა გადაწყდეს ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში.

ნებისმიერი დისკურსის არსებით და ცენტრალურ ფორმას დიალოგი წარმოადგენს. თარგმანი კი კულტურათა შორის დიალოგია, და, შესაბამისად, თარგმანის დროს ერთმანეთს ხვდება ორი ან მეტი განსხვავებული ენა, კულტურა, ტექსტი თუ სიტუაცია. ეს კი იმაზე მიაწინებს, რომ თარგმანი როგორც ენობრივ, ასევე გარეენობრივ ფაქტორებსაც მოიცავს. აქ თავს იჩენს მთელი რიგი პრობლემებისა: რამდენი სახის კომუნიკაცია არსებობს თარგმანში? არის თუ არა თარგმანი წმინდა ენობრივი ფაქტორი, ე. ი. გამიჯნული ყოველგვარი ექსტრალინგვისტური სიტუაციისაგან? როგორ უნდა გავიაზროთ და გადავლახოთ (გადავლახოთ კი) თარგმანის ორბუნებოვანება? არის თუ არა რელევანტური თარგმანისათვის ამოსავალ ტექსტში მოდიფიცირებული ექსტრალინგვისტური რეალობის ისეთი გამოვლინებები, როგორიცაა: ეთნოგრაფიული, კულტურული, პოლიტიკური, სოციალური და ისტორიული რეალიები? როგორ უნდა გავიგოთ თარგმანის პრაგმატიკა და დამოკიდებულება იმ სამ დიმენზიას შორის, რომლებიცაა: თარგმანი, გაგება და ახსნა? რას ნიშნავს ე, წ. ფორმალურ-ესთეტიკური ეკვივალენტურობა? რეცეპცია, პერ-

ცეპცია და აპერცეპცია? რა განსხვავებული ინტერპრეტაციები შეიძლება გაუკეთდეს შემდეგ ფენომენებს: *Inkommensurabilität, Nostrifizierung, Alterität, Alienität-b* თარგმანთან დამოკიდებულებაში?

ახლა შევეცდები ეს და კიდევ სხვა მრავალი კითხვა თუ პრობლემაური საკითხები ამ დისკუსიონისა სამივე ეტაპზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა) გამიზნულად, სირთულეების მიხედვით დავანაწილო.

## I ეტაპი

*დავიწყით ბაკალავრიატი. თეორიული საგანი: თარგმანის თეორია და პრაქტიკა.*

რა უნდა ვასწავლოთ ამ ეტაპზე? ალბათ ძალიან ცოტა რამ თეორიულად და ისიც კონკრეტულად. აქ მე მიზანშეწონილად მიმაჩნია დედუქციური მეთოდის გამოყენება. იმისათვის, რომ შევქმნათ მცირე თეორიული ბაზისი ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის, აუცილებელია დედნის რამდენიმე თარგმანის მათთვის პრეზენტირება და ამაზე დაყრდნობით სტუდენტებთან ერთად შეძლებისდაგვარად ობიექტური დასკვნების გამოტანა: 1. როგორაა თარგმანი მიახლოებული დედანს? 2. რა შეიძლება თარგმანში ზუსტად გადმოცემულიყო და რა არა? 3. რამდენადაა მთარგმნელის თავისუფლების საზღვრები დაცული და ა. შ.

*აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია შემდეგი თეორიული და პრაქტიკული საკითხების სწავლება ბაკალავრიატში: 1. თარგმანის შეფასების კრიტერიუმები (ამ საკითხის განხილვა შეიძლება მაგისტრატურაშიც, მაგრამ სხვა დონეზე); 2. პოეზიის თარგმანის სტილისტიკა. აქ ზოგადად უნდა შევეხოთ იმ საკითხს, შეიძლება თუ არა ყოველი ტიპის პოეზიისათვის გამოინახოს ადეკვატები და შეიძლება თუ არა პოეზიის თარგმნის დროს მთარგმნელმა დაიცვას დედანთან მაქსიმალური სიახლოვე. აქვე ხაზი უნდა გაუუსვიათ მთავარ ფენომენს პოეზიის თარგმნის დროს და მე სავსებით ვეთანხმები ქონ დალი ფანჯიკიძეს, რომელიც ამტკიცებს, რომ პოეზიის თარგმნის დროს აუცილებელია რიტმის, ინტონაციისა და არა რითმის დაცვა და, რაღა თქმა უნდა, არა ლექსიკის თითოეული კომპონენტისათვის ფორმალური შესიტყვების ძიების გზით. მე ამ მოსაზრებას დავემხატვები იმ ფაქტორს, რომ მთარგმნელი არა მარტო უნდა ფლობდეს უცხო ენას, არამედ უნდა გრძნობდეს ამ ენის ცხრაკლიტულებს და როცა ამის ნაკლებობა არ იგრძნობა, თარგმანი ნამდვილად არ იქნება ცუდი. ეს ხდება მაშინ, როცა უცხო ენის შეგრძნება*

ნორმატიულ, კონვენციონალურ ფორმებს ეყრდნობა და რომელთაგანაც გადახრა ტექსტის ენობრივ ქსოვილში ერთგვარად ანელებს დეკოდირებას და შესაბამისად — აპერცეპციის პროცესსაც.

ამ თეორიის თვალსაჩინოებისათვის, შეიძლება პრაქტიკული სამუშაოს სახით შევიტანოთ გერმანელი როგორც კლასიკოსების, ასევე რომანტიკოსების ლექსების თარგმანი. შეიძლება აგრეთვე თარგმანის პრაქტიკისათვის ქართველი რომანტიკოსებისა და კლასიკოსების ლექსების თარგმნის დღის წესრიგში დაყენება. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, აქ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არ უნდა გამოგვრჩეს, როგორცაა: *თარგმნა უცხო ენაზე და თარგმნა უცხო ენიდან.*

აქვე შეიძლება გაკვირით შევხვით ე.წ. უთარგმნელობის (**Inkommen-surabilität**) ფენომენს. მაგ.: შესაძლებელია კი ვაყვას პოეზიის თარგმნა? აქედან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ტექსტები, რომელთა თარგმნითაც მოსალოდნელია არ შედგეს კულტურათშორისი კომუნიკაციის აქტი, ე. ი. ისინი ან არ ითარგმნება, ან კიდევ ცუდად (არაადეკვატურად).

რაც შეეხება უთარგმნელობის ფენომენს, ამ უკანასკნელზე უფრო დაწვრილებით და ძირფესვიანად ამ კურსის საუნივერსიტეტო სწავლების შემდგომ საფეხურზე — მაგისტრატურაზე ვისაუბრებ.

3. პროზის თარგმანის სტილისტიკის სწავლების დროს ბაკალავრიატის სტუდენტებს უნდა განემატოს. რომ: ა) თარგმნის ამ სახეობაში უპირველესი როლი მთარგმნელის მიერ მწერლის პოზიციის გარკვევას ენიჭება, როგორც ეს პოზიცია: ირონიული, იუმორისტული, დამგმობი, თანამგრძობი და ა. შ.? ბ) თხრობის მდინარეების ფორმის (იქნება ეს დინჯი თუ ექსპრესიული) ორიგინალიდან თარგმანში შესაბამისი გადმოტანა და ადეკვატურად ფრაზის სიგრძე-სიმოკლის დაცვა, ერთ-ერთი პირველხარისხოვანი საკითხია პროზის თარგმანში.

რაც შეეხება პრაქტიკულ სამუშაოს: ვამჯობინებ მოკლესიუჟეტიანი მოთხრობების (ე. წ. **Kurzgeschichte**), ანდაზებისა და ფრაზეოლოგიური გამოთქმების, ანეკდოტებისა და სხვ. კომპეტენტური მთარგმნელების თარგმანების შედარებას და ამასთან დაკავშირებით თარგმანის შეფასების კრიტერიუმების სტუდენტებისათვის გააზრებული და მიზნობრივი ახსნიდან გამომდინარე, მათ ინსპირირებას საკუთარი და სხვისი თარგმანების ევოლუციისათვის.

ე. წ. **Kurzgeschichte**-ების თარგმანთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ გვაქვს თეორიულ მოსაზრებათა ვაკუუმი, მაგრამ პრაქტიკულ-

მა გამოცდილებამ მიჩვენა, თუ როგორ წარმატებით ართმევენ ამას სტუდენტები თავს, როცა თვითონ ცდილობენ თარგმნონ ისინი. პრობლემების ხასიათიდან გამომდინარე და უკვე არსებულ თეორიული ხასიათის ცოდნაზე დაყრდნობით, ისინი თვითონ მიდიან საკმაოდ საინტერესო თეორიულ დასკვნა-არგუმენტებამდე, რომელთა ნაკლოვანებაც ამ ჟანრის ნაწარმოებების თარგმნის დროს საკმაოდ საგრძნობია.

ამ კონცეფციების დახვეწა და უფრო სხვა სპექტრში დანახვა, ჩემი აზრით, უკვე დოქტორანტურის დონეზე უნდა მოხდეს.

ბაკალავრიატის ბაზაზე აუცილებელია სტილის მთლიანობის კონცეფციისათვის საფუძვლის ჩაყრა, რომლის განუწყვეტელ განვითარებასაც თარგმანის თეორიის სწავლების შემდგომ ეტაპებზე შეიძლება მეტ-ნაკლებად მივალწიოთ.

## **ეტაპი 2. მაგისტრატურა. საგანი: თარგმანის თეორია.**

*ამ ეტაპზე დედნისა და თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი უფრო მალალ დონეზე ხდება ვიდრე ბაკალავრიატში, კერძოდ, აქ შედის ლექსიკურ ტრანსფორმაციათა კლასიფიკაციის საკითხი, როგორც თარგმანის პრობლემა;*

*პრაგმატული ასპექტები შიდაენობრივ და ენათშორის კომუნიკაციაში; თარგმანი როგორც კულტურათშორისი კომუნიკაციის აქტი;*

*დედნის სტილის ანალიზის პრინციპები, სტილი და ექსპრესია თარგმანში;*

*თარგმანის ენის ანალიზი;*

*თარგმანის ინტერდისციპლინარული ხასიათი;*

*მხატვრული ტექსტის სემიოტიკური კონცეფცია და ლირიკული ტექსტის თარგმანის პრობლემები;*

*ზღაპრის თარგმანის სტილისტიკა;*

*ტექსტის ლინგვისტიკა და მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები.*

მოკლე ანოტაციის სახით ვიტყვი, რომ მე აქ შესაძლებლად მიმაჩნია დინამიკური და ფორმალური ეკვივალენტურობის საკითხის შეტანა, რომელიც უშუალოდ თარგმანს — როგორც კულტურათშორისი კომუნიკაციის აქტს ეხება. ტექსტის დინამიკური ეკვივალენტურობის უზრუნველყოფა ხშირად სწორედ ეთნოგრაფიზმების, ისტორიზმების, ლოკალიზმებისა და კულტურულკომპონენტის სიტყვების მეორადი შეტყობინების ენაში ტრანსფორმაცია-ტრანსპოზიციით და არა მათი ტრანსლიტერაციით ხდება.

აქვე უნდა გადაწყდეს ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნის პრობლემაც. ეს უკიდურესობები, ერთი მხრივ, თარგმანის მექანიზმის ფორმალისებაა და, მეორე მხრივ, თარგმანისადმი ზედმეტად შემოქმედებითი მიდგომა და საკუთარი ფანტაზიისათვის ზედმეტი გასაქანის მიცემა. ამ ეტაპზე შეიძლება დავსვათ ამ ფაქტორებისათვის უკიდურესობის ხასიათის მიწერის და, შესაბამისად, „ოქროს შუალედის“ — იმ „მესამის“ მოძებნის აუცილებლობის საკითხი, რომელზეც გოეთე საუბრობდა ხოლმე. საჭიროა კი ეს? აუცილებელია კი ამ ე.წ. „ოქროს შუალედის“ პოვნა თუ სხვა ამოსავალიც მოიძებნება?

ამის შემდეგ ლექციები ეხება ისეთ მთავარ თეორიულ საკითხს თარგმანის თეორიაში, როგორცაა პრაგმატული ასპექტები შიდაენობრივ და ენათმეორის კომუნიკაციაში თარგმანის ფენომენიდან გამომდინარე. აქ შეიძლება შევიტანოთ ისეთი ლინგვისტური ცნება, როგორცაა „თარგმანის პრაგმატიკა“, სადაც თავს იყრის როგორც ინტრა, ასევე ექსტრალინგვისტური ასპექტები. ეს არის ე. წ. „შეჯახება“ ამ ასპექტებისა და აქვე ხდება მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რაც ძნელია, რადგან თარგმანის ენა ხშირად არ შეიცავს ისეთ პოტენციურ შესაძლებლობებს, რომ ზუსტად და უდანაკარგოდ გამოხატოს თარგმანში საწყის ტექსტში გაინტენსიფიკებული არაერთი უნიკალიზმი, რომელიც დაკავშირებულია როგორც ამოსავალი ენის სპეციფიკასთან ასევე მის ეთნოკულტურულ რეალობასთანაც.

თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტურობა გაიგება როგორც ზოგადტრანსლაციური კატეგორია — ძირითადი მოთხოვნა ყოველგვარი სახის თარგმანისათვის, განურჩევლად მისი ჟანრული სახეობისა (სამეცნიერო-ტექნიკური, პუბლიცისტური, ბელეტრისტული) და განურჩევლად მისი შესრულების ფორმისა (წერილობითი, ზეპირი, სინქრონული). იმ პირობით, რომ სწორედ შეტყობინების პრაგმატული ინტენციიდან გამომდინარე, სხვადასხვა შემთხვევაში ასევე სხვადასხვა სახის ეკვივალენტურობა შეიძლება იყოს დომინანტური.

რაც შეეხება ლექსიკურ ტრანსფორმაციათა კლასიფიკაციის საკითხს, აქ მე პირადად ფრაზეოლოგიურ ერთეულთა თარგმანის თავისებურებებს ლექსიკურ ტრანსფორმაციებისაგან დამოუკიდებლად არ განვიხილავ. რადგან ლექსიკური ტრანსფორმაციების კლასიფიკაციის ტიპებში ფრაზეოლოგიურ ერთეულთა საკმაოდ დიდი ნაწილი შეიძლება მოთავსდეს.

აქვე მაგისტრანტებს შეიძლება გავაცნოთ ი. რეცკერის მიერ გამო-

ყოფილ ლექსიკურ ტრანსფორმაციათა რამდენიმე ტიპი და წარვმართოთ დისკურსი თემაზე, თუ რამდენი აქ ჩამოთვლილი მეთოდიდან მისადაგება გერმანულიდან ქართულზე თარგმანის თავისებურებებს, იქიდან გამომდინარე, რომ პირდაპირი თარგმანის ტრანსფორმაციულით შეცვლა დაკავშირებულია ორი ლექსიკის სერიოზულ განსხვავებასთან, წინადადებათა ლოგიკურ სტრუქტურასთან, თარგმანის პროცესში შეპირისპირებული ორი ენის ხატოვანების რაგვარობასთან.

ლექსიკური ტრანსფორმაციების ეს ტიპებია (რიცკერის მიხედვით):

1. მნიშვნელობის დიფერენციაცია
2. მნიშვნელობის კონკრეტიზაცია
3. მნიშვნელობის გენერალიზაცია
4. აზრობრივი განვითარება
5. ანტონიმური თარგმანი
6. მთლიანობითი გარდაქმნა
7. თარგმანისას დანაკარგთა კომპენსაცია

რაც შეეხება ტექსტის ლინგვისტიკას და მთარგმნელობით ტრანსფორმაციებს, ამ შემთხვევაში უნდა მივყვეთ თარგმანის თეორიის განვითარების ლოგიკას. თუკი თარგმანის თეორიის განვითარების ადრეულ ეტაპზე ენობრივი იმანენტიზმის გავლენით თარგმანი როგორც წინადადებად იპერაციად მოიაზრებოდა, მოგვიანებით თარგმანის თეორიაში, ისევე როგორც მთელ ლინგვისტურ აზროვნებაში, ცენტრალური ადგილი პრაგმატიკამ და კომუნიკაციამ დაიკავა და თარგმანის ფენომენის განსაზღვრაც ისეთ ცნებებს დაეყრდნო, როგორცაა კომუნიკაციური სიტუაცია და კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტურობა. ხოლო რაც შეეხება მთარგმნელობით ტრანსფორმაციების ტექსტოლოგიზაციას და პრაგმატიზაციას, ის გულისხმობს ტრანსფორმაციების განხილვას წინადადების ფარგლებს გარეთ და აქ მაგისტრანტებს უნდა აეხსნათ ის გარემოება, რომ შეუძლებელია მოვახდინოთ წინადადების გრამატიკული ანალიზი და შესაბამისად ადეკვატურად ვთარგმნოთ იგი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წინადადების გარემოცვას, მის ადგილს მიკრო- და მაკროკონტექსტებში. ეს კატეგორიები ტექსტობრივი კატეგორიებია, რომლებიც ემსახურებიან შიდატექსტობრივ შეკავშირებულობას ანუ კოჰერენტულობას.

აქედან გამომდინარე, მაგისტრანტებს გაუადვილებათ დასკვნების გაკეთება იმასთან დაკავშირებით, რომ მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების შერჩევა უნდა ეფუძნებოდეს თარგმანის კომუნიკაციურ გავებას,

ითვალისწინებდეს წინადადების ნომინაციურ და კომუნიკაციურ ასპექტებს და ემსახურებოდეს ტექსტობრივ კატეგორიათა რეალიზებას ტექსტში. ამ საკითხების განხილვისას მაგისტრანტებს დაეხმარებათ იმ თეორიული საკითხების ცოდნა, რაც მათ ტექსტის ლინგვისტიკიდან უკვე გააჩნიათ.

*ზღაპრის თარგმანის სტილისტიკა* სწავლების ამ ეტაპზე ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებთან მჭიდრო კავშირში უნდა განვიხილოთ. სასურველია ერთი და იმავე სემანტიკური ხასიათის ზღაპრების რამდენიმე ენაზე (მაგ.: ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე) უკვე არსებული თარგმანების შედარების საფუძველზე, მაგისტრანტებმა გამოიტანონ საკუთარი თეორიული ხასიათის დასკვნები. აქ აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას ზღაპრის სათაურის თარგმნის პრობლემას (სწორედ აქ იჩენს თარგმანის ასიმეტრიული ხასიათი) და ამასთან დაკავშირებით არსებულ მოსაზრებათა სხვადასხვაობას.

### **ეტაპი 3. დოქტორანტურა. საგანი: თარგმანის თეორია**

ამ ეტაპზე თარგმანის კურსის მთავარი მიზანია ფილოსოფიის ფოკუსირება იმ ენობრივ მოვლენებზე, რომელთა ახსნა და რეცეპცია მხოლოდ ლინგვისტური განზომილებებით შეიძლება მოხდეს.

ეს კურსი, შეიძლება ითქვას, სირთულით მე-3 ეტაპი, ხაზს უსვამს იმ ფაქტორს, რომ ენის ლოგიკა და ენობრივი სტრუქტურა შეცნობადის, აღსაქმელის წინაპირობასა და საზღვრებს გამოხატავენ. ეს კიდევ ერთი კონსტელაციაა იმ ფაქტორისა, რომ ფილოსოფიური აზროვნება ამით ენის იმ ანალიზურ კონცეპტებს მიჰყვება, რომლებიც ჩვენს შემეცნებით შესაძლოდებებს ენის სტრუქტურაში განაპირობებენ.

თარგმანის თეორიის კურსი დოქტორანტურისათვის შემდეგნაირად არის ჩემ მიერ შემუშავებული:

*ენის ლოგიკა და ენობრივი სტრუქტურა ლინგვისტურ-ფილოსოფიურ ჭრილში;*

*თარგმანი, გაგება, ახსნა — ე.წ. შემეცნებით-მთარგმნელობითი ხასიათის სამკუთხედი;*

*ლინგვისტურ-ფილოსოფიური თარგმანის თეორია;*

*რეცეპცია, პერცეპცია, აპერცეპცია;*

*კულტურების ასიმეტრიული და რეციპროკული გაგება თარგმნის დროს;*

*ეკვივალენტურობა და მისი ფოლოსოფიურ-ფსიქოლოგიური ხასიათის დიმენზიები თარგმანში;*

*Inkommensurabilität, Nostrifizierung, Alterität, Alienität — ამ ცნებების დეფინიცია და მათი მიმართება თარგმანთან;*

*კულტუროცენტრიზმის, როგორც ჰუმანიტარული კვლევის პრინციპის დამკვიდრება;*

*დრო, კულტურა და დეიქსისი ინტერდისციპლინარული კვლევის პერსპექტივაში;*

მოკლე ანოტაცია ზემოთ წარმოდგენილი თემატიკისა ასეთია: რა არის თარგმანი? არის ის შემოქმედებითი ახალი ქმნილება თუ მხოლოდ გადატანა „იგივესი“ ერთი ენიდან მეორეში?

აქ კი საჭიროა გადამოწმება, თუ რა პოზიცია უკავია თარგმანს ახსნისა და გაგების — კლასიკური ალტერნატივის დროს.

ენის ანალიზური თეორია ამით ფილოსოფიურ ჰერმენევტიკაში თავის პოზიციას ამყარებს და გამოდის იმ არგუმენტიდან, რომ თარგმანი კულტურებს შორის კულტურების ახალ ჰიბრიდებამდე მიგვიყვანს, რაც საბოლოოდ უთარგმნელობის ფენომენში იყრის თავს. აქ კი გაიყუდრებს ასეთი კითხვა: იქნებ თვით უთარგმნელობის ფენომენი გახდის თარგმანის ფაქტს შესაძლებელს?!

*რაც შეეხება რეცეპციას, პერცეპციას და აპერცეპციას*, ამ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა დოქტორანტებისათვის თვალსაჩინოდ დაკავშირება თარგმანის პრაგმატიკის კომუნიკაციისა სუბიექტის ფაქტორთან და ამდენად პოტენციურ ადრესატთან. ენათშორისი კომუნიკაციის აქტში მთარგმნელი ორი ფუნქციით მონაწილეობს: როგორც შეტყობინების რეცეპტორი და როგორც შეტყობინების პროდუცენტი, ამიტომ თარგმანის პროცესი ის საცდელი პოლიგონია, სადაც გამოცდას გადის მთარგმნელის რეცეპტორული შესაძლებლობებიც და მისი პროდუცირების უნარიც. აქ თავს იჩენს მთარგმნელის სუბიექტთან დაკავშირებული არაერთი მახასიათებელი, მისი პერცეპტული და აპერცეპტული შესაძლებლობები: ფსიქოლოგიური განწყობა, შემოქმედებითი კრედო, ენობრივი კომპეტენცია, ერუდიცია და ა. შ.

*კულტურების ასიმეტრიული და რეციპროკული გაგება თარგმნის დროს.* კულტურების ასიმეტრიული და რეციპროკული გაგების მანიფესტირება მოხდება იდიომების (მეტაფორების) და **Kurzgeschichte**-ების კულტურული განპირობებულობის (**Bedingtheit**) შინაარსის წარმოდგენით, რომელთა განხილვის დროსაც შეიძლება შემდეგი საკითხების

წინა პლანზე წამოწევა:

- 2.1. ეროვნული კულტურა;
- 2.2. კულტურის სტრუქტურული ელემენტები;
- 2.3. ენა, როგორც კულტურის სტრუქტურული ასპექტი (კომპონენტი);
- 2.4. ინტერკულტურული კომუნიკაციის არსი (შინაარსი);
- 2.5. ინტერკულტურული ლინგვისტიკის მიზანი და მეთოდები;
- 2.6. ინტერკულტურული კვლევის პრაქტიკული ასპექტები

რაც მოხდება ამ ორი მიმართულების (ასიმეტრიულის და რეციპროკულის) მახასიათებლების არა ურთიერთდაპირისპირებით, არამედ მათი თანამოქმედებით. მხოლოდ გენერაციულ მოვლენას მომავალში შეუძლია ამ ორივე მიმდინარეობის თანასწორუფლებიან პლანში აღქმა და ახსნა.

*ეკვივალენტურობა და მისი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ხასიათის დიმენზიები თარგმანში;* ამ საკითხის სწავლებისას მე ყურადღებას გავამახვილებდი ეკვივალენტურობასა და ადეკვატურობას შორის სხვაობაზე, რაც კარგად ჩანს რაისის შემდეგ კონცეფციაში:

„Adäquatheit ist so viel wie Angemessenheit. Angemessenheit ist keine Größe in sich, sondern muss im Zusammenhang mit einem Tun gesehen werden. Man kann etw. angemessen tun im Blick auf den Zweck des Handelns ... Adäquatheit ist also ein Relationsmittel oder- Zweck und damit prozessorientiert.“

„... Äquivalenz ist die Relation der Gleichwertigkeit von Sprachzeichen in jeweils zwei Sprachsystemen, und Textäquivalenz ist die Relation der Gleichwertigkeit von Sprachzeichen eines Textes in je zwei verschiedenen Sprachgemeinschaften mit ihrem je eigenen soziokulturellen Kontext“ (რაისი, 113).

დისციპლინის სწავლების ამ ეტაპზე საჭიროა ზოგადად მაინც განვიხილოთ ვიტგენშტაინის კონცეფციები თარგმანის ფენომენთან დაკავშირებით. კერძოდ, ზაზი უნდა გაესვას **თარგმანის თეორიის ცალკეული პრობლემების ფილოსოფიური გადაჭრის აუცილებლობა**. ერთ-ერთი ასეთ პრობლემას მიეკუთვნება ენობრივი სამყაროს პრობლემური ხასიათის ერთგვარი ახსნის მცდელობა თარგმანის პროცესში:

*თარგმანის პროცესის ბევრი თვალში საცემი სიძნელე ავლენს ენობრივ სამყაროს პრობლემურ ხასიათს: გავება და განსჯა მოითხოვს ენაში ძირეული სიტყვის გადათარგმნას. ფიქრობენ, რომ „გადათარგმნა“; ერთი მხრივ, ეს არის ერთი ენიდან სხვა ენაში გადატანა და პირიქით, სხვა*

*ენიდან დედაენაში გადმოტანა და, მეორე მხრივ, ჩვენი აზრების ჩვენივე ენაზე გახმოვანება. ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ, რომ ნამდვილად ვთარგმნით ენას, რომელიც ჩვენი დედა ენაა, მის საკუთარ ყოფიერებაში. საუბარი ან მეტყველება არის ჩვენს ენაზე ჩვენივე აზრების გადათარგმნა, რომელთა ყოფიერება მასში — ბევრით სამოსელში — არაფრით არ იხსნება. შეიძლება ითქვას, რომ გადასათარგმნი და ნათარგმნი სიტყვები სხვა ენას მიეკუთვნებიან. ნებისმიერ საუბარში, თუნდაც საკუთარ თავთან საუბარშიც კი, ბატონობს თავდაპირველი თარგმანი.*

ამ კიდევ ვიტგენშტაინისეული მოსაზრება თარგმანის ჭადრაკის თამაშთან შედარებისა კიდევ ერთი ლინგვისტურ-ფილოსოფიური დანახვა-ახსნაა მთარგმნელობითი საქმიანობისა:

"Die Übersetzung als Sprachspiel im Sinn von Wittgenstein gehört jeweils zu einem übergeordneten Gefüge eines anderen Spiels höheren Grades, das ihre Bestimmung determiniert. Letzteres ist eingebettet in der sozialen Interaktion und kann z. B. die Form der Werbung, Propaganda, Aufklärung haben. Die Äquivalenz als Relation der Entsprechung zwischen Originaltranssem und dessen Übersetzung ist mit einer Spielregel in dem übergeordneten Spiel relativiert und kann als Spielwert angesehen werden. Einen guten Übersetzer kennzeichnet gerade der zum Spiel gehörige Trieb, der ihm erlaubt, zwischen Ernst und Spaß zu balancieren, das Wesen des Spiels, im zweifachen Sinn des Wertes zu realisieren." (ვიტგენშტაინი, 55).

თარგმანი არაა ჩვენი დამოკიდებულება რაღაც არსებითთან და ყოფიერთან, არაედ ის კონსტიტუციური მოვლენაა, რაც იდენტიტეტის შემქმნელ დიფერენტულობაში პოულობს თავის გამოვლენას.

ხოლო რაც შეეხება საკითხს: *დრო, კულტურა და დეიქსისი*, ეს ფაქტორი იმდენად გვინტერესებს, რამდენადაც დეიქსისი ფენომენის გაღრმავებულ კვლევას ინტერდისციპლინარული კვლევის აუცილებლობამდე მივყავართ. დეიქსისი მუდამ გულისხმობს ტექსტში დასახელებული ან თემატირებული რეალიების ჩვენებას, ჩვენება კი თავის მხრივ გულისხმობს კოორდინატებს განსაზღვრულს დროითა და სივრცით. ეს კოორდინატები პირველ რიგში განისაზღვრება კომუნიკაციურ-ინტერსუბიექტური გარემოცვით, რომელიც იქმნება კომუნიკანტებს შორის (ჩვენ შემთხვევაში: მთარგმნელი და მკითხველი, ერთი მხრივ, და ორიგინალის ავტორი და მთარგმნელი, მეორე მხრივ). ამ საკითხის დღის წესრიგში დაყენებას კი მივყავართ იმ პრობლემამდე, რომელიც თარგმანის პროცესში სამეტყველო აზროვნების განსაკუთრებულობას უსვამს ხაზს.

მთარგმნელის სტილის თავისებურებანი, არსებულის წვდომის განსაკუთრებული ნიჭი, თავს იჩენს შესაბამისად *რეცეპციაში*, *პერცეპცია-სა და აპერცეპციაში*. მარტივად ეს აზრი შეიძლება ასე გადმოვიცეს: შესაძლებელია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მთარგმნელი უფრო ღრმად და სრულად იცნობს სინამდვილის გარკვეულ მონაკვეთს აღწერილს დედანში, ვიდრე ავტორი, მაგრამ მთარგმნელს უფლება არა აქვს აღწეროს ეს სინამდვილე თავისებურად, ასეთი მიდგომა ცვლის თვით თარგმანის არსს და შეცვლის ავტორისეულ ხედვას მთარგმნელის საკუთარი ხედვით.

დოქტორანტურის დონეზე ამ პრობლემების წამოჭრის, გააზრებისა და პასუხის გაცემის მცდელობა, შეიძლება ადეკვატურად და მეტ-ნაკლებად შემოქმედებდათაც მათ მიერ არჩეული სადოქტორო სამუშაოების თემატიკაში აისახოს.

### დასკვნა

ასეთია მოკლედ ჩემი შეხედულება თარგმნის თეორიისა და პრაქტიკის მეთოდურ საკითხებთან დაკავშირებით, რისი განხორციელებაც საუნივერსიტეტო სწავლების სხვადასხვა საფეხურზე მიზანშეწონილად და შესაძლებლად მიმაჩნია.

რა თქმა უნდა, აქ წამოყენებული მოსაზრებები სუბიექტურია და არც დოგმაა, ცვალებადია და შესაბამისად დინამიკური და შეძლებისდაგვარად შემოქმედებითიც. დროთა განმავლობაში სასურველია მოხდეს ამ თეზისების დახვეწა, შევსება-შემცირებაც და თარგმნის საკუთრივ ლინგვისტურ-ფილოსოფიურ თეორიად ჩამოყალიბება, სადაც ფსიქოლოგიური კომპონენტებიც ნამდვილად არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

ლიტერატურა

**ალბრეხტი, 2005** — Albrecht, Jörn : Übersetzung und Linguistik. Tübingen, 2005.

**დობროვოლსკი, 1999** — Dobrowolskij, Dmitrij: Kulturelle Spezifik in der Phraseologie. Moskau, 1999.

**ვილე, 2003** — Wille, Lycina: „Semantische Figuren in der Übersetzung.“ Marburg, 2003.

**ვიტგენშტაინი, 1980** — Wittgenstein, Ludwig.: Tractatus logico-

philosophicus / Logisch-philosophische Abhandlung. 1980.

**კოლერი, 1992** — Koller, Werner: Einführung in die Übersetzungswissenschaft. Heidelberg, 1992.

**რაისი, 1995** — Reiß, Katharina: „Grundfragen der Übersetzungswissenschaft“, Universitätsverlag, 1995.

**სალევსკი, 2005** — Salevsky, Heidemarie(Hrsg.): Kultur, Interpretation, Translation. Frankfurt am Main, 2005.

**საყვარელიძე, 2001** — საყვარელიძე ნ. "თარგმანის თეორიის საკითხები." თბ., 2001.

**სრუბარი, 2002** — Srubar, Ilja: Strukturen des Übersetzens und interkultureller Vergleich. In: Übersetzung als Medium des Kulturverstehens und sozialer Integration. Frankfurt/Main 2002.

**ფანჯიკიძე, 1999** — ფანჯიკიძე დ. "თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები". თბ., 1999.

NANA BOLKVADZE

### Some Linguistic and Methodic Issues of Teaching the Theory and Practice of Translation at the Tertiary Level

#### Summary

The paper considers the linguo-cultural aspect of crucial importance when teaching the theory and practice of translation at the university level. Since language can be viewed as a kind of 'original translator' from both interlinguistic and intralinguistic standpoints, the paper places special emphasis on philosophical and psychological issues of translation.

**ქეთევან ბაბუნია**

**ეთნოსოციოლოგიური კვლევის ზოგადი კონცეფციები**

სოციოლოგიის, როგორც დარგის არსებობა, ფაქტია. არიან ადამიანები, რომლებიც აცხადებენ, რომ ისინი მოღვაწეობენ ამ სფეროში და ემორჩილებიან მის ძირითად მიმართულებებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ლინგვისტიკის კი, განსაკუთრებით კი დიალექტოლოგები, საკუთარ თავს სოციოლინგვისტებს უწოდებენ.

სოციოლინგვისტიკაში თანაბრადაა წარმოდგენილი როგორც სოციოლოგია, ასევე ლინგვისტიკა. იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი ამ ორი განსხვავებული მეთოდოლოგიის გაერთიანების, შერწყმის პრობლემა, სოციოლინგვისტიკა გახდა ერთგვარი „საკუჭნაო“ სხვადასხვა ქვედისციპლინების, რომლებიც სოციალური სფეროს ჩარჩოში განსხვავებული მიმართულებით ვითარდებიან და ქმნიან მრავალ კამერას, რომლებიც საბოლოო ჯამში იყენებენ გარკვეული რაოდენობით საერთო კონცეფციებს და ეს კონცეფციები ყველაზე ხშირად ანგლო-საქსური სოციოლინგვისტიკისაგანაა ნასესხები.

ეთნოლინგვისტიკა შეისწავლის ენის გამოყენებას მეტყველების აქტის პროცესში, რომელიც შედგება მინიმალური საბაზო ერთეულებისგან (მეტყველების აქტი) კომუნიკაციური სიტუაციის წიაღში. იგი ერთდროულად აერთიანებს ყოველივე იმას, რასაც მოსაუბრე პირები რეალურად ამბობენ განსხვავებულ სიტუაციებში, და ასევე იმას, რასაც ისინი აკეთებენ ენის საშუალებით, ნებისთი თუ უნებლიეთ, ცნობიერად თუ არაცნობიერად, პირდაპირ თუ ირიბად.

განსაზღვრებები	ენის გამოყენება
	1. ენის გამოყენება (D.F.C., გვ. 1207) 2. ლინგვისტიკა: ცალკეულ გამონათქვამთა კონკრეტული გამოყენება დისკურსის დროს.

	3. სოციალური მეცნიერებები: ლინგვისტური კოდის ან კოდების გამოყენება სოციალური ცხოვრების ყოველგვარი აქტის დროს.
სფეროები	1. კომუნიკაციის ეთნოსოციოლოგია: ცალკეული ლინგვისტური საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში ენის (მნიშვნელობა 3) გამოყენების შესწავლა. 2. სოციოლინგვისტიკა: სოციალურ ცხოვრებაში ენის (მნიშ. 2) გამოყენების სისტემური კვლევა.

ამრიგად, ეთნოსოციოლოგია შეისწავლის ენას თავის „სოციალურ კონტექსტში“ (ის, რასაც საფრანგეთში „დისკურსის სიტუაცია“ უწოდებენ) უფრო ხშირად ეყრდნობა რა კონკრეტულ ენას, ვიდრე მხოლოდ ინტროსპექციის მონაცემებს. დისკურსის სიტუაცია ეს არის იმ გარემოებათა ერთიანობა, რომლის წიაღშიც ხდება გამონათქვამის აქტი. აღნიშნული სიტუაცია ერთდროულად მოიცავს როგორც იმ ფიზიკურ და სოციალურ გარემოცვას (ანტურაჟს), რომელშიც გამონათქვამის აქტი მკვიდრდება, ასევე იმ ზოგად სურათს, რომელიც თანამოსაუბრეებს უყალიბდებათ ერთმანეთზე, მათ ვინაობას, ერთმანეთზე წარმოდგენას. და ბოლოს, იმ მოვლენებს, რომლებიც წინ უძღოდა გამონათქვამის აქტს. სიტუაციის აღნიშნული ტერმინი საკუთარ თავში აერთიანებს ასევე ერთგვარ პრაგმატიკას, რომელიც, თავის მხრივ, შეისწავლის სიტუაციის გავლენას გამონათქვამის მნიშვნელობაზე. ზოგიერთი ლინგვისტი თუ სოციოლინგვისტი, ინგლისური ენის ზეგავლენით, „კონტექსტს“ თუ „კონტექსტის სიტუაციას“ უწოდებს იმას, რასაც, წესით, „სიტუაცია“ ეწოდება. ამრიგად, ტერმინმა „კონტექსტი“ ახალი მნიშვნელობები შეიძინა, რომელიც გადაფასებულ იქნა სხვადასხვა ფორმით და საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც პოლისემიური სიტყვა. გარდა „სიტუაციის“ მნიშვნელობისა, ის მოიცავს აგრეთვე რეალურ თუ პოტენციურ მოსაუბრეთა სხვადასხვაობას, ვარიაციებს (დისკურსის საზოგადოება), დისკურსის ტიპებს და ინტერაქციის დროით-სივრცობრივ პარამეტრებს, განზომილებას (მეტყველების ფაქტი, მოვლენა ანუ კომუნიკაციის აქტი), მასში მო-



ნაწილზე პირთა ძირითად მიზნებს (მეტყველების აქტი).

ყველა სოციოლინგვისტი თანხმდება, რომ დისკურსის სიტუაცია დისკურსთა წარმოქმნისა და ინტერპრეტაციის რელევანტური, არსებითი მახასიათებელია. თუმცა სოციოლინგვისტიკის სხვადასხვა ქვე-დისციპლინები განსხვავებულ არჩევანს აკეთებენ, როდესაც საქმე აღნიშნული სიტუაციის ძირითად ელემენტებს ეხება. ზოგიერთი მათგანი ძირითად აქცენტს ლინგვისტურ და საზოგადოებრივ სტრუქტურებს შორის არსებულ ინტერაქციასა და გაგებაზე აკეთებს. მათთვის პრიორიტეტი სოციალური და არა ლინგვისტური ასპექტია და მიაჩნიათ, რომ ადეკვატური სოციოლინგვისტური ანალიზის არსებითი კონტექსტუალური მახასიათებლები არის ის, რაც სოციალურ კონტექსტს განეკუთვნება: საზოგადოების შინაგანი ორგანიზაცია, მოწყობა, თავისი სირთულეებით, ქვეჯგუფებითა და შემადგენელი ნაწილებით, ინფორმატორთა შესახებ არსებული სოციალური მონაცემები, სოციალური კოდები, რომლებიც აწესრიგებენ და საშუალებას გვაძლევენ მოვხდინოთ მეტყველების აქტთა ინტერპრეტაცია.

მეცნიერთა მეორე ნაწილი, რომელთა კვლევები ძირითადად ინდივიდთა შორის ინტერაქციას, ურთიერთქმედების შესწავლას ეხება და მოიცავს მოსაუბრე პირისა და მსმენელის წყვილს, მიიჩნევენ, რომ პრიორიტეტულია ინტერპერსონალური ასპექტი: საერთო ცოდნა, განზრახვა, რწმენა, ინდივიდთა ფსიქოლოგიური კონფიგურაცია.

ამრიგად, ეთნომეთოდოლოგები, რომელთათვისაც სოციალური კადრები მუდმივი კონსტრუქციის პროდუქტია, რომლებიც, თავის მხრივ, მომდინარეობს თავად სოციალურ ავტორთა მიერ წესების პერმანენტული დადგენის პროცესიდან, მიიჩნევენ, რომ განსაკუთრებით სტილი და ზოგადად ინსტიტუციები არ წარმოადგენენ ლინგვისტურ პროდუქტს: „როდესაც ისინი თანაარსებობენ, ინტერაქციის პროცესში მონაწილე პირები ორმხრივად ცდილობენ თავიანთ ქმედებათა მნიშვნელობა გასაგები იყოს ორივე მხარისთვის“.

თითქმის ყველა სოციოლინგვისტს ერთი და იგივე კონცეფცია აერთიანებს — ლინგვისტური საზოგადოება, რომელიც ვერბალური კომუნიკაციის ყველაზე ვრცელ კონტექსტს წარმოადგენს. აღნიშნული ცნება ისეთივე ძველია, როგორც თავად ლინგვისტიკა და საკითხთა საკმაოდ დიდ ნუსხას მოიცავს: სოციალურ ჯგუფსა და ენას, ლინგვისტურ საზოგადოებასა და პოლიტიკურ კორპუსს, სოციალურ და ლინგვისტურ ურთიერთქმედებებს, ლინგვისტურ და სოციალურ ერ-

თობას შორის არსებული კავშირები, ლინგვისტური დამოკიდებულება (სოლიდარობა და ლოიალურობა). ამავე დროს, ბუნებრივია ის, რომ ლინგვისტებმა აღნიშნულ დარგს სხვადასხვა განსაზღვრება მოარგეს და ჯგუფის განსაზღვრის დროს პრიორიტეტი ენას მიანიჭეს. ლინგვისტურ საზოგადოებათა ერთგვაროვნება, რაც ძირეულ და მოსახერხებელ იდეას წარმოადგენს, ლინგვისტური კვლევის დროს საწყის წერტილად მეცნიერული ჰიპოთეზები მივიჩნით. ყოველივე ეს სათანადოდ ვერ უპირისპირდება ისეთ ცნებებს, როგორცაა ლინგვისტური ნაირგვარობა და ცვლილება. ნებისმიერი, თუნდაც ერთენოვანი, საზოგადოების შიგნით. საჭირო ხდება ახალი განმსაზღვრელი მახასიათებლების მოძიება. ზოგადად, **speech community**-ის განსაზღვრავენ როგორც ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც ინაწილებენ მინიმუმ ერთი ენის გამოყენებისა და ინტერპრეტაციის წესებს. შესაძლოა მივიჩნიოთ, რომ ამ შემთხვევაში კვლევის უპირველესი ობიექტი მოსახლეობის დისკურსული ქმედების შესწავლა უნდა იყოს.

ამრიგად, აქ საქმე ეხება საერთო დისკურსის საზოგადოებას, ანუ ლინგვისტურ სივრცეს, რომელიც აღარ განისაზღვრება მხოლოდ ერთი ენის ან ენობრივი ვარიანტის ფუნქციონირების ფარგლებში, არამედ მხოლოდ სოციალური კოპეზის, ერთიანობის, სოციალური ურთიერთქმედების ცნების ჭრილში. მეცნიერები შეეცადნენ ეჩვენებინათ, რომ ლინგვისტური საზოგადოება არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც მხოლოდ საერთო მახასიათებელთა კარგად განსაზღვრული ერთობლიობის ლინგვისტური ერთგვაროვნების ეკვივალენტური ცნება. ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ რეალურად „დისკურსის საზოგადოებები“ ადამიანთა გონებაში, აზროვნებაში ფუნქციონირებენ მხოლოდ როგორც „პროტოტიპები“. იმისათვის, რომ გაეანალიზებინა ენის გამოყენების ცვალებადი და კოლექტიური სტრუქტურები, გუმპერცმა გამოიყენა ცნება „ურთიერთობათა ქსელი“, ერთი კონკრეტული ჯგუფისთვის დამახასიათებელი „რიტორიკული სტრატეგიები“: „რიტორიკულ სტრატეგიათა ცოდნა შესაძლოა იყოს ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი, ნიშანი, როდესაც საქმე ეხება ინდივიდის რომელიმე ცალკეული ჯგუფისადმი მიკუთვნებას“, „თითოეულ ინდივიდს შეუძლია შევიდეს ურთიერთობათა გარკვეულ ქსელში, ხოლო იქ კი, სადაც ლაპარაკია იმ ტიპის ურთიერთობებზე, როდესაც სუბიექტთა განსაზღვრული რაოდენობა ერთმანეთს ავსებს, გვაქვს ე.წ. „დახურული ქსელი“, ხოლო, სადაც აღნიშ-

ნული პროცესი შედარებით იშვიათია, იქმნება „ლია ქსელი“. „დახუ-  
რული ქსელები“ ბუნებრივად ქმნის საზოგადოებებს ამ ტერმინის  
ტრადიციული გაგებით.

ამრიგად, ლინგვისტური საზოგადოება ეს არის ერთი ლინგვის-  
ტური სისტემის, ერთი ლინგვისტური ვარიანტის მატარებელი. იგი  
მოიცავს სოციალური ჯგუფის იმ ძირითად მახასიათებლებს, სოცია-  
ლური კოპეზიის იმ ფაქტორებს, რომლებიც საბოლოოდ ლინგვის-  
ტურ საზოგადოებას ქმნიან. თუმცა დაისმის შეკითხვები: „ის ადამია-  
ნები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ერთსა და იმავე ლინგვის-  
ტურ საზოგადოებაში, მეტყველებენ კი საერთო მშობლიურ, (პირვე-  
ლად) ენაზე? ესმით კი ერთმანეთის იდენტური ენის წყალობით?  
სურთ კი ამ ინდივიდებს განეკუთვნებოდნენ აღნიშნულ საზოგადოე-  
ბას? რომელ შემთხვევაშია მათი მიკუთვნება ნებაყოფლობითი აქტი,  
რაც ინდივიდში იწვევს არჩეულ საზოგადოებაში ადაპტაციისთვის,  
მასში ჩართვისათვის აუცილებელი ქცევებისა და დამოკიდებულებე-  
ბის გამომუშავებას? თუ შეუძლია და როგორ კონკრეტულ ლინგვის-  
ტურ სისტემას საზოგადოების არეკლა, ასახვა მაშინ, როდესაც იგი  
მრავალენოვანია? ეს ის კითხვებია, რომლებსაც ეთნოსოციოლოგიური  
კვლევის უკვე კერძო კონცეფციების ანალიზი გასცემს პასუხს.

ლიტერატურა

**ბუაიე, 1996** — Boyer.H., *Sociolinguistique: territoires et objets*. Ed.  
Neuchâtel, Delachaux et Niestlé; 1996

**გამბიე, 2001** — Gambier.Y., *Socioterminologie: une terminologie  
remise sur ses pieds*. Dans « Terminogramme », n.102-102; 2001

**გოდენი, 2000** — Gaudin F. et Delavigne V., *Écrire les sciences*. Ed.  
Histoire, principes, techniques, cours de télé-enseignement, Université de Ro-  
uen; 2000.

**ტრიუდო, 1999** — Trudeau D., *Les inventeurs du bon usage*, Paris,  
Editions de Minuit, 1999.

**ჯაკობი, 1999** — Jacobi D., *La communication scientifique*. Ed. Dis-  
cours, figures, modèles, Presses Universitaires de Grenoble, 1999,

KETEVAN GABUNIA

## General Conceptions of Ethnopsychological Studies

### Summary

The paper argues that a language community is not a homogeneous unit  
but a socially multi-layered formation whose community-specific discourse  
types are prototypically based.

## სიბილა გელაძე

პოეტური ტექსტის თარგმნის პრინციპი  
და სტრატეგიები

პოეტურ ტექსტში სიტყვის ინდივიდუალური მნიშვნელობა წამოიწივს, იგი პოეტური ტექსტიდან გამომდინარე იძენს მნიშვნელობას. თითოეულ სიტყვას ორი ვირტუალური მნიშვნელობა აქვს: დენოტატური და კონოტატური (კოენი, 1966, 199). სიტყვების დენოტატური მნიშვნელობები აღრიცხულია ლექსიკონებში, ხოლო კონოტატური მნიშვნელობები ყალიბდება ტექსტის ფარგლებში და ეყრდნობა სიტყვათა აფექტურ თვისებებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პოეტურ ტექსტში, უმეტესად პრევალირებს კონოტატური მნიშვნელობები, რაც განაპირობებს პოეტური ტექსტის უჩვეულობას. ზოგჯერ, ამის გამო, ძნელი ხდება ლექსის გაგება, რისი დადასტურებაცაა მალარმეს პოეზია, მაგრამ კოენის აზრით, ლექსის სიძნელე ლექსის ბრალი არ არის, არსებობს “პოეტური გონიერება”, ბუნებით მონიჭებული ჯილდო, ურომლისოდაც ზოგი ლექსის გაგება შეუძლებელია (კოენი, იქვე, 198). გარდა ამისა, პოეტური ტექსტის თარგმნისას გასათვალისწინებელია რიტმის, რითმის და იმ ზედტერმინებული სემანტიკური მნიშვნელობების გადმოტანა დედნიდან, რაც ქმნის ლექსისთვის დამახასიათებელ უჩვეულობას. შეიძლება ითქვას, რომ ამ ფაქტორის გათვალისწინებით, პოეტური ტექსტის თარგმნა საკმაოდ რთულია. მაგალითისთვის, შეიძლება მოვიყვანოთ შარლ ბოდლერის „ალბატროსის“ პირველი სტროფის ხუთი ქართული თარგმანი:

*Souvent, pour s’amuser, les hommes d’équipage  
Prendent des albatros, vastes oiseaux des mers,  
Qui suivent, indolents compagnons de voyage,  
Le navire glissant sur les gouffres amers.*

სტროფის ბჭკარედი :

ხშირად, გასართობად, ეკიპაჟის კაცები

იჭერენ ალბატროსებს, ზღვების უზარმაზარ ჩიტებს,  
რომლებიც მისდევენ, მოგზაურობის ზანტი მხლებლები,  
მწარე ჯურღმულებზე მოსრიალე ხომალდებს.

I\* ტიციან ტაბიძის თარგმანი:

როს მეზღვარებს გრძელ დღეების ჰკლავთ კაემანი  
და მიწაც არ ჩანს, რომ დაუშვან ძირს იალქანი,  
მოუნდომებენ შემოკლებას გრძელ უჟამურ დროს-  
მაშინ თანმფრინავს დაიჭერენ ხოლმე ალბატროსს.

II\* გიორგი ქავთარაძის თარგმანი:

მკაცრი მოწყენა მეზღვარებს როცა მოთენთავს,  
იგდებენ ხელში ალბატროსებს — ზღვათა ფრინველებს,  
დროს მოსაკლავად ერთობიან მგზავრებთან ერთად,  
მისცურავს გემი და მიარღვევს ვრცელი ზღვის ველებს.

III\* გივი გეგეჭკორის თარგმანი:

აბორგებული სტიქიონის მკერდზე მატროსებს,  
როცა შეიპყრობს ნაღველი და გართობა უნდათ,  
იჭერენ ხოლმე ზღვის ფრინველებს, დიდ ალბატროსებს,  
რომელნიც ხომალდს მოწყენილნი მისდევენ გუნდად.

IV\* დავით აკრიანის თარგმანი:

მეზღვარები, თავის ამ გზით შემაქცევარნი,  
ხშირად იჭერენ ალბატროსებს, ზღვის დიად ფრთოსნებს,  
რომლებიც მუდამ შორ ცურვათა ზანტი მდევარნი-  
კვალში უდვანან გემებსა და მათ მკვიდრ ნაოსნებს.

V\* სიბილა გელაძის თარგმანი:

მეზღვარები, ძალზე ხშირად, გართობის მიზნით,  
ზღვაში იჭერენ ალბატროსებს, დიდრონ ფრინველებს,  
ზანტი ფრთოსნები, ჩვეულებრივ მისდევენ მიჯრით,  
მწარე მორევზე მოსრიალე მოგზაურ გემებს.

\* იხ. ფრანგულ-ქართული ანთოლოგია, თსუ გამომცემლობა, გვ. 25, 26, 27.  
2004

პირველი სამი თარგმანი შეიძლება მიჩნეული იქნას ტექსტის იმპლიციტური აზრის ინდივიდუალურ გამოხატულებად: მართლაც, შეიძლება დავეუფავთ, რომ მეზღვაურებს ალბატროსების დაჭერა გასართობად იმიტომ უნდებდათ, რომ მოწყენილები არიან, უფრო მეტიც, შეიძლება კაეშანი აწუხებდეთ, იმიტომ, რომ მიწა არ ჩანს და ა.შ. მაგრამ დედანში რომ მსგავსი არაფერი წერია? IV და V თარგმანში ხელუხლებლადაა გამოხატული ტექსტის ექსპლიციტური მხარე. ადეკვატურობის თვალსაზრისით, IV და V თარგმანი უფრო ახლოსაა დედანთან.

რაც შეეხება ვერსიფიკაციულ ხერხებს, ლექსი დაწერილია 12 მარცვლიანი ალექსანდრიული ლექსით და ჯვარედინი რითმებით: *équi-  
page-voyage; des mers-amers*. ამ თვალსაზრისით ქართულ თარგმანებში შემდეგი სურათია: ხუთივე თარგმანში გამოყენებულია 14 მარცვლიანი ლექსი, რაც ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე უკვე დამკვიდრდა კიდევ, როგორც ალექსანდრიული ლექსის ეკვივალენტი ქართულ ენაში. სტრიქონებს შიგნით რიტმული სურათი ასეთია:

-----/-----/  
 ----/----/----/  
 ---/---/-----/  
 -----/-----/

ქართულად შინაგანი რიტმული სურათი არ არის შენარჩუნებული, ისევ და ისევ ენის ბუნებიდან გამომდინარე, 14 მარცვლის მხოლოდ ორ რიტმულ ჯგუფად დაყოფა თითქმის შეუძლებელია ქართულ პოეტურ ტექსტში. ქართულად მოცემულია შემდეგი რიტმული სურათი: -----/-----/

----/----/----/  
 ----/----/----/  
 ----/----/----/

ანუ, რიტმული სურათი იქმნება 5 მარცვლიანი რიტმული ჯგუფი+ 4 მარცვლიანი რიტმული ჯგუფი + 5 მარცვლიანი რიტმული ჯგუფით. რაც შეეხება რითმებს, დედნისეული ჯვარედინი რითმები შენარჩუნებულია ყველა თარგმანში გარდა I თარგმანისა, სადაც ჯვარედინი რითმი *abab* შეცვლილია *aabb* რითმებით.

ფრანგულად ეს სტროფი არ არის მეტაფორებით გადატვირთული, აქ უჩვეულოა მხოლოდ — *vastes oiseaux* — სიტყვასიტყვით ვრცელი ჩიტები, დიდრონი ჩიტების ნაცვლად და *les gouffres amers* —

მწარე ჯურღმულები, ზღვის სიღრმეების ნაცვლად. პირველი სამი ქართული თარგმანი, შეიძლება ითქვას, რომ გაზვიადებულია და პათეტიკურად ყდერს, მოწყენილობის ნიუანსითაა შეფერილი და შეიძლება ითქვას, რომ ლექსის მთლიანი შინაარსიდან გამომდინარეა აქცენტირებული „სევდა, კაეშანი, მკაცრი მოწყენა.“ ან, შეიძლება, იმიტომ რომ სამი ქართველი პოეტის მიერ არის თარგმნილი, იმიტომ იძენს სტროფი ზეაწეულ ტონალობას. რადგან XX საუკუნის I და II ნახევრის ქართული პოეზიისათვის ხშირად ზეაწეულობა მოჩანს დომინანტ ტონალობად. ზემოთ მოყვანილი ზოგიერთი თარგმანი საგრძნობლად სცილდება ორიგინალს, რაც განსაკუთრებით შეიმჩნევა ალბატროსის ბოლო სტროფში. უფრო ნათელი რომ გახდეს ჩვენი შეფასება, აქვე მოვიყვანთ ლექსის ბოლო სტროფს ფრანგულად, მის ქართულ ბჭკარედს და ხუთივე თარგმანს:

*Le poète est semblable au prince des nuées  
 Qui hante la tempête et se rit de l'archer ;  
 Exilé sur le sol au milieu des huées,  
 Ses ailes de géant l'empêchent de marcher.*

ბჭკარედი : პოეტი ჰგავს ღრუბლების პრინცს,  
 რომელიც დასტრიალებს ქარიშხალს და ეციხება მშვილდზე,  
 მიწაზე გამოდევნილს, შუა ღრიანცელში,  
 გოლიათის ფრთები ხელს უშლის სიარულში.

- I. თარგმანი : აი, მგოსანო შენი სახე და შენი ბედი,  
 შენც ღრუბლებს ელტვი, შენი ძმა თანავარსკვლელი,  
 ძირს, ქვეყნაზე ვეღარ გაშლი გოლიათის ფრთებს-  
 ბრეივი ბრბო გისტვენს, ვერ გაგივებს და შეგაჩერებს.
- II. თარგმანი : და შენც, პოეტო, რომ გაუძლო ვალივით გმართებს  
 მიჰქრი, მიაღრევ ცას ღრუბლიანს და ქარიშხლიანს,  
 მოგდევს ყიჟინა, ბრბოთა რისხვა და ანათემა  
 მიწაზე ფრენას ბუმბერაზი ფრთები გიშლიან.
- III. თარგმანი: ასე პოეტი მშვილდოსანთა უძლებს დაცინვას,  
 ღრუბლებს ბრძანებლობს და გრივალთან ღამეს ათენებს,

მაგრამ მიწაზე, სადაც კაცთა დგას ღრიანცელი,  
რომ გაიაროს, ფრთები უშლის გოლიათური.

IV. თარგმანი: პოეტი მოჰგავს ამ უფლისწულს ღრუბელთა მხარის,  
ის ძმობს ქარიშხალს, ტყვია-ისრის არადღამედები,  
და როცა ტყვეა მიწისა და გნის-ხარხარის,  
მას სიარულში ხელს უშლიან ვეება ფრთები.

V. თარგმანი: პოეტი მართლაც მოგვაგონებს ამ ზეცის მეფეს,  
ქარიშხლით ცხოვრობს და მასავით დასცინის მშვილდებს,  
მიწაზე ყოფნა — ეს კატორღა მთლად უცვლის ელფერს,  
დიდრონი ფრთები სიარულში ხელს უშლის მისებრ.

მოცემული ფრაგმენტებიდან იმავე დასკვნის გაკეთება შეიძლება, პირველი სამი თარგმანი შეიძლება ჩაითვალოს ვარიაციად ბოდლერული სტროფისა, აქ გვხვდება სრულიად სხვა ფუნქციისა და დანიშნულების სიტყვები: ანათემა, განრისხებული ბრბო, ტყვია-ისარი(!), თანავარსკვლედი... ასევე თითქმის ფრაზები: „ასე პოეტი მშვილდოსანთა უძღებს დაცინვას“, „და შენც, პოეტო, რომ გაუძლო ვალივით გმართებს, მიჰქრი, მთარღვევ ცას ღრუბლიანს და ქარიშხლიანს“, „ღრუბლებს ბრძანებლობს და გრიგალთან ღამეს ათენებს“... მსგავსი პათეტიკური ფრაზები სრულიად წარმოუდგენელია ორიგინალში! პირიქით, იქ ძალიან სადადაა გამოხატული აზრი პოეტის შესახებ, რომელიც ალბატროსთანაა შედარებული. უნდა აღინიშნოს, რომ II და III თარგმანში არც რითმები აღარ არის დაცული.

მატიე გილერის აზრით, მთარგმნელი გარკვეული სტრატეგიით მოქმედებს, ის ირჩევს სათარგმნ ტექსტს, თარგმნის მეთოდს და იღებს გადაწყვეტილებებს მთარგმნელის ფუნქციის შესასრულებლად. ეს ყოველივე დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე: კულტურულ, პოლიტიკურ, ისტორიულ, იდეოლოგიურ და სხვ. (გილერი, 2008, 77). ძირითადად იკვეთება ორი ტიპის სტრატეგია: 1) თარგმანში დედნისეული კულტურის ნორმების შენარჩუნება და 2) თარგმანში მიმღები ენისათვის დამახასიათებელი კოლორიტის შემოტანა, რაც ხშირად გამოიხატება, ჩვენს შემთხვევაში, თარგმნილი ტექსტის მეტისმეტად გაქართულებით. მაგალითად, ერთმა მთარგმნელმა ბოდლერის სპლინს ქართულად ჰქმნევა უწოდა, თუმცა თვითონ ბოდლერმა ეს

ინგლისური სიტყვა გამიზნულად გამოიყენა და, ჩვენი აზრით, სპლინი ქართულადაც სპლინად უნდა დარჩენილიყო, რადგან თვითონ ბოდლერმა ეს უცხო სიტყვა გამოიყენა. თარგმნის სირთულე მით უფრო თვალშისაცემია, რაც უფრო ნაკლებად მონათესავეა სათარგმნი ენა მიმღები ენისა (გილერი, 2008, 77). მოცემული გამონათქვამი სავსებით შეესაბამება ფრანგულიდან ქართულად თარგმნის შემთხვევას: ფრანგული ენა რომანულ ენათა ჯგუფს განეკუთვნება და ანალიტიკური ბუნებისაა, ხოლო ქართული კავკასიურ ენათა ჯგუფს და სინთეზური ბუნებით ხასიათდება. ამავე დროს, ყველამ იცის, რომ ქართულ სიტყვათა დიდი უმრავლესობა მრავალმარცვლიანია, რასაც ვერ ვიტყვით ფრანგულზე, ამიტომაცაა, რომ 12 მარცვლიანი ალექსანდრიული ლექსი ქართულად 14 მარცვლიანით ითარგმნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ენებს შორის მთარგმნელობითი კავშირი შეუძლებელია. მხატვრული თარგმანისას მოქმედებს ეკვივალენტურობის პრინციპი და არა შესაბამისობის პრინციპი, რაც იშვიათად გამოიყენება, კერძოდ, საკუთარი სახელების გადმოტანისას ერთი ენიდან მეორეში. მართლაც, შესაბამისობის პრინციპი ვერ იქნება დომინანტური, რადგან, მაგალითად, ფრანგულ არტიკლს არ მოეძებნება შესაბამისი მეტყველების ნაწილი ქართულ ენაში, იგივე შეიძლება ითქვას სახელთა სქესზე, ბრუნების უქონლობაზე ფრანგულ ენაში, რაც წინდებულების დახმარებით არის გადმოცემული და ა.შ. ამიტომ, მხატვრული ტექსტის თარგმნისას მხედველობაში მიიღება უპირველეს ყოვლისა ეკვივალენტურობის პრინციპი. გარდა შესაბამისი გრამატიკული კატეგორიების არსებობა-არარსებობისა სათარგმნ და მიმღებ ენებში, თარგმნისას მხედველობაში უნდა მივიღოთ მიმღები ენის სოციო-კულტურული საყრდენი. მაგ, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ გასტონ ბუაჩიქმე ფრანგულად პირველად თარგმნა სრული შესაბამისობით ქართულ ენასთან, როგორც «La sagesse du mensonge», შემდგომ, როდესაც ეს თარგმანი საფრანგეთში გამოიცა, მას უკვე სათაურად ჰქონდა «La vérité du mensonge», ანუ, «WeSmariteba sicruisa» გამომდინარე შემოთქმული ფაქტორიდან. მარიან ლედერერის აზრით, მხატვრულ თარგმანში მთავარია შინაარსი იყოს ეკვივალენტური, სათითაო სიტყვის გადმოტანა მეორე ენაზე არ არის აუცილებელი. (ლედერერი, 1994, 50) ამ აზრით, ჩვენ მიერ განხილული პოეტური ტექსტის ხუთივე თარგმანი ზუსტად გადმოსცემს ფრანგულ ტექსტში მოცემულ მთავარ აზრს: პოეტი ჰგავს ალ-

## Translation Principles and Strategies of a Poetic Text

### Summary

The paper argues that the translation of a poetic text should be based on the principles of equivalence as well as the strategy of transferring the specific colouring of the original text into a target language. The mentioned principle and strategy are illustrated on the material of 5 Georgian translations of Ch. Baudelaire's 'Albatross'. The analysis has shown that in some cases the principle of equivalence is violated, the supradominant semantics of the text is not preserved and the implicit meaning is conveyed explicitly.

ბატროსს, მისი ადგილი ცაშია, ანუ, პოეტი მიწიერებაზე მაღლა დგას და როგორც ალბატროსს უჭირს ნორმალურად გავლა მიწაზე, ისე პოეტი იტანჯება მიწაზე ყოფნით, ანუ მას უჭირს ცხოვრება მიწაზე. I-III თარგმანი თარგმანს არც ჰგავს, ისინი აღიქმება, როგორც ლაღი ქართული ლექსი იმიტომ, რომ პოეტების მიერ არის თარგმნილი. პოეტი მთარგმნელი ვერ ჩაჯდა ჩარჩოებში და საკუთარი ლექსი გამოუვიდა, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ვარიაცია ბოდლერის ალბატროსზე. მაგრამ ისმის კითხვა, ქართულ ლექსად უნდა აღიქმებოდეს ბოდლერის ლექსი, თუ უნდა ეტყობოდეს, რომ სხვა ცივილიზაციიდანაა შემოსული? ჩვენი აზრით, თარგმანში შენარჩუნებული უნდა იყოს ის ნიუანსებიც, რაც სათარგმნი ენის მიღმა მყოფი ცივილიზაციის კოლორიტს შემოიტანს, ან კიდევ, პოეტის სტილსა და ლექსიკას გავაცნობს. ამაზე პასუხი ვერ იქნება კატეგორიული, რადგან რამდენი მკითხველიცაა, იმდენი პასუხი შეიძლება წარმოვიდგინოთ, უტრირებულად თუ ვიტყვი. ისე კი, გემოვნების საკითხია ალბათ. ბორხესის თქმისა არ იყოს, ლიტერატურა არის მწერლისა და მკითხველის თანამემოქმედება, ჩვენს შემთხვევაში კი პოეტის, მთარგმნელისა და მკითხველის თანამემოქმედება. მთარგმნელზე კი შეიძლება ითქვას, რომ ის არის საუკეთესო მკითხველი. ამას გარდა, პოეტური ტექსტის თარგმნა ალბათ პოეზიასთან ახლოს მდგომ მთარგმნელს შეუძლია. როგორც ყოველ მუნენი იტყვოდა, „პოეტები რომ თარგმნო, თვითონაც უნდა შეგეძლოს პოეტად წარმოჩნდე“ (მუნენი, 1963, 25). სხვა მხრივ კი, თარგმნა არის ქმედება სუი გენერის.

ლიტერატურა

**გიდერი, 2008** — Mathieu Guidère, Introduction à la traductologie; p.77, Paris 2008

**კოენი, 1966** — Jean Cohen structure du langage poétique, p.199, 1966

**ლედერერი, 1994** — Marianne Lederer, La traduction aujourd'hui, p.50, Paris 1994

**მუნენი, 1963** — Georges Mounin, Les problèmes théoriques de la traduction, 1963, p.25

**ფრანგულ-ქართული ანთოლოგია, 2004** — თსუ გამომცემლობა, გვ. 25, 26, 27. 2004

თათია ბიანი

### კონსტანტინე გამსახურდია ქართული სალიტერატურო ენის შესახებ

კონსტანტინე გამსახურდიას პუბლიცისტიკაში არაერთი წერილი თუ ესე ეძღვნება ქართულ სალიტერატურო და სამეტყველო ენას.

XX საუკუნის 30-40-იან წლებში შექმნილი წერილები „სალიტერატურო ქართულისათვის“, „როგორ ვწერ?“, „ისევ სალიტერატურო ქართულისათვის“, „ვილაშქროთ ქართული ენის სიწმინდისათვის“, „ლექსიკოლოგიური შენიშვნები“ ანალიტიკური ხასიათისაა, რომლებშიც მწერალი გვათავაზობს ერთგვარ ენათმეცნიერულ დაკვირვებებს ქართული ენის ფორმირებისა და განვითარების შესახებ.

ერის უმთავრესი განძი არის ენა. კონსტანტინე გამსახურდია ქართული სალიტერატურო ენის საკითხებზე დაწერილ პუბლიკაციებში მთავარ აქცენტებს ენის სიწმინდეზე აკეთებს. მისი აზრით, ენა ურთულესი ფენომენია. „მრავალი საუკუნის მანძილზე იბრძვის და იღვწის ესა თუ ის ერი, რათა თავისი წარმოდგენათა კომპლექსი გააფართოოს“ იმისათვის, რომ ყველას და ყველაფერს თავისი შესაბამისი შესატყვისი გამოუძებნოს.

კონსტანტინე გამსახურდია უმთავრეს მნიშვნელობას ენის ტრადიციებსა და ენის კულტურას ანიჭებს. ეროვნული მსოფლმხედველობის მწერალი სათუთად უვლის და ეპატრონება მშობლიურ ენას. ამისთვის გარჯა და დაფიქრება მას უმთავრეს მოვალეობად მიაჩნია. ერის მთავარი „გასაღები“ ხომ მართლაც ენაა. სავსებით გასაგებია გამსახურდიას თავგამოდებული ბრძოლა ქართული ენისათვის. ამის ახსნას თავად მწერალი იძლევა: „რაც უფრო მეტს დაფიქრდები ამ უცნაური ფენომენის გამო, მით უფრო რწმუნდები, რომ დიდ და ძველ ტრადიციათა მატარებლის ენის შესასწავლად ადამიანის ერთგური სიცოცხლეც მოკლეა.“

1945 წელს კონსტანტინე გამსახურდია აქვეყნებს წერილს სათაურით „ისევ სალიტერატურო ქართულისათვის“. სათაურიდანვე ნა-

თელია, რომ ზოგადად ენის თემა ამოუწურავია ავტორისათვის. როგორც თავად ამბობს, მკვდარი ენების შესწავლას სპეციალისტები მთელ სიცოცხლეს ანდომებენ, „ცოცხალი ენის შესწავლას, იგიც ისეთისა, როგორცაა ქართული, თხუთმეტზე მეტი საუკუნის ტრადიციების მატარებლისას, უფრო მეტი სიძნელები ახლავს.“

მარტოოდენ წარსულის მიღწევათა დაუფლება სრულიად არასაკმარისად მიაჩნია მწერალს. მისი აზრით, საჭიროა ძველის საფუძველზე ენის მუდმივი განვითარება. ზოგიერთ ევროპულ ენაზე კვლევა-დაკვირვებით ავტორი ასკვნის, რომ „დიდშტოვანი ენები“, რომელნიც დღეს მსოფლიო ბატონობაზე აცხადებენ პრეტენზიას, ათიოდე საუკუნის წინ „წარმოადგენდნენ უმარტივეს, განუვითარებელ, არაკეთილხმოვან ენაკავებს“ და ეროვნული საგანძურისათვის, ენისათვის, თავდაუზოგავ ბრძოლას მწერლების უმთავრეს მოვალეობად მიიჩნევს. მაგალითისთვის მოჰყავს ბალზაკის, ფლობერის, სტენდალის, ტოლსტოის, ლორდ ბაირონისა და პოლ ვერლენის მოღვაწეობა ამ მიმართულებით.

„ქართული ენა უხუცესთაგანია, როგორც ევროპის, ისე წინააზიის ენათა შორის“. მწერალი აღნიშნავს, რომ ქართული ენა დიდხანს საზრდოობდა ძველბერძნული ენიდან. ამის დასტურად მოჰყავს იაკობ ცურტაველის, გიორგი მერჩულეს, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელეებისა და სხვა უცნობი ავტორების შემოქმედება. მათი შესწავლის საფუძველზე, გამსახურდია ასკვნის, რომ ამ მწერლებმა შექმნეს „მაგისტრალური ხაზი“ ქართული ენისა და აქციეს იგი მწერლობისა და ფილოსოფიის ენად.

ქართულმა ენამ, გამსახურდიას აზრით, „სრულასაკონობას“ XI საუკუნეში მიაღწია. პეტრიწონელის ენას იგი „უცნაურ გოტიკას“ უწოდებს და მიაჩნია, რომ ის ჯერ კიდევ „შეუსწავლელი პლანეტაა“. ქართული ენის გენიამ შექმნა „განსაცვიფრებელი რეალისტური პროზა“. „ქართული ენის სიტყვიერმა ინვენტარმა“ დაწერა არა მარტო „ვეფხისტყაოსანი“, არამედ თარგმნა „ვისრამიანი“, შექსპირის ტრაგედიები...

ქართული ენის „მამამთავარი“, მწერლის აზრით, საკუთარი კულტურული დიალექტიდან კი არ უდგებოდნენ „სიტყვაქმედობას“, არამედ ენის გამდიდრებას მისი კულტურის ამადლებით ცდილობდნენ.

თავისი არსებობის მანძილზე ქართულ ენას ბრძოლისა და კონ-

კურენციის ატანა უხდებოდა ისეთი მაღალი კულტურის მქონე ენებთან, როგორცაა არაბული, სპარსული თუ ბერძნული. ეს ენები იყვნენ არა მარტო სამეტყველო, არამედ სახელმწიფო ენებიც. მათ ჰქონდათ უდიდესი დიაპაზონი. ისინი ევროპის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ენათა თუ კულტურათა ფორმირებაში უდიდეს როლს ასრულებდნენ.

ისტორიიდან ცნობილია, რომ საქართველოს მეფეთა ზარაფხანებში მოჭრილ ქართულ მონეტებს ცალ მხარეზე ხან ბერძნული ფრაზა ეწერა, ხანაც არაბული. ქართულმა ენამ მაინც შეძლო ამ ზეგავლენათა გაბათილება. „ქართული ენა გამარჯვებული გამოვიდა მთელ კავკასიის ტერიტორიაზე“ — წერს გამსახურდია.

მწერალი ქართული ენის სიწმინდისათვის „დასალაშქრად“ მოუწოდებდა ყველას, ვისაც ამ საშვილიშვილო საქმეზე ხელი მიუწვდებოდა.

ქართული სალიტერატურო ენისადმი მიძღვნილი წერილების ციკლში ავტორი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ენისა და ნაციონალური სახელმწიფოს ურთიერთობას. გამსახურდია მიიჩნევს, რომ ერი, რომელსაც ნაციონალური სახელმწიფო არ გააჩნია, ვერ შეასრულებს „დიდ კულტურულ-ისტორიულ მისიას.“

კონსტანტინე გამსახურდიას 1933 წელს ქუთაისში გამომავალი გაზეთის, „სიტყვა და საქმის“ კორესპონდენტმა ჰკითხა: „როგორ წერთ?“. პირველი პასუხი საოცარი იყო: „ჰმ! ძნელია იმის წერა, თუ როგორ ვწერ. შემოქმედის ამბავი ჯერაც უაღრესი იდუმალებითაა მოცული, თეორიები მრავალია, მაგრამ რა... ამ ამბის გაცხადება რომ შეიძლებოდეს, მაშინ ყოველი მკითხველი წერას ისწავლიდა“, — ვკითხულობთ წერილში „როგორ ვწერ?“

საინტერესოა, მაინც როგორ წერდა გამსახურდია? როგორი იყო სიტყვის დიდოსტატის შემოქმედებითი პოლიგონი? ყველა მისი გენიალური ქმნილება, წერილი, ესე იძლევა პასუხს ამ მარადიულ შეკითხვაზე. და მაინც, საიდუმლოდ რჩება მისი „ოლიმპის“ ლაბირინთები. „მე დიდის სიყვარულით ვეთამაშები ქართულ ასოებს, გაცეხული შევსცქერი მათ“. ამ წმინდა ადამიანური პასუხიდან ნათლად ჩანს მწერლის პასუხისმგებლობა მშობლიური ენისადმი, მისი დამოკიდებულება დედაენისადმი, რომელიც ამავე წერილში „ანი“-დან „ჰოე“-მდე აკინძული ასოების მოფერებით არის გადმოცემული. ამ წერილის „ანბანთქება“ ისეთივე მთავგონებით არის შექმნილი, რო-

გორც მისი ნებისმიერი შედეგრი.

„როცა წერით დავიღლები, თვალს შევავლებ ხოლმე ამ ასოებს, გაცეხული შევსცქერი ბნელი საუკუნეების საშოში უთარილოდ წარმოშობილ ფანტასტიურ იეროგლიფებს. თანაც მიხარია, რომ ლინგვისტები და ფილოლოგები არაჟამს ჩასწვდებიან მათთვის ჩათქმულ საიდუმლოებას.“

გამსახურდიასთვის თითოეული ქართული ასო მისტიკური უცნაური სიმბოლიკის შემცველია. იგი ჩვილი ბავშვივით ეფერება ქართულ ასოებს და ქმნის ანბანთქებას, რომლის ანალოგი XX საუკუნის ქართულ ლიტერატურას არ მოეპოვება:

„ანი ნამგლისათვის მიუმსგავსებია ქართველ ხალხს, ბანი ყელმოღერებულ ქართულ სურებს, დოქებს და ჭინჭილებს, განი ლაგვინებს და ქვევრებს ჰგავს, კბილიანი ასოები ლ, ყ, ლ, დ, რალაც ქვეწარმავლებს მაგონებს, ზოგიც ხერხებს, სათლელ, სახლეჩ ან სატეხ ხელსაწყობებს. ძალიან მახარებენ ღერიანი ასოები. ისინი ხან ლელივით იკეცებიან, ხანაც ცხენოსანი ჯარის პიკეტებსავით წამოვლენ... განების, ყარების, დონების, ენების, ვინების, ფეხები ხრმლებს, წერაქცულებს და წათებს მიაგვანან. ინები ცხენის ნალებს. ვინ იცის ცხენოსან ერს თან მოეტანოს იგი მესოპოტამიის ხრიოკებიდან, ომითა და ზათქით წამოსულს.“

მთავარი მამოძრავებელი „არტერია“ გამსახურდიასთვის არის მისი უდიდებულესობა — „სიტყვა“. მისივე თქმით, სიტყვათა მარავი არ ჰყოფნიდა და მათ ძველქართულსა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ეძებდა. მას მიაჩნდა, რომ „სიტყვებიც სცვდებიან“, ამიტომ იგი ერიდებოდა ათასჯერ ნახმარ სიტყვათა კომბინაციებს. მთავარი სათქმელის გამოხატვის ფორმის ძიება მწერლისთვის ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც პერსონაჟისა და გმირების გალერეის შექმნა. „— კრიზისებო? ხანდახან მაქვს, ხელი შემიჩერდება, წერაზე გული ამეყრება, წავალ, ცხენზე შევჯდები, ვინადირებ, ხან სპორტით გავერთობი... მომიგროვდება ენერგია, შეწყვეტილ ხელნაწერს ისევ გადმოვიღებ, მივადგები კატასტროფის ადგილს და სამშვიდობოს გავალ.“

სიცოცხლის შუაგულში მებრძოლი დიდოსტატი მუდმივად სიტყვის ძიებისა და გამოძერწვის პროცესში იყო, ეცნობოდა ხალხის მეტყველებას, სწავლობდა მსოფლიოს ხალხთა ადათ-წესებს, მოგზაურობდა.

ქართული სიტყვა იყო მწერლის მთავარი მამოძრავებელი ძალა:



„ცუდი ქართულით მოუბარო შეძლებისამებრ ყურს ვარიდებ. ცუდი ქართულით დაწერილ ლიტერატურას არ ან ვერ ვკითხულობ.“ — ამბობდა იგი.

მარადიულ კითხვაზე „როგორ ვწერ?“ — კონსტანტინე გამსახურდია უბრალოდ პასუხობს: „დღე და ღამ ვებრძვი ქართულ სიტყვას, როგორც კოჭლი იაკობი ებრაელთა მრისხანე ღმერთს“.

ლიტერატურა

**გამსახურდია, 1985** — კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ათტომეული, ტ. VIII, თბილისი, 1985წ.

**გამსახურდია, 1985** — კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ათტომეული, ტ. IX, თბილისი, 1985 წ.

TATIA GIGANI

### Constantine Gamsakhurdia on Standard Georgian

#### Summary

The paper examines Constantine Gamsakhurdia's publicistic articles devoted to some issues of Standard Georgian. The articles are of analytic nature and present the writer's linguistic observations on the formation and development of Georgian.

ირმა ბრძელოძე

### დისკურსის ანალიზის ორი მოდელის მნიშვნელობის შესახებ

დისკურსის ანალიზი ლინგვისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ნაკლებად შესწავლილი დარგია. იგი პოსტსტრუქტურალისტთა დაკვირვებისა და შესწავლის საგანი გახდა და როგორც დისკიპლინა 1960-70-იან წლებში მოგვევლინა. თავად ტერმინი „დისკურსის ანალიზი“ პირველად გვხვდება ზელინგ ჰარისის ერთ-ერთ ნაშრომში „დისკურსის ანალიზი“ (1952წ.) ნაშრომში ავტორი იგნორირებას უკეთებდა ენის სტრუქტურალურ საკითხებს და კვლევის ფოკუსში შესიტყვებათა ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ პლანს აქცევდა ყურადღებას. თავდაპირველად დისკურსი ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებთან კავშირში მოიაზრებოდა და ფაქტობრივად არ არსებობდა კავშირი სემანტიკასთან, ფსიქოლინგვისტიკასთან, სოციოლინგვისტიკასა და პრაგმატიკასთან. დღეს მას უკვე მჭიდრო კავშირები აქვს არა მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ საგნებთან, არამედ ფსიქოლოგიასთან, კომუნიკაციასთან, სოციალურ ფსიქოლოგიასთან. (ჰარისი, 1952).

სანამ უშუალოდ საკითხზე გადავიდოდე, აუცილებელია განვმარტოთ რა არის დისკურსი. არსებობს დისკურსის უამრავი განმარტება, მათ შორის შემდეგი განმარტებები:

1)

ა) დისკურსი ლინგვისტიკაში აღნიშნავს წინადადებაზე დიდ ერთეულს, რომელსაც ტექსტს უწოდებენ;

ბ) დისკურსი ბიჰევიორული მცნებაა, რომელიც პრეტეორიულ დონეზე არის ლინგვისტიკაში;

გ) დისკურსი შესიტყვებათა მრავალფეროვანი გამაა, რომელიც სრულიად უგულებელყოფს გრამატიკის სისტემატიზირებად ხასიათს და დაკვირვების საგნად გამოყენებით ენას ირჩევს. მაგ: დიალოგი, ხუმრობა, ინტერვიუ.

2) ბიტიკინის სკოლის წარმომადგენელთა მიხედვით, დისკურსი ენებისა და მეტყველების როგორც ცოცხალი მთლიანობის აღმნიშვნელია. თუ ენა და გრამატიკა შეისწავლის ენაში არსებულ სისტემასა და წესებს, დისკურსი ამ წესების მიღმა არსებული შეუპირობებელი თუ შეპირობებული ფაქტორების არსებობასა და ენობრივ ერთეულებს შორის ურთიერთქმედებას არეგულირებს.

3) ცნობილი ლინგვისტი ლი კი აღნიშნავს, რომ დისკურსის გამოვლენა ხდება ცოცხალი საუბრის, კომუნიკაციის დროს. დისკურსი მოიცავს რაღაც მესიჯს ან ტექსტს, ადრესანტსა და ადრესატს. და ამ ყველაფრის ერთ მთლიანობაში აღქმა ხდება კონტექსტის საშუალებით. აქედან გამომდინარე ნათელია დისკურსის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

4) დისკურსი ლიტერატურულ ტერმინადაც მოიაზრება. ლიტერატურული დისკურსის შესწავლის საგანი მხატვრულ ნაწარმოებში არსებული დიალოგები და ფიქრთა დინებაა. ლიტერატურული დისკურსი, თავის მხრივ, კიდევ გამოყოფს დისკურსის თავისუფალ, პირდაპირ და ირიბ სახეებს.

5) თავისი ყოვლისმომცველობით დისკურსი შეიცავს ტექსტს და ხშირად მის სინონიმადაც მოიაზრება.

განმარტების ასეთ საბოლოო ვარიანტს ვიღებთ: **დისკურსი არის შინაარსობრივად და სტრუქტურულად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული შესიტყვებების მთლიანობა, რომელიც წინადადებაზე დიდი ერთეულია. დისკურსი არის ენა დინამიკაში, ანუ გამოყენებითი ენა.**

თავის მხრივ, დისკურსის ანალიზი შეისწავლის ენისა და იმ კონტექსტის ურთიერთობას, რომელშიც ის იხმარება. არსებობს დისკურსის ანალიზის ორი მოდელი: ბრიტანული და ამერიკული. ბრიტანულ მოდელზე დიდი გავლენა ჰქონდა ჰალიდის ფუნქციონალურ მიდგომას ენასთან. ჰალიდეი ყურადღებას აქცევდა ენის სოციალურ ფუნქციას, წერისა და მეტყველების თემატურ და ინფორმაციულ სტრუქტურას (ჰალიდეი, 1970). ამ საკითხზე მნიშვნელოვან გამოკვლევას აწარმოებდნენ ჯონ სინკლერი და ქაულთჰარდი ბერმინგჰემის უნივერსიტეტში. მათ შექმნეს მოდელი, თუ როგორ გაენალიზებინათ მოსწავლე-მასწავლებლის საუბარი, ექიმ-პაციენტის ურთიერთობა, ინტერვიუები, დებატები, ბიზნესმოლაპარაკებები და უფრო მეტიც, მონოლოგები. ბრიტანულმა მოდელმა ძირითადად სტრუქტურულ-ლინ-

გვისტური გეზი აიღო (სინკლერი, ქაულთჰარდი, 1975).

ამერიკულ მოდელში გაბატონდა ეთნომეთოდოლოგიური ტრადიცია, რომელიც ემყარება ბუნებრივ გარემოში არსებულ ხალხთა ურთიერთობის კვლევას. აქ ხდება ისეთი სამეტყველო მოვლენების შესწავლა, როგორცაა თხრობა, მისალმების რიტუალები, სიტყვიერი პაექრობა სხვადასხვა კულტურულ და სოციალურ გარემოში. საუბრის ანალიზი შეიძლება გავაერთიანოთ დისკურსის ანალიზის ზოგადი სათაურის ქვეშ. ასეთი სახის ანალიზებში აქცენტი კეთდება არა სტრუქტურული მოდელის აგებაზე, არამედ საუბრის მონაწილეების შესწავლაზე. ამერიკულმა მოდელმა შექმნა მრავალი ტიპის ანალიზი დისკურსის ანალიზის შიდა სტრუქტურაზე, რითაც გადააჭარბა ბრიტანულ მოდელს პრაგმატიკაში.

ენის ფილოსოფოსები და ტრადიციონალისტი ლინგვისტები, ისევე როგორც სტილისა და სტილისტიკის შემსწავლელი ლიტერატორები, როგორც წესი, ენის ცალკეულ ერთეულებზე: წინადადებაზე, სიტყვაზე, ფრაზებზე და ფიგურატიული ენის ნიმუშებზე ამახვილებენ ყურადღებას. დისკურსის ანალიზი კი იმ სახით, როგორც 1970-იან წლებში ჩამოყალიბდა, აკავშირებდა დისკურსის მსვლელობას ენის გამოყენებასთან, რაც წინადადების წყების მიღმა გრძელდებოდა და მოსაუბრის ან მწერლის, მსმენელის ან მკითხველის სპეციფიკურ სიტუაციურ კონტექსტში ურთიერთობას გულისხმობდა (ლაიონსი, 1963).

თანამედროვე დისკურსის ანალიზის შექმნაში გადამწყვეტი როლი ითამაშა სამეტყველო აქტის ფილოსოფიის წარმომადგენელმა ჰ.ფ. გრაისმა (გრაისი, 1975), რომელმაც 1975 წელს ტერმინი **„იმპლიკატურა“** შემოიღო იმის ასახსნელად, თუ როგორ შეგვიძლია გამონათქვამის ილოკუციურობის დადგენა, როცა მისი ილოკუციური ინტენციის თვალსაჩინო მაჩვენებელი არასაკმარისია. მაგალითად, რით შეიძლება ავხსნათ, რომ გამონათქვამში **Can you pass me the salt?** სინტაქსური თვალსაზრისით კითხვის ფორმისაა, თუმცა მსმენელი თავაზიანი თხოვნის ფორმად აღიქვამს. გრაისმა ივარაუდა, რომ თანამოსაუბრეები ფლობენ ნაგულისხმევ მოსალოდნელობათა საერთო მარაგს, რომელსაც იგი „საკომუნიკაციო „პრეზუმფციას“ უწოდებს. მაგალითად იგი აცხადებს: „მოსაუბრის განზრახვა ისეთია, რომ მის გამონათქვამთან დაკავშირებული საზიარო შინაარსობრივი მოლოდინი დადასტურებაზე ან მათი გაცრუების ინტერპრეტაციაზეა

დამოკიდებულია“. ენის სხვა თეორეტიკოსებმა ბევრად გააფართოეს ანალიზი იმ კოლექტიური დაშვებისა, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ გამონათქვამი უფრო გასაგები და შინაარსიანი გახდეს, ხოლო მიმდინარე დისკურსის დამოუკიდებელი წინადადების უბრალო სიტყვათშეთანხმების ნაცვლად მნიშვნელობათა კოპერენტულ განვითარებად გარდაიქმნას. ერთი ვარაუდით, მოსაუბრეებს და მსმენელებს არალინგვისტური ცოდნისა და გამოცდილების საზიარო მარაგი აქვთ. მეორის მიხედვით: მოსაუბრე ენას ინტენსიურად, მიზანმიმართულად, ლინგვისტური და კულტურული კონვენციების შესაბამისად იყენებს; მესამის თანახმად, არსებობს ზეპირი ცოდნა კომპლექსური საშუალებებისა, რომლებიც ლოკაციის მნიშვნელობას კერძო სიტუაციისამებრ, აგრეთვე დისკურსის იმ ტიპის მიხედვით ცვლის, რომელშიც ის გამოითქმება (გრაცი, 1975).

სტილისტიკის ზოგიერთი მიმდევარი დისკურსის ანალიზს საკუთარი კვლევის სფეროს მიაკუთვნებს, ხოლო გვიანი 1970-იანი წლებიდან დაწყებული, კრიტიკოსთა ერთი ნაწილი დისკურსის ანალიზს სულ უფრო ხშირად უსადაგებს რომანებისა და დრამატული ნაწარმოების დიალოგთა კვლევას. მათი კვლევის მიზანი იმის ახსნაა, მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილი პერსონაჟები და ამა თუ იმ ნაწარმოების მკითხველი როგორ ახერხებენ გამუდმებით იმ დასკვნების გაკეთებას, რომლებიც დისკურსში ექსპლიციტურად არ არის წარმოდგენილი და არც დისკურსის ურთიერთგაცვლაშია ნაჩვენები. ასეთი დასკვნები ექვემდებარება იმ წესს, რომელიც დისკურსის მონაწილეთა და ინტერპრეტატორთა საზიარო ვარაუდების მთელ კომპლექსზეა დამოკიდებული. (კონორი, 1991). დისკურსის მნიშვნელობათა დასადგენად თამაში მდგომარეობაში გადადის, უფრო მეტიც, ეს მნიშვნელობები სისტემატურად იცვლება იმის მიხედვით, წესებით მართული მოლოდინი ხორციელდება თუ განზრახ ირღვევა. ლიტერატურაში სასაუბრო დისკურსის ამგვარი შესწავლა ხშირად თვალსაზრისის ხელახალ გააზრებამდე და ლიტერატურის ნარატივების კრიტიკის სხვა ტრადიციულ საკითხებამდე მიდის.

ლიტერატურა

- გრაცი, 1975** — Grice. H.D., Logic and Conversation. New York, 1975
- კონორი, 1991** — Connor. U., Discourse Analysis and Writing. Reading Instructions. Annual Review of Applied Linguistics, 1991
- ლაიონსი, 1963** — Lyons. J., Structural Semantics. Oxford, 1963
- სინკლერი, 1975** — Sinclair. J. and Coulthard. L. Toward the Analysis of Discourse. Oxford University Press. 1975
- ჰალიდეი, 1968** — Halliday. C.F., Sociolinguistics and Discourse. Academic Press, 1968

IRMA GRDZELIDZE

### Towards the Importance of Two Models of Discourse Analysis

#### Summary

The paper discusses similarities and differences between the two schools of discourse analysis: British and American.

As is known, British discourse analysis has been influenced by M.A. Halliday's functional approach to language. The research in the UK emphasizes the social functions of language and the thematic and informational structure of speech and writing. In the British school the emphasis is on the structural linguistic approach.

American discourse analysis, on the other hand, focuses on examining the behaviour of participants in talk in natural circumstances. The school in question is based on the ethnomethodological tradition. The research includes the examination of forms of talk such as storytelling, greeting and verbal duels in different cultural and social settings. Besides much attention is paid to politeness and face-saving phenomenon.

## ენო ღარასალია

გრძობლ კიკნაძისული „ფიქსირებული ფორმის“ ცნება და  
თანამედროვე ლინგვისტური თეორიები

გრძობლ კიკნაძის მემკვიდრეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მისი ნაშრომი „ფიქსირებული ფორმის“ შესახებ, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში შეიქმნა. წერილობითი და ზეპირ-მეტყველებითი დისკურსის ნიმუშებზე დაკვირვების შედეგად მეცნიერმა გამოავლინა ადამიანის ვერბალური ქცევის ერთ-ერთი კანონზომიერება: დისკურსში ენობრივ ნიშანთა ურთიერთგანპირობებულობა, ურთიერთგანსაზღვრულობა, ურთიერთდამოკიდებულება. კერძოდ, იგი აღნიშნავდა: „წერის პროცესში არაერთგზის უჩენია თავი ერთგვარ განცდას, რომელიც შეიძლება ასე დავახასიათოთ: გარკვეული სიტყვის დაწერა ანდა წინადადების გარკვეულ სახეობაზე შეჩერება იწვევს მოთხოვნილებას, რათა მომდევნოდ შევარჩიოთ რაღაცნაირად მასთან დამსგავსებული სიტყვა ან წინადადება. შემდეგ საჭირო ხდება მიემართოთ საგანგებო ზომებს, რათა მიღწეულ იქნეს ამ მოთხოვნილების მოქმედების დარღვევა ანდა შეჩერება“ (კიკნაძე, 1999, 43).

ნაშრომის მიხედვით, ფიქსირებული ფორმა მრავალწახნაგოვანი ცნებაა: იგი, ერთი მხრივ, ასახავს ენაში მყარი ფორმულების წარმოქმნის ტენდენციას, რაც ენაში მუდმივად მოქმედი გრამატიკალიზაციის, ლექსიკალიზაციისა და იდიომატიზაციის პროცესების შედეგია. ხოლო, მეორე მხრივ, იგი გულისხმობს დისკურსში ფიქსირებულ ფორმათა გამოვარების კანონზომიერებას.

წინასიტყვაობაში გრიგოლ კიკნაძე თავად აღნიშნავს: „მკითხველი ადვილად შეამჩნევს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის იმ მოძღვრებას, რომელიც ფსიქიკურ პროცესთა შესახებ პროფესორმა დიმიტრი უზნაძემ (1886-1950) ჩამოაყალიბა“ (კიკნაძე, 1999, 5). აშკარაა, რომ ფიქსირებული ფორმის ცნება დ. უზნაძის განწყობის თეორიას ეფუძნება, თუმცა, უშუალოდ ნაშრომში ფიქსირებული ფორმის რაობასა და მის ტიპებზე მსჯელობისას

ავტორი დიმიტრი უზნაძის თეორიას აღარ მოიხსენებს. რა მიმართება არსებობს განწყობის თეორიასა და ფიქსირებული ფორმის ცნებას შორის? როგორ ასახება იგი ფიქსირებული ფორმისთვის მახასიათებელ შემოთავაზებულ ორ ტენდენციაში?

როგორც ცნობილია, დ. უზნაძე გამოყოფს ცნობიერების მოქმედების ორ არსებითად განსხვავებულ პლანს: იმპულსურსა და გაშუალებული. იმპულსურ ქცევაში ადამიანის ჩვეული, მექანიზებული მოქმედებები იგულისხმება. უზნაძის განსაზღვრებით, იმპულსური ქცევის სპეციფიკა მის უშუალობაშია. იმპულსური ქცევისას სუბიექტი, ისევე როგორც მისი აქტები, მთლიანად ქცევის პროცესშია ჩართული. „იმპულსური ქცევაში ჩართული აქტები მთლიან ჯაჭვს ქმნიან, ისინი ქცევის მთლიან ჯაჭვში ცალკე რგოლებს წარმოადგენენ, იმ სიგნალების როლს ასრულებენ, რომლებიც ქცევის პროცესში მომდევნო ნაბიჯების სტიმულაციას ახდენენ. მათ არა აქვთ საკუთარი დამოუკიდებელი ღირებულება, ისინი არ არსებობენ ამ როლის გარეშე თავისთავად, იმ ქცევის პროცესიდან გამოყოფილად, რომელშიც მთლიანად, უნაშთოდ არიან ჩართული“ (უზნაძე, 1977, 135). შეიძლება ითქვას, რომ, გარკვეულწილად, ფიქსირებული ფორმა იმპულსური ვერბალური ქცევის შესატყვისი ტერმინია. გრიგოლ კიკნაძე ფიქსირებული ფორმის წარმოქმნის მექანიზმებს ქართული და რუსული ენების სხვადასხვა დონეზე განიხილავს. კერძოდ, ფონეტიკა-ფონოლოგიის, ლექსიკის, გრამატიკის (მორფოლოგიისა და სინტაქსის), ტექსტის.

**ფონეტიკა-ფონოლოგიის დონეზე** მიმსგავსების ტენდენციის მკაფიო ნიმუშად შეიძლება ალიტერაცია დავასახელოთ. დიაქრონული თვალსაზრისით ბგერითი მიმსგავსებისკენ სწრაფვამ წარმოქმნა სწორედ ალიტერაციული ლექსთწყობა, ვერსიფიკაციის ფორმა, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო პოეზიის ადრეული ნიმუშებისათვის. დამწერლობის არარსებობის პერიოდში ალიტერაციით მიღწეული რიტმი, ალიტერაციის მქონე მყარი ფორმულები საშუალებას იძლეოდა პოეტური ტექსტი მეტ-ნაკლებად უცვლელი სახით თაობიდან თაობას გადაცემოდა. გრ. კიკნაძე ბგერითი მიმსგავსების ტენდენციას შეისწავლის როგორც პოეტური, ასევე პროზაული ტექსტების მასალაზე. სწორედ ახლა, წერის პროცესში, უკვე დაწერილის გადაკითხვისას აღმოვაჩინე ბგერითი მიმსგავსების ტენდენციის მოქმედების შედეგი; იხილეთ რამდენიმე სტრიქონით შემოთ: „... მიმსგავსებისაკენ სწრაფვამ წარმოქმნა სწორედ...“ .

მეცნიერი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ცალკეულ ენაში **მო-რფოლოგიის დონეზე** გრამატიკულად მსგავსი ფორმების შერჩევის ქვეცნობიერი ტენდენცია თანდათანობით გარკვეულ გრამატიკულ წესებში აისახება, რომლებიც ფორმობრივი სიმეტრიის დაცვის აუცილებლობას გულისხმობენ.

გრ. კიკნაძე ფიქსირებული ფორმის გამოვლენის ერთ-ერთ სახეობად მიიჩნევს **სინტაქსურ პარალელიზმს**, რომელიც ხშირად ქვეცნობიერად იჩენს თავს როგორც ზეპირმეტყველებით, ასევე წერილობით დისკურსში:

ნაშრომში განსაკუთრებით ღირებულია ფიქსირებული ფორმის **ტექსტის დონეზე** განხილვა; მკვლევრის თვალსაზრისით, ფიქსირებული ფორმა და მისი გამეორების ტენდენცია ტექსტის რიტმული და რითმული სტრუქტურის შექმნის საშუალებაა:

„პროზის რიტმულობაზე ლაპარაკი მაშინ არის შესაძლებელი, თუ, მაგალითად, აღმოჩნდა, რომ მასში ადგილი აქვს ფრაზების გარკვეულ და ურთიერთისადმი რაღაცნაირად მიმსგავსებულ კონსტრუქციას, ფრაზებში შემავალი სიტყვების გამეორება-მსგავსებას, სიტყვათა მარცვლობრივ შესატყვისობას, მახვილის გარკვეულ ადგილს, სიტყვათა გარკვეულ განლაგებას, წინადადებაში შემავალი სიტყვების რაოდენობრივ შესატყვისობას და ა.შ. ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ რიტმულის შთაბეჭდილებას პროზაული მეტყველება მხოლოდ მაშინ ტოვებს, თუ ამოსავალი ერთეული (ვთქვათ, წინადადება) რაღაცნაირად პოულობს თავის გამოხატულებას მომდევნო ერთეულებში, თუ შესაძლებელი ხდება ამოსავალი ერთეულის ანალოგიური მოვლენების, მისი კვალის დადასტურება დანარჩენ მომდევნო ერთეულებში, უამისოდ მეტყველების რიტმის არსებობა შეუძლებელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პრინციპში რიტმი არის ფიქსირებული ფორმის ასეთი თუ ისეთი გამეორება და იმის მიხედვით, თუ რა სახისაა და რა საშუალებითაა მიღწეული ეს გამეორება, ვღებულობთ ამა თუ იმ რიტმულ ფორმას“ (კიკნაძე, 1999, 66).

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ასევე გრ. კიკნაძის მიერ წარმოდგენილი ცალკეული დისკურსის ჟანრისათვის (ზღაპარი, ბილინა) მახასიათებელი **მყარი ფორმულების და მათი გამეორების ტენდენციის** ანალიზი. თანამედროვე ლინგვისტურ ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, მკვლევარი ამ შემთხვევაში განიხილავს იდიომის პრინციპზე აგებულ ტექსტებს. **აბზაცების აგების იდიომატურ**

**პრინციპს** ანალიზებს და შეისწავლის მეცნიერი ქართული და რუსული, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირმეტყველებითი დისკურსის სხვადასხვა ჟანრში (სხვადასხვა ეპოქის მხატვრული ლიტერატურის, პუბლიცისტიკის, ისტორიული ხასიათის ნიმუშებში). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მაშინ, როდესაც გრიგოლ კიკნაძის ნაშრომი იწერებოდა, ტექსტის ლინგვისტიკისა და დისკურსის ანალიზის მოძღვრებები ჩამოუყალიბებელი იდეების სახით არსებობდნენ. ასე მაგალითად, ზელიგ ჰარისის ცნობილი სტატია „დისკურსის ანალიზი“ (1953), რომელმაც სახელწოდება მისცა შემდგომში მთელ მიმდინარეობას, ძალიან შორს დგას დისკურსის ანალიზის პრინციპებისგან; იგი რეალობაში არის ნაშრომი სტრუქტურულ ლინგვისტიკაში, თუმცა წარმოადგენს სტრუქტურული ლინგვისტიკის კვლევის მეთოდების ტექსტის დონეზე გამოყენების მცდელობას.. შესაბამისად, გრ. კიკნაძის ნაშრომი იმ პერიოდისათვის ნოვატორულად შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან ავტორი ფიქსირებული ფორმის გამოვლინების ყველა შემოგანხილულ შემთხვევას ტექსტის დონეზე, ტექსტის მთლიანობის მიღწევის საშუალებად განიხილავს. ნაშრომი დღესაც ძალიან აქტუალურია, ვინაიდან იმპულსური ვერბალური ქცევა და მისი გამოვლენის საშუალებები: გრამატიკალიზაცია, ლექსიკალიზაცია და იდიომატიზაცია ტექსტის დონეზე ლინგვისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს დღეს. ცალკეულ ენაში მრავლად არსებული მყარი ფორმულები / ჰოლოფრაზები (კორდერი, 1973), რუტინები (ჰაკუტა, 1974) / გემტალტები (პიტერსი, 1977) / ლექსიკალიზებული ძირები (პოლი, საიდერი, 1984) მეტყველების პროცესის მექანიზებულ ხასიათს განაპირობებს, ანუ მათი არსებობა საშუალებას აძლევს კომუნიკანტებს რიტუალიზებული, რუტინიზებული ვერბალური ქცევისას მცირე კოგნიტურ ძალისხმევას მიმართონ (დარასელია, 2006).

თუ ფიქსირებული ფორმა და მისი გამეორების ტენდენცია უშუალო მიმართებაშია უზნაძისეულ იმპულსურ ქცევასთან, ფიქსირებული ფორმის დარღვევის შემთხვევები ქცევის მეორე ტიპს, გაშუალებულ ქცევას — ობიექტივაციას ეფუძნება, ანუ ქცევის ისეთ ტიპს, რომელიც რუტინიზებული ქცევის ჯაჭვის დარღვევას და ვერბალური ქცევის შემთხვევაში ენის შემოქმედებითი ასპექტის ამოქმედებას გულისხმობს. საინტერესო და ღირებულია გრიგოლ კიკნაძის თვალსაზრისი, რომ მსგავსად ფიქსირებული ფორმის დარღვევისა, ფიქსირებული ფორმა და მისი გამეორება შეიძლება გამიზნულად, გარკვეუ-

ლი საკომუნიკაციო მიზნის მისაღწევად იქნას გამოყენებული ინდივიდის მიერ. მნიშვნელოვანია, რომ საკვლევ მასალად მკვლევარი იყენებს ასევე პოეტთა და მწერალთა ე.წ. „შავებს“, რომლებიც საშუალებას აძლევენ მას, ერთი მხრივ, გაანალიზოს ფიქსირებული ფორმის წარმოქმნის მექანიზმი, ხოლო, მეორე მხრივ, შეისწავლოს, თუ როგორ ახერხებს მწერალი თუ პოეტი სტერეოტიპული ვერბალური ქცევის თავიდან აცილებას, ფიქსირებული ფორმის გამეორების მექანიზმებიდან თავის დაღწევას.

დღეს, როდესაც ლინგვისტთა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში კომუნიკაციის პროცესი მოექცა თავისი მრავალსაპექტურობით, ენობრივი, კოგნიტური, სოციალური, კულტურული, ფსიქოლოგიური განზომილებებით, როდესაც წარმატებული კომუნიკაციის საკითხი, როგორც შიდაჯგუფურ, ასევე გარეჯგუფურ ურთიერთობებში მწვავედ აქტუალურია, სტერეოტიპული ვერბალური ქცევის ტიპი და სტერეოტიპის დარღვევის შემთხვევები და მათი მიზეზები გამორჩეულად რელევანტური ხდება. წარმატებული კომუნიკაცია ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ვფლობთ ჩვენ ვერბალური ქცევის რუტინას, თუ რამდენად ჯდება ჩვენი ვერბალური ქცევა ცალკეული ენობრივი კოლექტივისათვის მახასიათებელ რიტუალურ ქცევათა ჯაჭვში. ამ თვალსაზრისით, დ. უზნაძის განწყობის თეორია და მასზე დაფუძნებული გრ. კიკნაძის ფიქსირებული ფორმის ცნება განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს. სამწუხაროა, რომ უზნაძის განწყობის თეორიისაგან განსხვავებით (რომლის მნიშვნელობა მაინც ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის დაფასებული მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების მიერ), გრ. კიკნაძის აღნიშნული კვლევა ქართულ სამეცნიერო სივრცეშიც კი, შეიძლება ითქვას, მივიწყებას მიეცა.

ლიტერატურა

**დარასელია, 2006** — ნ. დარასელია, შორისდებული საკომუნიკაციო კომპეტენციის თვალსაზრისით (ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენათა მასალაზე) ფილოლოგიის მეცნ. დოქტორის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად წარმ. დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი 2006.

**კიკნაძე, 1999** — გრ. კიკნაძე, თხზულებანი, ტ. 3, თსუ გამომცემლობა, 1999.

**კორდერი, 1973** — S. Corder, *Introducing Applied Linguistics*, Harmondsworth, Penguin, 1973.

**პიტერსი, 1977** — A. M. Peters, *Language learning strategies: does the whole equal the sum of the parts?* *Language* 53, 1977.

**პოლი, საიდერი, 1984** — A. Pawley, F. H. Syder, *Two puzzles for linguistic theory: nativelike selection and nativelike fluency*. In: *Language and Communication*. London – New York, Longman, 1984.

**უზნაძე, 1977** — დ. უზნაძე, *შრომები*, ტ. 6, თბილისი, „მეცნიერება“, 1977.

**ჰაკუტა, 1974** — K. Hakuta, *Prefabricated patterns and the emergence of structure in second language acquisition*, *Language Learning* 24 (2): 287-97, 1974.

NINO DARASELIA

### Grigol Kiknadze's Notion of Fixed Form and Modern Linguistic Theories

#### Summary

The paper explores the term 'fixed form' coined by the Georgian scholar Gr. Kiknadze in the 1950s. The analysis of Gr. Kiknadze's works has proved that the notion the given term denotes is heterogeneous. On the one hand, it refers to the tendency of creating fixed forms i.e. the tendency of grammaticalization, lexicalization and idiomatization at different language levels. On the other hand, it implies the recurrence of fixed forms in discourse. The paper reveals some links between Gr. Kiknadze's theory and D. Uznadze's psychological theory of set; it is argued that Uznadze's notion of set (denoting ritualized, routinized types of behaviour) is, to some extent, synonymous to the notion of fixed form. Gr. Kiknadze investigates the phenomenon of fixed form in different discourse genres as well as at different language levels: phonetic-phonological, morphological, lexical, syntactic, textual. It is noteworthy that as early as in the 1950s, when text linguistics and discourse analysis were still in the process of formation, Gr. Kiknadze considered the fixed form an essential means for achieving textual coherence.

The paper argues that being written in the 1950s the theory of fixed form was ahead of its time and still remains to be of particular relevance.

ირინა ღამბატრაჰი

### ინგლისური ენის ქართულ ზემსწავლელთა ჯოგინებით ტიპური შეცდომის შესახებ

ცნობილია, რომ სტრუქტურული ლინგვისტიკები გამოყოფენ ტერმინს „ენობრივი მოდელები“ („patterns of language“), ანუ ჩვევები, რომლებიც ახასიათებს ამა თუ იმ ენის მატარებელს. ფრიზი აღნიშნავს, რომ მშობლიური ენის შესწავლა და უცხოური ენის შესწავლა ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მშობლიური ენის შესწავლისას ახალი ჩვევების შექმნა ხდება ჩვევების არარსებობის ფონზე, ხოლო უცხოური ენის შესწავლისას ახალი ჩვევები ძველ ჩვევებს უპირისპირდება და ეს ქმნის სირთულეს (ფრიზი, 1983). რამდენადაც ენა ჩვევების ნაკრებია, ყოველი ახალი ენის შესწავლა გულისხმობს ახალი ჩვევების შეთვისებას. როდესაც ახალი ჩვევა მსგავსია იმ ჩვევისა, რომელიც მშობლიური ენის ათვისებასთან ერთადაა შექმნილი, მაშინ მისი შესწავლა ადვილდება, ხოლო თუ მშობლიურსა და შესასწავლ ენას შორის ენობრივი მოდელების დიდი კონტრასტია, ახალი ენის შეთვისება რთულდება, ანუ თავს იჩენს მშობლიური ენის ინტერფერენცია მეორე ენაში. რობერტ ლადო აღნიშნავს, რომ მსგავსი სტრუქტურები ორ ენას შორის აადვილებს პოზიტიურ ტრანსფერს, განსხვავებული სტრუქტურები კი იწვევს ინტერფერენციას (ლადო, 1957).

გიუნანი (გიუნანი, 2007) გამოყოფს ახალი ენის ათვისების პროცესის შემდეგ მახასიათებლებს:

ტრანსფერი — ბიჰევიორისტული ცნება, რომელიც აღნიშნავს, რომ მშობლიური ენა გავლენას ახდენს უცხოური ენის შესწავლაზე;

ფასილიტაცია — დადებითი ტრანსფერი;

ინტერფერენცია — უარყოფითი ტრანსფერი;

რეტროაქტიური გავლენა — ახალი ენა ახდენს გავლენას ძველზე;

პროაქტიური გავლენა — მშობლიური ენა ახდენს გავლენას შესწავლ ენაზე.

მოცემული მახასიათებლებიდან ინგლისური ენის ქართულ შესწავლელებთან მიმართებაში შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: რამდენადაც ქართული და ინგლისური სხვადასხვა ოჯახის ენებია და, შესაბამისად, უკიდურესად დიდია მათ შორის განსხვავებები ყველა დონეზე (ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი, პრაგმატიკა), ფასილიტაციის შემთხვევებზე, ცხადია, მოცემულ ნაშრომში ყურადღებას ვერ გავამახვილებთ. რაც შეეხება რეტროაქტიურ გავლენას, იგი შეინიშნება თანამედროვე მოზარდების მეტყველებაში, რომლებიც ძალზე ხშირად ხმარობენ ინგლისურ სიტყვებსა და გამოთქმებს ქართულ მეტყველებაში. ვფიქრობ, ეს ცალკე შესწავლის საგანია და ძალზე მნიშვნელოვან და საგანგაშო პრობლემას წარმოადგენს.

მოცემულ ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებ ინტერფერენციის (უარყოფითი ტრანსფერის) და პროაქტიური გავლენის საკითხებზე, რადგან ეს ორი მოვლენა ყველაზე გავრცელებულია ქართველთა მიერ ინგლისური ენის შესწავლის პროცესში და, როგორც წესი, შეცდომებისა და სირთულეების წყაროა.

აქვე აღვნიშნავ, რომ ქვემოთყოფილი ტიპური შეცდომები ჩემ მიერ გამოვლენილია ხანგრძლივი დაკვირვების მანძილზე, ინგლისური ენის ქართული სტუდენტებისთვის სწავლების მრავალწლიანი პრაქტიკის შედეგად. ამხვილებს რა ყურადღებას ქვემოთყოფილ შეცდომებზე, სავარაუდოა, რომ მოცემული ნაშრომი სარგებლობას მოუტანს ინგლისური ენის ქართულ შემსწავლელებს.

როგორც აღვნიშნეთ, ტრანსფერი არის ის მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს უცხოური ენის შესწავლის პროცესში და რომლებიც აიხსნება მსგავსებებით ან განსხვავებებით მშობლიურსა და შესასწავლ ენებს შორის. ტრანსფერი შეიძლება იყოს უარყოფითი ან დადებითი. დადებითი მაგ. ორ ენას შორის მსგავსი დამწერლობა, უარყოფითი ტრანსფერი კი იმაში გამოიხატება, რომ მშობლიური ენის სტრუქტურა გადატანილია შესასწავლ ენაში, რაც შეცდომის წყაროა.

ტრანსფერი შემდეგ დონეებს მოიცავს:

დისკურსი — თავაზიანობა, სამეტყველო აქტები და ა.შ.

სემანტიკა — ლინგვისტიკური ფარდობითობა, კოგნიტიური ლექსიკა, სემანტიკური ველები.

სინტაქსი — სიტყვათა წყობა წინადადებაში, დამოკიდებული წინადადებები, უარყოფა, კითხვითი წინადადებები და სხვა.

ფონოლოგია — ფონეტიკური და ფონემური განსხვავებები, მახვილი, დამწერლობა და კითხვის წესები.

მოცემულ ნაშრომში მოყვანილი შეცდომები ძირითადად სემანტიკისა და სინტაქსის დონეებზეა გამოვლენილი.

სინტაქსური განსხვავებებით გამოწვეული ტიპური შეცდომები, რომლებიც ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელებს ახასიათებს, შემდეგია:

1. ცნობილია, რომ ქართულ ენაში სიტყვას „ერთ-ერთი“ მოჰყვება არსებითი სახელი მხოლოდით რიცხვში, მაგ. „ერთ-ერთი ნიმუში“. შესაბამისად, ინგლისური ენის ქართველი შემსწავლელი მოცემული სტრუქტურის უარყოფით ტრანსფერს ახდენს ინგლისურში და ამბობს/წერს: „One of the book“ ნაცვლად სწორი ვარიანტისა „one of the books“.
2. ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელთ ძალზე უჭირთ „რთული დამატების“ (complex object) სტრუქტურის გათავისება. მიუხედავად იმისა, რომ თავისი სტრუქტურით რთული დამატება საკმაოდ მარტივია, მაგ. I want him to read this book, ქართველი შემსწავლელი ამჯობინებენ ქართული მოდელი გადაიტანონ ინგლისურში და უფრო რთული (თანაც არასწორი) სტრუქტურა იხმარონ: „I want that he reads this book“ (მღრ. „მე მინდა, რომ მან ეს წიგნი წაიკითხოს“). რთული დამატების პრობლემა ძალზე გავრცელებულია და თავს იჩენს არა მარტო დამწყებ შემსწავლელებში, არამედ უფრო გვიანდელ ეტაპებზეც. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტთა ჯგუფში ჩავატარე ექსპერიმენტი და ვთხოვე, გადაეთარგმნათ შემდეგი წინადადება: „მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ის ბედნიერი იყოს“. სტუდენტთა 100%-მა თარგმნა: „I'll do everything because she will be happy“.
3. დიდ სირთულეს იწვევს კითხვითი ფორმების ათვისება, რადგან, როგორც ცნობილია, ქართულში ასეთი ფორმების წარმოება დამხმარე ზმნებსა და ინვერსიას არ მოითხოვს და ზოგადი შეკითხვებისა და თხრობითი წინადადებების გარჩევა ძირითადად ინტონაციით ხდება. გარკვეულ ეტაპზე შემსწავლელი ამ პრობლემას თავს ართმევს, მაგრამ მომდევნო ეტაპზე ახალი პრობლემა იჩენს თავს: კითხვითი შინაარსის მატარებელი

დამატებითი დამოკიდებული წინადადებები ინგლისურში კითხვით ფორმას კარგავს, რაც ხშირად შეცდომის წყაროა. სტუდენტთა თითქმის 90% უშვებს ისეთ შეცდომებს როგორცაა „I don't know where is he“ ნაცვლად „I don't know where he is“. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სტუდენტთა დიდ ნაწილს უჭირს დამოკიდებულ წინადადებებში მაკავშირებლის „Whether“ ხმარება და მათი დიდი ნაწილი ამბობს „I don't know if he is here or not“ (მღრ. „არ ვიცი, აქ არის თუ არა“).

4. დამოკიდებულ წინადადებებთან დაკავშირებით ასევე უნდა აღვნიშნო, რომ ქართველ სტუდენტებს უჭირთ კავშირის „unless“ ხმარება და ამბობენ/წერენ: „I won't buy this dress if there is no sale in this shop“ (ნაცვლად: „I won't buy this dress unless there is sale in this shop“). მაკავშირებლებითაა გამოწვეული შემდეგი გავრცელებული შეცდომა: ქართული „რომლის“ ინგლისურად ითარგმნება, როგორც „of which“, იცვლება სტრუქტურაც, მაგ. „I went to the restaurant, the manager of which was my friend“. ქართველი შემსწავლელი კი ხშირად ამბობს „I went to the restaurant which's manager was my friend“, ანუ ინტერფერენციით გადააქვს ინგლისურში არა მარტო წინადადების სტრუქტურა, არამედ სიტყვას „which“ სვამს ნათესაობით ბრუნვაში, როგორც ეს გვაქვს ქართული „რომლის“-ის შემთხვევაში.
5. მაქვემდებარებელ კავშირებთან დაკავშირებით ასევე უნდა აღვნიშნო, რომ ქართულში „რომელიც“ შეესაბამება როგორც სულიერ, ასევე უსულო არსებით სახელებს, მაგ. „კაცი, რომელიც მიყურებდა“. შესაბამისად, ინგლისური ენის ქართველი შემსწავლელი ხშირად ხმარობენ: „the man which was looking at me“ ნაცვლად იმისა, რომ გამოიყენონ „who“.
6. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მაქვემდებარებელი კავშირი „That“, რომელიც მრავალგვარი შეცდომის წყაროა. უპირველეს ყოვლისა, აქ უნდა აღვნიშნო პუნქტუაციური შეცდომა: ქართულის გავლენით (სადაც მაქვემდებარებელი „რომ“-ის წინ იწერება მძიმე) ინგლისური „that“-ის წინ მძიმის ხმარების შემთხვევები დაფიქსირდა შემსწავლელთა თითქმის 100%-ში. გარდა ამისა, ნაცვლად სწორი ფორმისა „the book that you have in front of you“, ქართველი შემსწავლელი ხშირად ამბობენ „the book which you have in front of you“ (აქაც ქართული „რომე-



- ლიც“ ახდენს გავლენას). მსგავსად ამისა, ხშირია შემთხვევები, რომდესაც ქართული „რაც“ ასევე უცვლელად გადადის ინგლისურში: „Everything what I have read“- (შდრ. „ყველაფერი, რაც წაკითხული მაქვს“) ნაცვლად იმისა, რომ იხმარონ სწორი ფორმა „Everything that...“.
7. კავშირებთან მიმართებაში ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ხშირია სტრუქტურის „როგორც... ასევე“ თარგმნა „as... . . as“ სტრუქტურის გამოყენებით, მაგ. „როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორი უნდა იყოს ჩაბმული ამ საქმიანობაში“ ითარგმნება როგორც „both the state and the private sector should be involved in this activity“, მაგრამ სტუდენტები ხშირად თარგმნიან „as State as private sector should be involved in this activity“.
  8. კავშირი „ამიტომაც“ („და ამიტომაც“) როგორც წესი შეცდომით იხმარება, როგორც „and because“ (ნაცვლად სწორი ფორმისა „That’s why“).
  9. რაც შეეხება სპეციალურ კითხვებს, აქ თავს იჩენს ზოგიერთი კითხვითი სიტყვის პრობლემა. ენის ათვისების საწყის ეტაპზე გვხვდება „How many years are you?“ რადგან სიტყვას „რამდენი“ შესატყვისება „How many“. მომდევნო ეტაპზე ხშირი შეცდომაა „How do you think?“ — „როგორ ფიქრობ?“ (ნაცვლად „What do you think?“).
  10. ცნობილია, რომ ინგლისური ენის ყველა შემსწავლელს (არა მარტო ქართველს) ძალზე უჭირს წინდებულების სწორად ხმარება, რასაც უამრავი სავარჯიშო ეძღვნება ინგლისური ენის ყველა სახელმძღვანელოში. შესაბამისად, ამ საკითხზე აქ არ შეეჩერდები, გამოყოფ მხოლოდ ორ შემთხვევას, რომელიც ყველაზე ხშირად იჩენს თავს: შესწავლის საწყის ეტაპზე ზმნის „wait“ ხმარება „for“ წინდებულის გარეშე (შემდეგ კი, პირიქით, სინონიმური ზმნის „expect“ ხმარება „for“ წინდებულებით). შესწავლის უფრო გვიანდელ საფეხურზე ხშირია არევა ფორმებისა „in spite“ და „despite“, რომლებიც შინაარსობრივად ერთნაირია, მაგრამ პირველი მოითხოვს წინდებულს „Of“, მეორე კი — არა.
  11. პუნქტუაციის შეცდომებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ორი ფორმის „its“(მისი) და „it’s“(=it is) აღრევა, რაც ამ ფორმების ომონიმურობითაა გამოწვეული.

კლიფორდ პრატორი (პრატორი, 1979) გამოყოფს ენობრივი განსხვავებების შემდეგ ღონეებს:

დადებითი ტრანსფერი — მშობლიურსა და შესასწავლ ენებს შორის ორი სიტყვა მსგავსია (მაგ. სიტყვა „ბოთლი“ ქართულში მსგავსია მისი ინგლისური შესატყვისისა „bottle“)

შერწყმა — ერთ ენაში რაიმე ცნება გადმოიცემა ორი სხვადასხვა სიტყვით, მეორეში კი ერთით — his/her ინგლისურში და „მისი“ ქართულში,

არარსებობა — ის, რაც იხმარება ერთ ენაში, არ იხმარება (გამოტოვებულია) მეორეში, მაგ. „do“ კითხვით ფორმაში არის ინგლისურში და არ არის ქართულში.

განსხვავებული ინტერპრეტაცია — lovely— საყვარელი, intelligent-ინტელიგენტი.

გახლეჩა — მშობლიურ ენაში არსებული ერთი სიტყვა მეორეში გადმოცემულია ორით: გარდა — except/besides, შორის — among/between, რომელიც — which/that/who.

სემანტიკური განსხვავებით გამოწვეულ შეცდომებთან დაკავშირებული შემთხვევები აურაცხელია, მაგრამ გამოყოფ რამდენიმე ყველაზე გავრცელებულ შეცდომას:

პრატორის მიერ მოყვანილი განსხვავებული ინტერპრეტაციის მაგალითები შემდეგია:

ა. სიტყვა „intelligent“ ინგლისურში ნიშნავს ჭკვიანს. ამ სიტყვის მსგავსება ქართულში ხმარებულ უცხოური წარმოშობის სიტყვასთან „ინტელიგენტი“ ხშირად არასწორი აღქმისა და თარგმანის წყაროა.

ბ. განსხვავებული ინტერპრეტაციის მაგალითია ასევე სიტყვა „lovely“, რომელიც „მშვენიერს“ ნიშნავს, მაგრამ, რამდენადაც ინგლისური ენის შემსწავლებლებმა იციან, რომ „love“ ნიშნავს სიყვარულს, ისინი ამ სიტყვას თარგმნიან როგორც „საყვარელი“, მაგ. ძალზე ხშირია „my lovely writer“ — „ჩემი საყვარელი მწერალი“ (ნაცვლად სწორი ფორმისა „my favourite writer“).

პრატორის მიერ მოყვანილი „გახლეჩის“ მაგალითები შემდეგია:

გ. ქართული სიტყვა „გარდა“ აღნიშნავს როგორც გამორიცხვას, ასევე დამატებას (ყველა მოვიდა, გარდა ერთი ძველი მეგობრისა“ და „გარდა ამ საქმისა, ბევრი სხვა რამ არის მოსაგვარებელი“).

ეს ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელთა ხშირი შეცდომის წყაროა, რადგან „გამორიცხვის“ მნიშვნელობით ინგლისურში იხმარება „except“, დამატების კი — „besides“.

დ. ქართული სიტყვა „შორის“ ინგლისურში გადმოიცემა სიტყვებით „between“ და „among“. ქართველი შემსწავლელი, რომელიც ამ ორ სიტყვას შორის არსებულ სემანტიკურ განსხვავებებს კარგად არ არის დაუფლებული, ხშირად ურევს მათ ერთმანეთში.

ქვემოთ მოვიყვან სემანტიკურ დონეზე გავრცელებული კიდევ რამდენიმე შეცდომის მაგალითს:

1. ქართული „დროის გატარება“ ინგლისურად ითარგმნება როგორც „spend time“ (მაგ. *I spent a lot of time in this village*), მაგრამ, მოცემულის ანალოგიით, „კარგი დროის გატარებას“ ქართველი თარგმნის „I spend a good time“, რაც შეცდომაა, რადგან მოცემულ კონტექსტში იხმარება ზმნა „have“ (*I had a good time at the party*).
2. სიტყვა „why“ ინგლისურში იხმარება როგორც კითხვითი სიტყვა („რატომ“) ან შორისდებული. ბუნებრივია, კითხვითი სიტყვის მნიშვნელობით მოცემულ სიტყვას ქართველი შემსწავლელი ენის დაუფლების საწყის ეტაპზევე ეცნობა. მაგრამ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი შემსწავლელი უურადღებს არ აქცევს არც კონტექსტს, არც პუნქტუაციას და არც წინანდადების სტრუქტურას და „Why, you are here!“ თარგმნის „რატომ ხარ აქ?“.
3. ძალიან გავრცელებულია შემდეგი შეცდომა: „რაც შეეხება“ ითარგმნება როგორც „as for“, მაგრამ მშობლიური ენის ინტერფერენციით ქართველი სტუდენტები ამბობენ/წერენ „what about...“ (*what about John, he was ill* — რაც შეეხება, ჯონს, ის ავად იყო).

აგრეთვე გამოყოფ ნაცვალსახელებთან დაკავშირებულ ორიოდ შეცდომას:

1. სიტყვა „ყველაფერი“ ინგლისურად არის „everything“, შესაბამისად, „ყველაფერი ეს/ყოველივე ეს“ ქართველი სტუდენტების მიერ ხშირად ითარგმნება როგორც „everything this“, ნაცვლად სწორი ვარიანტისა (*all this*).
2. რაც შეეხება უკუქცევით ნაცვალსახელებს, ყველა კონსტრუქციას, სადაც ქართულში იხმარება „თავი“, ინგლისურად თარგმნიან უკუქცევითი ნაცვალსახელის გამოყენებით: მაგ. „თავი ბედნიერად იგრძნო“ — „he felt himself happy“ (სადაც *himself* სრულიად ზედ-

მეტია). საპირისპირო შეცდომაა უკუქცევითი ნაცვალსახელის გამოტოვება ინგლისურში, რადგან ის მსგავს სიტუაციებში ქართულში არ იხმარება: „I enjoyed at the party“ ნაცვლად სწორი ვარიანტისა „I enjoyed myself at the party“).

ცხადია, უცხოური ენის შესწავლა და სრულყოფილად დაუფლება ძალზე რთულია, მით უმეტეს, როდესაც საქმე გვაქვს ისეთ განსხვავებულ ენებთან როგორებიცაა ქართული და ინგლისური. ბუნებრივია, რომ მშობლიური ენის ინტერფერენცია უცხოური ენის ყველა შემსწავლელში იჩენს თავს და შეცდომის წყაროა. საწუხაროდ, ის სახელმძღვანელოები, რომლებიც ინგლისურენოვან ქვეყნებში შექმნილია ინგლისური ენის უცხოელი შემსწავლელებისათვის, ითვალისწინებს ძირითადად სხვა დასავლეთ ევროპული ენების ინტერფერენციას (მაგ. დიდი ყურადღება მახვილდება ისეთ შემთხვევებზე, როგორიცაა „how many years have you? — რადგან ფრანგულში, ესპანურსა და სხვა ენებში ითქმის — „რამდენი წელი გაქვს?“ და სხვა მსგავს შეცდომებზე). ბუნებრივია, რომ უცხოეთში გამოცემული ინგლისური ენის სახელმძღვანელოები ვერ ასახავს ქართველ შემსწავლელთა ტიპური შეცდომების წყაროებს და სავარჯიშოებიც ვერ იქნება მიმართული ამ შეცდომების აღმოფხვრისაკენ. ამდენად, ვფიქრობ ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელთა ტიპური შეცდომების იმ მცირედი რაოდენობის მოყვანა და განმარტებაც კი, რაც მოცემული ნაშრომის ფარგლებში მოხერხდა, სასარგებლო იქნება ინგლისური ენის ქართველი შემსწავლელებისა და მათი მასწავლებლებისათვის.

ლიტერატურა

**გიუნანი, 2007** — Gynan S.N. Teaching English as a Second Language. TESL 410-Applied Linguistics. Contrastive Analysis and Creative Construction. 2007.

**ლადო, 1957** — Lado R. Linguistics Across Cultures. University of Michigan Press. 1957.

**პრატორი, 1979** — Prator C.H. Celce-Murcia M. “An Outline of Language-Teaching Approaches” in “Teaching Language as a Second or Foreign Language”. Newbury House. 1979.

**ფრიზი, 1983** — Fries C. Linguistics and Reading. Irvington Publishers. 1983.

გამოქვეყნებული ინტერნეტ-საიტები

[www.geocities.com](http://www.geocities.com)

[www.ethnologue.com](http://www.ethnologue.com)

[www.avko.org](http://www.avko.org)

[www.msu.edu](http://www.msu.edu)

[www.lado.edu](http://www.lado.edu)

[www.lado.com](http://www.lado.com)

[www.ac.wvu.edu](http://www.ac.wvu.edu)

[www.lingref.com](http://www.lingref.com)

ირინა დემეტრაძე

## თავდაბლობის ვერბალური გამოხატულება ინგლისურსა და ქართულში

IRINA DEMETRADZE

### On Certain Typical Mistakes of Georgian Learners of English

#### Summary

The paper deals with certain typical mistakes of Georgian learners of English on the pre-intermediate, intermediate and upper-intermediate levels of learning. The teaching experience of many years at the English Department of Tbilisi State University has enabled the author to identify the most typical mistakes of Georgian learners of English. The most common mistakes given in the paper occur on the levels of syntax and semantics, and are caused by native-language interference (negative transfer). Identification of these mistakes and explanation of their reasons will be of use both for the Georgian learners of English and their teachers.

ცნობილია, რომ თავდაბლობა თავაზიანობის განუყოფელი ნაწილია. ბრაუნის და ლევისონის „თავაზიანობას“ ასე განმარტავენ: „თავაზიანობა არის ზრდილობიანი სოციალური ქცევა სოციალურ სიტუაციაში, რაც გულისხმობს ტაქტს, თავდაბლობას, კეთილშობილებას და თანაგრძნობას თანამოსაუბრეებისადმი“ (ბრაუნის და ლევისონის, 2000). როგორც ვხედავთ, თავაზიანობის თეორეტიკოსები თავდაბლობას მიიჩნევენ თავაზიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებლად. ჯერჯერობით, „თავაზიანობის პრინციპის“ ავტორი, თავაზიანობის ერთ-ერთ მაქსიმალურად სწორედ თავდაბლობის მაქსიმალურ მიჩნევას და მას ასე განსაზღვრავს: „მინიმუმამდე დაიყვანე საკუთარი თავის შექება“ (ლიჩი, 1983).

როგორც ცნობილია, თავაზიანობა განუყოფელია „სახის“ ცნებისაგან. ბრაუნისა და ლევისონის მიერ გამოყოფილია „დადებითი“ და „უარყოფითი“ „სახე“. დადებითი სახე მოიცავს სურვილს, რომ ადამიანის მიერ თანამოსაუბრეზე დატოვებული შთაბეჭდილება იყოს მოწონებული. უარყოფითი თავაზიანობა კი გულისხმობს, რომ თანამოსაუბრეს რაც შეიძლება ნაკლებად მოახვიო თავს საკუთარი აზრი ან სურვილი. ჩემი აზრით, თავდაბლობა ორივე სახის სტრატეგიის შერწყმაა, რადგან თავდაბალი ქცევა ყოველთვის ისახავს მიზნად დადებითი შთაბეჭდილების შექმნას, თანაც გამორიცხავს საკუთარი სურვილის თავს მოხვევას თანამოსაუბრისთვის. შესაბამისად, თავდაბლობის სტრატეგიებია ყოყმანი (საყოყმანო სიტყვები, როგორცაა ეჰ, ჰმ) და შემარბილებელი ფრაზები (მაგ. თხოვნის შემთხვევაში: I'm sorry to bother you but.., I know you're very busy, but..). თავდაბლობის გამოხატვა ასევე მოიცავს არაპირდაპირ საუბარს (ბრაუნისა და ლევისონის ტერმინებში „Off record“).

არსებობს სიტუაციები, როდესაც ადამიანებს უწევთ საკუთარ ღირსებებსა და მიღწევებს საუბარი, თავაზიანობის ნორმები კი მათ-

გან უკიდურეს თავმდაბლობას მოითხოვს. ასეთ სიტუაციაში ინგლისელი მიმართავს არაპირდაპირობის სტრატეგიას. კომპლიმენტის მიღების დროსაც კი ინგლისელი მინიმუმამდე ამცირებს და დასცინის კიდევ იმ თვისებას, რომლისთვისაც იგი შეაქვს. ქვეთ ფოქსის თანახმად, რეკლამაც კი ინგლისში განსაკუთრებული იუმორით გამოირჩევა მხოლოდ იმიტომ, რომ ინგლისელებს ტრაბახად და უზრდელად მიაჩნიათ საკუთარი პროდუქციის პირდაპირ შექება. ინგლისელებისთვის მიუღებელია და ტრაბახის ფორმად ითვლება ე.წ. „hard sell“ (ფოქსი, 2004). ცნობილი იუმორისტი ჯორჯ მიკეში წერდა, რომ რეკლამა, რომელიც საკუთარი პროდუქციის ქებას, ანუ ტრაბახს მოიცავს, ინგლისელებისთვის სრულიად მიუღებელია, სამაგიეროდ მისაღებია ასეთი იუმორისტული და თვითირონიის შეცვლილი რეკლამა: „Try your luck on Bumpex fruit juice. Most people detest it. You may be an exception“ (მიკეში, 1984).

გამოცდაზე გასვლის წინ სტუდენტი, რამდენად თავდაჯერებულიც უნდა იყოს, არასდროს იტყვის პირდაპირ, რომ კარგადაა მომზადებული, იგი მუდამ თავს ისე მოაჩვენებს, თითქოს არაფერი იცის და ძლიერ ღელავს, კარგი ნიშნის მიღების შემთხვევაში კი არასდროს აღიარებს, რომ მან კარგად იცოდა საგანი, იტყვის, რომ უბრალოდ ბედმა გაუღიმა.

ჯეფრი ლიჩი აღნიშნავს, რომ მიღებულ კომპლიმენტს არ უნდა დავეთანხმეთ, ამით, მართალია „თავაზიანობის პრინციპის“ „თანხმობის“ მაქსიმას დავარღვევთ, მაგრამ, სამაგიეროდ, შევინარჩუნებთ „თავმდაბლობის“ მაქსიმას და ეს უფრო მნიშვნელოვანია (ლიჩი, 1983).

თავმდაბლობის მაქსიმა ასევე მოითხოვს, რომ მინიმუმამდე შევამციროთ გაწეული შრომის, სამსახურის, ღვაწლის ხაზგასმა. ამდენად, ინგლისურში არსებობს მადლობის საპასუხო მრავალი გამონათქვამი, სადაც მინიმუმამდეა დაყვანილი მოსაუბრის მიერ ჩადენილი სიკეთე: „Not at all“, „Don't mention it“ „Don't be silly“ და სხვა. ასეთი ფატიკური ფრაზები თავმდაბლობის გამოხატულებაა. ეკერსლის თანახმად, ინგლისელი ადამიანი ძლიერ იხნევა, როდესაც მას მადლობას უხდნიან, მორცხვად ბურტყუნებს რაღაცას და საუბარი სასწრაფოდ გადააქვს სხვა თემაზე (ეკერსლი, 1966). უნდა აღინიშნოს, რომ მადლობასა და ქათინაურზე პასუხის დროს მოსაუბრე არღვევს გრაისის კოოპერაციის პრინციპის რელევანტურობის მაქსიმას („ნუ გადაუხვევ საუბრის თემას“) (გრაისი, 1975), რადგან საკუთარი თავის შექებისა

და მადლობების ხანგრძლივი მოსმენა დაუმეგბელია სამეტყველო ეტიკეტის ნორმებით, რომლებიც თავმდაბლობასა და მოკრძალებას აიძულებს მოსაუბრეს.

თავმდაბლობის გამოხატვა ინგლისურსა და ქართულში ხდება ასევე სინტაქსური საშუალებებით, მაგალითად, ისეთ წინადადებებში, სადაც არის რამდენიმე ქვემდებარის ჩამონათვალი, რომელთაგან ერთ-ერთი პირველი პირია. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, ჯერ ვახსენოთ სხვები და მერე საკუთარი თავი, მაგ: „John and I“, ქართულში პირველად საკუთარი თავის მოხსენიება უფრო მიღებულია, მაგრამ ოფიციალურ საუბარში ხშირია თავმდაბლობის გამოხატვის ასეთი ნიმუშები: „ბატონი გიორგი, ბატონი ლევანი და თქვენი მონა-მორჩილი“.

ქვეთ ფოქსის თანახმად, ინგლისელები სულაც არ აფასებენ საკუთარ თავს ნაკლებად, ვიდრე სხვა ერის წარმომადგენლები, და მაინც, თავმდაბლობა და მოკრძალება მათი ცხოვრების წესია და მოიცავს თავის ქების აკრძალვას, საკუთარი თავის დამცირებასა და დაცივასაც კი. ამდენად, როდესაც ინგლისელი ამბობს: „I do a bit of sport“, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი სულ მცირე ოლიმპიური ჩემპიონია, თუ ინგლისელი იტყვის: „Well, I suppose I know a little bit of that“ ეს ნიშნავს, რომ იგი მოცემულ სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ექსპერტია, ხოლო, როდესაც ვინმე სხვა აღნიშნავს მის მიღწევას, ინგლისელისთვის სტანდარტული პასუხია „Not as hard as it looks/just lucky“. ფოქსის თანახმად, ინგლისური თავმდაბლობის წესები მოიცავს როგორც ამკრძალავ, ასევე იძულებით წესებს. ამკრძალავ წესებში შედის ყოველგვარი ტრაბახისა და თავის გამოჩენის, საკუთარი თავის ან საქციელის მნიშვნელოვნების ხაზგასმის აკრძალვა, ხოლო იძულებით წესებში შედის თავის დამდაბლებისა და საკუთარი თავის დაცივნის აუცილებლობა. ეს ერთგვარ თამაშს წააგავს, სადაც საკუთარ წარმატებასა და პრესტიჟზე საუბარი დაუმეგბელია პირდაპირი გზით, თვითირონიის გარეშე (ფოქსი, 2004). აღსანიშნავია, რომ ამ წესებს ინგლისელი ადამიანი ავტომატურად, გაუცნობიერებლადაც კი იცავს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მათი თანამემამულეებისთვის თამაშის ეს წესები ადვილად აღსაქმელია და როდესაც თავმდაბლური დაცინვა ჟღერს საკუთარი მიღწევების მიმართ, მსმენელმა იცის, რომ სრულიად საპირისპირო უნდა იგულისხმოს. მაგრამ უცხოელებთან ურთიერთობაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ისინი არასწორად აღიქვამენ ინგლისელების თავმდაბლობასა და თავის

ირონიულ დამცირებას და მართლაც იჯერებენ, რომ ისინი დიდს არას წარმოადგენენ საზოგადოებაში. თავმდაბლობა განსაკუთრებით ვლინდება ფულთან მიმართებაში: მილიონერი ინგლისელიც კი მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში და დიდი სიფრთხილით აღიარებს: „I'm quite well off I suppose“.

ინგლისური თავმდაბლობა აგრეთვე ვლინდება საკუთარ შვილებზე ლაპარაკისას. ცხადია, ინგლისელებს არანაკლებ უყვართ შვილები და ამაყობენ მათი მიღწევებით, ვიდრე ნებისმიერი სხვა რომელიმე ერის წარმომადგენლებს, მაგრამ ამის გამოაშკარავება დაუშვებელია. ინფორმანტების ცნობით, როდესაც ადამიანი ისმენს, თუ როგორ საუბრობს ინგლისელი დედა საკუთარ შვილზე, მას ეჭვიც კი შეეპარება დედაშვილური სიყვარულის არსებობაში. თავმდაბლობის წესები აქაც კრძალავს შვილების ქებას და აიძულებს მშობლებს დაამცირონ საკუთარი შვილები და დასცინონ მათ. ქებით ფოქსის თანახმად, შვილებზე საუბრის აუცილებელი თანმხლები ქცევა მოიცავს შემდეგს: „თვლების ნაღვლიანად გადატრიალება, ღრმად ამოხვრა, წუწუნი იმის შესახებ, თუ რა დამღლევი, ხმაურიანი, ზარმაცი და აუტანელია ჩვენი შვილი“. ხოლო, თუ სხვა ადამიანი შეაქებს ინგლისელის შვილს, მშობელი დაუყოვნებლივ უარყოფს ამას, გაიკვირებს, ჩაიჭირებს და წუწუნს მოჰყვება, რომ მისი შვილი მთელი დღე აუტანელ მუსიკას უსმენს და კომპიუტერის თამაშის მეტს არას აკეთებს. თუ მისი თანამოსაუბრე ინგლისელია, იგი, თავის მხრივ, ამის საპასუხოდ მინიმუმამდე დაიყვანს საკუთარი შვილის ღირსებებს, მოჰყვება, რომ მისი შვილი არ მეცადინეობს, მთელი დღე სკეიტბორდით სრიალებს, ყურად არ იღებს დედის რჩევებს და ა.შ. არადა, ამ დროს ორივე მათგანის შვილი გენიოსია და ოქსფორდშია მიწვეული ლექციების წასაკითხად. საკუთარი შვილების მიღწევებზე საუბარი დასაშვებია მხოლოდ ოჯახის უახლოეს ადამიანებთან და ისიც გარკვეულწილად. სხვებთან ეს ყოვლად დაუშვებელია და ის მშობლები, რომლებსაც რაიმე საქებარი წამოსცდებათ საკუთარი შვილების შესახებ, უმალ გამოიწვევენ მსმენელთა გაოცებას, წარბის აწევას და შეიძლება მალე მათთან ურთიერთობაც გაწყვიტონ (ფოქსი, 2004).

თავმდაბლობის წესებითაა განპირობებული ისიც, რომ ინგლისური საუბრის განუყოფელი ნაწილია „understatement“ - შემცირება/შეზღუდვა, ჯორჯ მიკემის თანახმად, ეს არა მარტო ინგლისური იუმორის განუყოფელი ნაწილია, არამედ ინგლისელთა ცხოვრების სტილია (მიკეში, 1984). ამდენად, როდესაც ინგლისელი ამბობს „Not

bad“ უნდა ვიგულისხმოთ „absolutely brilliant“, მით უფრო, თუ ეს ფრაზა საკუთარ ან ოჯახის წევრების მიღწევებსა და თვისებებს შეეხება. ასევე დაუშვებელია თავდაჯერებულობის გამოხატვა. ამდენად, როდესაც ინგლისელი ამბობს „Well, I expect we'll manage somehow“ იგი გულისხმობს „Yes, certainly, no trouble“. თავმდაბლობის წესები ასევე გამორიცხავს ბრძანებითი კილოს ხმარებას, ქვეშევრდომების მიმართაც კი. ასევე გამორიცხულია პირდაპირი კრიტიკა. ამდენად, როდესაც ინგლისელი ღირექტორი თანამშრომელს ეტყვის: „That would be quite helpful“ იგი გულისხმობს: „For Christ's sake, that should have been done yesterday“, ანუ თავმდაბლობისა და არაპირდაპირობის სტრატეგიები ასეთ შემთხვევაში განუყოფელია ერთმანეთისაგან. იგივე ვლინდება თხოვნის შემთხვევაშიც, რომელიც, ბრაუნისა და ლევისონის თანახმად, ისედაც „სახის“ შელახვის რისკს მოიცავს (ბრაუნი და ლევისონი, 2000). ამდენად, როდესაც თავმდაბალი ინგლისელი ადამიანი თხოვნის სამეტყველო აქტს ახორციელებს, იგი უამრავ შემამზადებელ ფრაზას იყენებს „Sorry to bother you, but...“ „Sorry for the disturbance, but...“ „I'm afraid I have to ask you of a favour“ და მრავალი სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ „understatement“ და თვითირონია არღვევს გრაისის კოოპერაციის პრინციპის ხარისხის მაქსიმას („ილაპარაკე სიმართლეს“) (გრისი, 1975), მაგრამ ამ შემთხვევაში ეს დარღვევა გამართლებულია თავაზიანობის ნორმებით და თავმდაბლობის წესით.

ინგლისური თავმდაბლობა ასევე გამოიხატება პასუხში შეკითხვაზე „How are you?“. ინგლისელი ასეთ დროს, როგორც წესი, ამბობს „Fine, thank you“ და არავითარ შემთხვევაში არ იწყებს წუწუნს საკუთარ პრობლემებზე. როგორც ერთ-ერთმა ინგლისელმა ინფორმანტმა აღნიშნა, ინგლისელი ადამიანი, თუნდაც მას სამი ტყვია ჰქონდეს მოხვედრილი და საშინელი ტკივილისგან იტანჯებოდეს, არავითარ შემთხვევაში არ დაიწყებს წუწუნს თავის პირად უბედურებაზე და მაინც „Fine, thank you“-ს გვიპასუხებს, რადგან თავმდაბლობის ნორმები აიძულებს ამას. ამის დამადასტურებელი მაგალითია ასევე დედოფალ ვიქტორიას მიერ სიკვდილის წინ წარმოთქმული ფრაზაც: როდესაც მას ჰკითხეს, როგორ გრძნობდა თავს, მან უპასუხა: „I feel a little better“, ანუ თვით დედოფალიც კი დაემორჩილა თავმდაბლობის მაქსიმას.

როდესაც ძლიერ ნიჭიერი ადამიანი აშკარად ამყვანებს თავის ნიჭიერებას და ლაპარაკობს ამაზე, ან ზედმეტად ინტელექტუალურ

თემებს ეხება საუბარში, ინგლისელებს ეს ამკარად არ მოსწონთ. ასეთ დროს ძლიერ გავრცელებული საპასუხო ფრაზაა, „Oh! Come off it!“. ფოქსი წერს: „We don't mind people being brainy or clever, as long as they don't make a big song-and-dance about it, don't show off and don't take themselves too seriously“. მისივე მიხედვით, „თავმდაბლობის წესები“ ინგლისელების „კულტურული დნმ“ და ინგლისური ენის „გრამატიკის წესებია“. ენტონი მაიალის თანახმად, ინგლისური იუმორი ძნელად აღსაქმელია უცხოელებისათვის, რადგან იგი ძირითადად ემყარება ინგლისელთა ხასიათის თვისებების დაცინვას: „ინგლისელები არასდროს ამბობენ იმას, რასაც გულისხმობენ, უფრო სწორად, სრულიად საპირისპიროს ამბობენ. მათ მიდრეკილება აქვთ გაჩუმებისა და შებოჭილობისაკენ, თავმდაბლობისა და სათქმელის შემცირებისაკენ (understatement). ხოლო მათი იუმორი სწორედ ამ თვისებების ხასხასისაკენაა მიმართული.“ (მაიალი, 1993).

ბუნებრივია, ქართულ ყოფაშიც, ისევე როგორც ინგლისურში, მრავლადაა სიტუაციები, როდესაც აუცილებელია თავმდაბლობის მაქსიმის დაცვა, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული „დადებითი თავაზიანობის“ კულტურაა, ამდენად, აქ მეტი სიახლოვე, სითბო და პირდაპირობა შეინიშნება. ინგლისურთან შედარებით, ბევრად ნაკლებია არაპირდაპირი საუბარი და understatement. ქართველი არ ერიდება თავდაჯერების გამოხატვას, იქნება ეს გამოცდა თუ სხვა ცხოვრებისეული სიტუაცია. ქართული რეკლამა საკუთარი პროდუქციისადმი საქებაარ სიტყვებს არ იშურებს.

რაც შეეხება კომპლიმენტების მოსმენას, ბუნებრივია, ქართველს, ისევე როგორც ინგლისელს, სიამოვნებს ქათინათურის მოსმენა, მაგრამ თავმდაბლად იღებს მას: უბრალოდ მადლობას ამბობს, ღიმილით ან მოკრძალებული თავდახრით, შესაძლოა უარყოს კიდევ: „ვაი, რა ლამაზად გამოიყურები!“ — „კაი, კაცო, რას ვგავარ, ლამაზი კი არა, დღეს სარკეში რომ ჩავიხედე, გული გამისკდა“. ყველაზე ხშირია საპასუხო კომპლიმენტები, სადაც მოსაუბრე მინიმუმამდე ამცირებს საკუთარ შექებულ თვისებას და მაქსიმალურად ცდილობს ეს საქებაარი თვისება თანამოსაუბრეს მოარგოს.

რაც შეეხება შვილების შექებას, აქ ქართველები ბევრად ნაკლებად კრიტიკულნი არიან, ვიდრე ინგლისელები და დიდი კმაყოფილებითა და სიამოვნებით ისმენენ თავიანთი შვილების ქებას.

ქართულ ყოფაში თავმდაბლობის გამოხატვა ხდება თხოვნის შემთხვევაშიც, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, თავისთავად „სახის“

შელახვის რისკის შემცველი აქტია. ამდენად, გამოიყენება რისკის შემარბილებელი შემდეგი ვერბალური საშუალებები: „უკაცრავად, რომ გაწუხებთ, მაგრამ“, „თუ შეიძლება, ერთი ფინჯანი ყავა მომიტანეთ“ და სხვა. ასევე გამოიყენება შეკითხვის ფორმა უარყოფითი სიტყვით „ვერ“ (მაგ. „ცოტა ხანს ვერ დამელოდები?“) ან კიდევ უფრო ინტენსიური ფორმა „ხომ ვერ“ („ერთი კვირით ას ლარს ხომ ვერ მასესხებდი?“). ამ საშუალებების გამოყენება განსაკუთრებით აუცილებელია ოფიციალურ რეგისტრში.

თავმდაბლობის გამოხატვა ხდება ასევე შემდეგ პასუხებში: ა. შეთავაზებაზე: „ნუ წუხდებით, ჩემი გულისთვის სუფრას ნუ გაშლით“, „ჩემი გულისთვის ნუ გაირჩებით“; ბ. მადლობაზე: „არაფრის“, „რისი მადლობა“ „რა შეწუხებაა“ „არ გრცხვენია, რისი მადლობა“ და სხვა; გ. საჩუქრის მიღებისას: „ვაი, ასე რატომ შეწუხდით“ „ჩემი გულისთვის ასე რატომ დაიხარჯეთ“ „ეს ჩემთვის ზედმეტად ძვირფასი საჩუქარია“ და სხვა.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ქართველები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ სუფრის რიტუალს და ხშირად პატიუებენ ერთმანეთს. დაპატიუებების შემთხვევაში ქართული თავმდაბლობა იმაში გამოიხატება, რომ მასპინძელი ყოველთვის ამცირებს იმ სუფრის მასშტაბებს, რომელიც მან გააწყო, მაგ. „ამ საღამოს პატარა სუფრა მაქვს და თუ გვიკადრებთ, მოხარული ვიქნები“, „მთლად შენი საკადრისი სუფრა ვერ გავშალე, მაგრამ ხომ გაგიგია, პური, ყველი და კეთილი გულიო“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესწილად თავმდაბლობის ასეთი გამოხატულებები შეეხება ისეთ სუფრებს, რომლებიც დიდი სიუხვით გამოირჩევა და, როგორც ამბობენ, „ჩიტის რძეც არ აკლია“, მაგრამ ქართულ ყოფაში მასპინძლის ასეთი თავმდაბლობა სამეტყველო ეტიკეტის ნორმაა.

ამრიგად, თავმდაბლობის გამოხატვა ენაში თავაზიანობის განუყოფელი ნაწილია. თავმდაბლობის ფორმულები თავს იჩენს როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ სამეტყველო ეტიკეტში. მართალია, ბუნებით ზოგი ადამიანი მეტად თავმდაბალია, ზოგი კი ნაკლებად, მაგრამ მოცემული ნაშრომის მიზანი იყო არა თავმდაბლობის, როგორც პიროვნული თვისების შესწავლა, არამედ თავმდაბლობის გამოხატვის ის ვერბალური საშუალებები, რომლებიც თავს იჩენს ინგლისურ და ქართულ სამეტყველო ეტიკეტში. ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ფორმულები ორივე ენაში მრავლადაა, თუმცა, რიგ შემთხვევაში, განსხვავდება ის ყოფითი სიტუაციები,

რომლებთან მიმართებაშიც თავმდაბლობის ხარისხი უფრო მაღალია ერთგან (მაგ. შვილების ქების მოსმენა ინგლისურ ყოფაში) ან მეორეგან (მაგ. დაპატივებები ქართულში). თავმდაბლობის ფორმულები კიდევ ერთხელ ადასტურებს მარიო პეის ცნობილ გამონათქვამს: „თავაზიანობის ფორმულების საშუალებით შეიძლება ბევრად უფრო ღრმად ჩავწვდეთ ერის ფსიქოლოგიას, ვიდრე ისტორიკოსთა ნაშრომების მთელი რიგი ტომების შესწავლით“ (პეი, 1961).

ლიტერატურა

**ბრაუნი და ლევინსონი, 2000** – Brown, P. Levinson, S. C. Politeness: Some Universals in Language Usage, Cambridge University press, 2000.

**გრისი, 1975** — Grice, H.P. Logic and Conversation. In Cole and Morgan (eds.) 1975.

**ეკერსლი, 1966** — Eckersley, C.E. Essential English for Foreign Students. Foreign Language Press. Sofia. 1966.

**ლიჩი, 1983** — Leech, G. Principles of Pragmatics. London. New York. 1983.

**მაიალი, 1993** — Miall, A. The Xenophobe's Guide to the English. Ravette Books. 1993.

**მიკეში, 1984** — Mikes, G. How to Be a Brit. London. Routledge. 1984.

**პეი, 1961** — Pei, M. The Story of Language. London. Unwin University Books. 1961.

**ფოქსი, 2004** — Fox, K. Watching the English. The Hidden Rules of English Behaviour. Hodder. 2004.

IRINE DEMETRADZE

## The Verbal Expression of Modesty in English and Georgian

### Summary

Modesty is an inalienable part of politeness. G. Leech has distinguished a maxim of modesty as one of the key maxims of his „Politeness Principle“, whereas Brown and Levinson identify modesty as a key factor of politeness, alongside with tact and sympathy.

Modesty is closely linked with the notion of „face“. In modesty both positive and negative face are combined, as modest behaviour is always aimed at creating a positive impression and modesty always avoids the imposition of one's will on the hearer. Therefore the strategies of modesty include: hesitation and mitigating phrases. Modesty also embraces off-record speech.

The given paper analyses the verbal ways of expression of modesty in English and Georgian. The author distinguishes the following situations where modesty plays a key role: modesty in advertising, answers to compliments, thanks, offers, reaction to receiving presents, minimizing of one's own talents and achievements, minimizing of praise of the members of family, modesty strategies while making requests, concealment of one's private problems, understatement etc. The author also discusses the syntactic means of expressing modesty e.g. the mention of one's own self while enumerating people.

The author argues that there are numerous ways of verbal expression of modesty. However, in various situations the degree of expressing modesty is higher in one culture than in another (e.g. reacting to the praise of one's children in English culture or making invitations in Georgian culture).

## თავარ თვალაჲ

**შორისდგომულით გადმოცემული ემოციების  
შეფასების ნიშნები**

ადამიანის ემოციები და მათი ენობრივი გამოხატვის მექანიზმი მუდამ იყო და იქნება მეცნიერული კვლევების ერთ-ერთი საგანი. ადამიანის ემოციები წარმოადგენენ „რეაქციებს შინაგანი და გარეგანი გამაღიზიანებლების ზემოქმედებაზე, რომლებსაც აქვთ მკვეთრად გამოხატული სუბიექტური შეფერილობა და მოიცავენ გრძნობიერებისა და განცდების ყველა სახეობებს“ (იზმაკი, 1980, 47) ისინი წარმოადგენენ სამყაროს ასახვის ერთ-ერთ ფორმას. ამასთან ისინი ასახავენ რეალური სამყაროს არა საგნებსა და მოვლენებს, არამედ დამოკიდებულებებს, რომლებშიც ისინი იმყოფებიან ადამიანთან, ანუ არა საგნებისა და მოვლენების თვისებებს, არამედ მათ მნიშვნელობებს ადამიანთა ცხოვრებისთვის. ემოციები წარმოადგენენ ადამიანთა ცხოვრებისათვის ამ მნიშვნელობების შეფასების მეთოდს და მას შემდეგ ინფორმაციას შინაგანი “შე“-ს, მისი ცნობიერებისა და ფსიქიკის მდგომარეობის შესახებ. ეს არის ადამიანის მიერ საგნობრივი სამყაროს არა პირდაპირი, რაციონალური აღქმა, არამედ ადამიანის სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვა მის მიმართ. „ემოციურობის კატეგორია ასახავს ადამიანის მგრძნობელობას ემოციური სიტუაციებისადმი და მათზე ემოციურ ან მგრძნობიარე რეაქციებს. (შახოვსკი, 1987, 23-24).

ლინგვისტიკას აინტერესებს, — როგორ, რა გზით, რისთვის, რა მიზნით და ა.შ. აღნიშნავს თუ გამოხატავს მეტყველების ესა თუ ის ერთეული ემოციას. ემოციების გამოხატვა ხორციელდება ორი მეთოდით, ფიზიოლოგიურით და კომუნიკატიურით. პირველი მათგანი წარმოადგენს შინაგან ფორმას, რომელიც თავისი შინაგანი ფორმით თანაფარდობითაა ობიექტური სინამდვილისა, რომლითაც შეესაბამება კომუნიკატიური ემოციურობა. კომუნიკატიურ ემოციურობას აქვს ორი ნაირსახეობა: სიტყვიერი და არასიტყვიერი. ემოციის გამოხატვის სიტყვიერი ფორმა გადმოიცემა ლინგვისტური საშუალებებით,

არასიტყვიერი პარალინგვისტიკურით (ვინოკური, 1980, 30). ადამიანური აზროვნება არის სინამდვილის შეცნობის ლოგიკური და მგრძნობელობითი ერთობლიობა. აზროვნების ლოგიკურ და სინამდვილის ფაქტებისადმი და მოვლენებისადმი ემოციურ დამოკიდებულებას შორის არ არსებობს მკვეთრად გამოყოფილი საზღვრები. აფექტური რეაქციის ელემენტებს შეუძლია გადავიდეს ლოგიკური განმარტების კატეგორიაში. მეორე მხრივ, გამოთქმის ემოციურ ელემენტებში განსაზღვრულია ის საერთო მნიშვნელოვანი და ობიექტური, რაც დევს სუბიექტური შთაბეჭდილებების ფუძეში. „ადამიანის ცხოვრებისა და შემეცნებითი მოღვაწეობის მოქმედების ყველა არეში ემოციურობის ღრმად შეჭრა აიხსნება იმით, რომ ადამიანის ცნობიერება არა მარტო ობიექტურად გამოხატავს სინამდვილეს, არამედ აგრეთვე შეაქვს გამომსახველობით სახეებში სუბიექტური ემოციური შთაბეჭდილება. ემოციურობის ასეთი შეღწევა დაკავშირებულია აგრეთვე იმ ფაქტთან, რომ სინამდვილის გაცნობიერებას თან ერთვის იმისი შეფასება, რასაც აღვიქვამთ, კერძოდ, გამოთქმის შინაარსისადმი და საერთოდ სიტუაციისადმი. მოსაუბრის აღქმითი-შეფასებითი დამოკიდებულების ბაზაზე ფორმირდებიან ემოციური მეტყველების სხვადასხვა ტიპები“ (რაზინკინა, 1982, 10).

პრაგმატული სიტუაციის კომპონენტებად, რომლებიც განსაზღვრავენ მეტყველებაში ემოციურ-შეფასებითი სიტყვის ფუნქციონირებას, ანუ მოსაუბრის მიერ მის შერჩევასა და გამოყენებას, უნდა ჩაითვალოს: 1) რეალის არსებობა, ნიშნები და თვისებები, რომლებიც შეესაბამებიან (დადებითი ემოციები), ან არ შეესაბამებიან (უარყოფითი ემოციები) მოსაუბრე სუბიექტის სამყაროს ფასეულ სურათს. 2) მოსაუბრის კომუნიკატიური განზრახვა გამოხატოს ამ საბაბით მისი დამოკიდებულება 3) პირობები, რომლებსაც ხორციელდება მეტყველური ურთიერთობა, ისეთი პარამეტრების გათვალისწინებით, როგორცაა ურთიერთობის მდგომარეობა (ოფიციალური/არაოფიციალური), ურთიერთობის ტიპი (ურთიერთპიროვნული/არაურთიერთპიროვნული), კომუნიკანტების სოციალურ-როლური დამოკიდებულება. 4) მოსაუბრეში ემოციური დამოკიდებულების წარმოქმნა.

სტატიაში მიღებულია ემოციური დამოკიდებულების ან ემოციის განმარტება, როგორც ადამიანის დამოკიდებულების განსაკუთრებული ფორმა სინამდვილის მოვლენებისადმი, განპირობებული მათი შესაბამისობით/ არ შესაბამისობით ადამიანის მოთხოვნილებებისადმი.



სტატიის მიზანია შორისდებულით გამოხატული ემოციების შეფასებითი ნიშნების განსაზღვრა. ემოციური და მისი გამომსახველობის როლის მნიშვნელობაზე ასახულია შ. ბალის კონცეპციაში. იგი თვლის, რომ ჩვენს ყველა შეგრძნებას თან ახლავს კმაყოფილების ან უკმაყოფილების გრძნობა. საგნები შესაბამისად ახდენენ ჩვენზე ან სასიამოვნო ან არასასიამოვნო შთაბეჭდილებას და იყოფიან ორ კლასად: ისინი, რომლებიც გვახარებენ, და ისინი, რომლებიც იწვევენ დარდს (ბალი, 1966, 23).

შორისდებულები შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც სპეციალიზებული ემოტივები — ემოციის გამოხატვის ძირითადი საშუალებები იმდენად, რამდენადაც სწორედ ემოცია წარმოადგენს მის ძირითად ფუნქციურ დატვირთვას. ემოციურობა ფართო გაგებით მოიცავს ემოციის ასახვას ყველა ენობრივი საშუალებებით. ემოციურობის ასეთი გააზრება აერთიანებს სხვადასხვა ენობრივ ერთეულებს. ემოციური მნიშვნელობის ვიწრო გაგება განიხილება, როგორც მოსაუბრის ემოციის გამოხატვის საშუალება, რაც მოიცავს ემოციურად შეფერილ ლექსიკასა და შორისდებულებს. „ემოციურად შეფერილი სიტყვები, გამოხატავენ რა ადამიანის გრძნობებს ყოველთვის ქმნიან მეტყველებას გამომსახველობითს (გალკინა-ფედორუკი, 1958, 124). ასეთ მეტყველებაში სუბიექტურ-შეფასებითი ელემენტები თამაშობენ კონსტრუქციულ როლს. თუ ლოგიკური ენისათვის შედარებით გამოყოფილ საზღვრულ ფორმას წარმოადგენს ტერმინი, ემოციური ენისათვის ასეთ როლს თამაშობს შორისდებული (რაზინკინა, 1982, 27).

ემოციების ფართო დიაპაზონის ამსახველი შორისდებულების ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტი განპირობებულია კონტექსტით და კომუნიკაციური დამოკიდებულებით, რომელიც წარმოგვიდგება როგორც სპეციფიკური კომუნიკაციური დავალება-გრძნობების გამოხატვა და ნება-სურვილის გამოვლინება, გრძნობებისა და ნება-სურვილის გამომხატველი შორისდებულებები წინადადებებში ყველაზე ხშირად გამოდიან „ემოციურად ნების გამოთქმის განკერძოებული წევრის“ როლში, რათა თავისი ფუნქციით მიამსგავსოს წინადადებაში პარენტეტულად შეტანილი სახესხვაობები ჩართულ სიტყვებს. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ შორისდებულებით გადმოცემული ემოციური მნიშვნელობა შესაძლებელია რეალიზდეს მხოლოდ ინფორმაციის ფონზე, თვით შორისდებული კი ემოციური ელემენტის როლში თა-

ვისი მნიშვნელობით ვარიანტს მოსაუბრის კომუნიკაციური დამოკიდებულების შესაბამისად და შეუძლია მიანიჭოს გამოთქმას ან მის ზოგიერთ ნაწილს საჭირო ემოციური კოლორიტი.

ერთი და იგივე მოვლენა შეიძლება სხვადასხვაგვარად შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რა გუნებაზეა ადამიანი ან რა თვალსაზრისით უცქერის მოვლენას. ამიტომ გრძნობათა გამომხატველ შორისდებულებში ყოველთვის მოცემულია სუბიექტური შეფასება. როგორც მრავალფეროვანია ბუნების მოვლენები და საზოგადოებრივი ურთიერთობის გამოვლენის სახეები, ისევე მრავალფეროვანია შორისდებულებიც. ამ მოვლენათა განცდის გამო ისინი განსხვავდებიან სხვადასხვა დროის მიხედვით ერთსა და იმავე ადამიანის მეტყველებაში. მოსაუბრის ემოციურ განცდაზე მიანიშნებს გამოთქმებისას სიტყვების წარმოშობა, რომლებიც დამაგრებულია მოცემულ ენაში მეტყველების ემოციური ფუნქციის მომსახურებისათვის. რამდენადაც ემოციური ფუნქცია წარმოადგენს ენის ერთ-ერთ ფუნქციას, მასში ფორმირდება განსაზღვრული ემოციური კოდი, როგორც ლინგვისტიკური უნივერსალია თავისი საშუალებების ნაერთით, მათ ყველა დონეზე ფონოლოგიურიდან სტრუქტურულამდე.

ჩვენი კვლევის უშუალო ობიექტია შორისდებულის, როგორც კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმის, საშუალებით გამოხატული ემოციების შეფასების ნიშნები. ემოციური შეფასების არსებობა გვაძლევს ინფორმაციას საგნის, მოვლენის, ფაქტის მიმართ, რამდენადაც ასეთი შეფასება მიუთითებს საგნის უნარზე, გამოიწვიოს ადამიანში განსაზღვრული მგრძობელობითი რეაქცია. თავის მხრივ ასეთი რეაქციის თავისებურება მეტყველებს ამ საგნის შინაგან თვისებებზე. სინამდვილის შეცნობის პროცესი დაკავშირებულია ემოციური რეაქციის წარმოქმნასთან. ემოციური მნიშვნელობა და სიტყვის ემოციური შეფერილობა წარმოადგენს ჰომოგენურ მოვლენას, მიანიშნებენ ადამიანის აფექტურ ემოციურ რეაქციაზე. პირველი გამოხატავს ადამიანის გრძნობებს უშუალოდ (აღტაცება, შიში), მეორე გამოჩნდება სიტყვაში, სიტყვის საგნობრივ-ლოგიკური მნიშვნელობის სპეციფიკასთან კავშირში, ორივენი ქმნიან სუბიექტურ-მგრძობელობით დამოკიდებულებებს, დადებითს ან უარყოფითს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვებს, რომლებითაც გადმოიცემა მოვლენების შეფასება, მოსაუბრის თვალსაზრისით /მავალითად: „საშინელი“, „საზარელი“, „საყვარელი“, „ზიზლი“/ არა აქვთ არავითარი დამოკიდებულება ემოციურ

ლექსიკასთან, რამდენადაც ასეთი სიტყვები არ გამოხატავენ უშუალოდ თვით გრძნობებს, არამედ მხოლოდ აღნიშნავენ მათ გარემოებით ცნებებს. სიტყვას „ზიზლი“ აქვს კონცეპტუალური საგნობრივ ლოგიკური მნიშვნელობა, ხოლო სიტყვას „ფუ“ აქვს ემოციური მნიშვნელობა, რომელიც უშუალოდ უკეთებს რეალიზაციას ემოციას. მასადამე, „ემოციური მნიშვნელობა, როგორც ასეთი არსებობენ მხოლოდ შორისდებულებში“ (რაზინკინა, 1982, 46). აქვე აღნიშნავთ, რომ „ემოციური და ექსპრესიული თვისებების გამოკვლევა, ნაციონალური ენის საშუალებების შესწავლა მათი გამომსახველობის თვალსაზრისით, მიეკუთვნება ძირითად ან ერთ-ერთ რიგს ლინგვისტური სტილისტიკის ძირითადი პრობლემებიდან.

საერთოდ მიღებულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც ემოციები, რომლებიც გამოსახავენ მოსაუბრის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, განუყრელ კავშირში არიან შეფასებასთან, რომელიც წარმოგვიდგება როგორც რეაქცია სუბიექტისა ობიექტზე შესაბამისად განსაზღვრული ნორმის ჭრილში და ორგანიზდება ობოზიციის გარემო სწორი — არასწორი, კარგი — ცუდი, სასიამოვნო — არასასიამოვნო (გაკი, 1986, 63). თუმცა არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ემოცია „შეფასების გარეშე“; მაგალითად, გაკვირება, ცხადია, სიტუაციიდან გამომდინარე გაკვირება იქნეს ან დადებით ან უარყოფით შეფასებით ნიშანს და, ამგვარად, ყოველ კონკრეტულ რეალიზაციაში ემოციებს თან ახლავს შეფასებები.

ამდენად, შეფასებითი ნიშნიდან გამომდინარე ემოციები იყოფიან დადებითად და უარყოფითად, ზოგჯერ ამ დაყოფაში რთავენ ამბივალენტურ ამბიციებს, ანუ ისეთ ამბიციებს, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ შეფასების ნიშანი. ემოციების მოცემული დაყოფის შესახებ კ. იზრაკი გამოთქვამს კრიტიკულ შენიშვნას, იმ როლიდან გამომდინარე, რომლითაც ემოციები თამაშობენ ადამიანის ცხოვრებაში, წარმოადგენენ რა მისი მოქმედების მოტივირებულ საფუძველს. ამ თვალსაზრისის კუთხით შიშის ემოცია, რომელსაც ზოგიერთ სიტუაციაში შეუძლია ხელი შეუწყოს დამანგრეველი აგრესიულობის რეგულაციას და სოციალური წესრიგის განმტკიცებას, არ შეიძლება განსჯის გარეშე განვიხილოთ როგორც უარყოფითი. ჩვენ კი ვყოფთ რა ემოციებს დადებითად და უარყოფითად, გამოვდივართ სუბიექტის ობიექტზე შემოქმედების არსიდან, რაც წარმოადგენს ემოციის მიზეზს და შესაბამისად არ ვითვალისწინებთ იმ დადებით ან

უარყოფით როლს, რომელიც შეიძლება შეასრულოს ამ ემოციამ როგორც ერთი ადამიანის ცხოვრებაში, ისე მის გარემოში მყოფ ადამიანთა ცხოვრებაში.

ყველაზე ხშირად გამოიყენებიან უნივერსალური შორისდებულებები „Oh“ და „Ah“, რაც უფრო დიდ ემოციას გამოხატავს შორისდებულები, იგი ფორმით მით უფრო ლაკონურია და წარმოითქმის სწრაფად. განვიხილოთ მაგალითები, სადაც ერთი და იგივე შორისდებულება შესაძლოა გამოხატოს სრულიად სხვადასხვა და ზოგჯერ ერთმანეთის საპირისპირო ემოციები.

დადებითი ემოციების მაგალითები:

აღფრთოვანება:

„Both of us were able to look in by standing on the basement, and clinging to the ledge, and we saw - ah! It was beautiful- a splendid place carpeted with crimson“

(Emily Bronte „Wuthering Height“ pg. 53

სიხარული :

„Oh, it's so nice !“ the young girls were crying. „It's quite lovely“

(D. H. Lawrence „Women in Love“ pg. 188)

კმაყოფილება:

„Splendid“, said Joshua. „It is a perfect morning.“ „Oh, it is beautiful,“ said Gerald.

(D. H. Lawrence „Women in Love“ pg. 120)

უარყოფითი ემოციების მაგალითები:

აღშფოთება:

„Oh! cried Gurdun. „Then we shan't have names any more \_ we shall be like the Germans.“

(D. H. Lawrence „Women in Love“ pg.124)“

მწუხარება:

„Oh! I am sorry I didn't see him. Did he leave any message?“

(O. Wilde, „The picture of Dorian Grey“ pg. 185)

სასოწარკვეთილება:

„Kiss me again my love. Don't go away from me. I couldn't bear it.

Oh! don't go

away from me. . . Oh! can't you forgive me for to-night?“

(O. Wilde, „The picture of Dorian Grey“ pg. 103)

სიძულვილი:

„Oh, he's so horrid!“ cries Winifred, almost frantic.“  
(D. H. Lawrence „Women in Love“ pg.276)“

შეშფოთება:

„My God! My God!“ Harry, what shall I do?“  
(O. Wilde, „The picture of Dorian Grey“ pg. 116)

სინანული:

„Oh! I am sorry I didn't see him. Did he leave any message?“  
(O. Wilde, „The picture of Dorian Grey“ pg. 185)

შორისდებული „well“ ძირითადად გამოიყენება გაკვირვების გამო-  
სახატავად

მაგალითად:

„Well, you can hardly say that, can you?“ exclaimed Gerald, who had a  
real passion for discussion.“  
(D. H. Lawrence „Women in Love“ pg. 42)

შორისდებული „Alas“ ძირითადად გამოიყენება შეშფოთების  
გამოსახატავად. მაგალითად:

„Alas, he knew that he was completely unable to wait until first thing in  
the morning“

(A. N. Wilson „Who Was Oswald Fish?“ pg. 165)

ამბივალენტურ ამბიციებს, „ემოციებს შეფასების გარეშე“ ძირი-  
თადად მიეკუთვნება გაკვირვება. მაგალითად:

1. „No.It,s more a question of hardships than of terrors

„Oh! And weren't you ever afraid?

(D. H. Lawrence „Women in Love“ pg.84)“

2. „Oh, are you ?“ she said , ignoring all his implication of admitted in-  
timacy.“

(D. H. Lawrence „Women in Love“ pg.156)“

3. „Ah! You won't believe me, then?“ said Caterine ,,

(Emily Bronte „Wuthering Height“ pg. 98 )

4. „Ah! You are come, are you, Edgar Linton?“ she said, with angry  
animation.

(Emily Bronte „Wuthering Height“ pg. 118 )

ასეთი სახის ამბიციებს შეუძლიათ შეცვალონ შეფასების ნიშანი.  
ადამიანის სულიერი მდგომარეობის შეცნობა შესაძლებელია მის გარ-

შემო არსებული სუბიექტური თუ ობიექტური მოვლენებისადმი მისი  
დამოკიდებულების გამოხატულების საფუძველზე. ცხადია, კონკრე-  
ტულ რეალიზაციაში ემოცია შეიძენს დადებით ან უარყოფით შეფა-  
სებით ნიშანს და მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ემოციები, რომლებიც  
გამოხატავენ ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, განუყრელ  
კავშირში იმყოფებიან შეფასებასთან.

ლიტერატურა

**ბალი, 1966** — Балли Ш. „Французская стилистика“ - Изд-во  
Иностран лит 1966

**გაკი, 1977** — Гак В. Г. „Сопоставительная лексикология“  
Москва Междун отнош 1977

**გალკინა-ფედორუკი, 1958** — Галкина-Федорук Е. М.,Об  
экспрессивности и эмоциональности в языке М Изд МГУ 1958

**ვინოკური, 1980** — Винокур Т. Г. „Закономерности стилисти-  
ческого использования языковых единиц“ - Москва Наука 1980

**იზრაკი, 1980** — Израк К. „Эмоция человека“ Москва 1980

**რაზინკინა, 1982** — Разинкина Н.М “ Развитие языка  
английской научной литературы“ М. „Наука“1982

**შახოვსკი, 1987** — Шаховский В И Категоризация эмоций в  
лексико-семантической системе Воронеж Изд- во Воронежскг ун- та  
1987

Bronte E. „Wuthering Height“ „Penguin Books“ 1994

Lawrence D. H. „Women in Love“ „Penguin Books“ 1994

Wilde O. „The picture of Dorian Grey“ „Penguin Books“ 1991

Wilson A. N. „Who Was Oswald Fish?“ „Penguin Books“ 1981

TAMAR TVALADZE

**Interjections as Emotion Evaluation Markers**

## Summary

The paper aims at stating the potency of interjections when used as evaluation markers of emotions. The paper defines the emotion as man's specific attitude towards and a type of perception of the outer world. The study has been carried on the material of English fiction. The analysis has proved that emotions conveyed by interjections can be grouped into positive and negative evaluation markers. In different contexts a particular interjection can be realized either as a negative or a positive evaluation marker.

კატარინე თოფურია

**დეიტურ ელემენტთა ტემპორალიზაცია**

ნებისმიერ საზოგადოებას, ნებისმიერ კულტურას პირველ ყოვლისა დრო განსაზღვრავს. ანუ, თუ ჩვენ დეიქსისი ფენომენს წარმოვადგენთ, როგორც ველს, მაშინ ამ ველის ცენტრი მუდამ დროითი, ტემპორალური ხასიათის იქნება. მაგრამ როგორია ის დრო, რომელშიც არსებობს ადამიანი? როგორია ამ დროს შინაგანი სტრუქტურა? ეს სტრუქტურა დამოკიდებული უნდა იყოს იმ კულტურაზე, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი. დეიქსისი ის ფენომენია, რომელიც წარმოადგენს კომუნიკაციის აქტის განმსაზღვრელ ერთ-ერთ განზომილებას, მაგრამ კომუნიკანტები არიან ენობრივი ერთეულები და ამავე დროს არიან პიროვნებები. ეს კი გულისხმობს სწორედ იმას, რასაც თანამედროვე ფსიქოლოგია მოიაზრებს ამ ცნებაში. ე.ი, როცა ვსაუბრობთ ენობრივ პიროვნებაზე, არ უნდა დაგვაგიჟყდეს, რომ ენობრივი პიროვნება სინთეზური ცნებაა და მოიცავს ისეთი ორი ფენომენის ურთიერთდაკავშირებას, როგორცაა, კომუნიკანტი (კომუნიკაციის სუბიექტი) და პიროვნება (თავისი ზოგადი არალინგვისტური გაგებით), აქედან გამომდინარე, ენობრივი პიროვნება, როგორც თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ერთ-ერთი ცენტრალური კატეგორია, ვერ იქნება ქმედითი, თუკი რეალურად არ განხორციელდება ზემოაღნიშნული სინთეზი. რა უნდა ედოს საფუძვლად ამ სინთეზს? იმის გათვალისწინება და გაგება, რომ კომუნიკაციის დროს კომუნიკანტები რჩებიან პიროვნებებად (ამ სიტყვის სრული გაგებით) და შესაბამისად, მათ კომუნიკაციის პროცესში „შემოაქვთ“ ის შინაარსი, რომელსაც პიროვნების ცნება გულისხმობს.

მაგრამ ამავე დროს ენობრივი პიროვნება (წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ვახდენთ ზემოთ დასახელებულ სინთეზს) არის კონკრეტული კულტურის სუბიექტი და მისი პიროვნული სტრუქტურა, ცხადია, განისაზღვრება იმ კულტურითაც, რომელსაც იგი ეკუთვნის. ე.ი. რო-

ცა ვამბობთ, რომ ადამიანს კომუნიკაციის პროცესში შემოაქვს მთელი თავისი პიროვნული შინაარსი და შესაბამისად აუცილებელია ენობრიობისა და პერსონალურობის სინთეზი, მოვიაზრებთ, ე.წ. მესამე განზომილებას, ანუ იმ კულტურული პარადიგმის შინაარსობრივ სტრუქტურას, რომელსაც პიროვნება ეკუთვნის. აქედან გამომდინარე: თუ ჩვენ გვსურს, ენობრივი პიროვნების ცნებამ მართლაც შეასრულოს ლინგვისტიკის ფარგლებში მეტაკატეგორიალური ფუნქცია, იგი უნდა განვიხილოთ როგორც ზემოთ დასახელებული სამი შინაარსობრივი სფეროს მონაცემთა სინთეზი. ეს სფეროებია: 1. ენა მთლიანობაში, ე.ი როგორც მეტაკატეგორია (სიმბოლური ველისა და დეიქტური ველის ელემენტთა ერთობლიობა); 2. პიროვნება — ამ ტერმინს იმ მეტაკატეგორიალური გაგებით, როგორც არსებობს თანამედროვე ფსიქოლოგიაში; და 3. პიროვნება კულტუროლოგიური გაგებით, როგორც მოცემული კულტურული ეპოქის სუბიექტი. (გაჩეჩილაძე, 2004, 99).

თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნებისათვის დამახასიათებელია საკვლევი ობიექტისადმი ინტერდისციპლინარული მიდგომა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანური სინამდვილის ნებისმიერი სფერო უნდა შეისწავლებოდეს არა მონოდისციპლინარულად, (როგორც ეს ტრადიციულად ხდებოდა), არამედ სხვადასხვა ჰუმანიტარულ დისციპლინათა შეხვედრის, ურთიერთშერწყმის და საბოლოოდ სინთეზის გზით. როცა ჩვენ ვსაუბრობთ თანამედროვე ლინგვისტიკის იმ ტენდენციასზე, რომელიც უკავშირდება ენობრივი პიროვნების ცნებას და აღვნიშნეთ, რომ ამ ცნებამ უნდა მოიპოვოს მეტაკატეგორიალური სტატუსი. უნდა ითქვას, რომ ენობრივი პიროვნების ცნება საჭიროებს მრავალსპექტრიან განხილვას: თავისთავად, ლინგვისტიკისაგან დამოუკიდებლად, პიროვნებას, როგორც ცნობილია, შეისწავლის ძირითადად ფსიქოლოგია, ხოლო ადამიანს კი (შესაბამისად პიროვნებას), როგორც კულტურის სუბიექტს, შეისწავლის კულტუროლოგია. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ენობრივი პიროვნების ცნება — თუ კი გვსურს, რომ მან შეიძინოს ჰუმანიტარულ მეტაკატეგორიალური სტატუსი, უნდა დაფუძნდეს ინტერდისციპლინარულად, სახელდობრ კი ისეთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მონაცემების სინთეზის საფუძველზე, როგორცაა ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია და კულტუროლოგია.

საინტერესოა დეიქტიური ველის ისეთი ფუნქციური გადააზრება,

ტემპორალობის ნიშნით, რაც დეიქსისის ფენომენს გამჭოლი და თანმიმდევრული ტემპორალიზაციის კუთხით დაგვანახვებს. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ თვით როგორც კატეგორია, თავისი სტრუქტურითურთ, დამოკიდებულია ისეთ მეტაკატეგორიებზე, როგორცაა პიროვნება და კულტურა, რაც პერსპექტივაში გულისხმობს სამი მეცნიერული ხსენებული კოორდინატების განმსაზღვრელ ფაქტორად უნდა მოგვევლინოს ენობრივ პიროვნებათა შინაგანი ტემპორალური სტრუქტურა. ეს იმას ნიშნავს, რომ დეიქსის პრობლემის გააზრებამ აუცილებლად უნდა მიიღოს სინთეზური ანუ ლინგვოფსიქოკულტუროლოგიური ხასიათი. (გაჩეჩილაძე, 2004, 105).

ყურადღება გავამახვილოთ ტემპორალურობის, როგორც ადამიანის სოციოკულტურული არსებობის უმთავრესი წინაპირობის ისტორიულ დინამიკაზე, ყოველი ეპოქისა და კულტურის ადამიანი, ბუნებრივია, არსებობს დროში, მაგრამ თანამედროვე ინტერდისციპლინური აზროვნება, რომელიც აუცილებლად გულისხმობს ფსიქოლოგიის, კულტუროლოგიის, სოციოლოგიისა და ისტორიის მონაცემთა ინტერდისციპლინარულ სინთეზს, ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს შემდეგს: ეპოქისა და მისი კულტურული ხასიათის ცვლილებასთან ერთად იცვლება დროის (ტემპორალურობის) ის ტიპიც, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის არსებობას და, შეიძლება ითქვას, განსაზღვრავს კიდევ ამ არსებობის ძირითად მომენტებს. მაგრამ, თუკი ეს ასეა, დროის ეს ტიპოლოგიური ტრანსფორმაცია უნდა ახდენდეს გავლენას დეიქსისის ფენომენზე, რადგან, როგორც ვიცით, ტემპორალურობასა და დეიქსისს შორის არის ღრმა შინაგანი კავშირი და ურთიერთშესაბამისობა. ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა, ალბათ, გამოგვეთქვა შემდეგი ჰიპოთეზა — მოხდა დროის ტემპორალური ტრანსფორმაცია, რაც კონკრეტულად შემდეგს ნიშნავს:

როგორც ცნობილია, არ არსებობს გამონათქვამი შინაგანი დეიქტიკური სტრუქტურის გარეშე, მაგრამ ეს სტრუქტურა ვერ იქნება იდენტური განსხვავებულ კულტურულ ეპოქათა ფარგლებში. როგორ გამოიყურება ჩვენთვის საინტერესო კონტექსტში საზოგადოების ის ტემპორალური ტრანსფორმაცია, რომელსაც გარდაუვლად უნდა მოჰყვეს დრო-სივრცის სტრუქტურული ტრანსფორმაცია ინდივიდუალურ დონეზე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ჩვენ აუცილებლად თეორიულ წინაპირობად მივიჩნევთ ვარაუდს, რომლის თანახმად, „დრო-სივრცედ“ წოდებულ სტრუქტურულ კომპლექსში დომინირებს დრო,

რაც საბოლოო ანგარიშში ნიშნავს სივრცის ტემპორალიზაციას.

როგორც ცნობილია, დასავლური საზოგადოების ტიპოლოგიური ტრანსფორმაცია გამოიხატება ძირითადად იმაში, რომ ტრადიციული პრინციპული საზოგადოება იცვლება თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებით. ეს ცვლილება, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა მრავალსპექტროვან მოვლენას, მაგრამ თუ ჩვენ შევეცდებით დავინახოთ ის კონკრეტულ ინდივიდთან მომართებაში, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ საზოგადოების ზემოხსენებული ტრანსფორმაცია ნიშნავდა, პირველ რიგში, კულტურის ტრანსფორმაციას. როგორც პ. გურევიჩი აღნიშნავს, კულტურული ეპოქები უსასრულოდ ცვლიან ერთმანეთს. ახალი დროის, ახალი კულტურული სიტუაციის დასაწყისი ნიშნავდა იმას, რომ შეიცვალა ღირებულებითი სასიცოცხლო და პრაქტიკული ორიენტირები. (გურევიჩი, 1997, 77). „რევოლუცია ცნობიერებაში“ ნიშნავს იმას, რომ დაიბადა ახალი კულტურული ეპოქა, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვივლით, რომ ის სოციალური ტრანსფორმაცია, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ნიშნავდა ერთდროულად რევოლუციის ცნობიერებაში და ახალი კულტურული ეპოქის დასაწყისს, სხვანაირად რომ ვთქვათ, ინდუსტრიალური საზოგადოების აღმოცენება ნიშნავდა ტრადიციული კულტურის ახალი კულტურით, ანუ „მოდერნის“ კულტურით შეცვლას.

ზემოთ ნათქვამი, ალბათ, საშუალებას გვაძლევს რეალურად დავუკავშიროთ ერთმანეთს ორი ისეთი ფენომენი, რომლებიც ჩვეულებრივ განიხილებიან ხოლმე სრულიად განსხვავებულ, ერთმანეთისაგან დაშორებულ კონტექსტებში. ჩვენ ვვლით ისეთ ფენომენებს, როგორცაა საზოგადოების და, შესაბამისად, კულტურის ტრანსფორმაცია და დეიქსისი, უკეთ რომ ვთქვათ, კულტურულ ეპოქათა ცვლა ენობრივი რეალობის ცვლილებასთან ერთად.

ლიტერატურა

**ბურჯანაძე, 1992** — ქ. ბურჯანაძე, მე-19 საუკუნის ქართული მხატვრული თარგმანის ისტორიის საკითხები. თბ., 1992.

**გაჩეჩილაძე, 1959** — გ. გაჩეჩილაძე, მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები. რეალისტური თარგმანის პრობლემა. თბ., 1959.

**გაჩეჩილაძე, 1966** — გ. გაჩეჩილაძე, მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი. თბ., 1966.

**გაჩეჩილაძე, 1945** — გ. გაჩეჩილაძე, ესთეტიკური იდეალი და მხატვრული გამოხატვის ფორმები. თბ., 1945.

**ფანჯიკიძე, 1995** — დ. ფანჯიკიძე, თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტურობის პრობლემა. თბ., 1995.

EKATERINE TOPURIA

### Temporalization of Deictic Elements

#### Summary

The paper stresses the role of deixis in the process of communication. As is known, the speaker/writer as a representative of a particular culture synthesizes his/her personal qualities with the cultural ones. The paper explores the so-called third dimension, i.e.:the content of the cultural paradigm an individual belongs to.

## განხილვის იმპრინტი

დეფისის ხმარებასთან დაკავშირებული  
ზოგიერთი საკითხი

ენაში, ისე როგორც სხვა სფეროებშიც, ზოგჯერ ყოველ წვრილმანს ენიჭება მნიშვნელოვანი როლი. წინადადებაში თითქოსდა მცირე ელემენტის გაუთვალისწინებლობამ, ვთქვათ, სიტყვების არასწორმა წყობამ ან არასწორად დასმულმა სასვენმა ნიშანმა შეიძლება საგრძნობი შინაარსობრივი ცვლილება გამოიწვიოს. მაგალითად, ერთ სიტყვად დაწერილი „არაერთის“ მნიშვნელობა არის „რამდენიმე“, „მრავალი“, ორ სიტყვად გათიშულისა — „ერთი კი არა, არამედ...“; ერთად დაწერილი „ლუკმაპური“ „სარჩო-საბადებელია“, „ლუკმა პური“ კი — „ერთი ლუკმა პურისა“...

ამჯერად მინდა დეფისის შესახებ ვისაუბრო. გულისტვიკილით უნდა აღვნიშნო, რომ დეფისის სათანადო სახელმძღვანელოებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, ზოგან, საერთოდ, კრინტიც არაა მასზე დაძრული. ყველაზე უკეთეს შთაბეჭდილებას ამ მხრივ ტოვებს 2002 წელს გამოცემული „ჟურნალისტიკის სტილისტიკური ცნობარი“, რომელშიც ამომწურავადაა მოცემული დეფისის ყველა შესაძლო ფუნქცია და მისი ხმარების წესები. დეფისის რამდენიმე დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს. ხანდახან მას ტირეშიც ურევვენ. ჩავთვალოთ, რომ ჩვენ ეს არ გვეშლება. ერთერთი მთავარი დანიშნულება დეფისისა მრავალცნებიან (ძირითადად — ორცნებიან) კომპოზიტებში „და“ კავშირის ფუნქციის შესრულებაა. აღნიშნავენ, რომ „დეფისით შეერთებული სიტყვები, როგორც წესი, ერთსა და იმავე „სემანტიკურ ველს“ განეკუთვნება და ხშირად სინონიმებად ან ანტონიმებად გვევლინებიან“ (ზემოთ აღნიშნული ცნობარი, გვ. 224). ნიმუშად გამოგვადგება ძალ-ღონე, ყოფნა-არყოფნა, მშვილდ-ისარი, გვეფხისტყაოსნის „ლა-გამ-აბჯარ-უნაგირსა“... დეფისი სიტყვის გადატანისასაც გამოიყენება. ამ შემთხვევაში იქნებ მას სხვა სახელიც დაერქვას, რაკი წინა ფუნქციისგან განსხვავებული დანიშნულება აქვს, მაგრამ, არსებითად, ამ

შემთხვევაშიც მოკლე ხაზთან გვაქვს საქმე, ყოველ შემთხვევაში, ტირესაგან განსხვავებულია არა მარტო სიგრძით, არამედ დანიშნულებითაც.

რა დარღვევები გვხვდება დეფისის ხმარებისას?

ზოგჯერ იმის მიხედვით, რთულ სიტყვაში დეფისის დავსვამთ თუ არა, სიტყვის აზრი იცვლება. მაგალითად: ხარკამეჩი, თუ ერთ სიტყვად დაიწერა, მამალ კამეჩს აღნიშნავს, თუკი კომპონენტებს შორის დეფისი ჩავსვამთ, ხარი და კამეჩი იგულისხმება. თუ „კინოთეატრებს“ უდეფისოდ დაწერთ, სიტყვა კინოფილმების გასაშვებ დარბაზებს აღნიშნავს, თუკი დეფისს ვიხმართ, მაშინ სიტყვა ზემოთ აღნიშნულ კინოდარბაზებთან ერთად თეატრალური დარბაზებსაც მოიცავს. ცნობილი რუსი მწერლის, კონსტანტინე სიმონოვის, განმაურებული ტრილოგია „живые и мертвые“, რომელსაც ქართულად „ცოცხლები და მკვდრები“ დაარქვეს, შეიძლებოდა ასეც გვეთარგმნა: „ცოცხალ-მკვდრები“ (ამ შემთხვევაში ეს სიტყვა დეფისით უნდა დაიწეროს; თუკი უფრო გავრცელებულ მნიშვნელობას ჩავდებთ ამ სიტყვაში, ის უდეფისოდ უნდა ვიხმართ, და არა დეფისით, როგორც ეს ზოგჯერ გვხვდება. შდრ. „მშობლებმა გოგონას ცოცხალ-მკვდარს მიუტყვეს: ჟურნ. „სარკე“, №31, 2008, გვ. 15. ამ შემთხვევაში, ცხადია, განსახილველი სიტყვა უდეფისოდ, ერთად, უნდა ყოფილიყო ნახმარი. ზღვაოსნობაში „ნორდ-ოსტი“ დეფისით იწერება, თუ მიმართულებას (ჩრდილო-აღმოსავლეთს) აღნიშნავს, და უდეფისოდ უნდა დავწეროთ, როცა ამ მიმართულების ქარზეა ლაპარაკი.

ასეთი ორმაგი მნიშვნელობის მატარებელი სიტყვები იშვიათობაა, მაგრამ მაინც გვხვდება. ეს მაგალითები გვაჩვენებს, რომ დეფისის სწორად ხმარებას შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს რთული სიტყვის შინაარსის დადგენისას.

ვნახოთ რამდენიმე მაგალითი: „სახელმწიფო საკუთრებაში დიდი რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწებიცაა“ (კვირის პალიტრა, №29, 2004, 7). „სასოფლო-სამეურნეო“ სწორად წერია — დეფისით, მაგრამ „არასასოფლო-სამეურნეო“ მცდარი დაწერილობითაა მოცემული. ავტორს ამ სიტყვაშიც დეფისი უხმარია „სამეურნეო“ წინ. რა გამოვიდა? იმის ნაცვლად, რომ ეთქვა: სახელმწიფო ფლობს მიწებს, რომლებიც არაა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაო, მივიღეთ სრულიად სხვა შინაარსი: აღნიშნულ-

ლი მიწები არასასოფლოა, მაგრამ სამეურნეო. „არასასოფლოსამეურნეო“ უდევისოდ, შეერთებულად უნდა დაეწერა, ანდა „არა“ ცალკე და შემდეგ „სასოფლო-სამეურნეო“ ჩვეულებრივად — დეფისით. ეტყობა, ავტორმა, ყოველი შემთხვევისთვის, შესამოწმებლად ორთოგრაფიულ ლექსიკონში ჩაიხედა, რომელიც, სამწუხაროდ, ამ ტერმინს მცდარი დაწერილობით გვთავაზობს.

როგორც ითქვა, დეფისის რთულ სიტყვებში (ძირითადად ორცნე-ბიან კომპოზიტებში) „და“ კავშირის მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ზოგიერთ კომპოზიტში ამ პატარა ხაზს ხანდახან სრულიად გაუმართლებლად წერენ. რატომ? საფიქრებელია, რომელიმე სხვა ენაში დამკვიდრებულ მართლწერას მისდევენ (ამ შემთხვევაში ვგულისხმობ უცხოური ენებიდან გადმოღებულ-შეთვისებულ სიტყვებს, მაგალითად, პრემიერ-მინისტრს), ანდა ცდილობენ, კომპოზიტის კომპონენტები ერთმანეთისაგან თვალსაჩინოდ გამოყონ, გახაზონ, ერთგვარად ხაზი გაუსვან იმას, რომ სიტყვა ორი ნაწილის შეერთებით არის მიღებული, ორი სხვადასხვა სიტყვის ნაერთს წარმოადგენს. ვფიქრობ, ამას (ამ სურვილს) გამართლება მაინც არა აქვს, სულერთია, საფუძვლად რომელი მიზეზიც უნდა დავასახელოთ, რადგან, როცა მკითხველი ამა თუ იმ სიტყვას დეფისით დაწერილს ხედავს, იგი ამგვარადვე იმასხოვრებს მას და შეიძლება მერე აღარ გაახსენდეს, რა მიზნით იყო ეს სიტყვა დეფისით დაწერილი. ქართულ ორთოგრაფიას თავისი წესები აქვს და იგი არ უნდა დავუქვემდებაროთ რომელიმე უცხო ენის მართლწერის წესებს.

გადახედეთ „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას“ ან გეოგრაფიულ ატლასებს. რატომ გწერთ დეფისით ნიუ-იორკს, სან-ფრანცისკოს, ლოს-ანჯელესს, ბუენოს-აირსს, რიო-დე-ჟანეიროს, ალმა-ატასა და სხვა გეოგრაფიულ სახელებს? ეს კიდევ არაფერი: ზოგ გეოგრაფიულ პუნქტს სამი და ოთხი დეფისითაც წერენ — უფრო ამერიკის კონტინენტზე: რიო-ბრავო-დე-ნორტე (აშშ/მექსიკა), სან-ჟოზე-დე-რიუ-პრეტუ (ბრაზილიაში), სანტო-დომინგო-დე-ლოს-კოლორადო (ეკვადორში). არცერთ მათგანს დეფისი არ ახლავს ორიგინალურ დაწერილობაში — ყველა ცალ-ცალკე იწერება. სამაგიეროდ რუსულში წერენ ამ სიტყვებს დეფისით. ჩვენც იქიდან გადმოვიღეთ.. როდესაც ესტონეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, რუსები აიძულეს, რომ დედაქალაქის, ტალინის, სახელწოდებაში ორი **ლ**-ს გვერდით (რასაც რუსებიც წერდნენ) **ნ**-ც დაუბლირებული ყოფილიყო: TALLINN.

ლა-პლატა, ელ-პასო, ლოს-ალამოსი, ლოს-ანჯელესი, ლას-ვეგასი, ლას-პალმასი... აღარაა საჭირო მეტის ჩამოთვლა — ამ სიტყვებში სხვადასხვა სქესის არტიკლია მხოლოდობითისა და მრავლობითის ფორმით გეოგრაფიულ სახელთან შეერთებული. ყველა მათგანი ცალ-ცალკე იწერება. ეს არტიკლები ჩვენში (რუსულის წამხედურობით) **დეფისით** უერთდება გეოგრაფიული პუნქტის სახელს. განა ეს სწორია? როდის გახდა არტიკლი სრულფასოვანი კომპონენტი კომპოზიტისა — განა ვინმე ამბობს „ჰაავის“ მაგივრად „დენ ჰაავს“, როგორც ოფიციალურად უდერს ამ ქალქის სახელწოდება? არტიკლს ხშირად არც კი ამბობენ, განა **ლა ჰაევანას** წერენ ან **სალვადორს** ყოველთვის **ელ** ახლავს წინ? — არა და არა! ნუ მივბაძავთ უაზრობაში სხვებს.

„სპილოს ძვლის ნაპირის რესპუბლიკის“ (Côte d’Ivoire) სახელწოდებად ჩვენში ახლა ხშირად იხმარება „კოტდივუარი“, ოღონდ ოთხი განსხვავებული დაწერილობით: სამი უდევისოდ — კოტ დ’ივუარი, კოტდივუარი, კოტდივუარი, ერთი (კოტ-დივუარი) — დეფისით. თუ სხვა კუთხით შევხედავთ: ერთხელ — ერთ სიტყვად, ერთხელ — დეფისით, ორჯერ — ცალ-ცალკე. ეს ნორმალურია?

ერთი სიტყვით, ეს სფერო მოსაგვარებელია. ვილაცამ ერთხელ ასე დაწერა დაუფიქრებლად და მერე უკონტროლოდ, მიბაძვით, ყველა სიტყვა ერთ ქვაბში მოვაქციეთ. მისაღები, დასაბუთებული წესი უნდა დავადგინოთ და შემდეგ მას მივდიოთ განუხრელად.

ხშირად ხმარებული სიტყვებიდან არასწორი დაწერილობის ნიმუშებად გამოვყოფდი ექსპრეზიდენტს, ექსპრეზიონს, ვიცეპრეზიდენტს, პრემიერმინისტრს.. ხსენებული სიტყვებიდან არცერთს არ სჭირდება დეფისი. პრესა აჭრელებულია ამგვარი სიტყვებით. ერთ ნიმუშს მოვიყვან გაზეთ „ალიადან“: ერთ წერილში „პრემიერმინისტრი“ ორგვარად წერია: დეფისითაც და დაცალკეებულადაც (ალია, №16, 2004, გვ. 11). არცერთი დაწერილობა არაა სწორი. „პრემიერმინისტრი“ ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს. ეს სიტყვა არ ნიშნავს პირველსა (პრემიერს) და მინისტრს. აქ ორი სხვადასხვა დონის სიტყვაა გაერთიანებული, რაც **და** კავშირით არ ერთდება. „კვირის პალიტრასა“ (№26, 2004, გვ. 2:) და „ალიაში“ (№15, 2004, გვ. 12) ექსვიცე-პრემიერი დეფისით წერია, თანაც, დეფისი „ექსვიცესა“ და „პრემიერს“ შორისაა ჩასმული. აღარ შევუდგები მსგავსი მაგალითების ჩამოთვლას.



საგანგებოდ მინდა შევჩერდე ერთი ქართული სიტყვის მართლწერაზე. ესაა „ერთერთი“. ტრადიციულად ამ სიტყვას დეფისით წერენ. რატომ? ათ-ათის, ხუთ-ხუთის, სამ-სამის, ორ-ორის გაგრძელება არის „თითო-თითო“ და არა „ერთერთი“. როგორ ვთქვათ: მასწავლებელმა მოწაფეებს დაუბრუნა სამ-სამი რვეული, ორ-ორი კალმისტარი და ერთერთი საშლელი? ერთერთი თუ თითო-თითო? „ერთერთი“ არის ბევრიდან ერთი, ესაა რუსული **один из (многих)** „თითო-თითო“ კი **по одному**. მასწავლებელმა რომ თქვას, ერთერთი ბავშვი გამოვიდეს დაფასთან ამოცანის ამოსახსნელად, ერთი რომელიმე მოწაფე უნდა გამოვიდეს კლასში მყოფთაგან თუ თითო-თითო მორიგეობით, ერთმანეთის მიყოლებით? ვფიქრობ, პასუხი ნათელია. ამიტომ ამ სიტყვის მიღებული მართლწერა უნდა შეიცვალოს და უდუფისო დაწერილობა დამკვიდრდეს.

ყველას გინახავთ საახალწლო მისალოცი ბარათი: „გილოცავთ შობა-ახალ წელს!“. „შობა-ახალ“ ორცნებიან კომპოზიტსავითაა დაწერილი. ამ დაწერილობით „ახალი“ „შობას“ უკავშირდება და არა „წელს“, რაც არასწორია. მართალია, „ახალი წელი“, საერთოდ, ორ სიტყვად იწერება, მაგრამ ის დაწერილობა, რომელიც მისალოც ბარათებზეა, არ ვარგა. ისე გამოდის, თითქოს „შობა“ და „ახალი“ ერთი დონის ერთეულებს წარმოადგენენ (რადგან, როგორც ითქვა, დეფისი, საერთოდ, თანაბარი დონის სიტყვებს აერთებს), „წელს“ კი, რომელიც წამყვანი სიტყვაა დეფისით შეერთებული რთული სიტყვის მეორე ნაწილისა, ცალკე დგას, მათგან მოცილებულია. ხომ არ შეიძლება **და** კავშირით შევაერთოთ, ვთქვათ, ახალი და ქალაქი. „ახალქალაქის“ კომპონენტებს შორის **და** კავშირს ვერ ჩასვამ. ერთი მთლიანი სიტყვაა, უდუფისოდ იწერება. ასევე არ შეიძლება „შობისა“ და „ახალის“ დეფისით შეერთება. მაშ რა ვქნათ? ერთი გამოსავალი აქ შეიძლება ის იყოს, თუ „ახალწელს“ ორ სიტყვად კი არა, ერთად დავწერთ (ხომ წერენ ერთ სიტყვად ახალქალაქს, ახალციხეს, ახლდაბას, ახალსოფელს...). მაშინ „შობა“ „ახალწელს“ დეფისით შეუერთდება (რაკი „ახალწელში“ წამყვანი, მთავარი სიტყვა წელია). ჩემთვის „გილოცავთ შობა-ახალწელს“ ცუდად არ ჟღერს, ყურს არ ეხამუშება (მეტეც, როგორც პროფ. თ.უთურგაიძეც ფიქრობს, მოთხრობით ბრუნვაში **შობა-ახალწელმა** გვექნება და არა **შობა-ახალმა წელმა**, რაც ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს), მაგრამ სხვა, ანალოგიურ, შემთხვევებში ასე ადვილად ვერ გადაწყდება საქმე. ვთქვათ, „თე-

ლაგ—ზემო მაჩხანის ავტობუსი“, „სოხუმ—ახალი ათონის ტრასა“, „სამტრედია—დიდი ჭიხაიშის მონაკვეთი“... აქ როგორ მოვიქცეთ? ამ მაგალითებში ზემო, ახალი, დიდი საზღვრულისაგან მოცილებულად იწერება, მათი შერწყმა საზღვრულებთან, როგორც გვაკლებენ, არ შეიძლება (იხილე „საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონის“ (თბილისი, 1987) წინასიტყვაობა, თუმცა მგონია, რომ „დიდიჭიხაიში“ და შეიძლება „ზემომაჩხანის“ უკვე ერთ ერთეულს წარმოადგენს და ერთად უნდა დაიწეროს, ისევე როგორც ეს „წითელწყაროს“ შემთხვევაში მოხდა. ვფიქრობ, დღეს „თეთრიწყაროც“ ამ გზას ადგას. ამ საკითხში საქართველოს ფარგლებსაც შეიძლება გავცდეთ:

„ავსტრალია-ახალი ზელანდიის მორაგბეები, პაპუა—ახალი გვინეის მთავრობა, არგენტინა--დიდი ბრიტანეთის კონფლიქტი (ფოლკლენდის კუნძულების გამო)...

იქნებ დადგა დრო, ამ მიმართულებით გადავდგათ რადიკალური ნაბიჯი და ამ ტიპის ნაერთები, მეტწილად გეოგრაფიული სახელები, ერთ სიტყვად დავწეროთ? მაშინ ადვილად მოგვარდება განსახილველი სახის კომპოზიტების მართლწერის საკითხი (რადგან საქმე გვექნება ჩვეულებრივ ორცნებიან კომპოზიტებთან, რომელთა დაწერილობა კარგა ხანია მოწესრიგებულია).

ახლა ისეთი შემთხვევებზე ვნახოთ, როცა სიტყვაში დეფისი უნდა იყოს, მაგრამ აკლია.

„ატრიბუტული და მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები ჭანურში“ („მაცნე“, №4, 1988)

აქ მოცემული დაწერილობით (დეფისი არსად არაა ნახმარი!) „ატრიბუტული“ „კომპოზიტის“ მსაზღვრელად უნდა ჩაითვალოს (ატრიბუტული კომპოზიტები), სინამდვილეში კი იგი „მსაზღვრელს“ ახასიათებს. სწორი დაწერილობა იქნებოდა: ატრიბუტულ- და მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები, ანუ: „ატრიბუტულმსაზღვრელიანი და მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები“.

„003-0808 სამედიცინო და სპეცდანიშნულების მისაღების ტექნოლოგია (გაზ. „ერთიანი ეროვნული გამოცდები-2005“, ინფორმაცია აბიტურიენტებისათვის, საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2005, გვ. 7).

ამ მაგალითში ბუნდოვანია: „სამედიცინო“ „დანიშნულებას“ ეკუთვნის თუ „მისაღებს“. დაწერილობის მიხედვით ივარაუდება „სა-

მედიცინო მასალებისა და სპეცდანიშნულების მასალების ტექნოლოგია“; მაგრამ, როგორც სათანადო სფეროს წარმომადგენლებმა განმარტეს, ეს სპეციალობა სინამდვილეში სხვას გულისხმობს, კერძოდ, აქ ივარაუდება „სამედიცინო დანიშნულებისა და სპეცდანიშნულების მასალების ტექნოლოგია“. ასე რომ, პირველი სიტყვა დეფისით უნდა დაიწეროს: „სამედიცინო-“ და არა „სამედიცინო“.

ევროპულ ენებში, განსაკუთრებით გერმანულში, ძალზე გავრცელებულია წესი — საერთო საზღვრულის მქონე კომპოზიტებში, რომლებიც ერთმანეთის გვერდით წერია, უკანასკნელი მსაზღვრელი საზღვრულთან შერწყმულად იხმარება, ხოლო სხვა მსაზღვრელებს ბოლოში პატარა ხაზი, დეფისი, დაერთვის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დეფისის ადგილას იგულისხმება ჩვენთვის საინტერესო ფრაზის ბოლოს დაწერილი საზღვრული. ეს წესი მეტად მოხერხებულია — იზოგება ადგილი, ყურს არ გვჭრის ერთი და იმავე სიტყვის ხშირი გამეორება. მაგრამ ამ წესს სწორად უნდა გამოყენება, თუკი მას არასწორად ვიხმართ, შეიძლება მას შინაარსის დამახინჯება, ვადასხვაფერება, მცდარი ინტერპრეტაცია მოჰყვეს.

ამის საილუსტრაციოდ მინდა ერთი დამახასიათებელი მაგალითი შემოგთვაზოთ. დედამ რომ სთხოვს შვილს: „ამომიტან სარდაფიდან სამოთხხუთლიტრიან ქილას?“, თუ ინტონაციამ ვერ მიგვახვედრა, ქილების რა რაოდენობასა და ტევადობაზეა ლაპარაკი, შემსრულებლის ქმედებას შეიძლება 11 განსხვავებული შედეგი მოჰყვეს:

თხოვნა შეიძლება ხუთნაირად ჩაიწეროს:

1) სარდაფიდან ამომიტან სამ ოთხხუთლიტრიან ქილას (= ოთხ-და/ან ხუთლიტრიან ქილას). ეს ნიშნავს:

ა) ან: რაოდენობა ქილებისა სამია, ტევადობა — ოთხი და ხუთი ლიტრი (ორივენაირი, კომბინირებული!!). ეს ვარიანტი ორ ქვევარიანტად იშლება: 2 ცალი 4-ლიტრიანი და 1 ცალი 5-ლიტრიანი ანდა 1 ცალი 4-ლიტრიანი და 2 ცალი 5-ლიტრიანი. {2 ვარ.}

ბ) ანდა: რაოდენობა ქილებისა სამია, ტევადობა — ოთხი ან ხუთი ლიტრი, ანუ: სამი 4-ლიტრიანი ან სამი 5-ლიტრიანი) {2 ვარ.} სულ 1 ჩაწერაში 4 ვარიანტი გამოვკვივდა.

2) ამომიტან სამ-ოთხ ხუთლიტრიან ქილას (ქილა არის ხუთლიტრიანი, რაოდენობა ქილებისა კი სამი-ოთხი [=სამი ან ოთხი]). {2 ვარიანტი}

3) ამომიტან სამ-ოთხ-ხუთ ლიტრიან ქილას (=სამ, ოთხ ან ხუთ ერთლიტრიან ქილას) ქილა არის ერთლიტრიანი, ქილების რაოდენობა კი სამი, ოთხი ან ხუთი. {3 ვარ.}

4) ამომიტან სამ-, ოთხ-, ხუთლიტრიან ქილას (=სამ-, ოთხ- ან ხუთლიტრიან ქილას: ქილა არის ერთი, ტევადობა: სამი, ოთხი ან ხუთი ლიტრი). {3 ვარ.}

5) წინა შემთხვევის იდენტურ შედეგს მივიღებთ, თუ ამ წინადადებიდან ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტს განსხვავებულად ჩავწერთ: სამოთხხუთლიტრიან ქილას. {3 ვარ.}

მაშასადამე, მე-4 და მე-5 ვარიანტებში, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული ჩაწერა გვაქვს, შედეგი ზუსტად ერთნაირია. გავიხსენოთ, რომ მე-2 ვარიანტის გაშიფვრა ორნაირად შეიძლება და, შესაბამისად, შედეგიც განსხვავებული გვექნება. აი, რამდენნაირი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ შემთხვევაში ბუნდოვნად გამოხატულ თხოვნას.

მაშასადამე, ამ თხოვნის 5-ნაირი ჩაწერა შეიძლება, რაც გვაძლევს 15 კომბინაციას, რომელთაგან 4 ერთმანეთს ემთხვევა. საბოლოოდ, დედის თხოვნაზე შვილს შეუძლია 11 განსხვავებული კომბინაცია მოიფიქროს, რომლებშიც ქილების რაოდენობა და ტევადობა (მაშასადამე — საერთო ლიტრაჟი) ერთმანეთს არ დაემთხვევა. სარდაფიდან ამომიტანილი ჭურჭლის მინიმალური ლიტრაჟი 3 ლიტრია, მაქსიმალური კი — 20. ხომ საგრძნობი განსხვავებაა?! რომელია ამათგან სწორი? თუ არ ვიცით, ამგვარ საგანგებო შემთხვევებში როგორ გავაფორმოთ ჩვენეული აზრი, ან ვერ შევძელით სწორად დაწერილის ადეკვატურად წაკითხვა, შეიძლება სრულიად განსხვავებული შედეგი შეგვჩრჩეს ხელთ.

ზემოთ ნათქვამი გრაფიკულად ასე შეიძლება ჩაიწეროს:

VAKHTANG IMNAISHVILI

	კომბინაცია	ქილების რაოდენობა	ქილების ტევადობა	საერთო ლიტრაჟი	შესაძლო ვარიანტი
1.	სარდაფიდან	3	4	12	1
	ამოიტან სამ	3	5	15	2
	ოთხხუთლიტრიან	3	$4+5 = 2x4+1x5$	13	3
	ქილას		$= 1x4+2x5$	14	4
2.	სამ-ოთხ ხუთ-	3	5	15	5*
	ლიტრიან ქილას	4	5	20	6
3.	სამ-ოთხ-ხუთ	3	1	3	7
	ლიტრიან ქილას	4	1	4	8
		5	1	5	9
4.	სამ-, ოთხ-, ხუთ-	1	3	3	10
	ლიტრიან ქილას	1	4	4	11
		1	5	5	12
5.	სამოთხხუთლიტ-	1	3	3	13*
	რიან ქილას	1	4	4	14*
		1	5	5	15*

## Some Issues of Hyphen Usage

### Summary

In Georgian there are some cases when the incorrect usage of a hyphen causes semantic changes in the writer/speaker's message. The paper discusses some violations of hyphen usage. Such cases are quite frequent in borrowed geographical names e.g.: las-vegas, los-anjeles, la-plata etc. As is known, the names in question include different forms of the article. In the original languages the given names are written separately. Georgian hyphenated variants are the result of Russian influence.

The paper also focuses on the spelling of tito-tito which is generally hyphenated. The semantics of the word is 'one of many' and not 'one by one.' hence the word should be written without a hyphen.

In the phrase gilocavt šoba-axal çels (Congratulaton on Christmas and New Year!) the hyphen changes the meaning of the phrase - šoba (Christmas) is attached to axals (new) and çeli (year) stands separately. The paper suggests the variant: gilocavt šoba-axalçels.

სქემაში \* ნიშნით აღნიშნულია ვარიანტები, რომლებიც მეორდებია.

ეს თავსატეხი იმიტომ შემოგთავაზეთ, რომ მეჩვენებინა, რა შეუძლია პატარა დეფისის არასწორ ადგილას დასმას, ანდა, საერთოდ, უგულებელყოფას. მართალია, ყველა ჩაწერაში არ ფიგურირებდა დეფისი, მაგრამ საქმეც ესაა: უნდა ვიცოდეთ, როდის დავწეროთ იგი და როდის არა და, თუ დავწერთ, სად უნდა დავწეროთ.

ინზა კიკვიძე

### შეპირისპირებითი კვლევა და მისი ადგილი ახალ მეცნიერულ პარადიგმაში

ენა — ფენომენი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ეთნოსის კულტურასთან და ყველაზე უფრო სრულყოფილად ასახავს მის თავისებურებებს, ყოფისა და ცნობიერების სპეციფიკას, ყოველთვის ითვლებოდა მის ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო მაიდენტიფიცირებელ მახასიათებლად. ხალხის ხასიათის შეცნობა წარმოუდგენელია მისი ენის სიღრმისეული შესწავლის გარეშე. ენათა უსაზღვრო მრავალფეროვნების ფაქტის, როგორც ეთნიკურ კულტურათა უნიკალურობის დადასტურების გაცნობიერებამ ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში სტიმული მისცა ინტერესს ენებს შორის არსებულ არა მარტო ფორმალურ, არამედ შინაარსობრივ სხვაობათა შესწავლისადმი, ენების შეპირისპირების ხერხებისა და მათი კლასიფიკაციის შემუშავებას, შეპირისპირებითი კვლევის პრინციპებისა და მეთოდების ფორმირებას.

მიუხედავად ამისა, მაკროლინგვისტური პრობლემატიკა: ენა / საზოგადოება / კულტურა / პიროვნება, რომლის მიმართაც ინტერესი ენათმეცნიერებაში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან არსებობდა და მაქსიმალური ინტენსივობით გამოვლინდა ვ. ფონ ჰუმბოლდტის, გ. შტეინთალის, კ. ფოსლერის, ა. ა. პოტენიას შრომებში, გასული საუკუნის პირველ ნახევარში გადატანილი იქნა მეორე პლანზე სტრუქტურალიზმის გავლენით, რომელიც შემოიფარგლებოდა ენის კვლევით თვით ენობრივი სისტემის შიგნით.

მე-20 საუკუნის ბოლო წლებში ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარება საწინააღმდეგო მიმართულებით იწყებს მოძრაობას და დამკვიდრებული სციენისტური, სისტემურ-სტრუქტურული და სტატიკური პარადიგმის ნაცვლად ვითარდება ანთროპოცენტრისტული, ფუნქციონალური, კოგნიტიური და დინამიკური პარადიგმა, რომელმაც ადამიანი სამყაროს ცენტრში დააბრუნა.

ათასწლეულების მიჯნაზე ენათმეცნიერებაში აქტიურია კონცეფციები და იდეები, რომლებიც გასულ საუკუნეში სტრუქტურალიზმსა და გენერატივიზმთან ერთად ვითარდებოდა და მათი მხრიდან გარკვეულ გავლენასაც განიცდიდა. ცოდნის განვითარების ასეთი ხასიათი ეწინააღმდეგება ენათმეცნიერებაში დამკვიდრებულ შეხედულებას ლინგვისტურ მოძღვრებათა სწორხაზოვანი განვითარების შესახებ. ითვლებოდა, რომ ლინგვისტური ცოდნის „დაგროვება“ ხდება ენის ჰუმარიტ არსთან თანდათანობით მიახლოების გზით, ცნობილი, ტრადიციული სცენარის მიხედვით, რომელიც გულისხმობს, რომ ენის შესახებ არსებული ცოდნის შევსება-განახლება ხდება კვლევის ემპირიული საფუძვლის გაფართოების ხარჯზე. თუმცა მე-20 საუკუნის ბოლოს ნათელი გახდა, რომ ასეთი წარმოდგენა ენათმეცნიერების განვითარების შესახებ არ შეესაბამება ლინგვისტური შემეცნების ობიექტურ პროცესს. როგორც ჩანს, მისთვის დამახასიათებელია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციის — ენის ახალი, უფრო ადეკვატური კონცეფციის წარმოქმნისა და არსებული კონცეფციის ფარგლებში ცოდნის თანმიმდევრული განვითარების პროცესის — ერთიანობის კანონი.

იდეების, შეხედულებების, ჰიპოთეზებისა და თეორიების სიმრავლის მიუხედავად, ენათმეცნიერებაში არსებულ სიტუაციას ახასიათებს განვითარების პროცესის ერთგვარი შინაგანი მთლიანობა და ერთიანობა. აღნიშნული მრავალფეროვნების სისტემატიზაციის საჭიროებამ განაპირობა მეცნიერული პარადიგმის ცნების დამკვიდრება, რომელიც თ. კუნის მიერ იქნა შემოტანილი 60-იან წლებში. „მეცნიერულ პარადიგმად“ ავტორი მიიჩნევდა საყოველთაოდ აღიარებულ სამეცნიერო მიღწევებს, რომლებიც გარკვეული დროის მანძილზე იძლევიან პრობლემების წამოყენებისა და გადაჭრის მოდელს (კუნი, 1977). მეცნიერის აზრით, არსებობს გარემოებანი, რომელთა დროსაც შესაძლებელია ორი პარადიგმის მშვიდობიანი თანაარსებობა.

ლინგვისტიკაში ყოველთვის აღინიშნებოდა სწორედ ასეთი ვითარება: დამკვიდრებულ მიმართულებასთან ერთად, ჩვეულებრივ, ვითარდებოდა სხვა მიმართულებებიც. თანამედროვე ლინგვისტიკა, რომელშიც პრაქტიკულად პარადიგმის სრული შეცვლა მოხდა, გამოირჩევა სკოლებისა და მიმართულებების განსაკუთრებული მრავალფეროვნებით. ლინგვისტიკის შინაგანი ერთიანობის საკითხის შესწავლის, ანუ იმის გარკვევის საფუძველზე, კონცეფციათა მრავალფეროვ-

ნების მიღმა შეინიშნება თუ არა გარკვეული პრინციპული ერთიანობა, საუკუნის ბოლოს ენათმეცნიერებაში გამოიკვეთა თანამედროვე ლინგვისტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენცია: ანთროპოცენტრიზმი.

ტრადიციულად ენათმეცნიერებაში სამი მეცნიერული პარადიგმა გამოიყოფა: შედარებით-ისტორიული (ანუ ლინგვისტური კომპარატივიზმი), — არსებითად ელემენტარულ-ტაქსონომიური პარადიგმა, რომელმაც შეიმუშავა ენის ძირითადი ერთეულების კლასიფიკაცია; სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმა, რომლის ცენტრშიც აღმოჩნდა ენის ერთეულების ურთიერთკავშირი და რომელიც ენას წარმოსახავდა, როგორც მკაცრად სტრუქტურირებულ და იმანენტურ წარმონაქმნს. სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმის შეცვლა ანთროპოცენტრისტულით ნიშნავს კვლევის ძირითადი აქცენტის გადატანას შემეცნების ობიექტიდან — სუბიექტზე. ყურადღების ცენტრში მოექცა ადამიანი, პიროვნება. ანთროპოცენტრიზმის პოზიციებიდან, ადამიანი სამყაროს ასახავს საკუთარი თავის, საზოგადოებაში, ბუნებაში საკუთარი ადგილის, თავისი შინაგანი სამყაროს, კულტურისადმი საკუთარი მიმართების გაცნობიერების გზით. ვერც ერთი აბსტრაქტული თეორია ვერ ახსნის, თუ რატომ შეიძლება იფიქრო გრძნობაზე, როგორც ცეცხლზე, და ისაუბრო სიყვარულის ალზე, მეგობრულ სიტუაციაზე და ა. შ. ადამიანი აცნობიერებს საკუთარ თავს, როგორც ყველაფრის საზომს, და ეს ანიჭებს მას უფლებას, შექმნას საკუთარ ცნობიერებაში ანთროპოცენტრისტული წყობა, რომელიც განსაზღვრავს მის სულიერ არსს, მისი ქცევის მოტივებსა და ფასეულობათა იერარქიას. ამ ყველაფრის შეცნობა შესაძლებელია ადამიანის ენის, მისი მეტყველების შესწავლის გზით (მასლოვა, 2001).

ბოლო ათწლეულებში განვითარებული მიმართულებები — ლინგვოკონცეპტოლოგია, კოგნიტიური ლინგვისტიკა, ეთნოლინგვისტიკა, ეთნოფსიქოლინგვისტიკა და სხვ. ხელს უწყობს ენობრივი მოვლენის ახლებურად დანახვას, ენების სპეციფიკის გამოვლენას. ჩვენი აზრით, თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარება, მისი კონცეფტუალური არსი განსაზღვრავს შეპირისპირებითი კვლევის აქტუალობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლინგვოკულტურული კონცეფტების, როგორც გარკვეული ეთნოსის ლინგვომენტალიტეტის ამსახველ ვერბალურ მნიშვნელობათა შეპირისპირება, და ასეთი კვლევის საფუძველზე ნაციონალური კონცეფტოსფეროების, მოვლენათა კონცეფტუალ-

ზაციისა და კატეგორიზაციის პროცესების შესწავლას.

ლიტერატურა

**ალეფირენკო, 2005** — Алефиренко И. Ф. Современные проблемы науки о языке. — М., 2006.

**თანამედროვე ლინგვისტიკის აქტუალური პრობლემები, 2006** — Актуальные проблемы современной лингвистики. Составитель Л. Н. Чурилина. — М., 2006.

**კუნი, 1977** — Кун. Т. Структура научных революций. - М., 1977.

**მასლოვა, 2001** — Маслова В. А. Лингвокультурология. — М., 2001.

INGA KIKVIDZE

### **A Contrastive Study and its Place in the New Scholarly Paradigm**

#### Summary

The paper focuses on the development of a new paradigm in modern linguistic thought and aims at defining the place of contrastive studies in it. As is known, at the end of the 20<sup>th</sup> century the substitution of the systemic-structural paradigm by the anthropocentric one caused a focus-shift from the object of observation towards the subject the observer. At the present stage of linguistic thought contrastive studies are linguo-culturally biased. Stating ethno-specific verbal behaviour as well as the types of categorization and conceptualization has become one of the aims of contrastive studies.

## თავარ ლოგთაჲ

## სოციოლექტების სტრუქტურა

სოციოლექტების კვლევამ ახალ საუკუნეში განსაკუთრებული ფორმითა და ოპტიმიზმით აღსავსემ შეაბიჯა, რადგან მისი მომავალი დაკავშირებულია სამეცნიერო კვლევის ისეთ მიმართულებებთან, როგორცაა ხელოვნური ინტელექტისა და კომპიუტერული პროგრამების ახალი თაობების დამუშავება; ადამიანის შემოქმედებითი უნარისა და ცივილიზაციის განვითარების პროგნოზირება. ყოველივე ამის მისაღწევად არ არის საკმარისი მხოლოდ ფაქტების აღწერა, არამედ აუცილებელია ამ ფაქტების ახსნა, ანალიზი და შემდგომში საფუძვლიანი რეკომენდაციების გაცემა.

სოციოლექტებში შემავალ ერთეულთა დახასიათებისას, არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ ლინგვისტური სისტემის თავისებურება, ძირითადად, ლექსიკაზე, ფრაზეოლოგიზმებსა და სიტყვაწარმოებაზე მოდის. აღნიშნულია ისიც, რომ სოციოლექტებს არა აქვს საკუთარი ფონეტიკური და გრამატიკული სისტემა. იგი იქმნება რომელიმე ენის საფუძველზე და ამ ენის ხელოვნურად გადასხვაფერებულ ნაირსახეობას წარმოადგენს, უხვად შეზავებულს უცხო ენიდან ნასესხობებით (ჯორბენაძე, 1989).

ხშირად სოციოლექტები თავისი ფორმალური სტრუქტურით არ განსხვავდებიან ბუნებრივი ენის სხვა დანარჩენი ლექსიკური ერთეულებისაგან. ამიტომ ერთი და იგივე ლექსიკური ერთეული შეიძლება ენაში არსებობდეს როგორც სოციოლექტი და როგორც ჩვეულებრივი სიტყვა. მაგალითად, **კერავს, ლიმონი, ასწორებს, ტეხავს...**

თანამედროვე ქართული სოციოლექტები წარმოშობის მიხედვით ორ დიდ ჯგუფად იყოფა.

პირველ ჯგუფში ერთიანდება ნასესხები ლექსიკური ერთეულები, ასევე ხშირია არსებით სახელებთან უცხოური სუფიქსების გამოყენებაც. მაგალითად, უგონიკი, ნაკოლნიკი, ფორტონიკი, ბალამუტიკი,

მორფინისტი და ა.შ. ძირითადად, გავრცელებულია რუსულიდან, ებრაულიდან, ინგლისურიდან ნასესხები სიტყვები, თუმცა რამდენიმე სიტყვა შეიძლება სხვადასხვა წარმომავლობის იყოს.

მეორეში ჯგუფში — ქართული, ადგილობრივი სიტყვებია გაერთიანებული. ეს ჯგუფები, თავის მხრივ, რამდენიმე ქვეჯგუფად შეიძლება დაყვით.

აქვე ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე.

ლევან ბრეგაძის „ქართული ჟარგონის ლექსიკონის“ რეცენზიაში რ. ქურდაძე წერდა: „მხოლოდ ლექსიკა სრულად ვერ წარმოაჩენს სიტყვათა ჟარგონულ ბუნებას. საჭიროა გრამატიკაც, ფორმის გრამატიკული ანალიზიც, ე. ი. გარკვეული გრამატიკული ფორმა იძენს ჟარგონულ მნიშვნელობას“ (ქურდაძე, 2000, 18).

სოციოლექტებში შემავალ ერთეულთა დეფინიციისას, არაერთხელ მივუთითეთ, რომ ისინი ხასიათდება მინიმალური ლინგვისტური სისტემით. რა არის მინიმალური ლინგვისტური სისტემის არსი?

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ის რომ ფონეტიკური და გრამატიკული სისტემა დიდ სხვაობას არ გვიჩვენებს ქართულ ლინგვისტურ სისტემასთან შედარებით. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ყოველი დიალექტის სისტემა (მათ შორის სოციალურისაც) იმ ენითაა შეპირობებული, რომლის ნაირსახეობასაც წარმოადგენს იგი.

მინიმალური სხვაობა დაჩნდება ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის დონეზე.

დიალექტოლოგიისა და სოციოლინგვისტიკის კრიტერიუმების განხილვისას ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ „სოციოლინგვისტური კრიტერიუმები საშუალებას გვაძლევენ ავხსნათ იმ რიგის მოვლენები, რომლებიც წმინდა ენათმეცნიერული თვალსაზრისით ვერ განიმარტებიან. მაგალითად, რატომ არის, რომ რბილი ლ-ს წარმოთქმა ფორმებში „პალმა“, „პალტო“, „რეგოლუცია“, საზოგადოების გარკვეულ ფენაში სავსებით დასაშვებად მიიჩნევა, მაგრამ აშკარა უარყოფით რეაქციას (გაკილვას, დაცინვას) იწვევს ანალოგიური წარმოთქმა ფორმებში „ტოლმა“, „ლტოლვა“? იმიტომ რომ პირველს სოციალური სანქცია აქვს (ამ ფენის წარმომადგენელთათვის ინტუიციურად მისაღებია სხვა ენებიდან ნასესხებ ფორმებთან ერთად შესაბამისი წარმოთქმის შესახებაც), მეორე რიგის ფორმებს კი ასეთი შეფასება

არ ეძლევა“ (ბ. ჯორბენაძე, 1989, 192). მართლაც, ქართულ სოციო-  
ლექტებში ძალიან ხშირად დასტურდება რბილი ლ (განსაკუთრებით  
ახალგაზრდულ ჟარგონში, მედიკოსებთან და საერთოდ, მაღალი სო-  
ციალური წრის წარმომადგენელთა მეტყველებაში). დასტურდება  
ცხვირისმიერი მეტყველების მანერა. ამ პრობლემაზე მიუთითებდა ა.  
არაბული: „ბოლო დროს ქალაქის ახალგაზრდობაში გამოიკვეთა ერ-  
თვარი ცხვირისმიერი მეტყველების მანერა, რომელიც შესაბამისი  
ეფექტის განზრახ, სპეციალურად შექმნას გულისხმობს. ამგვარ  
მეტყველებაში ზოგი სხვა სონორიც კი თითქოს **ნ**-დ ისმის“  
(არაბული, 2005, 70).

ქართული თანხმობების სამეულთა სისტემაში არსებული მკვეთ-  
რი ბგერები ქართული ბგერითი სისტემისათვის სპეციფიკური ბგერე-  
ბია; მათი საარტიკულაციო თავისებურებაა პარალელური ხშვა სახმო  
სიმების არეში. თანამედროვე ენობრივ გარემოცვაში აქტუალურია ამ  
ბგერათა ხვედრითი წილის შენარჩუნებაზე ზრუნვა. ამიტომაც სპეცი-  
ალისტები რეკომენდაციას უწევენ ევროპული ენების სათანადო რი-  
გის ბგერების მკვეთრად გადმოტანას (არაბული, 2005, 70). თანამედ-  
როვე ქართულ სოციოლექტებში ეს ბგერები მკვეთრად აღარ გადმო-  
დის (იშვიათად, თუ რუსულიდან არ ხდება სესხება).

ზოგჯერ თანდებულებანი ფორმა იქნენ ჟარგონულ მნიშვნელობას.  
მაგალითად, ვაჭართა მეტყველებაში გავრცელებული —ში თანდებუ-  
ლებანი ფორმები გვაქვს. "სამ ლარში მოგცემ“, „დოლარში არ ვყიდი“  
და ა.შ.

ქართულში გვაქვს რამდენიმე ზმნა, რომლებიც, მართალია, ფუ-  
ძედრეკადები არ არიან, მაგრამ თემის ნიშანს მაინც არ დაირთავენ.  
ერთ-ერთი ამ ტიპის ზმნაა ტეხს, რომელიც დიალექტებსა (ამ შე-  
მთხვევაში ტერიტორიულ დიალექტებს ვგულისხმობთ) და ხშირად  
სალიტერატურო ქართულშიც -ავ თემის ნიშნითაა წარმოდგენილი.  
მაგალითად, თხილს ტეხს და თხილს ტეხავს. მაგრამ ჟარგონში  
„ტეხავს“ მხოლოდ თემისნიშნის ფორმით გვხვდება, იმ პირის  
მეტყველებაშიც კი, ვინც ჩვეულებრივ ამ ზმნას უთემისნიშნოდ  
გამოიყენებს. ამით იმის თქმა გვინდა, რომ მხოლოდ თემისნიშნის  
ფორმამ შეიძინა ჟარგონული მნიშვნელობა (არაბული, 2005).

ამრიგად, მართალია, ქართული ენის ბგერითი თუ გრამატიკული  
სისტემა საკმაო გამძლეობით გამოირჩევა, მაგრამ უცხო ენათა გა-

ვლენის სივრცე და ინტენსივობა, რომელიც, პირველ რიგში, რომე-  
ლიმე სოციალურ თუ პროფესიულ ჯგუფში იჩენს თავს და რომელიმე  
სოციალური ჯგუფის სამეტყველო მანერა ხდება, საკმაოდ იზრდება  
და დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში მნიშვნელოვანი გა-  
ვლენის მოხდენა შეუძლია საერთო ენობრივ ცნობიერებაზე.

სტრუქტურული ანალიზით სოციოლექტები ორ ჯგუფად იყოფა:  
პირველ ჯგუფს შეადგენს ყველაზე მინიმალური სტრუქტურული ერ-  
თეული — ერთსიტყვიანი სოციოლექტიზმები, რომლებიც, თავის  
მხრივ, შეიძლება იყოს მარტივი, ნაწარმოები, რთული.

ერთსიტყვიანი სოციოლექტიზმებია მაგალითად, გაშმონა, დაა-  
ვაზვრატა, ასწორებს, ტეხავს, ზეხერი, ლიმონი, თეთრი, ხვოსტი, ძონ-  
ძები...

მეორე ჯგუფს შეადგენს შესიტყვებები, ანუ სოციოლექტური  
გამოთქმები: კანონიერი ქურდი, კაი ბიჭი, ფანტანმა დაარტყა, ყვირა-  
პი დათვი, ლიანგი დათვი, ყელის მოკეტვა. შესიტყვებები შეიძლება  
სხვადასხვა ტიპის იყოს:

ა) შედგენილი ანუ ანალიტიკური, რომლის დაშლა შეიძლება  
შემადგენელ ნაწილებად. სხვაგვარად მას შეიძლება თავისუფალი შე-  
სიტყვება ეწოდოს. ასეთ შესიტყვებაში ცალკეული კომპონენტი და-  
მოუკიდებელი მნიშვნელობის მქონეა და კომბინაციურად სხვადასხვა  
სიტყვებთან გვხვდება ხოლმე. ასეთი შესიტყვებების მნიშვნელობა  
უდრის შემცველი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს: ბაითი აწია,  
ბანკი გაწია...

ბ) არათავისუფალი შესიტყვებები, რომელთა შემადგენელი კომ-  
პონენტი შეიძლება არც იყოს სოციოლექტიზმი: მორჩა ბაზარი,  
პლანს ქაჩავს...

გ) სინთეზური ანუ იდიომატური, რომლის დაყოფა ცალკეულ  
ნაწილებად არ შეიძლება: კაი ბიჭი, ფანტანმა დაარტყა...

ბუნებრივია, რაც უფრო სხარტი და ლაკონურია სოციოლექტიზ-  
მი, მით მეტია მისი ღირებულება. ამ თვალსაზრისით ერთსიტყვიანი  
სოციოლექტებს უპირატესობა ენიჭება, მაგრამ სინტაქსური საშუალე-  
ბებით შედგენილ სოციოლექტებს შინაარსის გამჭვირვალობა ახასია-  
თებთ.

აქვე პირობითად შეიძლება გამოიყოს მესამე ჯგუფიც. აქ ერთი-  
ანდება არა მხოლოდ სიტყვიერი, არამედ სიმბოლოების მეშვეობით

ნაწარმოები სოციოლოგეტიები. მაგალითად, შარაფი და ნიშანი ყელზე თითის მირტყმა. ან კიდევ ჩაცმულობა, ვარცხნილობა და კომპიუტერული სიმბოლოები.

ამგვარად, სულ სოციოლოგეტიების სამ სტრუქტურულ ჯგუფს გამოვყოფთ: ერთსიტყვიანი, შესიტყვებები და სიმბოლოებით გამოხატული სოციოლოგეტიები.

რადგან სოციოლოგეტიები მნიშვნელობის მქონე სიტყვებია, ამიტომ ბუნებრივია, მის გადმოსაცემად დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე მეტყველების ნაწილებია არჩეული. ძირითადად, არსებითი სახელები, ზედსართავი და ზმნები.

სიტყვათა შემოკლება, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებული მოვლენაა. მაგალითად, ცვერი.

აღსანიშნავია რომ აქამდე ძირითადი ყურადღება ექცეოდა მხოლოდ ლექსიკურ ანალიზს, მაგრამ, როგორც ჩანს, ფონეტიკური და მორფოლოგიური, სიტყვაწარმოებითი და სინტაქსური ანალიზიც მნიშვნელოვანია.

ძირითადი მასაზროდობელი წყარო სოციოლოგეტიებისათვის დღესაც რუსულია, ახალგაზრდებთან ნელ-ნელა იკიდებს ფეხს ინგლისური. სწორედ ინგლისურის გავლენით იქცა ახალგაზრდებთან თბილისის ერთ-ერთი უბანი ვაკე, ვეიკად.

რადგან სოციოლოგეტიები განსაკუთრებული ემოციურ-ექსპრესიულობით ხასიათდებიან, ამიტომ ხშირია სიტყვათა იმგვარი ურთიერთობები, როგორიცაა, პოლისემია, სინონიმია, ომონიმია, ანტონიმია, ამიტომ ამ სემანტიკური პროცესების შესწავლასა და განხილვას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა.

სისტემურ ურთიერთობათა ერთ-ერთ გამოხატულებას ენაში სინონიმთა არსებობა წარმოადგენს. ქვემოთ, სემანტიკური დახასიათებისას თქვენ გექნებათ საშუალება იხილოთ, თუ რამდენი სინონიმი მოეპოვება თითოეულ ცნებას. ახლა მაგალითისათვის რამდენიმე მათგანს დავასახელებთ. მაგალითად, გომი, ქაჯი, არიფი, ხიხო და. შ. დაკერა, შეკერა; აგლახაგებს, ეკაიფება; ჩამშვები, ბოზი, კანარეკა; მორფინისტი, ნარკუშა; ქურდი, განაბი, ყულიკი; ისევე როგორც ლექსიკური სინონიმის სხვა შემთხვევაში, ზუსტად ერთი მნიშვნელობის ორი სიტყვა, რა თქმა უნდა, არა გვაქვს, ან სუბიექტური ან ობიექტური ფაქტორი გვაძლევს სხვაობას. ასევე განსხვავებაა ხმარე-

ბის სიხშირესა და სიტყვაწარმოებით საშუალებებში. ასე რომ, ლინგვისტური თვალსაზრისით სოციოლოგეტიებშიც სინონიმის შემთხვევაში უამრავი პრობლემა გვხვდება, მაგრამ სინონიმის არსებობა ფაქტია.

ასევე ხშირია პოლისემიისა და ომონიმის შემთხვევებიც. პრობლემა აქაც ანალოგიურია, რაც ლექსიკოლოგიაში. თუ არ ვიცით სიტყვის წარმომავლობა, ზღვრის გავლება პოლისემიასა და ომონიმის შორის არ ხერხდება. მაგალითად, ზელიონკა, ბაიანი ნასესხები სიტყვებია რუსულიდან და ნარკომანებთანაც გამოიყენება და ქვის ხელოსნებთანაც. ასევეა სიტყვა ბანია, რომელიც ნარკომანებსა და დამნაშავეებთან სხვადასხვა მნიშვნელობით დასტურდება. არიფი პოლისემიური სიტყვაა, რომელიც დამნაშავეებთან სხვა მნიშვნელობისაა, ხოლო ახალგაზრდებთან — სხვა. კრიშას უკეთებს, ახალგაზრდებთან ნიშნავს ლობილებს, ხოლო ქვის ხელოსნებთან - გარკვეული ზომისა და ფორმის ქვას.

სოციოლოგეტიების ფორმალური სტრუქტურის შესახებ ზოგადი დასკვნების გაკეთება ჯერჯერობით არ ხერხდება, თუნდაც იმის გამო, რომ სათანადოდ არ არის შესწავლილი და გაანალიზებული თანამედროვე წესები და მეთოდები, რომლის მიხედვითაც ჩვენ შევძლებდით სოციოლოგეტიების ფორმის ყოველმხრივ ანალიზს.

ლიტმარატურა

**არაბული, 2005** — ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2005.

**ჯორბენაძე, 1989** — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.



TAMAR LOMTADZE

## The Structure of Sociolects

## Summary

According to their origin modern Georgian sociolects are divided into two groups :native Georgian and borrowed; each group being further subdivided. Structurally sociolects can be divided into two groups: the first group includes minimal structural units such as words ( root words as well as compounds); the second group embraces idioms. The paper suggests a possibility of singling out a third group containing the sociolects based on symbols. Since sociolects are emotionally charged and expressive, polysemic, synonymic and antonymic processes are typical of them , hence the given processes should be closely studied.

ქეთევან მარბიანი-სუბარი

პირველი სერიის თურმეობითა აზიქსების  
მიმართება სემანტიკასთან სვანურ ენაში

სვანური ზმნის უღლებაში თურმეობითი განსაკუთრებით რთული დროა როგორც წარმოების, ისე სემანტიკური ნიუანსების მრავალფეროვნების თვალსაზრისით.

ვარლამ თოფურია სვანურში „თურმეს“ გაგების შემცველ ოთხ მწკრივს გამოყოფს: ქართული I და II თურმეობითის ბადალ მწკრივებს — ნამყო სრულსა და ნამყო წინარეწარსულს (რეზულტატიური I და II) III სერიაში განიხილავს, ხოლო სპეციფიკურ, საკუთრივ სვანურ I და II თურმეობითს — I სერიაში. ა. ონიანი ამ უკანასკნელთ, ერთ-ერთი არსებული შეხედულების შესაბამისად (გ. როგავა, ზ. ჭუმბურიძე), IV სერიაში აერთიანებს (ონიანი, 1998, 205), ზ. ჭუმბურიძე კი მოგვიანებით შენიშნავს, რომ ეს საკითხი ჯერჯერობით შეუსწავლელია (ჭუმბურიძე, 2007, 155).

სვანურ ენაში I თურმეობითის ფორმა შედგება აწმყო სახედაო ქცევა + ბალსქვემოურში **-უნ-ა**, ბალსზემოურ-ქვემოსვანურში **-ინ-ა** სუფიქსებისაგან. ითარგმნება ნამყოუსრულის ფორმა + თურმე (თოფურია, 1967, 130):

**ხაბმინა** (ბზ.), **ხაბმუნა** (ბქ.) — „აბამდა თურმე“;

**ხაგმინა** (ბზ.) **ხაგმუნა** (ბქ.) — „აშენებდა (ზედ), II უშენებდა თურმე“;

**-ინა**, **-უნა** სუფიქსების თავკიდური ხმოვანი შესაძლებელია შეიკუმშოს:

**ხაკლანა** (ბზ.), **ხაკლანა** (ბქ.) — „უღეწავდა თურმე“;

**ხადგარინა** (ბზ.), **ხადგარუნა**||**ხადგარინა** (ბქ.) — „აკლავდა (ზედ), II უკლავდა თურმე“;

ამის გამო გ. თოფურია ფიქრობს, რომ **-ინა**, **-უნა** ბოლოსართები შეიძლება დაიშალოს **-ინ-ა**, **-უნ-ა** ელემენტებად, სადაც **-ა** შესაძლოა ნამყო დროის მაწარმოებელი იყოს. **-უნ-** და **-ინ** ელემენტების შესა-

ხებ კი აღნიშნავს, რომ, ვინაიდან **-ინ-** წინა ხმოვანს აუმლაუტებს (ბზ. **ხამწრ-ინ-ა** „უმზადებდა თურმე“; **ხატაბ-ინ-ა** „უთლიდა, ათლიდა თურმე“), **-უნ-** კი ამ მხრივ უძლურია (ბქ. **ხამარ-უნ-ა**, **ხატაბ-უნ-ა**), ისინი ერთმანეთის ნასუბსტიტუციევად ვერ ჩაითვლებიან; საკითხს ამ სუფიქსთა წარმომავლობის შესახებ (სხვადასხვა ამოსავლიდან მომდინარეობენ თუ ერთი ფორმანტის სხვადასხვა სახეა) მკვლევარი ღიად ტოვებს.

განსაკუთრებით თავისებური შედგენილობისაა II თურმეობითის ფორმები: **ლგ + მა + აწმყოს ფუძე + უნ-ე**. სემანტიკურად ამ მწკრივს უფრო ზუსტად გამოხატავს დასავლურ ქართულში დადასტურებული დიალექტური ფორმა — **ნა-** პრეფიქსიანი მიმღობა + მეშველი ზმნა: **ლგმგამჸნ ხჷი, ლგმგამინ ხჷი** (ბზ.), **ლგმგემინ ხჷი, ლგმგემნე ხჷი** (ბქ.) — ღვაშენებდი თურმე, ნაშენებვარ“.

ამ მწკრივის წარმოებისას პრეფიქსები ყოველთვის წარმოდგენილია, **ლგ-** ხშირად კუმშავს მომდევნო ფორმანტს: **-მა- > -მ-** (ეს უკანასკნელი ყოველთვის დაცულია ლენტეხურში: **ლგმგემ ლი**; ზოგჯერ სხვა დიალექტებშიც: ბზ. **ლგმწზ**, ბქ. **ლგმაწ** „მიდიოდა თურმე, მინავალა“)

რაც შეეხება სუფიქსს **-უნ-ე**, მასში **-ე** ხშირადაა მოკვეცილი და ამიტომაც გაუმლაუტებელია (**-უნ-ე > -ჸნ**), წინა ხმოვანი ან შეკუმშულია (**-უნ-ე > -ჸნ-ე**); ფონეტიკურ ნიადაგზე ეს ფორმანტი იცვლება **-ჸინ-**ად, ზოგჯერ ბილაბიალობას კარგავს და გვევლინება **-ინ-**ად (**-უნ-ე > -ჸნ > ჸინ > -ინ**), **-ე** მოკვეცილი ფორმები III პირში ხშირად მეშველი ზმნის გარეშეა:

**ლგ-მგ-დაგრ-უნ-ე ლი > ლგ-მ-დაგრ-ჸნ > ლგ-მ-დაგრ-ინ** — „კლავდა თურმე, ნაკლავა“;

**ლგ-მ-ვან-ჸინ** || **ლგ-მ-ვან-ინ** — „ხნავდა თურმე, ნახნავა“;

**ლგ-მ-მარ-ჸინ** || **ლგ-მ-მარ-ინ** — „ამზადებდა თურმე, ნამზადებდა“; ასევე, შეკუმშულ **-უნ-ე > ჸნ-ე** ფორმანტში ფონეტიკურ ნიადაგზე თუ დაიკარგა **-ჸ-**, მაშინ მეშველი ზმნის წინ სუფიქსად რჩება **-ნე**: **ლგ-მ-ვან-ნე ლი** (ბქ.), **-უნ-ე**’ს ადგილას შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდ **-ე**’ც (განსაკუთრებით ბალსქვემოურში):

**ლგმპარდელი, ლგმპარელი** — „ყოფილა“...

**-უნ-ე** (**-ჸნ-ე** || **-ნ-ე**, **ჸნ** || **-ჸინ** || **-ინ**) ხშირად არ გააჩნიათ **-წლ** (ბზ.)/**-წლ** (ბქ.) და **-იწლ** (ბზ.)/**-იწლ** (ბქ.) ელემენტთან (ზოგიერთ სხვასაც) ზმნებს ზემოსვანურში:

**ლგმღირწ /წლ** — „მღეროდა თურმე“;

**ლგმგრბიწლ** (ბზ.) **ლგმგრბწლ** (ბქ.) — „აცხობდა თურმე“;

**ლგმწჷებ** || **ლგმწზბინ** (ბზ.)/**ლგმწებ** || **ლგმწებინ** (ბქ.) — „ჰამდა თურმე“...

ვ. თოფურია II თურმეობითის აფიქსებში (**ლგ- + მა-... + ... -უნ-ე**) **ლგ-**’ს ნამყოს მიმღობისეულ პრეფიქსთან აიგივებს. ამის საფუძველს მას აძლევს აღწერით ფორმათა (**ლგ-გ-ე ლი** „აშენებუღია“, **ლგ-ხჷრელ-ე ლი** „აკრეფიღია, შეგროვებუღია“...) მახასიათებლების გამოვლენა საანალიზო მასალაში: 1. **-ე** ბოლოსართი; 2. მეშველი ზმნა; 3. **ან-**, **ეს-**, **ლა-** ძირითადი პრეფიქსები:

**ალმწწ** (ბზ.) **ოღმწწ** (ბქ.) <**\*ან-ლგმწწ** — „მოდიოდა თურმე, მინავალა“.

**ელმწწ** (ბზ.) **ოღმწწ** (ბქ.) — „მიდიოდა თურმე, მინავალა“...

თურმეობითთა შორის, შედგენილობის მხრივ ღიდი განსხვავების მიუხედავად, ბევრია საერთო:

1) ორივეთი გადმოიცემა უნახავი აქტი, სხვისგან გაგონილი ამბავი;

2) ორივე იყენებს აწმყოს ფუძეს: ფუძემონაცვლე დეფექტურ ზმნათა **-ემ**, **-ერ**, **-წსგი** აწმყოსეული დაბოლოებანი სწორედ აქ აღდგება:

აწმყო: **დწსგი** (ბზ.), **წდისგ** (ბქ.) „ღებს“;

აორისტი **ესღე** (ზსგ.) „ღადღ“;

თურმ. I **ხაღწსგჸნა** (ბზ.), **ხწდისგჸნა** (ბქ.) „აღებდა, უღებდა თურმე“;

თურმ. II **ლგმღწსგჸინ** (ბზ.), **ლგმღდისგჸინ** (ბქ.) „ღებდა თურმე“...

„ვნებითი გვარის თურმეობითი I და II მოქმედებითის თურმეობითისაგან მხოლოდ **-წლ/-ოღ** ფორმანტით განსხვავდება, რომელიც ჩაერთვის ზმნის ფუძესა და თურმეობითის ნიშანს შორის“ (თოფურია, 1967, 191):

**ლგმგამწლინ** || **ლგმგწლინ** (ბზ.), **ლგმგემოღნე ლი** || **ლგმგემოღლინ** || **ლგმგოღლინ** (ბქ.) — „შენღებოღა თურმე“, მაგრამ ეს ფორმანტი გვხვდება სხვა მწკრივებშიც, ამიტომ ვ. თოფურიას იგი ვნებითის ერთ-ერთ მაწარმოებლად მიაჩნია, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ **ე-**ს შემცველ ფუძეებში, სადაც თურმეობითის (**\*-უნ-ე > 1. -ჸინ > ინ** და 2. **ნე**) ნიშანი უშუალოდ დაერთვის ბალსქვემოურში, ხოლო

-ოლ/-ოლ-ის ჩართვით ბალსქვემოურსა და ლამსურში **ლემტანტინ** (ბზ.), **ლემტეხლონი** (ბქ.), ვნებითობას ფუძისეული **-ე-** გამოხატავს, **-ოლ/-ოლ-** კი გვიანდელი „კეთილშენადენი“ უნდა იყოს (თოფურია, 1967, 193).

ვ. თოფურია II თურმეობითის მაწარმოებელთა გენეზისისას აღნიშნავს, რომ **მა-**, **-უნ-** აფიქსთა ფუნქცია სარკვევია (თოფურია, 1967, 135).

როგორც ითქვა, სემანტიკურად მწკრივს ქართულ უღლებაში ზუსტი შესატყვისი არ მოეპოვება, აღწერიტად კი მისი ბადალი იქნება უწყვეტელი + „თურმე“. ნამყო უსრული, ჩვეულებრივ, დაუსრულებელ, განგრძობით მოქმედებას ან მდგომარეობას გამოხატავს. ამდენად, ეს მწკრივი, მიუხედავად გარდამავლობა — გარდაუვლობისა თუ ზმნის სემანტიკისა (მოქმედება — მდგომარეობა), ასახავს პროცესს წარსულში, აჩვენებს დინამიკას, აქტივობას: **წერდა თუ იწერებოდა** — რომელიც არ დასრულებულა, **იჭდა**“ც პროცესია, თუ შეიძლება ითქვას, მდგომარეობა დინამიკაში... ჩვენი აზრით, სწორედ ამ აქტივობას, დინამიკას ასახავს **-მე** (<-მა-) პრეფიქსი სვანურის II თურმეობითში, რომელიც, სავარაუდოდ, კვლავ მიმღეობურია, კერძოდ სასუბიექტო მიმღეობისა. ვ. თოფურია აღნიშნავს, რომ **მე-** — **-ე** ფორმანტები ნამყო მიმღეობაში ზოგჯერ **ლე-** — **-ე**’ს ცვლის:

**ლე-ტუნარ** II **ლე-ტურ-ე** = **მე-ტუნარ** „ანთებული“;

**ლე-ურ-ე** = **მე-ური** „სველი“... (თოფურია, 1967, 221).

ა. ონიანი ნამყო მიმღეობის ფორმანტთა შორის მოიხსენიებს **მე-**, **მე-ე** აფიქსებს, რომლებთანაც თავისუფლად მონაცვლეობს **ლე-**:

**მე-ჯაბ** II **ლე-ჯაბ** — „მოხარული“

**მეტყაბ** II **ლეტყებ** — „შემწვარი“

**მე-ჭ-ე** II **ლე-ჭ-ე** — „გამომცხვარი“... (ონიანი, 1998, 269).

ჩვენი აზრით, ამ აფიქსთა ფუნქცია მიმღეობებში მხოლოდ დროის ასახვა არ უნდა იყოს; ისინი ერთმანეთს უბრალოდ კი არ ენაცვლებიან (თუმცა ტენდენცია მათი გაერთმნიშვნელიანებისა მართლაც ძლიერია), არამედ **აქტივ-პასივის ნიუანსს აფიქსირებენ სხვადასხვაგვარად:**

**ლე-ჯაბ** „ის რაც მოხარშეს“, **მეჯაბ** „მოხარული, არა უმი“;

**ლე-კრ-ე** „გადებული“ (ვინმესგან), **მეკარ** „ღია“;

**ლე-ურ-ე** „დასველებული“, **მე-ური** „სველი“;

**ლე-ნაყ** II **ლე-ნყე** „გამოცხობილი“, **მე-ნაყ** „გამომცხვარი“;

**ლე-ჭე** „გამოცხობილი, გამოშრობილი“, **მე-ჭე** „გამომცხვარი“...

ჩვენი აზრით, **მ**’იან მიმღეობებს ის ზმნები შეესაბამება, რომელთა სუბიექტი თვითმოქმედია, ხოლო მოქმედება უკუმიმართულებისაა, უკუქცევითია, მაგრამ მხოლოდ სემანტიკურად — გრამატიკულად ისინი გარდაუვალი ზმნებია და ნომინატიური კონსტრუქციისა, თუმცა ეს **მე-**ს ფუნქციას ეჭვქვეშ ვერ აყენებს. ვინაიდან თურმეობითი II ნებისმიერ შემთხვევაში პროცესს გულისხმობს, ვფიქრობთ, ამიტომაც დამკვიდრდა მწკრივში **-მე** (<-მა-) პრეფიქსი, რომლის ფუნქციაც დინამიკის, აქტივობის ასახვაა.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სტატიკურ ზმნებში შინაარსით მეშველზმნიანი ფორმები („ვზივარ,“) უმეშველზმნო ფორმებს („ვზი“) უპირისპირდებიან სტატუსის კატეგორიის მიხედვით. მართალია, ორივე რიგის ფორმა **ვზი** — **ვზივარ** მდგომარეობას გამოხატავს, მაგრამ მეორე ფორმაში **ვარ** მეშველი ზმნის დართვამ, შეიძლება ითქვას, სტატიკურ **ვზი** ფორმას მობილური შინაარსი შესძინა. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგვასხენდეს, რომ წყვეტილის **იჭდა**, **იდგა** ფორმები (ძვ. **ჭდა**, **დგა**) დღეს გამოხატავენ არა აორისტის გავებას (სადაც აქტიურობა, დინამიკა მიჩქმალულია), არამედ უწყვეტლის შინაარსს, რომელშიც დინამიკა, მოქმედების პროცესი ხელშესახება... ქართულში „აქტივის კონვერსიული კონსტრუქციის ზმნები, რომლებიც **პასივად** იწოდებიან, ევროპული პასივისაგან განსხვავდებიან იმით, რომ მათი გრამატიკული სუბიექტი (იგივე აქტივის პირდაპირი ობიექტი) ხშირად მოქმედების აგენსია (რეალურად მოქმედი პირია) და არა პაციენსი (ანუ მოქმედების, ვნების განმცდელი)“ (მელიქიშვილი, 2001, 177). სწორედ ეს ასპექტია წინ წამოწეული სვანურის II თურმეობითში, ამიტომაც გარდაუვალი ზმნებიც გარდამავლების კვალობაზე აგენსის დაფიქსირებას იმავე **მე-** (**მა-**) პრეფიქსით ახერხებენ. სვანური ენის (ისევე, როგორც ქართულის) უწყვეტელში აქტივობა, დინამიკა მუდამ სუფიქსითაა გამოხატული, მაგრამ II თურმეობითს (რომელიც აღწერიტია) დინამიკურობასთან ერთად უნახაობაც უნდა გადმოეცა, რისთვისაც მან სუფიქსაცია გამოიყენა, აქტივობის, დინამიკურობის გამოსახატავად (სემანტიკიდან გამომდინარე) **-მ** (<-მა-) პრეფიქსი დაუერთო არა მხოლოდ გარდამავალ, არამედ გარდაუვალ ზმნებსაც:

**ლე-მ-შიხ-ჟ-ინ-ხჟი** — „გწვავდი თურმე“, **ლე-მ-შიხ-ოლ-ინ-ხჟი** — „გწვოდი თურმე“; **ლე-მ-სგურ-ოლ-ნე ხჟი** — „გვდებოდი თურმე“;

ლგ-მ-სგუიორ ხუი — „ვიჯეი თურმე“.

შდრ. III სერიის ვნებითი გვარის ნამყოსრულის ფორმა, რომელიც ასევე აღწერითია და მიმღობური:

ალშინელი (<\*ან-ლგ-შინ-ე ლი) — „დამწვარა“; ელსიპელი (<\*ეს-ლგ-სიპ-ე ლი) — „გადაქცეულა“;

როგორც ვხედავთ, მგ- პრეფიქსი არ ფიგურირებს, ალბათ იმიტომ, რომ ეს ფორმები პროცესს კი არა, შედეგს გადმოსცემენ, ამიტომაც მათივეგებელი აფიქსი საჭირო აღარაა!

-უნ-ე სუფიქსის შესახებ გარდამავალ ზმნებში ვ. თოფურია სა-მართლიანად შენიშნავს, რომ -ე -უნ- ელემენტის კუთვნილება არ უნდა იყოს, რაც იქიდანაც ჩანს, რომ იგი -უნ-ის გარეშე შეიძლება ზმნაში გვქონდეს: ლგ-მგ-რდ-ე/-ლი (ბზ.) ლგ-მპ-რდ-ე-ლი (ბქ.) — „ყოფილა, ნამყოფა“ ე-ს მოკვეცის შედეგად გაუმლაუტებულია ბოლო ხმოვანი ზოგიერთ ზმნაში: ლგ-მზელწლ — „დადიოდა თურმე“; ლგ-მღირწლ — „მღეროდა თურმე“... (თოფურია, 1967, 134).

ჩვენი აზრით, -ე მიმღობურია, -უნ- სუფიქსი კი მხოლოდ მატერიალურად როდი ემთხვევა სვანურში მყოფადუსრულის (ხუამარ-უნი „ვამზადებდე იქნება“, აღწუნი „თესავდეს იქნება“), პირობითისა (ხუიბმ-ჟნ/ხუიბმ/უნ „რომ მეება“, ხუიგმ-უნ „რომ მეშენებინა“...) და I თურმეობითის („ხუამგ-ინ-ა < \*ხუამგ-ჟნ-ა (ბზ.) ხუამგ-უნ-ა (ბქ.) „ვუშენებდი, ვაშენებდი (ზედ) თურმე“...) სუფიქსს! ჩამოთვლილ შემთხვევებში ზმნური ფორმით გადმოცემულია წარსული, მაგრამ გარკვეული პირობის შემცველი, უნახავი (ხუამარ-უნ-რლ (ბზ.), ხუიარ-ჟინ (ბქ.) — „რომ მეწერა“, ხუამარნა < \*ხუამარჟნა (ბზ.), ხუამარ-უნ-ა (ბქ.) — „გაწერდი / ვუწერდი თურმე“, ლგმირ-ნ-ე ლი (<ლგმირნელი)||ლგმირ-ჟნ-ე ლი (ბზ.), ლგმირჟინ (<ლგ-მგ-ირ-ჟინ)||ლგმარუნე ლი (ბქ.) — „წერდა თურმე“) ან, ასევე პირობის შემცველი, მომავალში შესასრულებელი, საეჭვო, სავარაუდო და, ამიტომაც, ცხადია, კვლავ უნახავი მოქმედება (შდრ. ქართ. „რომ მეკეთებ-ინ-ა, რომ ვამაკეთებ-ინ-ა...).

გფიქრობთ, აღნიშნული სუფიქსი არქაულია და მომდინარეობს ოდენ სემანტიკური ჯგუფების არსებობის დროიდან, მისი ფუნქციის დიფერენციაცია მწკრივთა მიხედვით მოგვიანებით უნდა მომხდარიყო, თუმცა ვითარება, რომელსაც ეს სუფიქსი ანიჭებს სხვადასხვა მწკრივს, მაინც იკვეთება ერთ წერტილში — ეს არის უნახაობა-პირობითობა. რაც შეეხება ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტ-

ტებში სუფიქსის არაიდენტურობას, შესაძლოა, ეს ორი აფიქსი იმთავითვე სხვადასხვა კილოს კუთვნილება იყო ერთი და იმავე სემანტიკური დატვირთვით.

ლიტერატურა

თოფურია, 1967 — ვ. თოფურია, „სვანური ენა“, თბილისი, 1967.

მელიქიშვილი, 2001 — დ. მელიქიშვილი, „ქართული ზმნის უღლებების სისტემა“, თბილისი, 2001.

ონიანი, 1998 — ა. ონიანი, „სვანური ენა“, თბილისი, 1998.

ჭუმბურიძე, 2007 — ზ. ჭუმბურიძე, „სვანური ენა“, თბილისი, 2007.

KETEVAN MARGIANI-SUBARI

### Semantics of Resultative Affixes in Series I in Svan

#### Summary

In Svan the function and the semantics of the Resultative in Series I is specific. Resultative I is formed by means of the objective version in the present+ the suffixes in-a, un-a. Resultative II is descriptive, is characterized by affixation and takes auxiliaries. Since continuity together with ‘turme’ expresses the semantic essence of Resultative II, the permansive, dynamic nature typical of the continuity must have been grammaticalized in the given mtskrivi. The paper argues that the participle prefixes lg and mg perform the function in question. The suffix un of the discussed mtskrivis coincides with that of the Future perfect and the conditional. The forms of the mtskrivi in question convey the following meanings: 1.unseen, doubtful actions that were to be performed in the past in certain conditions; 2.unseen, possible, unattested actions that may take place in the future in certain conditions. The affix un is of archaic origin and dates back to the time of semantic classes. Its differentiation according to the mtskrivis must have taken place later.

## ნანა მაჭავარიანი

მწერთა აფხაზური სახელწოდებების სემანტიკურ-  
სტრუქტურული ანალიზი

ენის ლექსიკის სემასიოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა უპირველესად ითვალისწინებს სიტყვის მნიშვნელობის დახასიათებას, მისი სემანტიკური სტრუქტურის აღწერას სინქრონულ დონეზე.

აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთმიმართებაში საინტერესოა აღმნიშვნელის სემანტიკური აგებულება, მისი ლექსიკური სინტაგმატიკა, ენობრივი მეტაფორა.

ცნობილია, რომ ენობრივ ერთობებს ერთიმეორისაგან განასხვავებს აღსანიშნისა და აღმნიშვნელს შორის სხვადასხვაგვარი მიდგომა.

სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარადაა ასახული ობიექტური სინამდვილე: სივრცე, ბუნების მოვლენები, მცენარეთა თუ ცხოველთა სამყარო.

ენის ლექსიკის ამა თუ იმ უბანში უკუფენილია ენობრივი ერთობის ყოფის სხვადასხვაობა, რადგან ყოფის სხვადასხვაობა განსაზღვრავს სწორედ იმ თავისებურებებს, რომლებიც სხვადასხვა ენის ლექსიკური ფონდის შინაგან დანაწევრებაში შეიმჩნევა.

აფხაზური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის სოლიდური ნაწილი მწერთა აღმნიშვნელ სახელებს მოიცავს.

სემანტიკური თვალსაზრისით მწერთა ლექსიკა შეიძლება დაიყოს მფრინავ და მხოხავ, ადამიანისათვის სარგებლობის მომტან, თუ ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელ, ზიანის მიმყენებელ მწერთა სახელწოდებებად.

სტრუქტურული თვალსაზრისით მწერთა ლექსიკაში გამოიყოფა სხვადასხვა მოდელები.

• მფრინავი, ადამიანისათვის სარგებლობის მომტანია **ა-შხა** „ფუტკარი“, ამ ფუძისაგან აფხაზურში არა ერთი სიტყვაა ნაწარმოები: **ა-შხვც** „ერთი ფუტკარი“, -ც სუფიქსი „ცალის“ აღმნიშვნელია; **ა-შხარ** „მუშა ფუტკარი“, შესაძლოა -რ ამ ლექსემაში იყოს ნაშთი

სიტყვისა არ „ჯარი“, ანუ „ჯარისკაცი ფუტკარი“; **ა-შხაწ** „გუნდი ფუტკარისა“, **ა-შხარან** „დედა ფუტკარი“, სიტყვის პირველი ნაწილია იგივე **ა-შხა** „ფუტკარი“, მას მოსდევს მრავლობითი რიცხვის კუთვნილების რ-პრეფიქსი და ან „დედა“ ლექსემა. სიტყვასიტყვით: „ფუტკარი (მათი) დედა“; აღსანიშნავია, რომ სიტყვა **ა-შხა** „ფუტკარი“ მხოლოდით რიცხვშია, კუთვნილების აფიქსი კი მრავლობითისა აქვს.

**შხა-ნგჰია** „ფუტკრის სალოცავი“, ა-ნგჰო არა „ლოცვა“, ზედმიწევნით: „ფუტკრ(ის) ლოცვა“, **ა-შხგმზა/აშხგმძა** „სკა“, **ა-შხაგაიარა** „საფუტკრე“, აგ არა „ღობე“, სიტყვასიტყვით: „ფუტკრის ღობე“. განხილული, კომპოზიციის გზით შედგენილი, სახელწოდებები აფხაზური ენის გრამატიკულ ნორმათა დაცვითაა ნაწარმოები: საზღვრული წინ უსწრებს მსაზღვრელს.

ფუტკრის სახელისა და მისგან ნაყარი ფუძეების სიმრავლე იმის მაჩვენებელია, რომ აფხაზები მეფუტკრეობას ძველთაგანვე მისდევდნენ.

**ა-ყანჭა-ყანჭ-ხიაც** „აბრეშუმის ჭია“, ა-ხო აც „ჭიას“ ნიშნავს დამოუკიდებლად. ეს სიტყვა ნასესხები ჩანს აფხაზურში. შდრ.: ქართული „ყაჭის ჭია“, ლექსემის მეორე ნაწილი კალკირებულიც კია. ა-ყანჭძაარა „მეაბრეშუმეობა“, ა-ძაარა „აღზრდა“, ანუ აბრეშუმის აღზრდა“. მეაბრეშუმეობა აფხაზთათვის შედარებით ახალი საქმიანობაა, ამას ისიც მოწმობს, რომ აფხაზურში აბრეშუმის ჭიის აღმნიშვნელი სიტყვა ნასესხებია.

• მფრინავი, ადამიანისათვის ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელია **ა-ფარფალგკა-ფარფალგკ/ა-ნგჩფფფგრ**(ბზიფ.) „პეპელა“, შდრ.: ქართული ფარფალი/პარპალი.

**ა-ძგრკიი-ბგარგმძ**(ბზიფ.) „ციცინათელა“, „ელვანა“ სიტყვის პირველი ნაწილი ა-ბგა „მგელია“, მას მოსდევს მრავლობითი რიცხვის კუთვნილების რ-პრეფიქსი და ამძ-ამწ „ბუზი“ ლექსემა. სიტყვასიტყვით: „მგელი მათი ბუზი“, აღსანიშნავია, რომ სიტყვა ა-ბგა „მგელი“, მხოლოდით რიცხვშია, კუთვნილების აფიქსი კი მრავლობითისა აქვს.

• ადამიანისათვის ზიანის მიმყენებელ მწერთა სახელწოდებებია: **ა-მწ** „ბუზი“, **ა-ლამწ** „ძაღლის მწერი“, ა-ლა „ძაღლი“, ა-მწ „ბუზი“, სიტყვასიტყვით: „მგლ(ის) ბუზი“, **ა-ციგმწ** „ბუზანკალი“, ა-ცო „ხარი“, ა-მწ „ბუზი“, ზედმიწევნით: „ხარის ბუზი“, **ა-ცც** „ქინქლა“, **ა-კ** „ჩრჩილი“, **აკუბრგ** „კოლო“, **აკუბრგ სსა** „წვრილი ქინქლა“, **ა-წა** „ტილი, მკენარი“, **ა-ძ** „რწყილი“, **ა-ძორა** „სარწყილე“, -თრა

## Structural and Semantic Analysis of Abkhazian Insect Names

## Summary

The Abkhazian insect names that are quite numerous, reveal culture-specific reflection of the extralinguistic reality. Semantically the names in question can be divided into the names for: flying, . crawling, harmful, useful and aesthetically attractive insects. From the structural standpoint a number of patterns can be singled out. The compounds follow the norms of the Abkhazian language: the modified precedes the modifier.

შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი. აკაწა „ბაღლინჯო“, ა-ხიაც „ჭია“, ა-ხია „ხორცის მატლი ა-ხიარშა/ა-ხიარშეგ „ბობოლი (ხის დიდი მატლი), ახიაჭა-მაჭა „ჭია-ლუა, მწერი“ შდრ.: ქართული ხოჭო, ა-შხგრციალ „კრაზანა, ბზიკი“, ა-ბგზკათაჭა „ობობა, ბაბა-ჭუა, ფეიქარა“, ა-ბგზკათაჭარა „აბლაბუდა, ობობას ქსელი“, სიტყვის პირველი ნაწილი ა-ბგზ „ენაა“, მეორე ნაწილი აკათა „ბაღეა“, აჭარა „ქსოვა“. ა-შეგშეკამსა „ჭიანჭველა“, სიტყვის მეორე ნაწილი კამსა-ქამსა „ბანჯგვლიანი“ ზედსართავია, პირველი კი ა-შეგშე ქართული \* ჭიანჭ ფუძის ბგერათფარდი სახელი უნდა იყოს (მაჭავარიანი, 2007, 53).

ამგვარად, მწერთა აფხაზური სახელწოდებანი სტრუქტურულად არის: ოდენფუძიანი, აფიქსიანი, კომპოზიციით მიღებული. ზემოთ განხილული, კომპოზიციის გზით შედგენილი სახელწოდებები აფხაზური ენის გრამატიკულ ნორმათა დაცვითაა ნაწარმოები: საზღვრული წინ უსწრებს მსაზღვრელს.

ცხოველთა და ფრინველთა სახელწოდებებისაგან განსხვავებით, მწერთა სახელწოდებებში მოტივაცია ნაკლებად შეინიშნება. ლექსიკური ფონდის ეს უბანი ოდენფუძიანი სახელწოდებების სიმრავლითაც გამოირჩევა.

## ლიტერატურა

**ლომთათიძე 1991** — ქ. ლომთათიძე, კონკრეტული სახელის განზოგადებისა და საგნობრივი მიმართების გადანაცვლების ტენდენციის შესახებ (ნაშეერთა სახელთა მიხედვით), ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1991.

**ლომთათიძე 1976-1977** — ქ. ლომთათიძე, „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-მედარებითი ანალიზი“, თბილისი, 1976-1977.

**მაჭავარიანი 2007** — ნ. მაჭავარიანი, აფხაზური აშეგშეკამს „ჭიანჭველა“ ლექსემის ბგერათფარდობისათვის მის ქართულ შესატყვისთან. XXVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2007 (53).

**ბ. ჯანაშია 1954** — აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1954.

## თავარ მახარობლიძე

## ისევ მესამე სერიისა და ინვერსიის შესახებ

სამპირიანი ზმნის უღლებიას მესამე სერიის ფორმებში გაჩენილი ე. წ. უფუნქციო ქცევის ნიშნების ანალიზისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ რამდენადაც ქართულში ქცევის კატეგორიისათვის პირველადია ორგანოზომილებიანი მოდელი ანუ ქცევიანი და უქცეო ფორმები (მახარობლიძე, 2005, 62). ქცევა ძირითადად არის ირიბი ობიექტის კატეგორია და მესამე სერიაში, როდესაც ეს ირიბი ობიექტი გადის ზმნიდან, ეს უკანასკნელი ცდილობს დესტინაციური შინაარსის შენარჩუნებას და ირჩევს „თვის“- თანდებულთან ფორმებს, რომელთაც აქვთ დანიშნულებითობის შინაარსი. მაინც რჩება გარკვეული უკმა-რისობის შეგრძნება დესტინაციის გამოხატვის თვალსაზრისით და ამის შესავსებად პარალელურად ჩნდება ქცევის ნიშნები. ფაქტობრივად, შენარჩუნებულია სემანტიკა და შეცვლილია მორფოლოგია. მესამე სერიაში დესტინაციის სემანტიკა სხვა მორფოლოგიურ ფორმებს მიმართავს, მაგრამ იგი მთლიანად არ გადის ზმნიდან და იქ ტოვებს თავის რეფერენტებს, რომლებიც შესაბამისი ირიბი ობიექტის გარეშე უკვე უფუნქციოდ მოიაზრება.

დიაქრონიული სურათი ასეთია: სტატიკური ფორმიდან „უწერია“ — მას (კაცს — O ind. ) ის (სიტყვა - SO) წიგნზე. მივიღეთ III სერიის ფორმა „(მი)უწერია“ მას (კაცს — S) სიტყვა (O ind.) [დედისთვის]. ე. ი. აქ ისტორიული ირიბი ობიექტი გახდა სუბიექტი და სუბიექტი კი ობიექტად მოგვევლინა — ამიტომ გასაგებია, რატომაც გვაქვს ინვერსია. ამ ფორმათა ახლებური გააზრებისას შემოდის ახალი ირიბი ობიექტი, სულ სხვა, ახალი აქტანტი (დედისთვის), რომელიც კანონიერი და ერთადერთი ირიბი ობიექტია პირველ-მეორე სერიაში. მესამე სერიაში კი ზმნაში არის მხოლოდ ისტორიული ირიბი ობიექტი (კაცს), რომელიც ბრუნვასაც კი ინარჩუნებს, ობიექტის ნიშნებითაა ასახული ზმნაშიც და სახელშიც (თუმცა სუბიექტადაა ქცეული). მეორე ირიბი ობიექტი (პირველისა და მეორე სერია-

თა კუთვნილება) მესამე სერიაში ზმნამ უკვე აღარ მიიღო და გარეთ გაიტანა. მივიღეთ ე. წ. უბრალო დამატება, რომელიც რიგ ენებში პრედიკატის არგუმენტი. საერთოდ, ქართულ ზმნას იშვიათ შემთხვევებში შეუძლია ორი ირიბი ობიექტის ქონა (მიჭმიე, მისმიე ფორმებში — მე და მას ორი ირიბია); მაგრამ უნდა აღვნიშნოს, რომ აქ სხვა — კაუზატიური ტიპის ურთიერთობაა ასახული.

თავის მხრივ, სტატიკური ზმნები განასხვავებენ ქცევას — გვაქვს: წერია — უწერია — აწერია. (შანიძე, 1980, 342) რადგანაც ყოფილი ირიბი ობიექტის სემანტიკა იყო ხაზგასასმელი, ამიტომაც მესამე სერიის ფორმათა წარმოებამ შესაბამისი რეფერენცირებული, დადებითი ანუ სასხვისო ქცევის ნიშნის ფორმები ამოიჩინა სტატიკურ ზმნათა არსებული ვარიანტებიდან. სინქრონულ დონეზე კი ეს ნიშნები უფუნქციო რეფერენტებად გაიზარება, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, ირიბი ობიექტი ზმნაში აღარ არის და სასხვისო ქცევა კი ირიბი ობიექტის გარეშე ვერ იქნება.

უდავოა, რომ ვერსიის ნიშნები უშუალოდ მიემართება პირის ნიშნებს ამ კატეგორიათა ურთიერთგადამკვეთი სემანტიკური არსის მიხედვით. ამდენად, დესტინატი ფაქტობრივად ორმაგი რეფერენცირებითაა წარმოდგენილი, ანუ ირიბი ობიექტის ნიშნებითა და ქცევის ნიშნით. ეს მოვლენა უფრო მკვეთრადაა ასახული ბასკურში. ქართული გარდამავალი ზმნის უღლებიას III სერიაში ისტორიული ირიბი ზმნაში ტოვებს შედარებით სუსტ რეფერენტს — ქცევის ნიშანს.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომლებიც თვლიან, რომ ინვერსია არ არსებობს, რადგანაც ტრადიციულ ენათმეცნიერებაში გავრცელებული შეხედულების საპირისპიროდ, III სერიის გარდამავალი ზმნის სუბიექტად მიჩნეულია ობიექტი. ასეთი მიდგომა მთლიანად არღვევს უღლების პარადიგმას იერარქიის ყველა დონეზე. ამ მოსაზრების მიხედვით გამოდის, რომ ფლექსიურ პარადიგმაში პირველსა და მეორე სერიაში სხვა გრამატიკული სუბიექტია და მესამეში კი — სხვა. აქ ირღვევა ფლექსიური პარადიგმის ძირითადი არსი და ვიღებთ მორფოლოგიურ, სინტაქსურ და სემანტიკურ შეუსაბამობას.

რაც შეეხება პროფესორ დამანა მელიქიშვილის შეხედულებას ინვერსიის შესახებ, ჩვენ ნაწილობრივ ვიზიარებთ მას. ცხადია, III სერიის ინვერსიულ ფორმათა ანალიზისათვის ამოსავალი უნდა იყოს სემანტიკური მიდგომა, მაგრამ დ. მელიქიშვილი წერს, რომ პოლი-

პერსონალიზმი თითქოს გარკვეულ ბიძგს აძლევს ინვერსიას (მელიქიშვილი, 2000, 19). ასეთი დასკვნებისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა პოლიპერსონალურ სტრუქტურათა ფართო სპექტრის ანალიზი. ჩვენთვის ცნობილ სხვა პოლიპერსონალურ ენებში (როგორცაა ბასკური, კავკასიური, რიგი ავსტრალიური და ამერიკელ ინდიელთა ენების ნაწილი) ინვერსიის მოვლენა არ დასტურდება. რა თქმა უნდა, ინვერსიისათვის საჭიროა მორფოლოგიურად გამოხატული ერთზე მეტი ზმნური აქტანტი, რომელთაც უნდა გაცვალონ მორფოლოგიური ინვენტარი. აქ შეგვიძლია გამოვყოთ **ცალმხრივი, სტატისტიკური, იმპლიკაციური ლინგვისტური უნივერსალია - ინვერსიის მოვლენა მხოლოდ პოლიპერსონალურ ზმნათა კუთვნილებაა**. ეს გულისხმობს, რომ იქ, სადაც გვაქვს ინვერსია, აუცილებელია პოლიპერსონალიზმი, მაგრამ არა პირიქით. პოლიპერსონალიზმისათვის სულაც არ არის აუცილებელი ინვერსიის მოვლენა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით ი. მელიქიშვილისა და რ. ასათიანის მოსაზრებას ინვერსიის შესახებ, სადაც ეს მოვლენა გაიაზრება, როგორც მორფო-სინტაქსური მოვლენა და რატომღაც არის მცდელობა, რომ იბერიულ-კავკასიური ზმნური მოდელები ხელოვნურად იქნეს მიბმული ინდოევროპულთან. ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი უნივერსალია, ცხადია, გულისხმობს კონკრეტულად ზმნის მორფოლოგიასა და მის მორფო-სემანტიკას. იქ, სადაც არ არის ასეთი მდიდარი მორფოლოგია, რა თქმა უნდა, მთლიანად მორფო-სინტაქსზე იქნება მეტი დატვირთვა. გაუგებარია ამ თემის შესახებ ი. მელიქიშვილის მიერ გამოთქმული დაუსაბუთებელი მოსაზრებანი მ-ანის რიგის არამარკირებულობის შესახებ, რომ ეს აქტანტები არავითარ როლს არ თამაშობს წინადადების სინტაქსურ/ლოგიკურ და ინფორმაციულ სტრუქტურაში, ზმნაში პირის აღმნიშვნელი მარკერისა და ბრუნვითი გაფორმების განსაზღვრაში (მელიქიშვილი, 2000, 145). ეს გახლავთ პოლიპერსონალური სტრუქტურების სრული იგნორირება, რაც, ცხადია, პოზიტიური ვერ იქნება კვლევის შედეგებისა და დასკვნების თვალსაზრისით. ამ მსჯელობას მოჰყვება ხელოვნური დასკვნები: რომ აქტიური სტრუქტურიდან მოხდა ერგატიულზე გადასვლა და პირველი სერია არის რატომღაც არამარკირებული (?). ასეთი მიდგომა ჩვენთვის სრულიად მიუღებელია, რამდენადაც სალიტერატურო ენის ისტორია სავსებით ცალსახად ადასტურებს მეორე სერიის პირველადობას. ხოლო პირველ სერიას კი ორმაგი მარკირება

გააჩნია (მწკრივის ნიშნებითა და თემის ნიშნებით). ჩვენთვის ასევე მიუღებელია „მიცემითბრუნვიან ზმნებზე“ საუბარი (ასათიანი, 2000, 12) და ქვევის სემანტიკის მხოლოდ პოსესიურობასთან დაკავშირება დესტინაციისა და დესტინატის სრული უგულებელყოფა (მელიქიშვილი, 20005, 142-143) და რატომღაც მეორე სუბიექტური პირის ნიშნად მხოლოდ „ხ-“ პრეფიქსის წარმოჩენა (მელიქიშვილი, 2005, 151). სამართლიანობა მოითხოვს, რომ პირდაპირი სემანტიკური მარკირების საკითხი აფექტური ტიპის ზმნებში მივიღოთ ერთ-ერთ სერიოზულ და საინტერესო მიდგომად. თუმცა ანალიზისას მიუღებელია მხოლოდ დედუქციური განხილვა და ქართველური მასალის ხელოვნური ტიპოლოგიზაცია.

ინვერსიის თემასთან დაკავშირებით აქვე შევეხებით „მიყვარს“, „მიჭირს“ ტიპის ზმნათა საკითხს და აღვნიშნავთ, რომ ამ ტიპის ზმნათა ინვერსიულობას ვერ დავეთანხმებით. ბუნებრივია, საერთოდ ენაში არის ზოგადი ტენდენცია, რომელიც პირველ-მეორე პირებს და საერთოდ, ადამიანის სემანტიკურ კატეგორიას გარკვეულ ლინგვისტურ უპირატესობას ანიჭებს. ზოგჯერ ფლექსიურ ფორმათა გამარტივებითაც კი. სწორად ასეთი მორფოლოგიური ერთეულები მოიაზრება წამყვან აქტანტებად. გასაკვირი არ გახლავთ, რომ ეს საგრძნობი ტენდენცია „მიყვარს“, „მიჭირს“ ტიპის ზმნებშიც აისახებოდეს, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ სწორი ლინგვისტური ანალიზი ორმხრივ მიდგომას ვარაუდობს. ორიოდვე წლის წინ გამოქვეყნდა ჩვენი შეხედულება და წამოვწიეთ ახალი ფუნქციურ-ფორმალური თეორია, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში კიდევ ერთხელ ადასტურებს თავის თავს.

**ახალი ფუნქციურ-ფორმალური რაციონალური მეთოდური მიდგომის თეორიის მიხედვით ესა თუ ის ენობრივი მოვლენა ხან ფორმიდან, ხან კი ფუნქციიდან გამომდინარე აიხსნება.** ერთი შეხედვით, ასეთი მიდგომა თითქოს არ არის ერთგვაროვანი და, როგორც მეთოდი, მიუღებელიც ჩანს, მაგრამ გავიხსენოთ თუნდაც ენათმეცნიერებისათვის უკვე ცნობილი კლასიფიკაციის კომბინირებული პრინციპის სქემა. ერთგვაროვნების პრინციპის დაცვა აუცილებელია ერთი კონკრეტული მიდგომის დროს, მაგრამ მოვლენათა ტიპოლოგიური განზოგადებისათვის და მისი საბოლოო ზოგადენობრივი მოდელის გასააზრებლად აუცილებელია თავად ენის მრავალმხრივობის გათვალისწინება, რაც, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს ენის



ფორმისა და ფუნქციის ურთიერთმიმართების საკითხში. ენაში ფორმა და ფუნქცია ერთობას ქმნის. ამდენად, ცხადია, ეს ერთობა კვლევისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება. სათქმელი, აზრი, არსი ანუ **ფუნქცია არის პირველადი ამოსავალი, მაგრამ რიგ შემთხვევებში, როდესაც უკვე შექმნილია ენობრივი სისტემა, იგი უკვე დამოუკიდებლად, სისტემის კანონების შესაბამისად, ენობრივი ინერციით მუშაობს.** ასეთ დროს ყალიბდება ფორმალური ერთეულები, რომლებიც საკმაოდ დაცილებულია ფუნქციურ საწყისს. ასეთ შემთხვევაში ფორმალური მიდგომა იქნება სწორი (საერთოდ, არ შეიძლება გენერატიული ლინგვისტიკის რიგი ზოგადი მოდელების აპრიორულ დებულებებზე უარის თქმა). ასეთი ტიპის, ფუნქციას დაცილებული ფორმების ისტორიულ განვითარებას დიაქრონიული ტიპოლოგია გაარკვევს.

ბუნებრივია, რომ სინქრონიულად ფორმა და ფუნქცია ენაში თანაბარ შესაბამისობაში ვერ იქნება. რიგ შემთხვევებში ფუნქცია ახსნის ფორმას, ზოგან კი ფორმა ახსნის ფუნქციას. თუ ეს ორივე თანაბრად არ გავითვალისწინეთ, მაშინ სრულყოფილი ვერ იქნება ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის კვლევა. ასეთი მიდგომით ჩვენ ვაერთიანებთ ორ ინტერესს: ერთი მხრივ, ლინგვისტიკის თეორეტიკოსების ინტერესს ფორმალური ინვენტარისადმი და, მეორე მხრივ, ინტერესს ენობრივი ფაქტების ფუნქციური ახსნისადმი.

თუ „მიყვარს“, „მიჭირს“ ტიპის ზმნებში პირველი პირი ჩაითვლება სუბიექტად, ანუ ამოსავალი იქნება ცალმხრივი; მაშინ დგება რიგი პასუხგაუცემელი საკითხები: რომელი ობიექტია აქ და რა ბრუნვაში? თუ ფორმიდან ამოვალთ, გამოვლის, რომ ზმნა გარდამავალია? პირდაპირი ობიექტი სახელობით ბრუნვაშია I სერიაში? ამ ტიპის ზმნები ინდოევროპულ ლინგვისტურ სივრცეშიც კი გარდაუვალია. აქ გარდაუვალი ზმნის ირიბი ობიექტი სახელობითია? და ა. შ.

ვფიქრობთ, რომ სისტემური თვალსაზრისით III სერიასა და ინვერსიის საკითხებთან დაკავშირებით ქართულ ტრადიციულ ენათმეცნიერებაში მიღებული მოსაზრების არსებითი, ძირითადი ნაწილი აბსოლუტურად არ მოითხოვს გადაფასებას.

ლიტერატურა

**ასათიანი, 2005** — რ. ასათიანი, აფექტურ ზმანთა კონცეპტუალური სტრუქტურა. ტიპოლოგიური ძიებანი, V საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. თბ., 2005.

**მაჭავარიანი, 1987** — მ. მაჭავარიანი, ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა. მეცნიერება. თბ., 1987.

**მახარობლიძე, 2005** — თ. მახარობლიძე, დესტინაციურ სისტემათა ტიპოლოგია. თბ., 2005.

**მელიქიშვილი, 2000** — დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა. თბ., 2000.

**მელიქიშვილი, 2005** — ი. მელიქიშვილი, პირდაპირი სემანტიკური მარკირება როგორც ქართველურ ენათა მორფოლოგიური განმსაზღვრელი პრინციპი და პირის ნიშანთა ინვერსიის პრობლემა. ტიპოლოგიური ძიებანი, V საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. თბ., 2005.

**უთურგაიძე, 2002** — თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისთვის ქართულ ზმნაში. თბ., 2002

**შანიძე, 1980** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. I, მორფოლოგია. თბ. თბ. თბ. თბ. III. თბ., 1980.

TAMAR MAKHAROBIDZE

## Series III and Inversion Revisited

## Summary

The functionless version markers attested during the conjugation of Georgian tripersonal verbs are diachronically the forms of static verbs; historically the indirect object became the subject and the subject turned into the object, The result of the given process is inversion. The changed semantics of the given forms caused the appearance of a new indirect object which is not attached to the verb in Series III. However, the semantics of destination is preserved in the postposition 'tvis'. As is known, according to the functional- formal approach a language phenomenon can be conditioned either by its function or form; the function being of primary importance. But in such cases when the system is already formed, language inertia is at work and newly-formed elements seem functionless. The above-discussed linguistic phenomenon is of the given type.

თამარ მახარობიძე

## თანდებულები მრავლობის სემანტიკით

ქართული ენის სისტემაში უთანდებულო ბრუნვებია წოდებითი და მოთხრობითი. წოდებითი ბრუნვის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ფაქტია, რომ ამ ბრუნვას განსაკუთრებული ადგილი უკავია სისტემაში მრავალი და უკვე საკმაოდ კარგად ახსნილი გარემოების გამო. ამდენად, ბუნებრივია, რომ წოდებითი არ იზიარებს სხვა ბრუნვათათვის დამახასიათებელ ბევრ ნიშანს. რაც შეეხება მოთხრობით ბრუნვას, ანუ ერგატივს, რა თქმა უნდა, ნათელია ამ ბრუნვის აქტიური როლი სისტემაში. ამავე დროს, ფაქტობრივად, ეს არის ერთადერთი უთანდებულო ბრუნვა (წოდებითის გარდა). საერთოდ, ბრუნვები თანდებულების მიხედვით მეტ-ნაკლები ლიაობით ხასიათდებიან. ეს დამოკიდებულია კონკრეტული ბრუნვის სემანტიკურ დიაპაზონზე. ერგატივი, როგორც ტრანზიტული ზმნის სუბიექტის ბრუნვა, კონკრეტული კონსტრუქციისათვის უალტერნატივო ფორმაა და თავისი შინაარსით გამოირიცხავს თანდებულების მიღებას.

ქართულში რამდენიმე თანდებულს აქვს ერგატივის სემანტიკა. ასეთი თანდებულებია „მიერ“, „გან“, „გამო“. შინაარსობრივად უდავოა, რომ „მიერ“ მკვეთრად გამოხატული მოქმედების ჩამდენი სახელის თანდებულია და შესაბამისად, ამ თანდებულის სემანტიკაც საგსებით ნათელია. ეს აშკარად არის აგენსის ტიპის მორფოლოგიური ერთეული.

შღრ.

*კაცის მიერ გაკეთებული ნივთი**კაცმა გააკეთა ნივთი / კაცი აკეთებს ნივთს.*

ეს არის გარდამავალი ზმნის რეალური, მაგრამ არამორფოლოგიზებული სუბიექტის თანდებული. აღსანიშნავია, რომ გარდაუვალ ზმნებთან და ზოგადად ინტრანზიტულ სემანტიკასთან „მიერ“ თანდებული თითქმის არ გამოიყენება. შღრ.:

*კაცი წევს / კაცი აწვენს / კაცის მიერ დაწვენილი*

კაცი (უ)თბება / კაცის მიერ გამოთბარი (უბრალო დამატების-თვის) და ა. შ.

აქ ხდება ტრანზიტაცია და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გვექნება „მიერ“ თანდებული.

„გამო“ და „გან“ მიზეზობრიობის გამომხატველი თანდებულები ხშირად არიან წარმოდგენილი ერგატივის სემანტიკითა და შესაბამისი გრამატიკული ფუნქციით. რა თქმა უნდა, ამ თანდებულებს (განსაკუთრებით „გან“ თანდებულს) სხვა ფუნქციებიც გააჩნიათ, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ მათი ერგატიული სემანტიკის შესახებ გავამახვილებთ ყურადღებას.

ქართულში არსებობს შემდეგი ტიპის თანხაბარფარდი წყვილები:

*შიშა ამკანკალა*

*შიშისგან მკანკალებს (შიშის გამო მკანკალებს)*

ასეთი ტიპის იმპერსონალურ ტრანზიტევთან (როგორცაა „შიშისგან მკანკალებს“) ნათლად წარმოდგება „გან“ თანდებულის ერგატიული სემანტიკა. აქ ერგატივის შინაარსს გაცვილდა აქტანტის (ან თუ ვნებავთ, არგუმენტის) როლებრივი სემანტიკა, იგი გაფართოვდა მიზეზობრიობით და ამდენად მისი ჩატევა უკვე ვეღარ ხერხდება ერგატიული ბრუნვის ფორმაში. ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ამ ტიპის იმპერსონალურ ტრანზიტევებში (მკანკალებს, მაციებს, მახველებს, მცხელა, მცივა, მამყოფა და ა. შ. ) რეალური სუბიექტი არც ადამიანის კლასია და არც ნივთის. ქართული-სათვის კი ეს ძირითადი ბინარული ოპოზიციაა. ვინ და რა კლასის გარეთ აღმოჩენილი სუბიექტი ზმნის მორფოლოგიამ გარეთ გაიტანა და აქ შესაბამისად ამუშავდა თანდებულთა ერგატიული სემანტიკა.

ქვეინ ტუიტმა თავის მოხსენებაში (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი 03. 03. 2006 ) სამართლიანად გამოყო იმპერსონალური ტრანზიტევების ორი ძირითადი ჯგუფი: ადამიანის სხეულის მდგომარეობასთან დაკავშირებული სემანტიკის მქონე ზმნები და „ნეტავ“ ნაწილაკიანი „მამყოფა“ ტიპის ფორმები. ამ უკანასკნელი ტიპის ფორმებში ნატვრითი ნაწილაკის ელიფსისი საგვებით დასაშვებია.

იმპერსონალურ ტრანზიტევებს ხელოვნურადაც კი ვერ დავუმატებთ ერგატიულ სუბიექტს, ენა ვერ დაუშვებს ასეთი ტიპის ჰიპერერგატივიზაციას — *ორგანიზმმა შიშისგან ამკანკალა* — მიუღებელი ფორმაა, რადგანაც აქ „შიში“ არის მოქმედების გამო-

მწვევი მიზეზიც და ამავე დროს ის არის მოქმედების წყაროც, ანუ მოქმედების რეალური ჩამდენი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ვსაუბრობთ მიზეზის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მოქმედების გამომწვევი მიზეზი (ან მიზეზობრიობა), რაც რიგ კონკრეტულ შემთხვევებში პირდაპირ გულისხმობს მოქმედების წყაროს და მის მიზეზობით მოტივაციას. ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა ნათელს მოჰყენს მიზეზობრიობისა და ერგატივის სემანტიკათა კავშირს.

ჰიპერერგატივიზაციის ერთადერთი ფორმა, რომელიც მეტ-ნაკლებად მისაღებია, არის შემდეგი: *რალაცამ შიშისგან ამკანკალა*. ეს დასაშვებია იმდენად, რამდენადაც ეს არის ენის მიერ გარკვეული ფორმით ახსნა ვინ-რა კატეგორიის ფარგლებს გარეთ გასული აქტანტის სემანტიკისა (*რალაცამ*).

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულში თანდებულთა გადმოცემული ერგატიულობა წმინდა ერგატიულობის ნიმუშებს ქმნის თავისი მორფო-სინტაქსით, რამდენადაც უღლების ყველა პარადიგმაში ერთნაირად არის წარმოდგენილი ერგატიული სემანტიკის თანდებულებით. ეს გარემოება კი არც თუ უინტერესო პარალელს იძლევა ქართული-სათვის დამახასიათებელ ნაწილობრივ ერგატიულობასთან მიმართებაში.

*შიშისგან მკანკალებს — შიში მკანკალებს*

*შიშისგან ამკანკალა — შიშა ამკანკალა*

*შიშისგან ავუკანკალებივარ/ავკანკალებულვარ/შიკანკალია*

*— შიშს ავუკანკალებივარ*

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ იმპერსონალურ ტრანზიტევებს უჭირთ მესამე სერიის წარმოება.

რამდენადაც ზემოთ მოყვანილი ტიპის ფორმებს (წარმოდგენილს ერგატიული სემანტიკის თანდებულებით) ძალუძთ წმინდა ერგატიული მოდელის წარმოდგენა ქართულში, ჩვენ მათ სუპერ-ერგატივები ვუწოდებთ.

საგულისხმოა, რომ ერგატივის სემანტიკის მქონე ყველა ზემოთ წარმოდგენილი თანდებული არის ნათესაობითი ბრუნვის თანდებული. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ ორი ბრუნვის სისტემურ მიმართებებს იბერიულ-კავკასიურ ენებში. პოსესიურობა-დესტინაციურობისა და ერგატიულობის ენობრივი მოდელის ურთიერთმიმართებათა თვალსაზრისით საყურადღებოა კავკასიური ენების ერგატიუ-

ლი და გენეტიური ბრუნების მოდელები, ანუ ე. წ. отэргативное და отгенитивное склонение. ამ მოვლენასთან კავშირში უდავოდ მნიშვნელოვანია, რომ რიგ კავკასიურ ენებში ორმაგი ბრუნება გვაქვს მხოლოდ ერგატივსა და გენეტივში.

ლიტერატურა

**ქევიტ ტუიტი, 2006** — ქ. ტუიტი, იმპერსონალური ტრანზიტორები (მოხსენება); აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი, 03. 03. 2006

**მახარობლიძე, 2005** — თ. მახარობლიძე დესტინაციური სისტემების ტიპოლოგია. თბილისი, 2005

TAMAR MAKHAROBLIDZE

### Postpositions with Ergative Semantics

#### Summary

In the system of the Georgian language the Vocative and Ergative cases do not take postpositions. Some Genitive case postpositions (mier, gan, gamo) have ergative semantics.. This fact proves the systemic relations between the two cases in the Iberian-Caucasian languages. The relationship between the possession-destination and ergativity models is of particular relevance for the Ergative and Genitive case models of the Caucasian languages.

სოფიო მოხალიაშვილი

### გენდერული ასპექტი თანამედროვე ინგლისურ ენაში

ენისა და მეტყველების ფუნქციონირების თანამედროვე სოციო-ლინგვისტური მოდელი წარმოადგენს სტრუქტურას ურთიერთგანპირობებული და ურთიერთდამოკიდებული ერთეულებისა, რომლებიც დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ინდივიდის ფსიქოლოგიური და ნეიროფსიქიკური თავისებურებებით, მეორე მხრივ, კი სოციალური (კულტუროლოგიური, ეთნიკური და სხვ.) და ეკონომიკური (საზოგადოების ამა თუ იმ ფენაზე მიკუთვნებულობა და სხვ.) ფაქტორების ზემოქმედებით ინდივიდუალური სამეტყველო კოდის ფორმირების სპეციფიკით. ამგვარი კომპლექსური მოდელი გვთავაზობს როგორც ექსტრალინგვისტური, ასევე ინდივიდის სამეტყველო ქმედების ლინგვისტური ფაქტორების (ფონეტიკური, ლექსიკური, სინტაქსური), ანუ ინდივიდუალური ენობრივი ვარიანტის ფორმირების თავისებურებების გათვალისწინებას. ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა შორის, რომლებიც მოსაუბრის სამეტყველო კოდს განაპირობებს, მთავარი ადგილი უჭირავს სქესობრივი ცენზის განმასხვავებელ ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორს. მიუხედავად ამისა საკითხი არასათანადოდ არის შესწავლილი.

ენობრივი ნორმების ცვლილებისადმი ქალისა და მამაკაცის დამოკიდებულება არაა გამოკვლეული. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ლინგვისტი მიიჩნევს, რომ ქალთა მეტყველებას მეტი მიდრეკილება აქვს ნორმატიულობისაკენ, რადგან ქალს ტრადიციულად მეტი ზეგავლენა აქვს ახალი თაობის აღზრდაზე და ცდილობს ისაუბროს სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისად. ორენოვნების შემთხვევაში, ქალები, როგორც წესი, უპირატესობას ანიჭებენ იმ ენას, რომელიც მომავალში მათ შვილებს წარმატების მიღწევაში დაეხმარებათ (გადჰოუ, 1981).

სტატუსის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ისეთი მაჩვენებლები, როგორებიცაა მიკუთვნებულობა გარკვეულ სოციალურ-ეკო-

ნომიკურ კლასზე, პროფესიულ ჯგუფზე და სქესი. ქალთა საზოგადოებრივი მდგომარეობის არაერთგვაროვნებას განაპირობებს მათი სამეცნიერო ქმედება. რეგიონალური და სტანდარტული წარმოთქმის კვლევები გვიჩვენებენ, რომ მამაკაცთა მსგავსად ქალებმაც მაღალი სოციალური შეფასება დაიმსახურეს (სოციალურ-ეკონომიკური კლასის მაღალი შეფასებები, მაღალანაზღაურებადი სამსახური, კომპეტენტურობა). აღმოჩნდა რომ, ისინი დაჯილდოებულნი არიან მამაკაცთა დადებითი თვისებებით (გონიერება, ენერჯია, ძალა) და ქალური ხასიათით (ქალთურობა, გამძლეობა). უარყოფით თვისებებში გამოიკვეთა კარიერიზმი, ეგოიზმი, არაგულახდილობა. ამრიგად, სამეცნიერო მარკინგების მიხედვით იქმნება იმიჯი საქმიანი, ემანსიპირებული ქალისა ინგლისურენოვან საზოგადოებაში, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონალურ აქცენტზე მოსაუბრე ქალთა „სამეცნიერო პორტრეტისაგან“ (ფელოვი, 1979).

აქცენტის კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ ქალთა აუდიტორიამ მეტი ყურადღება მიაქცია ცვლილებებს წარმოთქმაში. ეს გამოიხატა იმით, რომ სხვადასხვა ფენის წარმომადგენელი ქალები იყენებენ დიდი რაოდენობით პრესტიჟულ ფორმებს და ნაკლები რაოდენობით არაპრესტიჟულ გამონათქვამებს. ამ შემთხვევაში საკმაოდ დიდია განსხვავება საშუალო ფენის წარმომადგენელ ქალებსა და მამაკაცებს შორის, რადგან ქალები გამოირჩევიან სამეცნიერო ქმედების კორექტულობით და ამასთანავე ცდილობენ გააკონტროლონ საკუთარი მეცნიერება. იგივე შეიძლება ვთქვათ გოგონებზე, რომლებიც 6-10 წლის ასაკში უფროსების საზოგადოებაში ცდილობენ ისაუბრონ უფრო სწორად, ვიდრე თანატოლებთან. ეს ტენდენცია შეინიშნება ბიჭებშიც, მხოლოდ უფრო სუსტად (რომაინე, 1978).

ინტონაციური სახის სამეცნიერო ქმედების თავისებურებებიც გამოუკვლეველია. თუმცა ამერიკელ ქალბატონებზე წერენ იმას, რომ ისინი ხშირად იყენებენ ისეთ ინტონაციურ ფორმებს, რომლებიც ასოცირდება თავაზიანობისა და გაცემის გამოხატვასთან. ასევე ხშირად მიმართავენ მტკიცებით წინადადებაში აღმავალი ინტონაციის გამოყენებას, რაც დაურწმუნებლობისა და არაკატეგორიულობის გამოხატულებას წარმოადგენს (ლაკოფი, 1975). აღსანიშნავია, რომ ვოკალური ტიპის გამონათქვამი „mm“ უფრო ხშირად ქალთა მეცნიერებაში გვხვდება და ის აღნიშნავს „მე თქვენ გეთანხმებით“, ხოლო მამაკაცები მას იყენებენ „მე თქვენ გისმენთ“ მნიშვნელობით.

გარდა ზემოაღნიშნული ფონეტიკურ-ფონოლოგიური დონის ერთეულების გენდერული ნიშნებით განსხვავებულობისა, საინტერესოა ენის სხვა დონის ერთეულების, კერძოდ კი, ლექსიკური და გრამატიკული დონეების გენდერული ანალიზი.

ინგლისურ ენაში გრამატიკული სქესი არ არსებობს; არსებით სახელთა სქესი განისაზღვრება თვით არსებით სახელთა შინაარსით. ლექსიკურად ინგლისურში სამი სქესია: მამრობითი, მდედრობითი და საშუალო. მდედრობით სქესს მამრობითისაგან ასხვავებენ სამნაირად: 1. სიტყვის დაპირისპირებით: **father-mother; boy-girl; man-woman, cock-hen;** 2. სიტყვის დამატებით: **man-servant-maid-servant; he-bear-she-bear;** 3. მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი დაბოლოებით **-ess, ine: actor -actress; host - hostess; poet - poetess; lion – lioness; hero-heroine.**

თანამედროვე ინგლისურში გენდერული ნიშნის კლასიკური ნიმუშიდან ნათელია, რომ ნეიტრალური სიტყვები მამრობით სქესს მიეკუთვნება და მდედრობითი სქესის სიტყვები იწარმოება მამრობითი სქესის სიტყვებისაგან.

არსებული მდგომარეობა ლინგვისტთა გარკვეული წრის ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევს. მათი აზრით, ეს ტენდენცია (მამრობითი სქესის გამოყენება ნეიტრალური ცნებების აღსანიშნად) დამკვიდრდა ინგლისში მაშინ, როცა ის „მამაკაცთა საზოგადოებას“ წარმოადგენდა და პატრიარქატი ბატონობდა. ისინი იბრძვიან თანამედროვე ინგლისური ენის გენდერულ ასპექტში ცვლილებების შეტანისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო რეკომენდაციებს და მაგალითებს გვთავაზობენ ინგლისელი ლინგვისტები, მაგ: იაკობსონი, რედფერნი, სორელი, სპენდერი და სხვანი.

მაგალითად, სიტყვა „man“-ს ინგლისურში ორი მნიშვნელობა აქვს: **human being**, ან **male human being**. სავარაუდოდ, სოციალურ სფეროში მიმდინარე ცვლილებების გამო სიტყვა „man“ გამოიყენებოდა როგორც სქესის აღმნიშვნელი ტერმინი, რამაც გამოიწვია ყოველდღიურ ცხოვრებაში „woman“ — ის იშვიათი გამოყენება, რაც ინგლისურ საზოგადოებაში ქალის როლის დაკნინებას წარმოადგენდა. საილუსტრაციოდ მოჰყავთ მაგალითი, რომელიც არსებულ რეალობას აშკარად არ შეესაბამება: «**As with other mammals, men suckles his young**» (სხვა ძუძუთმწოვართა მსგავსად კაცი ძუძუთი კვებას თავის ნაშიერს). აქ „man“ გამოიყენება ადამიანის მნიშვნელობით, რაც ზემოაღნიშნული ლინგვისტების აზრით საღ აზრს ეწინააღმდეგება.

ამ თვალსაზრისით, ენის მიერ გენდერული ნიშნის გამოყენება დაკავშირებულია საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის როლის არსებულ სტერეოტიპებთან. მდებარეობითი სქესის აღსანიშნად ახალდაბადებული ცხოველთა სახელების გამოყენება (**Babes, Chicks** და სხვ.) კიდევ უფრო აძლიერებს სტერეოტიპულ შეხედულებას მასზე, რომ ქალები განვითარების ადრეულ სტადიაში იმყოფებიან.

აქედან გამომდინარე, დღეს უფრო მისაღები ხდება სქესის აღნიშვნელი სიტყვა „man“-ის სხვა სიტყვებით ჩანაცვლება:

Man	human beings, humankind, men and women, women and men, the individual.
The best man for the job	the best person for the job, the best man or woman for the job.
manpower	workforce, personnel, the staff, the workers.
the common man	the average person, ordinary people, people in general.
man hours	hours, working time.
man the desk	staff the desk.
chairman	chairperson, chair, convenor, mediator, coordinator.
businessman,	business executive.
businesswoman	
foreman	supervisor,
policeman,	police officer.
policewoman	

თანამედროვე ინგლისურში მისაღებია სიტყვა «chairman»-ის გამოყენება მამაკაცის აღსანიშნად და სიტყვა «chairperson» ან «person chairing the meeting» მდებარეობითი სქესის აღსანიშნად. ბოლო დროს გაიზარდა დოკუმენტაციაში მიმართვების Miss და Mrs.-ის გამოყენება, რომლებიც ოჯახურ მდგომარეობაზე მიგვითითებს. მაშინ როცა ვიყენებთ შესაბამის პარალელურ მიმართვას მამაკაცებისადმი Mr., მიზანშეწონილია ქალბატონებს მივმართოთ Ms.

ბევრ შემთხვევაში რეკომენდებულია თავი ავარიდოთ გენდერული ნიშნის მქონე სიტყვების გამოყენებას, მაგალითად:

Lecturers have wives and children to support	Lecturers have families to support or lecturers may have families to support.
We are looking for an administrator who is his own man	We are looking for an administrator with a sense of independence and integrity.

ქალისა და მამაკაცის დახასიათების დროსაც უმჯობესია გამოვიციხოთ გენდერული ნიშანი:

Cautious men and timid women	Cautious men and women, cautious people, timid men and women, timid people.
Ambitious men and aggressive women	Ambitious men and women, ambitious people, aggressive men and women, aggressive people.
The client's behaviour was typically female	The client's behaviour...(specify the behaviour).

ლინგვისტები, უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, ასევე გვთავაზობენ ნაცვალსახელი „he“-ს ნაცვლად ფრაზის მრავლობით რიცხვში ტრანსფორმირებას:

The welfare worker is always over-worked so he...	Welfare workers are always over-worked, so they...
Anyone who wants his work evaluated should...	Anyone who wants their work evaluated should...; If a person wants their work evaluated they should...

ზოგჯერ აუცილებელი ხდება წინადადების მთლიანი კონსტრუქციის შეცვლა:

Each student is responsible for publications on loan to him. He must return them to the library by the due date.

Students have responsibility for publications taken out on loan, which must be returned to the library by the due date.

გენდერული პრობლემატიკის კვლევამ გვიჩვენა, რომ თანამედროვე ინგლისურენოვან სპეციალურ ლიტერატურაში დიდი ყურადღება ექცევა არა მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებს, არამედ მოცემული სფეროს ტერმინოლოგიას. ამის შედეგია ტერმინების გაჩენა „გენდერულად ნეიტრალური ენა“ (Gender Neutral Language), ან კიდევ „უგენდერო ენა“ (Non-Gender Specific Language). ბევრი ახლი ტერმინი საჭიროებს მრავალმხრივ გააზრებას და შემდგომ კვლევას.

ამგვარად, თანამედროვე ინგლისურ ენაში ფონეტიკურ, ლექსიკურ და გრამატიკულ დონეზე გენდერული ნიშნის ანალიზისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ სამეტყველო და ენობრივ ცვლილებებზე, რაც უდავოდ თანამედროვე ინგლისურენოვან საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის ფუნქციური როლების ცვლილებებით არის განპირობებული.

ლიტერატურა

**ვადჰოუ, 1986** — Wardhaugh R. An Introduction to Sociolinguistics. Oxford, 1986.

**ლაკოფი, 1975** — Lakoff R. Language and Woman's Place. N.Y., 1975.

**რომაინე, 1978** — Romaine S. Postvocalic [r] in Scottish English: Sound Change in Progress. In: Sociolinguistic Patterns in British English. L., 1978.

**სორელსი, 1983** — Sorrels B.D. The non-sexist Communicator. Sydney, 1983.

**სპენდერი, 1980** — Spender D. Man Made Language. Melbourne, 1980.

**ფელოვი, 1978** — Pellowe J., Jones V. On International Variability in Tyneside Speech. In: Sociolinguistic Patterns in British English. L., 1978.

SOPIO MORALISHVILI

## The Aspect of Gender in Current English

### Summary

The paper discusses phonetic, lexical and grammatical ways of expressing gender in current English. Special emphasis is placed upon the changes in the language and speech that have been caused by the changes in the roles men and women perform in the modern English society. At the phonetic-phonological level gender-specific peculiarities of intonation and accent have been analyzed. Some newly introduced gender-biased lexical units and syntactic constructions have also been dealt with.

## მედიის კომუნიკაციები

**ფატიკური კომუნიკაციის ფუნქცია „მისალმების“  
და „ღამისმშობის“ ფორმებში  
(ფრანგული, ესპანური და ქართული ენების მასალაზე)**

ლინგვისტები და ენის ფილოსოფოსები ენას განიხილავენ, როგორც ფატიკური ინფორმაციის გადასაცემ საშუალებას. ყოველი ლინგვისტი აღიარებს ენის, როგორც საკომუნიკაციო საშუალების მნიშვნელობას, ვინაიდან არც ერთი სოციალური აქტის განხორციელება არ შეიძლება კომუნიკაციის გარეშე. კომუნიკაციის საშუალებით მყარდება ადამიანური ურთერთობები, ხდება თვალსაზრისების გაცვლა, გრძობების გამოხატვა; კომუნიკაციის საშუალებით აღწევენ ადამიანები გარკვეულ მიზნებს, ახდენენ შთაბეჭდილებას სხვებზე და იქმნიან პიროვნულ ავტორიტეტს.

ფატიკური კომუნიკაცია ჩვენი ყოფის დამახასიათებელი ფენომენია, რომელიც წარმოადგენს არა მარტო ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას, არამედ თბილი, მეგობრული ატმოსფეროს შექმნასაც, უხერხული პაუზების თავიდან აცილებასაც და მსმენელის ჩართვას საკომუნიკაციო აქტში. ფატიკური კომუნიკაცია ერთგვარ თამაშს წაგავს, რომლის მიზანიც დროის სასიამოვნოდ გაყვანა და რომელშიც თითოეული მოსაუბრე გარკვეულ წესებს ემორჩილება. ფატიკური კომუნიკაციისას სასაუბრო თემებიც თავისებურია. ზოგჯერ ფატიკური კომუნიკაციის თემად მიჩნეულია ისიც კი, რაც მნიშვნელოვან და ახალ ინფორმაციას არ წარმოადგენს მსმენელისათვის. ამ შემთხვევაში მოსაუბრის მთავარი მიზანია გაართოს მსმენელი და უამბოს მას თავისი მიდრეკილებების, შთაბეჭდილებების, განცდების, გემოვნებებისა და გეგმების შესახებ.

ფატიკური კომუნიკაციის კვლევა უშუალოდ უკავშირდება პოლონელ მეცნიერ ბრონისლავ მალინოვსკის, რომელმაც პირველად დამკვიდრა მეცნიერებაში ტერმინი „ფატიკური“. თვით სიტყვა „ფატიკური“ ბერძნულიდან მომდინარეობს (*phatos, phanai* — სალაპარაკო).

როდესაც ნაცნობებს შეხვედრისას მნიშვნელოვანი არაფერი აქვთ ერთმანეთისათვის სათქმელი, ისინი ჩუმდებიან; სიჩუმე კი ზოგჯერ აღიქმება, როგორც გაბუტვის, არამეგობრული დამოკიდებულების მაჩვენებელი. ამ სიჩუმის შესავსებად ადამიანები იწყებენ არაფრის-მთქმელ საუბარს ამინდზე, ნაცნობ-მეგობრების ჯანმრთელობაზე და ა.შ. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა ის, რას იტყვი, არამედ როგორ იტყვი და შეძლებ თუ არა გამოხატო თანაგრძნობა თანამოსაუბრის მიმართ; ასეთ სიტუაციას შეიძლება შეესაბამებოდეს შემდეგი ქართული, ფრანგული, და ესპანური ტერმინები: მუსაიფი, ბასი — *le petit discours, la petite conversation — una pequeña conversacion*.

ფატიკური კომუნიკაცია ძირითადად მყარდება იმ ადამიანებს შორის, რომლებიც შემთხვევის წყალობით შეიყარნენ ერთად და იძულებული არიან ისაუბრონ რამეზე. ასეთ შემთხვევაში ისინი იძულებული არიან შეასრულონ საზოგადოებრივი მოვალეობა, რადგან ნებისმიერი ფატიკური საუბრის მიზანი არის ის, რომ მონაწილეებმა ემოციური კმაყოფილება მიიღონ.

ისევე როგორც ფრანგულ და ესპანურ ენებში, ქართულშიც მრავლად გვხვდება ფატიკური კომუნიკაციის ნიმუშები. თითოეული ცხოვრებისეული სიტუაციის შესაბამისად, ადამიანი არჩევს შესაფერის ქართულ, ფრანგულ და ესპანურ გამონათქვამს და ავტომატურად სვამს მას ამა თუ იმ კონტექსტში. გულთბილი და მეგობრული ატმოსფეროს შექმნაში კი სწორედ ფატიკურ კომუნიკაციას ენიჭება მნიშვნელოვანი როლი. ხშირად ადამიანები რაიმე გარკვეული მიზეზის გარეშეც კი გაუბამენ ხოლმე საუბარს სრულიად უცნობ ადამიანებს. მათი ფატიკური კომუნიკაცია იმდენად ახლომდებარეა, რომ ზოგჯერ საუბრის ბოლოს უცნობები მეგობრულად შორდებიან.

თავაზიანობის ფორმულათა მრავალი ჯგუფი გამოიყოფა; წინამდებარე სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ „მისალმებისა“ და „ღამისმშობის“ ფორმებზე ფრანგულ, ესპანურ და ქართულ ენებში.

„მისალმებას“ ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამინთა ყოველდღიურ ლექსიკონში. ქართულ ენაში ყველაზე გავრცელებული მისალმებელი სიტყვაა: „გამარჯობა“; ასევე: დილა მშვიდობისა, საღამო მშვიდობისა. დიდი ხნის უნახავ ნაცნობებთან შეხვედრისას, ქართველები სიხარულის ნიშნად ამბობენ: ამას ვის ვხედავ! საუკუნეა



არ მინახავხარ! სად დაიკარგე!, ხოლო მოსულ სტუმარს ქართველები ასე ესალმებიან: ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! რა კარგია, რომ მოხვედი!

ფრანგულ ენაში მისალმების ოფიციალური ვარიანტებია: **Bonjour**, რომელიც ნიშნავს „კარგ დღეს“, ანუ დღის კარგად გატარების სურვილს შეიცავს. **Bon soir** „სალამო მშვიდობისა“. **Bonne nuit** „ღამე მშვიდობისა“, რაც ნიშნავს „კარგ ღამეს“, ანუ სურვილს მშვიდი ღამისას, რომელიც „დამშვიდობების“ გამომხატველი სიტყვაა და არა „მისალმების“.

არაოფიციალური მისალმების ვარიანტებია:

**Mais regardez qui se trouve la (qui est venu ici)** „ნახეთ ვინ მოსულა!“

**Je ne pensais pas vous voir ici!** „არ მეგონა, აქ თუ გნახავდით!“.

**Que de temps que je ne t'ai pas vu!** „რა ხანია არ მინახავხარ!“.

ამ ფორმებით გამოხატულია შეხვედრით განცდილი სიხარული და მონატრება. რაკი მისალმების ფორმა მოკლეა და თბილი სიტუაციის შექმნა მეტს მოითხოვს, ამიტომ მისალმებას თან ახლავს: **Comment ça va? c'est ça va?** „როგორ ხარ?“

ასევე ესპანური მისალმებებია:

„**Hola**“ — „გამარჯობა“.

„**Buenos dias**“ — „გამარჯობა“, სიტყვასიტყვით, „კარგი დღე“.

„**Buenos tardes**“ — „შუადღე მშვიდობისა“ და

„**Buenas noches**“ — „ღამე მშვიდობისა“.

ასევე არაოფიციალური საუბრის ფორმები:

**Dichosos los ojos!** — „ამას ვის ვხედავ!“.

**Hase mucho que no nos vemos!** — „დიდი ხანია არ შეხვედრილვართ!“.

**Me alegro de verle!** — „მიხარია თქვენი ნახვა!“.

**Que le ha traído por aqui?** — „აქ რამ მოგიყვანათ?“

**Como le va?** — „როგორ ხარ?“.

აღსანიშნავია, რომ სიტყვიერი კომუნიკაცია ყოველთვის დამშვიდობებით მთავრდება. ქართულ ენაში „დამშვიდობების“ გამომხატველი სიტყვებია: „ნახვამდის“ და „მშვიდობით“. „ნახვამდის“ უფრო ობტიმისტური ხასიათისაა, ხოლო „მშვიდობით“ სამუდამო განშორებას აღნიშნავს.

ფრანგულ ენაში ყველაზე გავრცელებული დასამშვიდობებელი სიტყვაა: **Au revoir** — „ნახვამდის“, რაც მიუთითებს „ხელახლა ნახვა-

ზე“, ასევე „**A BIENTÔT**“ — „მალე შეხვედრამდე“, **A tout de suite** — „მალე შეხვედრებით“, ხოლო ესპანურ ენაში დამშვიდობების გამომხატველი სიტყვებია: **adios** „მშვიდობით“, **Hasta la vista** — „ნახვამდის“, **Hasta pronto** — „მომავალ შეხვედრამდე“, **Hasta luego** — „დროებით“ (ნახვამდის), **Nos veremos mas tarde** — „მოგვიანებით შეხვედრებით“, **No se pierda** — „არ დაიკარგოთ“.

დამშვიდობების პროცესის გასახანგრძლივებლად ფრანგები, ესპანელები და ქართველები თანამოსაუბრეს მათ საერთო ნაცნობებთან მოკითხვასაც აბარებენ: „მოკითხვა თქვენებს.“ „**SALUT AUX VÔTRES**“ — სალამი თქვენებს“, „**Le doy saludo de parto de mi a todos**“ — „მომიკითხე ყველანი“ და ა.შ.

ლიტერატურა

**გოქსაძე, დემეტრაძე, 1996** — ლ. გოქსაძე, ი. დემეტრაძე, „ქართულ-ინგლისური ყოფითი თავისებურებები“, „ნეკერი“, თბ., 1996;

**ბაბი, 1985** — Папп Ф. «Паралингвистические факты. Этикет и язык», «Новое в лингвистике», т.15. Москва, 1985.

**ცერცვაძე, 2004** — ნ. ცერცვაძე „ფატიკური კომუნიკაცია და მისი ტიპოლოგია იტალიურ ენაში“, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპ. წარმოდგენილი ავტორეფერატი, თბ., 2004;

**ჯერმენი, 1995** — Germain C. „Evolution del'enseignement des langues“, Paris, 1995;

MEGGY MCHEDLISHVILI

**The Function of Phatic Communication in Greetings and Leave-takings**

( on the material of French, Spanish and Georgian)

## Summary

As is known, phatic communication implies creation of warm, friendly atmosphere between the communicants rather than the exchange of factual information. Besides, it aims at avoiding uncomfortable pauses and involving the participant into the process of communication. The paper focuses on the phatic function of French, Spanish and Georgian greetings and leave-takings.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

**-ელ სუფიქსიანი გვარები ქსნის ხეობიდან**

პირთა სადაურობასა და წარმომავლობას ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში -ურ სუფიქსი აღნიშნავს. ამავე დროს -ელ სუფიქსს აქვს პოტენცია დიალექტში იმავე ფუნქციით იქნეს გამოყენებული, როგორც -ურ სუფიქსი. -ელ სუფიქსით გაფორმებული ანთროპოტოპონიმები დასტურდება ისტორიულ დოკუმენტებსა და ლიტერატურულ წყაროებში. ისინი სხვადასხვა ფორმატით გაფორმებული გვარების პარალელურად გვარ-სახელის ფუნქციით გამოიყენებიან. ტოპონიმზე -ელ მაწარმოებლის დართვით წარმოებული ანთროპონიმული ტოპონიმები მიუთითებენ — მფლობელობას, სადაურობას.

მფლობელობის აღმნიშვნელ -ელ სუფიქსიანი წარჩინებული გვარები არაერთგზის არის დასახელებული ქსნის საერისთავოს საისტორიო დოკუმენტებში, სიგელ-გუჯრებში, ლაპიდარულ წარწერებში. ასეთი გვარები იქმნებოდა ფეოდალური ან საეკლესიო რეზიდენციის, მამულის, ტოპონიმის სახელწოდების მიხედვით. მაგალითად, ქსნის ხეობის ერთ-ერთი წარჩინებული გვარია ყანჩაელი, რომელის სახელიც სოფელ ყანჩავეთთანაა დაკავშირებული და ამ გვარის შესახებ მეჭუდის ხეობის X საუკუნის ლაპიდარული წარწერები მოგვითხრობს. ყანჩაელთა ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლების აშენებულია მეჭუდის ხეობის სოფელ ბიეთის მღვიმე-ეკლესია 1025 და სამთავისის ტაძარი ლეხურის ხეობაში 1030 წელს.

უფრო ადრინდელია ხეობის სათავეში წმინდა გიორგის ეკლესია, რომლის ასომთავრული წარწერა გვაუწყებს, რომ იგი 864 წელს აუგია გიორგი არმაზელს. ასევე წარჩინებული გვარებია ხეობაში ქნოდოდან — ქნოდოელი, ქოლოთიდან — ქოლოთელი, სამთავისიდან — სამთავნელი, ღაზნელი და სხვა.

-ელ სუფიქსიანი სახელები, გარდა მფლობელობისა, სადაურობა-წარმომავლობის აღმნიშვნელი სტრუქტურული ერთეულებია დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთათვის. ასეთი წარმომავლობის

აღნიშვნის აუცილებლობა გამოწვეული იყო სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური, მიგრაციის მიზეზით. ერთი ადგილიდან მეორეში წასული ოჯახის, პირის სახელდება ხდებოდა ყოფილი საცხოვრებელი ადგილის სახელზე -ელ ფორმატის დართვით. თუმცა სადაურობა-წარმომავლობის აღმნიშვნელი გვარის წარმოქმნის ასეთი გზა ნამდვილ რეალობას არ ასახავს.

-ელ ბოლოსართიანი გვარები ძირითადად ორგვარი ვითარების გამომხატველნი არიან: ისინი მიუთითებენ როგორც გეოგრაფიული პუნქტის მფლობელობა-პატრონობას, ასევე აღნიშნავენ პირის სადაურობა-წარმომავლობასაც. ასეთი ფუნქციით ანთროპოტოპონიმად არაერთი ნიშანი გვხვდება ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოცემულ დოკუმენტების კრებულში „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები“, I ტ, რომელშიც წარმოდგენილი დოკუმენტები ეხება ქსნისა და არაგვის საერისთაოს აღწერებს 1774, 1781 წლებში.

„ქსნის საერისთაოს სტატისტიკურ აღწერაში“; 1774 წლის მონაცემებით, ქსნის ხეობის სოფელ დადიანეთში გადმოსულია არაგვის ერისთავის ყმა ხადელი ივანე. ჯავახეთიდან გადმოსულია სოფელ წოლდაში ჯავახელი ღვინია, იასე და თევდორე. სოფელ ლარგვისში მოსულები არიან თეზიდან — თეზელ-დვალიძე ბერი, პეტრე და ივანე, ასევე ლარგვისშია მოსული თიღველი ზურაბა.

სოფელ ცხავატში ქსნის ხეობის ხადადან მოსულია ვინმე ხადელი, აქვე მოსულები არიან ბოგანო ჟამურელი, ირტოზელი და გარდაბნელი ბოგანოები. ლამისყანაში გადმოსულები არიან ჯავახეთიან — ჯავახები სამი კომლი და ეთნონიმებისაგან მიღებული გვარსახელები ხშირად გაუფორმებელია. მაგ.: მესხი, ჯავახი;

1781 წლის „სტატისტიკით“ ქსნის ხეობის ცხრაზმულას ხეობაში, სოფელ უკანუბანში არაგვის ხეობიდან გადმოსულები არიან ხადელი ბერი, სულხანა და ღვთისია. სოფელ ლამისყანაში ქარჩოხელი და სამელრელი ბოგანოები. სოფელ მეჯვრისხევში, რომელიც სავაჭრო დაბას წარმოადგენდა, მთიდან მოსულან ხარხეთიდან — ხარხელი, ამავე დროს ისინი დამკვიდრებული არიან სოფელ ქოლოთაშიც (მდინარე ლეხურის სათავე). ბენდერელი — ხახუტა, წოლდელი გიორგი და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტებში მითითებულია მოსულთა სადაურობა-წარმომავლობა და დღევანდელი ვითარებით ადრინდელი წარმომავლობის გვარები დარჩენილია, მაგრამ ბევრმაც დროთა ვითარებაში გამოიცვალა გვარი. მაგალითად, ფრონეს ხეობის სოფელ თიღვადან ლარგვისში (იგივე მონასტერი) მოსულმა ზურაბას შთამომავლებმა აღიდგინეს ძველი გვარი ბასანიძე. სოფელ ლამისყანასა და თეზში დამკვიდრებულმა ჯავახელებმა ამჯობინეს და ჯავახიშვილებად დაეწერნენ. ბენდერელი ხახუტა, რომელიც მეჯვრისხევშია დამკვიდრებული, ახლა მისი შთამომავლები ხახუტაშვილები არიან.

ირკვევა, რომ ტოპონიმური ფუძეები -ელ ფორმატის დართვისას გათანაბრებული არიან ზოგად სახელებთან. თანხმობანფუძიან ოიკონიმთა ნაწილი განეკუთვნება ფუძეუკუმშველ სახელებს: ქემერტი — ქემერტელი — ქემერტელიძე; ქოლოთი — ქოლოთელი; არმაზი — არმაზელი; იკუმშებიან: ხარხეთი — ხარხელი; ბიყარი — ბიყრელი; კვეცადი ფუძეებია თიღვა — თიღველი; ხადა — ხადელი; წოლდა — წოლდელი; ირტოზა — ირტოზელი; ლამისყანა — ლამისყანელი.

-ელ სუფიქსიანი სადაურობის აღმნიშვნელი ტოპონიმური სახელები ყოველთვის საკუთარ სახელს ახლდნენ, ისინი აკონკრეტებდნენ ამა თუ იმ პიროვნებას, გეოგრაფიულ პუნქტს, იძენდნენ გვაროვნული სახელების ფუნქციას და ხშირად გვარადაც არიან ქცეულნი.

ლიტერატურა

**თოფჩიშვილი, 1997** — რ. თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარ-სახელები? თბ., 1997

**ჯავახიშვილი, 1954** — ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, 1954

**ჭუმბურიძე, 2003** — ზ. ჭუმბურიძე, რა გვქვია შენ? თბ., 2003

NICOLOZ OTINASHVILI

**Family Names with the Suffix el in the Ksani Valley**

## Summary

The family names with the suffix el are quite frequent in historic documents and literary sources. The suffix in question was characteristic of aristocratic families and denoted possession. Besides, according to 'The Statistical Analysis of the Ksani Valley' the suffix was the marker of origin in the family names of lower social class.

სალომე ოშიაძე

**გაგების პრობლემისათვის საკომუნიკაციო აპტუი**

მეორე/უცხო ენის მასწავლებლებიცა და შემსწავლელებიც შედარებით ადვილ ამოცანად მიიჩნევენ ლექსიკის სწავლება-შესწავლას. ნებისმიერი სწავლების პროცესი გაგებინება-გაგებას ემყარება, ამიტომაც ბუნებრივია, რომ საგნობრივი დენოტატის მქონე სიტყვების სწავლებას სირთულე თითქმის არ ახლავს, შედარებით რთული ასახსნელ-გასაგებია აბსტრაქტული სახელები, კიდევ უფრო რთულია და სწავლების საგანგებო მეთოდური გზებია მოსაძებნი იმ ენობრივი ერთეულების სწორად და სრულად მისაწოდებლად, რომელთაც დისკურსის ეროვნულ-სპეციფიკურ კომპონენტებს ვუწოდებთ.

ყოველ დისკურსში, ისევე როგორც ენაში, არსებობს ზონები, რომლებიც მეტად შეიცავს კულტურულ ინფორმაციას. ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს როგორც ეროვნულ-კულტურული, ისე უნივერსალურ-კულტურული. როგორც ცნობილია, ხალხის წვდომა ამ ხალხის ენის წვდომით იწყება. სიტყვის ცხოვრების რთული, მრავალშრიანი სურათი ხალხის ცხოვრებას ასახავს. ამიტომ სიტყვის აღქმა, მთელი თავისი სემანტიკური სიღრმით, ქმნის ხალხის მატერიალური და სულიერი სიმდიდრის გაგების წინამძღვრებს, ვფიქრობთ, კულტურათა დიალოგის წინამძღვრებსაც, რომ არაფერი ვთქვათ, საერთოდ, გაგებინებაზე კომუნიკაციის პროცესში. აქ არა აქვს მნიშვნელობა, დედენაზე ხორციელდება ურთიერთობა ან სწავლება, თუ პროცესის ერთ-ერთი მონაწილე მხარისათვის კომუნიკაციის ენა ე.წ. მეორე ენაა. მშობლიურ ენაზეც ვერ დამყარდება სრული ურთიერთგაგება, თუ სიტყვის კონოტაციები, კულტურული მნიშვნელობები თანამოსაუბრეთათვის უცნობი ან ბუნდოვანია.

ქართული დისკურსი იმ ენის ხორცშესხმაა, რომელსაც სალიტერატურო სტატუსის, სულ მცირე, თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია აქვს, შესაძლოა, უფრო ხანგრძლივი — ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ტრადიცია. ეს ორი ფაქტორი, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ,

ზეპირსიტყვიერების გზით მოღწეული და შენარჩუნებული ცოდნა, განსაზღვრავს „ეროვნული მემკვიდრეობის“ სიღრმეს. ენობრივი ერთობის წარმომადგენელთათვის ამ საერთო ცოდნას, რომელიც კომუნიკაციისას ურთიერთგაგების აუცილებელი პირობაა, ემყარება სწორედ დისკურსის ის შემადგენლები, რომელთაც **პრეცედენტული მოვლენები** ჰქვია და რომელთა დიდი ნაწილი ეროვნული სპეციფიკით არის ნიშანდებული. მათი სწავლება ქართულის, როგორც მეორე/უცხო ენის შემსწავლელთათვის მეტად მნიშვნელოვანია, რათა კომუნიკაციის პროცესში წარუმატებელი ზონები არ წარმოიშვას.

ქართული დისკურსის სტრუქტურაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ქართველთა კონფესიასთან დაკავშირებული პრეცედენტული მოვლენები. ბიბლიურ წიგნთა ადრეული თარგმანები, ორიგინალური სასულიერო ლიტერატურა, მართლმადიდებელი მრევლის მეტყველება ქართულ დისკურსში დიაქრონიულად ამკვიდრებდა შესაბამის პრეცედენტულ სახელებს, სიმბოლოებს, ციტატებს და მისთ., რომლებიც დისკურსის კომპონენტებად რჩება სინქრონიაშიც. ენის სიმდიდრე განისაზღვრება არა მარტო ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული შესაძლებლობების სიმდიდრით, არამედ კონცეპტური სამყაროს, კონცეპტოსფეროს სიმდიდრით (მასლოვა, 2004, 17). კონცეპტოსფეროდან იგება ენის მფლობელის მსოფლგაგება (მიხალჩუკი, 1997, 29). ქართული მართლმადიდებლური ცნობიერების კონცეპტოსფეროში, რომელშიც ასახულია ქართველთა მენტალიტეტი და სულიერი გამოცდილება, შედის კონცეპტები: **ამაოება, ბოროტება, სათნოება, დამდაბლება, თანაღმობა, სასოება, ზიარება, მიტევება, ცხოვნება, ჭვარცმა** და სხვ., რომელთა სალექსიკონო მნიშვნელობების გაცნობა ვერ იქნება საკმარისი მათი გააზრებისთვის, რადგან თითოეული საკრალური აზრის შემცველია.

მეორე მნიშვნელოვან შრეს ქმნიან საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული პრეცედენტული ფენომენები — მეფეთა, ეროვნულ გმირთა, დიდ საზოგადო მოღვაწეთა საკუთარი სახელები, მათთან დაკავშირებული სიტუაციები, გამონათქვამები, ციტატები. ასევე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ეროვნული ლიტერატურა: ავტორთა და პერსონაჟთა სახელები, ნაწარმოებთა სათაურები, ტექსტები და ციტატები. დისკურსის ეროვნულ-კულტურული შემადგენლები, რომლებიც ქართული ენობრივი და კულტურული ცნობიერების ექსტერიორიზებულ განხორციელებას წარმოადგენენ, დატვირთუ-

ლი არიან ეროვნულ-კულტურული ინფორმაციით და მათ ყოველთვის ნაციონალური ხასიათი აქვთ. მოცემული ენობრივი ერთობის მატერიალურ, სოციალურსა თუ სულიერ კულტურასთანაა დაკავშირებული იმ სახეთა სისტემა, რომლებიც თავისებურ ნიშანს წარმოადგენენ ხალხის მიერ სამყაროს ხედვის კუმულაციისათვის. მაგალითად, პირის ფენომენის, რაზეც მიუთითებს საკუთარი სახელი **ლუარსაბ თათქარიძე**, აღწერისას ენციკლოპედიურ ინფორმაციაზე მეტად საინტერესოა ქართულ დისკურსში ამ სახელის ფუნქციონირების თავისებურებანი, რომლებიც მისი „სემანტიკის“ თავისებურებებით განისაზღვრება. ზემოაღნიშნული კუმულაცია, რაც ეროვნულ-კულტურულ გამოცდილებასა და ტრადიციებს მოწმობს, გვიკარნახებს, რომ ეს „სემანტიკა“ ყოველთვის ენციკლოპედიური მონაცემებით არ განისაზღვრება. ქართული მასობრივი ცნობიერებისათვის ლუარსაბ თათქარიძე შეიძლება იმდენად უქმადმყოფი და გაუნათლებელი ადამიანის სახე არ იყოს, რომელსაც სახლ-კარი მოუვლელი აქვს, ცრუმორწმუნეცაა და ა. შ., რამდენადაც გადამეტებული სმა-ჭამის მოყვარულისა და მსუქანი კაცის. ასევე — **კაროენა**, დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირის“ პერსონაჟი, გათხოვებას მოწადინებული, ღარიბი მამის ტვირთად ქცეული, უიღბლო ქალიშვილი, რომელიც სოციალური ვითარების გამო ტრაგიკული პიროვნება გახდა, ქართულ დისკურსში იმგვარი კულტურული კონოტაციით წარმოგვიდგება, როცა დომინანტურია დიფერენციული ნიშნები „უშნო“, „მანჭია“ (იხ. ქეგლი: „ვითომ მორცხვი და კეკელა, უშნო და მანჭია ქალი“; კაროენობა — „მანჭვა“).

სხვადასხვა ლინგვოკულტურული ერთობის წარმომადგენელთა შორის ენობრივი ურთიერთობისას გაგების პრობლემას ქმნის არა იმდენად ენათა სხვადასხვაობა (შედარებით მარტივია უცხო ენაზე ლაპარაკისა და მოსმენის, წერისა და კითხვის ჩვევათა ჩამოყალიბება), რამდენადაც „ენათა შინაარსობრივი სხვაობა“ (გ. რამიშვილის ტერმინოლოგიით — რამიშვილი, 1995). ენობრივი შინაარსის თავისთავადობა განპირობებულია ენაში ასახული კულტურითა და მის მიერ შექმნილი მნიშვნელობებით. მსოფლიოში არსებული ეროვნულ ენათა სიმრავლე კორელაციაშია კულტურათა სიმრავლის ფაქტთან. კულტურათა ჰეტეროგენიულობა ყველაზე ხელშეწყობს და თვალსაჩინო ხდება ერთი ენიდან მეორე ენაზე ნებისმიერი გამონათქვამის ადეკვატურად თარგმნისას, რადგან ერთი ენის ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობების ზუსტი შესაბამისობა მეორე ენაში არ არსებობს —

ეს მნიშვნელობები ორივეგან ეროვნულ-სპეციფიკურია და მათი დამთხვევის ალბათობა ნულს უახლოვდება. მაგალითად, სიტყვა **მერანი** ქართულ დისკურსში მარტო უბრალო ცნებას („კარგი, სწრაფად მოსიარულე საჭდომი ცხენი“) კი არ გამოხატავს, არამედ ბედის დაძლევის წყურვილის, შეუპოვარი ბრძოლის, დაუმორჩილებლობის, თავგანწირვისა და ა. შ. სიმბოლოს, რომელიც ნ. ბარათაშვილის ლირიკამ შექმნა. თუ ქართული ენის შემსწავლელმა ამ სიტყვის მხოლოდ ლექსიკონში მოცემული მნიშვნელობა იცის, ის სწორად ვერ გაიგებს ბევრ კონტექსტსა და აზრს ქართულ დისკურსში.

საგანგებო სწავლებას მოითხოვს ის კონცეპტები, რომლებიც იძლევიან გარკვეულ ღირებულებით პარადიგმასა და ქცევის იმ მოდელს, რომელთა მიბაძვა რეკომენდებული ან აკრძალულია. ეროვნულ გმირთა პანთეონში **დიმიტრი (დემეტრე) მეორეს** ხალხმა **„თავდადებული“** უწოდა, რადგან ის უბრალო ხალხის გაჟღერებასა და ქვეყნის აოხრებას მოერიდა, როცა დარბაზს არ დაეთანხმა, არ წასულიყო ურდოში და მთებში გახიზნულიყო. ქცევის ეს მოდელი ნაციონალურ კონცეპტშია ხორცმესხმული და მისაბაძ მაგალითად არის დასახული. მაშინ როდესაც, **გიორგი მეორე (კახეთის მეფე)**, რომელმაც ტახტის მისაკუთრების მიზნით მოკლა მამა, ძმას თვალები დასთხარა, **„ავგიორგის“** სახელით არის შესული „ანტიგმირთა პანთეონში“ და „ბოროტების“ ეროვნული კონცეპტური ინფორმაციის ნაწილს წარმოადგენს.

შესამუშავებელია მეთოდური რეკომენდაციები ეროვნულად დეტერმინირებული სხვადასხვა სახის პარემიების, ენობრივი სტერეოტიპების, სიმბოლოების, სახეების, ე.წ. სიტყვის მასალისა და მისთ. სწავლებისათვის, რომლებშიც ასახულია კულტურულ და ეთიკურ კონცეპტთა სისტემა, ხალხის ადათ-ჩვევები, რიტუალები, ეტიკეტი.

მასალის მიწოდების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად მიგვაჩნია კომიქსი. მაგალითად, სამეტყველო ეტიკეტი, რომელიც ენობრივი კომუნიკაციის ერთ-ერთი ეროვნულ-კულტურული კომპონენტია და მის სპეციფიკას ეროვნული კომუნიკაციური ცნობიერება ქმნის, რაც ქართველისთვის იმ ცოდნათა ერთობლიობაა, თუ როგორ უნდა ურთიერთობდეს იგი საქართველოში, კომიქსისთვის კარგი მასალაა. წარმოვიდგინოთ სამეტყველო ეტიკეტის ერთი უბანი — მისალმება-დამშვიდობების ფორმულები. ქართული დისკურსის ანალიზი ცხადყოფს, რომ ისინი დიფერენცირებულად გამოიყენება იმისდა მი-

ხედვით, თუ როდის, სად, როგორ ხდება მისალმება — დილით, შუადღისას, საღამოს, გარეთ, შენობაში, შესვლისას, გამოსვლისას და ა.შ. ამის ჩვენება და სწავლება კი ნახატი პერსონაჟების, პატარ-პატარა სიუჟეტებისა და სათანადო ტექსტის საშუალებით რთული არ იქნება და ვფიქრობთ, გაგებასთან ერთად ამ ფორმულების დამახსოვრებასაც შეუწყობს ხელს.

სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე მეტის თქმა არ შეგვიძლია, თუმცა ეს არც ყოფილა ჩვენი მიზანი, ამიტომ კვლავ მთავარ სათქმელს დავუბრუნდებით:

კონკრეტული ლინგვოკულტურული ერთობის კონკრეტული წევრი ფლობს მოცემულ ერთობაში შემავალთათვის საერთო „კულტურულ ობიექტთა“ და მათ სიმბოლოთა გარკვეულ ნაკრებს, საერთო ცოდნებს, წარმოდგენებს, ღირებულებით ორიენტაციებსა და მათი სემიოტიზაციის საშუალებებს (პროხოროვი, 2004, 148), ხოლო, როგორც ადამიანთა მოდემის, კაცობრიობის წევრი, იგი ფლობს ყველა ადამიანისათვის საერთო ცოდნასა და წარმოდგენებს, ამიტომ **„კენის ცოდვა“**, **„დონჟუანობა“**, **„ჯოკონდას ღიმილი“** და მისთ., როგორც უნივერსალური გამოთქმები და საზრისები, ახსნა-განმარტებას არ საჭიროებენ, მათი მნიშვნელობების ცოდნა თავისთავად იგულისხმება, მაგრამ **„კვაკობა“**, **„თამარის დროშა“**, **„ფიროსმანის ცა“** და მისთ. აუცილებელ კომენტარსა და საგანგებო სწავლებას მოითხოვენ არაქართული ლინგვოკულტურული ერთობის წარმომადგენლებისათვის, რათა მათ კულტურათაშორისი კომუნიკაციის წარუმატებლობა არ გამოიწვიონ.

ლიტერატურა

**მასლოვა, 2004** — В. А. Маслова, Введение в когнитивную лингвистику, М., 2004.

**მიხალჩუკი, 1997** — И. П. Михальчук, Концептуальные модели в семантической реконструкции (индоевропейское понятие "закон") // ИАНСЛЯ. Т. 56, №4, 1997.

**პროხოროვი, 2004** — Ю. Е. Прохоров. Действительность. Текст. Дискурс. М., 2004.

**რამიშვილი, 1995** — გ. რამიშვილი, ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თვალსაზრისით, თბილისი, 1995.

SALOME OMIADZE

**Towards the Problem of Understanding during a Communicative Act**

## Summary

In every piece of discourse as well as a language there are some areas containing a greater amount of cultural information. The latter can be either ethno-specific or universal. For instance, the idioms like Cain's sin, the Mona Lisa's smile, a Don Juan are quite understandable without any comments. However, such culture-specific notions as *kvaçoba* (dodgery), *tamaris droša* (King Tamar's banner), *pirosmanis ca* (Pirosmani's sky) etc. should necessarily be commented on and explained to foreigners to avoid failures during intercultural communication.

სალომე ომიადე

**სტილისტიკური შეცდომის კვლიერისათვის**

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი ნაშრომი მიეძღვნა სტილისტიკურ უზუსტობათა ანალიზს, ამ ტიპის დარღვევები პრესის ფურცლებზე გამართული დისკუსიების თემაც ხშირად გამხდარა, მაგრამ სიტყვათხმარების ვრცელი ლექსიკონი ჯერჯერობით არა გვაქვს. დღესაც საჭირო და შეუცვლელია 400-ერთეულიანი სალექსიკონო მასალა — „სიტყვა და კონტექსტი“, რომელიც „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მეშვიდე წიგნად 1985 წელს დაიბეჭდა. ასევე დიდ სამსახურს უწევს ჟურნალისტებსა და დაინტერესებულ მკითხველებს 2002 წელს გამოსული „ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი“. ერთიცა და მეორეც უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, ამგვარი გამოცემების საჭიროება კი აშკარაა.

სარეკომენდაციო ლიტერატურის მომხმარებელთა წრეს საგრძნობლად გააფართოებს კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოყენება. ენობრივ შეცდომათა ელექტრონული ლექსიკონი, რომელიც ახლა იქმნება, იქმნება არა მარტო ჟურნალისტებისა თუ პედაგოგებისათვის, არამედ ყველასათვის, ვისაც კულტურულ კომუნიკანტად ჩამოყალიბება სურს, ვინც იცის, რომ საქმიანობის ყოველ სფეროში წარმატების გასაღები წარმატებული ურთიერთობაა, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვნად განაპირობებს ენის ცოდნა — მართლწერა და მართლმეტყველება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლექსიკონის მომხმარებელთა ცოდნის დონე და მზაობა ერთნაირი ვერ იქნება, ამიტომ ახალ ცოდნასთან მისასვლელად მარტივი გზები უნდა მოგვეძებნა.

ერთმანეთის გვერდით მოცემული მცდარი და მართებული სალექსიკონო ერთეულების შედარება რთული ამოცანა არავისთვის არ იქნება, მით უფრო, რომ ისინი კონტექსტებითაა წარმოდგენილი. მაგრამ ლექსიკონის აგებულება ითვალისწინებს შეცდომა-უზუსტობათა კომენტირებას, რამაც გადაგვაწყვეტინა, მომხმარებელი პირობი-

თად ორ ჯგუფად დაგვეყო. შესაბამისად, კომენტარების ტექსტებს პოპულარული ენით წარმოვადგენთ, თუმცა ფრჩხილებში მეორე ჯგუფის მომხმარებელთათვის შესაბამისი ლინგვისტიკური ტერმინებიც მოგვეყვას. ვფიქრობთ, ამ გზას შემეცნებითი მნიშვნელობაც ექნება, დაკვირვებული მომხმარებელი ფრჩხილებში ჩაწერილი ტერმინების არსშიც მალე გაერკვევა.

სტილისტიკური შეცდომის სალექსიკონო ერთეულად ქცევა გაცილებით რთულია, ვიდრე მორფოლოგიურის ან ორთოგრაფიულისა. ის, რომ ენის სხვა უბნის სტრუქტურული ელემენტების მოხმარებას სინქრონიულ დონეზე არსებული სალიტერატურო ენის ნორმები არეგულირებს, ამ უბნებზე შეცდომათა აღმოჩენის ობიექტურ პირობებს ქმნის და არც მათი სალექსიკონო ერთეულებად ქცევაა რთული, მაგრამ როგორც კი კომუნიკანტი ჩვეულებრივი საშუალებების გარდა საგნებისა და მოვლენების სუბიექტური ობიექტივაციისა თუ ექსპრესიის მიზნით ენის განსაკუთრებულ შესაძლებლობებს იყენებს, ამ პროცესის ობიექტურად შეფასება და მკაცრად რეგულირება რთულდება. ამიტომაცაა, რომ სტილისტიკის სახელმძღვანელოებში სტილისტიკურ შეცდომებზე მეტად სტილისტიკურ ხარვეზებსა და უზუსტობებს განიხილავენ. ხშირად სტილისტიკური შეცდომა თუ ხარვეზი არათუ სიტყვისა და შესიტყვების, არამედ წინადადების ფარგლებსაც სცილდება, რაც ასევე ართულებს მის სალექსიკონო ერთეულად ქცევას.

ახლა კი მოკლედ იმის შესახებ, თუ რა მასალა მოიყრის თავს ჩვენს ლექსიკონში:

სალექსიკონო ერთეულთა უმეტესობა ორწევრა შესიტყვებაა. გამოიყო უმარტებულო სიტყვათშეხამებათა შემდეგი ჯგუფები:

1. ერთი რიგის შესიტყვებები იმ ჭარბსიტყვაობის ილუსტრაცი-  
აა, რომელიც როგორც დღევანდელი ზეპირმეტყველების, ასევე მასმე-  
დიის ენის მკაფიო მახასიათებლად გვევლინება. ამ მოვლენამ, თავის  
მხრივ, მრავალი ზმნის მნიშვნელობისა და მოხმარების არის არაბუ-  
ნებრივი გაფართოება გამოიწვია. აღნიშნული რიგის შესიტყვებებში  
ერთ-ერთი სიტყვა სრულიად ზედმეტია და გადმოსაცემი შინაარსის  
გამოხატვა ერთი სიტყვით არის შესაძლებელი, მაგალითად: *შეთავა-  
ზებას ვაუკეთებს* კი არა — **შესთავაზებს**; *ყოვნი გააკეთა* კი არა —  
**შეყოვნდა**; *მოსინჯვას გააკეთებს* კი არა — **მოსინჯავს** და სხვ.

2. მეორე ტიპის შესიტყვებათა უმარტებულობის მიზეზი არას-

წორად შერჩეული ზმნებია, მაგალითად: *წნევას/ვარცხნილობას ატა-  
რებს* კი არა — **წნევაჭარცხნილობა აქვს**; საანალიზო მასალამ გვიჩ-  
ვენა, რომ დღეს საწყის **დალაგებასა** და მის პირიან ფორმებს დაუბ-  
რკოლებლად აწყვილებენ ნებისმიერ სახელთან. ამის საილუსტრაციო  
მასალას კომენტარებიანად მოვიყვანთ, რომ ლექსიკონის სტრუქტუ-  
რასთან ერთად მის შინაარსზეც შეგვექმნათ წარმოდგენა: სალექსიკო-  
ნო ერთეულია **ურთიერთობის დალაგება**; **კომენტარი**: დალაგება  
შეიძლება ნივთიერი სახის მქონე რამისა, მაგალითად, საგნების, სა-  
ხლის, ოთახის... **ურთიერთობასთან** ამ ზმნის დაკავშირებით ქართუ-  
ლისათვის არაბუნებრივი შესიტყვება იქმნება. კონტექსტის გათვა-  
ლისწინებით ურთიერთობას სხვა ზმნები უნდა შევუხამოთ:

თუ ურთიერთობის დაწყება იგულისხმება, მართებული შე-  
სიტყვებებია: **ურთიერთობის დამყარება**, **ურთიერთობის გაბმა** და  
არა *ურთიერთობის დალაგება*;

თუ შეწყვეტილი ურთიერთობის ხელახლა დამყარება იგულის-  
ხმება, მართებული შესიტყვებებია: **ურთიერთობის განახლება**, **ურ-  
თიერთობის აღდგენა** და არა *ურთიერთობის დალაგება*;

თუ პრობლემური ურთიერთობის გამოსწორება იგულისხმება,  
მართებული შესიტყვებებია: **ურთიერთობის გამოსწორება**, **ურთი-  
ერთობის მოგვარება**; **ურთიერთობის მოწესრიგება**, **ურთიერთ-  
ობის გამყარება**, **ურთიერთობის გამოკეთება** და არა *ურთიერთობის  
დალაგება*.

ლექსიკონში დამოუკიდებელ ერთეულად შესულია ასევე:  
პრობლემების დალაგება; საკითხების დალაგება; სიტუაციის დალაგე-  
ბა; პირობების დალაგება, რომელთაც საკუთარი მართებული ვარიან-  
ტები და კომენტარები ახლავს.

3. მესამე ტიპში გაერთიანდა შესიტყვებები, რომელთა უმარტე-  
ბულობა გამოიწვია მათი ერთ-ერთი წევრის სტილისტიკური თავისე-  
ბურების გაუთვალისწინებლობამ. შედარებით ვრცლად დავიმოწმებთ  
მედიატექსტებიდან ამონარიდ მასალას: ამ გადაწყვეტილებას, რა  
თქმა უნდა, მათთვის **უფრო მეტი პლუსი გააჩნია**. მუსიკოსს, რო-  
მელსაც ასეთი საშემსრულებლო **მონაცემები მოეპოვება**, მეტად უნ-  
და ვაფასებდეთ. თვალს ვადევნებ ამ კონკურსის მიმდინარეობას და  
გული სიამაყით მევსება, რომ **ამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა გვაბა-  
დია**. სახელოვანი წინაპარი დედის მხრიდანაც **მრავლად მომეძივება**  
და სხვ.



4. კალკირებულ შესიტყვებათა ჯგუფში, ძველებთან ერთად, შედარებით ახალგაჩენილი, მაგრამ უკვე საკმაოდ გავრცელებული კალკები გაერთიანდა, მაგალითად: როგორც ვფიქრობდი, **სადღაც 1500** გაჭირვებული მოქალაქე შეუერთდა ამ აქციას; **სადღაც შვიდ საათზე** უკვე სასცენო კოსტიუმები გვაცვია; **სადღაც ათ წელიწადში** ხალხი მიიღებს ამ გადაწყვეტილებას.

5. მასმედიის ენაში იშვიათი არ არის ქართულ თუ უცხოურ პარონიმულ წყვილთა ცალკე უმართებულოდ ხმარება. ამ მოვლენის საჩვენებლად შესიტყვება ავირჩიეთ: *(რამის) წარდგინებას დავესწარი* (უნივერსიტეტში უცხოური ეპიგრამების წარდგინებას დავესწარი) კი არა — **(რამის) წარდგენას დავესწარი**; *ცივილური ქვეყანა* კი არა — **ცივილიზებული ქვეყანა**; *პასუხისმგებლობას აკისრებს მენეჯმენტს* კი არა — **პასუხისმგებლობას აკისრებს მენეჯერს** და სხვ.

6. ერთი ჯგუფი შექმნა შესიტყვებებმა, რომელთა შედგენილობაში შემავალი ერთ-ერთი ცალი მეორის სემანტიკური ელემენტია, მაგალითად: **ყველაზე ლიდერი**; **შუა ეპიცენტრი**; **ძალიან გრანდიოზული**; **სრული ანშლაგი** და სხვ. უკანასკნელ მაგალითთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ იმავე შინაარსის გამოსახატავად უფრო უცნაურ ფორმებსაც წავაწყდით: „ბიტლების“ კონცერტები ყოველთვის **ზეანშლაგით** ტარდებოდა; მადონას ყველა კონცერტი **პერეანშლაგით** მიმდინარეობს.

7. მყარ გამოთქმათა გამოყენებისას სხვადასხვა სახის შეცდომები გამოვლინდა. ზოგიერთ შემთხვევაში შესიტყვებას მსგავსი აგებულების, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის გამოთქმის ნაცვლად ხმარობენ — პირს მოსწმინდს — საუბარში ნიშნავს **ძლივს ეყოფა**. მოვიყვანთ ილუსტრაციას: ანამ თავისი გამარჯვებით სირცხვილნაჭამ თანაგუნდელებს პირი მოსწმინდა. აშკარაა, რომ **ნამუსი მოსწმინდა** უნდა გვქონოდა.

არ არის გათვალისწინებული მყარ გამონათქვამთა არსი, მართალია, ცოტა, მაგრამ მაინც გვაქვს მაგალითები, როდესაც შესიტყვების ერთ-ერთი წევრი სხვა სიტყვითაა ჩანაცვლებული: ისე მოგვატყუებენ, **წარბსაც არ შეათამაშებენ** (წარბსაც არ შეიხრიან); ხსენებული ბიზნესმენი არის დამოუკიდებელი ფიგურა და **გუნდრუკს არ უქნებს** ამ ხელისუფლებას და სხვ.

საანალიზო მასალაში ჟარგონიზმებისა და ობსცენური ლექსიკის

სიჭარბე გვაფიქრებინებს, რომ ერთი და მეორე თითქმის ნორმად ქცეულა მასმედიის ენაში. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ ეს არანორმატიული ლექსიკა, რომელიც ცოტა ხნის წინ ფართო საზოგადოებისათვის მიუღებელი იყო, ბევრისათვის ვულგარულადაც აღარ აღიქმება. იმატა სიტყვიერმა აგრესიამაც. გასწირდა ინვექტივათა გამოყენება ნაბეჭდ თუ ზეპირ მასმედიურ ტექსტებში. მკითხველი ან მსმენელი კი ამ მოვლენაში ოფიციალურ თვალსაზრისს ხედავს, ოფიციალურ დასტურს ლანძღვა-გინებასა და ბილწისიტყვაობაზე.

ქართულ ენაში ინვექტივის ევფემიზაციის არაერთი საშუალება არსებობს, მაგრამ დღეს ევფემიზაციის სტრატეგიაც საგრძნობლად შეცვლილია, რაც ინვექტივის აქტივაციის პირობებში ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საზოგადოების ერთ ნაწილში ძალადობისა და უხეშობის მოთხოვნილება გაიზარდა, თუნდაც ვერბალურ დონეზე. ჟურნალისტები უნდა გაფრთხილდნენ, რადგან ამგვარი ტენდენციები სალიტერატურო ენის განვითარების გენერალურ მიმართულებას ეწინააღმდეგება არა მარტო მეტყველების კულტურის ასპექტით, არამედ ენის გამდიდრების თვალსაზრისითაც.

SALOME OMIADZE

## Towards the Qualification of Stylistic Errors

### Summary

The electronic dictionary of language errors which is being compiled is aimed not only at journalists and teachers, but at laymen who want to be an educated, culturally accepted communicant. This means that the background knowledge of the dictionary users is not homogeneous. Consequently, the dictionary contains:

1. a comparison of incorrect and correct lexical units in their respective contexts.

2. errors commented on. Commentary being of two different types aimed at two different types of users: one being written in a popular way, the other in technical terms.

For stylistically incorrect variants the terms correct/incorrect, possible/more acceptable are used.

## ეპიტაფიკა მონანი

## სიტყვის ცნება ლინგვისტურ ლიტერატურაში

ენათმეცნიერების ისტორიაში ერთ-ერთი აქტუალური საკითხი ენობრივ ერთეულთა შესწავლაა. ძირითად ენობრივ ერთეულებად კი მიიჩნევა ფონემა, მორფემა, სიტყვა, შესიტყვება.

ჩვენი კვლევის საგანს სიტყვა წარმოადგენს. სიტყვას ოდითგანვე საბატიო ადგილი ეკავა ლინგვისტიკაში. ჯერ კიდევ დიონისე თრაკიელის მოძღვრებაში მეტყველების ნაწილები სიტყვათა კლასებს წარმოადგენენ. მეკლევრების უმრავლესობა დღესაც სიტყვას მიიჩნევს ენათმეცნიერების ერთ-ერთ ძირითად ცნებად.

თუმცა სიტყვის რაობასთან დაკავშირებული თეორიული საკითხები არ არის ერთგვაროვანი. არსებობს ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული თეორიები. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ის უნდა იყოს, რომ სიტყვა რთული მონაცემია, მას სხვადასხვა განზომილება აქვს (ბგერითი მხარე, მნიშვნელობა, სტრუქტურა), რაც აძნელებს მასში არსებითი, კონკრეტული ნიშნების გამოყოფას.

მიუხედავად ყოველივე ამისა, „სიტყვა სიტყვაა“. ყველა ადამიანი, ვისაც მეტყველება შეუძლია, ამ ნათქვამში ერთსა და იმავე აზრს, მნიშვნელობას დებს სხვადასხვა ენაზე, მაგრამ ენათმეცნიერებამ, რომელიც ამ მოვლენას შეისწავლის, იცის, რომ მოცემულ სიტყვას სხვადასხვა ვითარებაში, გამონათქვამში განსხვავებული მნიშვნელობა, აზრი შეუძლია გაუჩნდეს. რატომ, რა ხდება, რა მექანიზმით იქმნება ეს განსხვავება? ამაზე ამავიღებს განსაკუთრებულ ყურადღებას დღევანდელი ენათმეცნიერება, ეგრეთ წოდებული კომუნიკაციური ლინგვისტიკა, პრაგმატიკა. სიტყვა არ არის მარტივი ერთეული. იგი ერთდროულად განეკუთვნება ენისა და მეტყველების სფეროებს. ზოგადი მნიშვნელობით ის ენის სისტემის კუთვნილებათა, კონკრეტული, კერძო მნიშვნელობით კი მეტყველებისა. სიტყვა, როგორც ენის შემადგენელი სტაბილური და მდგრადია, თუმცა მას პოტენციურად მაინც გააჩნია გარკვეული შინაარსი, რომელიც საჭიროებისამებრ იც-

ვლება და ვლინდება კომუნიკაციაში.

კომუნიკაციაში სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება გახდეს ზუსტი, კონკრეტული ინდივიდუალური. ყოველივე ამას განსაზღვრავს არა ლინგვისტური ფაქტორები, არამედ კონკრეტული სასაუბრო სიტუაცია, კონტექსტი. გარკვეული კონტექსტი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს, აზუსტებს და აკონკრეტებს მასში გამოყენებული სიტყვების სემანტიკას.

ბენვენისტის აზრით, „სიტყვა არის მინიატურული ენა. არ არსებობს სიტყვაზე უფრო მაღალი ძალა და ადამიანის ყოვლისშემძლეობა და სიდიადე არსებითად მომდინარეობს არამატერიალური და სუვერენული ოდენობისაგან — სიტყვისაგან“ (ბენვენისტი, 1965).

„ცნობიერება აისახება სიტყვაში, როგორც მზე წყლის პატარა წვეთში. სიტყვა ეკუთვნის ცნობიერებას, როგორც პატარა სამყარო დიდს, როგორც ცოცხალი უჯრედი ორგანიზმს, როგორც ატომი კოსმოსს. სწორედ სიტყვაა ცნობიერების პატარა სამყარო. მნიშვნელობის მქონე სიტყვა ადამიანის ცნობიერების მიკროკოსმოსია“ (გიგოტსკი, 1982).

სიტყვა, როგორც ენობრივი და საკომუნიკაციო ერთეული, ყოველთვის იყო და არის აქტუალური, რთული და ბოლომდე გადაუჭრელი პრობლემა ლინგვისტური თეორიისათვის: „სიტყვა ესაა ენათმეცნიერების ერთ-ერთი უძნელესი ცნობათაგანი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ დამუშავებული და ლინგვისტათათვის ჯერ კიდევ გამოცანას წარმოადგენს“ (პემკოვსკი, 1925).

ენათმეცნიერების თეორიაში ჯერ კიდევ არ არსებობს სიტყვის ერთიანი, მიღებული განსაზღვრება. ამ აზრს ადასტურებენ ქვემოთ მოყვანილი ლინგვისტები:

„საერთოდ არ მოიპოვება სიტყვის დამაკმაყოფილებელი დეფინიცია და არც შეიძლება ასეთის მოძებნა. სიტყვა ისეთი მარტივი ცნებაა, რომელსაც ვერ მოვუძებნით ლოგიკურ განსაზღვრებას და ამიტომ მოვიხდებთ დაგკმაყოფილდეთ ან მასზე უბრალო მითითებით ან მისი აღწერით“ (პეტერსონი, 1925).

„რა შეიძლება ვთქვათ სიტყვის ცნებაზე? მეცნიერებაში სწორედ ის არის ყველაზე ძნელი, რაც ინტუიციურად გასაგებია და რისი განმარტებაც ერთი შეხედვით არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენს? (ლოსევი, 1976).

„სიტყვის ცნებას ჩვეულებრივ სრულიად გარკვეულად მიიჩნევენ,

სინამდვილეში კი იგი ენათმეცნიერების ყველაზე უფრო ორაზროვან ცნებას წარმოადგენს“ (ბალი, 1977).

„რას წარმოადგენს სიტყვა? მე ვფიქრობ, რომ სხვადასხვა ენაში იგი იქნება სხვადასხვანაირი. აქედან გამომდინარე, არ არსებობს ცნება „სიტყვა“ ზოგადად“ (შჩერბა, 1962).

„სიტყვის დამაკმაყოფილებელი განსაზღვრება ყველა ენისათვის შეუძლებელია ენათა ტიპოლოგიური სხვადასხვაობის გამო“ (ივანოვა, 1980).

„არის ენები, რომლებშიც სიტყვა ადვილად განისაზღვრება როგორც დამოუკიდებელი და განუყოფელი ერთეული, მაგრამ ამასთანავე არის ენები, რომლებშიც იგი ერწყმის ფრაზას და რომლებშიც მისი განსაზღვრა გაძნელებულია“ (ვანდრიესი, 1937).

„სიტყვის განსაზღვრასთან დაკავშირებული პრობლემები ერთ-ერთი უძველესთაგანია ლინგვისტური სტრუქტურის ანალიზში. მარცვალი, მორფემა და გამოთქმა უფრო ადვილად განისაზღვრება. სიტყვის განსაზღვრა კი ბევრ სიძნელეს მოიცავს, რადგან მისი დადგენისათვის გამოყენებული კრიტერიუმები განსხვავებული ხასიათისაა და ყოველი ენა ქმნის ცალკე სისტემას წარმოების საკუთარი მოდელებით და სტრუქტურული ერთეულების თავისებური ტიპებით“ (ნილა, 1996).

„სიტყვის ვნების განსაზღვრება პრინციპულად შეუძლებელია. ვერ ხერხდება სიტყვის ერთეულის ზუსტი, ცალსახა, ყველა ენისათვის მისაღები და ამომწურავი განმარტების შემოტანა (ტენიერი, 1988).

სიტყვის მრავალგვარი დეფინიცია მოიპოვება. არსებობს სიტყვის ზოგადი განსაზღვრებები, რომლებიც სიტყვას განიხილავენ, როგორც მოვლენას:

„თავისი მნიშვნელობით სიტყვა გამოხატავს რეალური სამყაროს ამა თუ იმ მხარეს (შესაბამისი არსის ასახვით) და წარმოადგენს ბგერის (ჟღერადობისა) და მნიშვნელობის საყოველთაოდ ცნობილ ერთიანობას. ენის დამოუკიდებელი, გრამატიკულად გაფორმებული მინიმალური ერთეული, როგორც წესი, სიტყვათწყობაში ან წინადადებაში იხმარება, თუმცა გარკვეულ-წილად შეზღუდული, შეიძლება თვითონაც წარმოადგენდეს წინადადებას (ერთსიტყვიანს)“ (კომლევი, 1969).

„სიტყვა წარმოადგენს გარკვეული მნიშვნელობის და გარკვეული

ბგერათკომპლექსის კავშირს, რომელსაც გარკვეული გრამატიკული ხმარების უნარი შესწევს“ (ა. მეიე, 1978).

„სიტყვა არის ენის უმცირესი ერთეული, რომელიც დამოუკიდებელია თავისი მნიშვნელობითა და ფორმით“ (ჟირმუნსკი, 1964).

„სიტყვა ჩვეულებრივ წარმოადგენს იმ ერთეულს, რომელიც ყველაზე უფრო ადვილად გამოირჩევა, როგორც გარკვეული შინაარსობრივი მნიშვნელობის მატერიალური და რომელსაც, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, გაუნათლებელი ადამიანიც ადვილად გამოყოფს გამონათქვამში“ (ბულახოვსკი, 1953).

„მოცემულ ენაზე ყველა ნორმალურ მოლაპარაკეს შეუძლია ყოველგვარი თეორიული მსჯელობისა და მომზადების გარეშე, ინტუიციის, რაღაც თანდაყოლილი ცოდნის შემწეობით უშეცდომოდ გამოაცალკევოს სამეტყველო ნაკადში სიტყვა. იგი ერთადერთი ენობრივი ერთეულია, რომელიც იცის და რომელსაც ინტუიციურად ზუსტად ამოიცნობს ყოველი მოლაპარაკე“ (სტერნი, 1985).

„სიტყვა არის სემასიოლოგიური ერთეული, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე მორფემისაგან. სიტყვას ჩვენ ვუწოდებთ წინადადების ნაწილს, რომელიც მნიშვნელობის შეუცვლელად შეგვიძლია გამოვიყენოთ დამოუკიდებლად, ესე იგი, როგორც ცალკე წინადადება“ (შჩერბა, 1962).

„სიტყვა წარმოადგენს მინიმალურ, თავისუფალ ფორმას“ (ბლუმფილდი, 1968).

„სიტყვა არის დამოუკიდებელი ერთეული“ (ბენვენისტი, 1965).

„სიტყვა არის ნიშანი — ენის გარეთ მყოფი საგნების, მოვლენების, პროცესების, თვისებებისა და სხვათა პირობითი დასახელება“ (სოსიური, 2002).

„სიტყვა წარმოადგენს მთლიანობას, სტრუქტურას. მსმენელი მას აღიქვამს სტრუქტურულად იმის მსგავსად, როგორც ჩვენ ქუჩაში ვცნობთ ნაცნობებს მათი საერთო შესახედაობის მიხედვით“ (ტრუბეცკოი, 1960).

„ერთი სიტყვის ცალკეული კომპონენტებიც შეიძლება სიტყვებად ჩაითვალოს“ (ნილა, 1996.).

„სიტყვა არის ერთ-ერთი უმცირესი, სრულიად დამოუკიდებელი ნაწილი იზოლირებული აზრისა, რომელზეც დაიყვანება წინადადება“ (სეპირი, 1954).

„სიტყვა წარმოადგენს მორფემულ მთლიანობას, წინადადების

უმცირეს ნაწილს, მის უკიდურეს მინიმუმს“ (სეტელე, 1984).

„ბევრია ისეთი სიტყვები, რომლებიც მხოლოდ მორფემებს წარმოადგენენ და მორფემები, რომლებიც ზოგჯერ სიტყვებად მოგვევლინებიან“ (ვანდრიესი, 1937)

„სიტყვა ასახავს გარესინამდვილისა და ადამიანის ფსიქიკური სამყაროს მოვლენებს“ (ბუდაგოვი, 1976).

„სიტყვა არის ერთეული, რომელიც ინტუიციურად არსებობს მოცემულ ენაზე მოლაპარაკისათვის. მოლაპარაკე მას უშეცდომოდ ამოიცნობს სწორედ ამ სისრულის და სხვა სიტყვებისაგან მისი განსხვავების საფუძველზე“ (შენგელია, 2000).

„სიტყვა არის ნებისმიერი ბგერა, რომელსაც აქვს საკუთარი მნიშვნელობა, განსხვავებული სხვა ბგერებისაგან, რომლებიც სიტყვებს წარმოადგენენ“ (ფორტუნატოვი, 1977).

„სიტყვა წარმოადგენს ენობრივ ერთეულს და არა ბგერით ერთეულს ან ცნებით ერთეულს“ (იესპერსენი, 1970).

„ენა არის აბსტრაქცია და სიტყვებიც, როგორც ამ აბსტრაქტული სისტემის ერთეულები, თვითონაც აბსტრაქციებს, არარეალურ ერთეულებს წარმოადგენენ. ენიდან მეტყველებაში გადასვლისას ისინი უკვე არ ემთხვევიან იმათ, რასაც ჩვენ სიტყვებს ვუწოდებთ, ამიტომ სიტყვა ორმაგი მნიშვნელობის მატერიალური ერთეულია“ (ბალი, 1977).

ზოგიერთი ენათმეცნიერი სიტყვას განიხილავს ენა — მეტყველებასთან მიმართების თვალსაზრისით, ანუ სიტყვას განსაზღვრავს როგორც ენობრივ ან საკომუნიკაციო ერთეულს:

„სიტყვა წარმოადგენს ენის მინიმალურ, თავისუფალ ფორმას“ (ბლუმფილდი, 1968).

„სიტყვა არის პირველი ერთეული ენობრივი იერარქიის სისტემაში, რომელიც თავის თავში აერთიანებს ყველა სახის ენობრივ ინფორმაციას — სემანტიკურსა და ფორმალურს. იგი არის დასრულებული ერთეული, რომელსაც აქვს ცალკე გამოყოფილი არსებობა“ (შენგელია, 2000).

„სიტყვა დამოუკიდებელი ერთეულია ენობრივ სისტემაში. სიტყვა, სხვა ლინგვისტური ერთეულების მსგავსად, გარკვეული სიმრავლის წევრია — ესა თუ ის მეტყველების ნაწილია, მაგრამ ამავე დროს, ცალკე ერთეულიც არის იმის გამო, რომ სემანტიკურად უპირისპირდება ყველა სხვა სიტყვას“ (შენგელია, 2000).

„სიტყვა მიეკუთვნება ენას, რასაც შემდგომ მოლაპარაკე მეტყველების დროს იყენებს და ადგენს კონკრეტულ წინადადებებს თავისი არჩევანის მიხედვით“ (გარდინერი, 1963).

„სიტყვა წარმოადგენს ენის უმცირეს დამოუკიდებელ ერთეულს, რომელიც აღნიშნავს გარკვეულ ექსტრალინგვისტურ მოვლენას ან ასეთ მოვლენათა შორის მიმართებას და ხასიათდება გარკვეული თვისებებით (აკუსტიკური, მორფემიკული) აშკარად ანუ როგორც კონტექსტის დამოუკიდებელი კომპონენტი ან პოტენციალურად ანუ როგორც ლექსიკური დონის ერთეული“ (კრამსკი, 1968).

„სიტყვა ენაშიც გვხვდება და მეტყველებაშიც. სიტყვა ენობრივ სისტემაში არის ლექსემა, ხოლო საკომუნიკაციოდ ნახმარი სიტყვა კი სიტყვა-ფორმაა. სიტყვა-ფორმა წარმოადგენს ლექსემის გამოვლინების კონკრეტულ შემთხვევას, ხოლო ლექსემა იმ სიტყვა-ფორმათა სიმრავლეა, რომელთა შორის განსხვავება მხოლოდ ფორმალურია“ (მელჩუკი, 1997).

„სიტყვა ფუნქციურად იმდენად რთულია, რომ საკომუნიკაციო ერთეულიც შეიძლება იყოს“ (შენგელია, 2000).

„მეტყველების პირველი ელემენტი, რომელსაც ჩვენ აღმოვაჩინებთ და რომლის შესახებაც შეიძლება ითქვას, რომ ის ნამდვილად არსებობს, არის სიტყვა“ (სეპირი, 1954).

„სიტყვა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთეული ენისა, დამოუკიდებელი, არაკომუნიკაციური მნიშვნელობა, რომელიც აქტუალიზაციას განიცდის მეტყველების აქტში ან როგორც არადამოუკიდებელი ერთეული, რომლის მნიშვნელობაც გამოიყოფა სამეტყველო აქტში გამონათქვამის ყოვლისმომცველი სრული მნიშვნელობიდან“ (სტერნინი, 1985).

„სიტყვა განეკუთვნება როგორც ენის, ასევე მეტყველების სფეროს. სიტყვა თავისი ზოგადი მიშვნელობით ენის სფეროს კუთვნილებაა, კერძო მნიშვნელობით კი - მეტყველების. იმისდა მიხედვით, განვიხილავთ მას ცალკე თუ ფრაზაში, ფონემის მსგავსად, რომელიც აბსტრაქციას წარმოადგენს ბგერასთან მიმართებაში. ეს უკანასკნელი კი სხვა არაფერია, თუ არა ფონემის კონკრეტული მანიფესტაცია და მისი რეალიზაცია მეტყველებაში“ (ზაიდელი, 1964).

ასეთი განსხვავებული განსაზღვრება (გაგება) სიტყვისა თუ ბგერა-ფონემისა ენასა და მეტყველებაში გვხვდება მხოლოდ გვიანდელ განსაზღვრებებში სოსიურისა და ტრუბეცკოის მოღვაწეობის შე-

მდგომ პერიოდში ენა-მეტყველების (სოსიური ფონემა-ბგერის და ტრუბეტკო დიქტომიის) აღმოჩენის შემდეგ.

იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ, თუ რას წარმოადგენს სიტყვა ენაში და კომუნიკაციაში, უნდა გავითვალისწინოთ, რა არის ენა საკუთრივ და რა არის მეტყველება ანუ ვერბალური კომუნიკაცია და თუ ენათმეცნიერების რომელი შტო და როგორ შეისწავლის მათ.

ერთი შტო ენათმეცნიერებისა არის იმანენტურ ანუ სისტემურ ლინგვისტიკად ცნობილი, სოსიურის კონცეფციაზე დამყარებული, რომელიც აქცენტს აკეთებს ენაზე. მეორე შტო არის ე.წ. კომუნიკაციური ლინგვისტიკა, რომლის ძირითადი შემადგენელია პრაგმატიკა და მეტყველების აქტთა თეორია, რომელიც აქცენტს აკეთებს ენობრივ კომუნიკაციაზე.

ვაზუსტებთ სიტყვის რაობის ცნებას, რომლის შესახებაც არსებობს რადიკალურად განსხვავებული თეორიები. ჩვენ გამოვთქვამთ საკუთარ მოსაზრებას აღნიშნულთან დაკავშირებით: სიტყვა არ არის მარტივი ერთეული. იგი ერთდროულად განეკუთვნება ენისა და მეტყველების სფეროებს. ზოგადი მნიშვნელობით ის ენის სისტემის კუთვნილებაა, კონკრეტული კერძო მნიშვნელობით კი მეტყველებისა. სიტყვა, როგორც ენის შემადგენელი, სტაბილური და მდგრადია, თუმცა მას პოტენციურად მაინც გააჩნია გარკვეული შინაარსი, რომელიც საჭიროებისამებრ იცვლება და ვლინდება კომუნიკაციაში

ლიტერატურა

**ბალი, 1977** — შ. ბალი, „ენის ლექსიკური ერთეულის შესახებ“, თბ., 1977.

**ბენვენისტი, 1965** — Бенвенист Э., «Общая лингвистика», М., 1965.

**ბლუმფილდი, 1968** — Блумфилд Л., «Язык», М., 1968.

**ბუდაგოვი, 1976** — Будагов Р., «Слово и значение», М., 1976.

**ბულახოვსკი, 1953** — Булаховский И., «Введение в языкознание», М., 1953.

**გარდინერი, 1963** — Gardiner A., „The theory of speech and language“, Oxford, 1963.

**ვანდრიესი, 1937** — Вандриес Ж., «Язык. Общая лингвистика», М., 1937.

**ვიქოტსკი, 1982** — Выготский Л., «Мышление и речь», М., 1982.

**ზაიდელი, 1964** — Зайдель Е., «Слово и предложение», М., 1964.

**იესპერსენი, 1970** — ი. იესპერსენი, „თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები“ თბ., 1970.

**ივანოვი, 1980** — Иванова И., «Определение слова», М., 1980.

**კომლევი, 1969** — Комлев Н., «Компоненты содержательной структуры слова», М., 1969.

**კრამსკი, 1968** — Крамский И., «Значение слова», М., 1968.

**ლოსევი, 1976** — Лосев А., «Проблема символа», М., 1976.

**მეიე, 1978** — ა. მეიე, „ენათმეცნიერების შესავალი“, თბ., 1978.

**მელჩუკი, 1997** — Мельчук И., «Курс общей морфологии», М., 1997.

**ნიდა, 1996** — Nida E., „Meaning across cultures“, NY., 1996.

**პეტერსონი, 1925** — Петерсон М., «Слово», М., 1925.

**პეშკოვსკი, 1925** — Пешковский А., «Слово отдельное», изд. Френкель, 1925.

**ჟირმუნსკი, 1974** — Жирмунский В., «О границах слова», М., 1974.

**სეტელე, 1984** — ე. სეტელე, „სიტყვის ფუნქცია“, თბ., 1984.

**სოსიური, 2002** — ფ. სოსიური, „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“, დიოგენე, 2002.

**სპეირი, 1954** — Сепир Э., «Изучение речи», М., 1954.

**სტერნინი, 1985** — Стернин М., «Лексическое значение слова», М., 1985.

**ტენიერი, 1988** — Теньер Л., «Основы структурного синтаксиса», М., 1988.

**ტრუბეტკოვი, 1977** — Трубейкой И., «Основы морфологии», М., 1960.

**ფორტუნატოვი, 1977** — Фортунатов И., «Основы фонологии», М., 1977.

**შენგელია, 2000** — ნ. შენგელია, „არასრული სიტყვები და ტექსტის სემანტიკური მთლიანობა“, დიოგენე, 2000.

**შჩერბა, 1962** — Щерба Л., «О неделимых единицах языка», М., 1962.

EKATERINE ONIANI

**The Concept of Word in Linguistic Literature**

## Summary

The paper aims at presenting the definition of a word as a language and communicative unit. As is known, the issue of word definition remains debatable. After having surveyed the linguistic literature on the subject the author presents a word definition of her own.

იზაბელა კატრიაშვილი

**დემინის რეალიზაცია ავტორისეულ წიაღსვლებში**

**დექსისი**, ისევე როგორც **რეფერენცია** პრაგმატიკის, კერძოდ, მიკროპრაგმატიკის უმნიშვნელოვანესი ასპექტებია. ისინი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რადგან ორივე ერთ საქმეს ემსახურება: რეფერენცია არის აქტი, რომლითაც მოლაპარაკე ან მწერალი იყენებს ლინგვისტურ ფორმებს იმისათვის, რომ მსმენელს ან მკითხველს მისცეს საშუალება, მოახდინოს იმის იდენტიფიცირება, რაზედაც არის მითითება, ანუ რეფერენცია.

დექსისი, როგორც ცნობილია, ემსახურება ენასა და კონტექსტს შორის დამოკიდებულების ასახვას ენაში არსებული სტრუქტურების მეშვეობით. მისი ტრადიციული კატეგორიებია **პირის**, **ადვილისა** და **დროის** კატეგორიები.

**პირის დექსისი** ეხება მონაწილის როლის გადმოცემას სამეტყველო ხდომილებაში.

ნაცვალსახელოვანი სისტემის კომპონენტური ანალიზისას შემდეგი არსებითი თვისებების ცოდნაა საჭირო: პირველი პირი — მთქმელის ჩათვლით (+S), მეორე პირი — ადრესატის ჩათვლით (+A), ხოლო მესამე პირი მთქმელისა და მსმენელის გარდა/გამოკლებით (-S, -A) (Burling, 1970, 14-17; Ingram, 1978).

ყოველგვარი მითითება ანუ ინდექსირება ხდება იმ პირის მიერ, ვისაც ეკუთვნის ეს გამონათქვამი: ჩემს საკვლევ მასალაში, ანუ ავტორისეულ წიაღსვლებში, ეს პირი ყოველთვის არის პირველი პირი — ავტორი, თუმცა პირის კატეგორია შეიძლება იყოს ან არ იყოს ვერბალურად გამოხატული.

განსახილველად აღებული **ჰ. ფილდინგის** 53 ფილოსოფიური წიაღსვლიდან მთქმელის/ავტორის პირი ექსპლიციტურად გამოხატული არ არის მხოლოდ 20 წიაღსვლაში, ყველა მკავშირებელ (7) და ლირიკულ (3 წიაღსვლიდან ორში) წიაღსვლაში მთქმელის პირი

გამოხატულია, 19 „დირიჟორული“<sup>\*</sup> წილსვლიდან ავტორის პირი გამოხატული არ არის მხოლოდ 2 წილსვლაში, ხოლო რაც შეეხება წილსვლა-ესეებს, აქ გამონაკლისის გარეშე — 18-ვე წილსვლაში მთქმელის/ავტორის პირი გამოხატულია.

**უ. თეკერის** 34 ფილოსოფიური წილსვლიდან ავტორის პირი გამოხატულია 19 მათგანში, 20 დირიჟორული წილსვლიდან — 17-ში და 11 ლირიკული წილსვლიდან — 9-ში. რაც შეეხება **ს. მოემის** წილსვლებს, 33 წილსვლიდან 18 წილსვლაში, ანუ თითქმის ნახევარში, ავტორის/მთქმელის პირი გამოხატულია.

როგორც წესი, მთქმელის, ანუ ავტორის პირი გამოხატულია პირველი პირის მხოლოდითი ნაცვალსახელით, სადაც ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ რეფერენცია ხდება სწორედ ავტორზე. მაგალითად, ფილდინგთან უხვად გვხვდება ფრაზები, რომლებიც შეიცავს მხოლოდითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელს: **I think/have thought proper, very much afraid I am, I chose rather to consider, if I may use the expression, I must and will introduce** და ა.შ. გარდა ასეთი ფრაზებისა ავტორის პირი ხშირად გამოიხატება ისეთ ჩართულ/პარენთეზულ ფრაზებში, როგორიცაა: **I am afraid, I think/believe/ know/apprehend/remember/forget/hope/expect/find/question/presume/doubt/own** და ა. შ.

თეკერისთანაც ხშირია ისეთი ფრაზების უხვად გამოყენება, სადაც პირდაპირი რეფერენცია ავტორზე: **I say, I know, I think, I observed, I asked in my own mind, I fancy, I wonder, I suppose, I protest, I warn the public, I trust, If I had time... I would write, I have a shrewd idea, I cannot describe, I ask, I defy** და სხვ.

ამ მხრივ გამონაკლისს, არც მოემის წილსვლები წარმოადგენს: **I suppose, I felt, I recognized, I saw it** და სხვ.

ამ ტიპის ფრაზებს, გარდა პირის კატეგორიის გამოხატვისა, სხვა პრაგმატიკული თუ ლინგვისტური დატვირთვაც აქვთ, მაგალითად, ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთგვარი მარკერი წილსვლასა და ნარატივს შორის.

<sup>\*</sup> ტერმინი ჩემია (ი.პ.) და იხმარება ისეთი წილსვლების მიმართ, რომელთა მეშვეობითაც ავტორი განიხილავს, ხსნის თხრობასთან დაკავშირებულ ფაქტებსა თუ მოვლენებს, დირიჟორის მსგავსად უძღვება მკითხველს სიუჟეტის განვითარებასთან დაკავშირებული მოვლენების გაგებაში (ავტორისეული წილსვლების ტიპოლოგიური კლასიფიკაცია იხ. პეტრიაშვილი, 2008, 29-34).

როგორც აღვნიშნე, პირველი პირის მხოლოდითი ნაცვალსახელის ხმარება ზუსტ რეფერენციას ამყარებს მთქმელთან, ანუ ავტორთან, მაგრამ, მაგ. ამ წინადადებაში ფილდინგის ერთ-ერთი წილსვლიდან: **„I am, in reality, the founder of a new province“** რეფერენცია არის არა ავტორზე, როგორც მთქმელზე/მთხრობელზე, არამედ, როგორც მწერალზე/პიროვნებაზე, თუმცა ფიზიკურად ეს ერთი და იგივე რეფერენცია.

თეკერის ერთ წილსვლაში კი ავტორი თავად განმარტავს პირველი პირის ნაცვალსახელის გამოყენებას: **„I“ is here introduced to personify the world in general.** შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც მხოლოდითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის მეშვეობით რეფერენცია ხდება არა მხოლოდ ავტორზე/მთქმელზე.

სულ სხვა ვითარებაა პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელით გამოხატული პირის დეიქსისის შემთხვევაში. კვლევისას გამოიკვეთა კიდევ უფრო დაკონკრეტებული დიფერენციაცია **„We“** ნაცვალსახელის ხმარებისა, კერძოდ, ის არის: ა) მხოლოდ მთქმელის/ავტორის პირის გამომხატველი; ბ) გამოხატავს რეფერენციას მთქმელზე/ავტორზე და ადრესატზე/მკითხველზე თუ გ) ზოგადი/განუსაზღვრელი რეფერენციის მატარებელია, ანუ მიუთითებს „მთქმელი/ავტორი + ადრესატი/მკითხველი + ჩვენ ყველა“. ამის გასარკვევად აუცილებლად კონტექსტის მოშველიებაა საჭირო. შევეცადე, მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელიანი ფრაზები სწორედ ზემოთ აღნიშნული სამი მიმართულებით დამეხარისხებინა:

ა) **„We“ - გულისხმობს მხოლოდ ავტორს** და ამ შემთხვევაში გამოხატავს ე. წ. „ავტორისეულ მოკრძალებას“, რაც დამახასიათებელია როგორც მხატვრული, ისე არამხატვრული (მაგ. სამეცნიერო) ხასიათის ტექსტებისთვის. ფილდინგის წილსვლებში, მაგალითად გვხვდება: **we are far from believing..., it is our province to relate facts..., we shall proceed to give an instance...** და სხვ. თეკერისთან მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის ხმარება ავტორის/მთქმელის პირის გამოსახატავად უმეტესად გვხვდება დირიჟორულ წილსვლებში.

ბ) **„We“ — გულისხმობს „ავტორი + მკითხველი“.**

გ) „We“ — მიუთითებს „ავტორი + მკითხველი + ჩვენ ყველა“.

მაგალითად, ფილდინგის წიადსვლებიდან: „The good or evil we confer on others, very often, I believe, recoils on ourselves“. (გარდა კონტექსტისა, ამ შემთხვევაში ჩართული „I believe“ მიანიშნებს იმაზე, რომ we არ არის მხოლოდ მთქმელი); if we have not all the virtues, I will boldly say, neither have we all the vices of a prudent character (აქაც ავტორი/მთქმელი გამიჯნავს თავის თავს „ჩვენ“-გან ჩართული „I will boldly say“ — საშუალებით); we, who deal in private character..., we may deliver (ამ კონკრეტულ შემთხვევაში we ნაცვალსახელში ავტორი გულისხმობს არა ყველას, არამედ მხოლოდ მწერლებს — „ჩვენ, მწერლები“);

თეკერისთანაც ხშირად გვხვდება „we“ ნაცვალსახელის ამგვარი გამოყენება: as we sat round the broad table..., as we all know; we grieve at being found out..., we can't resist them (ამ კონკრეტულ შემთხვევაში რეფერენციაა მხოლოდ მამაკაცებზე), და სხვ.

რაც შეეხება მოემს, იგი საერთოდ არ იყენებს მრავლობითი რიცხვის ფორმას ავტორის პირის გამოსახატავად, მხოლოდ ერთ წიადსვლაში გვხვდება „we“ — რომელიც გულისხმობს ზოგადად „ჩვენ ყველა“: we seek... we are like people.

პირის დეიქსისთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ როდესაც არ ხდება პირისპირი ინტერაქცია/დიალოგი, ენას ხშირად სხვადასხვა განსაზღვრული ხერხები შემოაქვს თვით-წარდგენისათვის. მაგალითად, ფილდინგის ერთ-ერთი წიადსვლიდან: an author ought to consider himself (მიუხედავად განუსაზღვრელი არტიკლისა კონტექსტიდან დგინდება მისი პირდაპირი რეფერენცია მთქმელთან/ავტორთან); ასევე თეკერისთან ზოგჯერ გვხვდება ავტორზე/მთქმელზე რეფერენცია მესამე პირში: if the author had but a mind..., when the present writer went to survey with eagle glance..., და ა. შ. ამ უკანასკნელ შემთხვევებში, შეიძლება ითქვას, სოციალური დეიქსისის ელემენტაცაა გამოხატული, კერძოდ, ავტორი ახდენს საკუთარი თავის დისტანცირებას მესამე პირში მოხსენიებით, თუმცა ზოგჯერ სტილისტიკური დატვირთვაც აქვს — გამოხატავს ავტორის ირონიას.

დეიქსური მნიშვნელობით მესამე პირი უშუალოდ არ მონაწილეობს პირდაპირი ინტერაქციის (მე — შენ) დროს, მაგრამ მესამე პირის ფორმების გამოყენებას იქ, სადაც შესაძლებელია მეორე პირის

ფორმების გამოყენება, სხვადასხვა პრაგმატიკული დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს. მაგალითად, დისტანციის (არა-ფამილარობის) გამოხატვა ირონიის ან იუმორის გადმოცემის მიზნით.

იმ შემთხვევებში, როდესაც მიმართვა რეალიზებულია მესამე პირში, ავტორი რამდენადმე დისტანცირებას ახდენს ადრესატისაგან, თუმცა ასეთი დისტანცირება ყოველთვის არაფამილარობის ადექვატური არ არის.

ფილდინგის ფატიკურ წიადსვლებში ავტორი მიმართვის მესამე პირის ფორმებს სხვადასხვა ინდექსიკალებთან ერთად (ძირითადად, ეპითეტებთან ერთად) იყენებს ირონიის ან საჩკაზმის გამოსახატავად: the honest lovers of liberty (ირიბი რეფერენცია მკითხველზე) will... pardon that long digression..., the sagacious reader will not ...imagine და სხვ.

თეკერის წიადსვლებშიც გვხვდება ზოგჯერ მესამე პირში მიმართვის შემთხვევები უმეტესად ირონიის გამოსახატავად: I warn my „kind friend“ (აქ პროსოდიული მომენტიცაა, გარკვეულწილად, წარმოდგენილი [ˈk(j)ɑ:ɪnd] — ავტორი ცდილობს გადმოსცეს შესაბამისი ინტონაცია.

გარდა ნაცვალსახელებისა, პირი და მონაწილეთა როლი მარკირებულია სხვადასხვა გზით. ცნობილია, რომ ნათესაური კავშირის აღმნიშვნელი სიტყვები, სხვადასხვა ტიტულები და საკუთარი სახელები გამოიყენება ან მიმართვისთვის (წოდებითი ფორმები მეორე პირში) ან რეფერენციისთვის (მესამე პირში). ფილდინგი მესამე პირში რეფერენციისთვის ხშირად იყენებს ტიტულებს, მაგრამ უმეტესად ისინი გამოხატავს არა სოციალური დეიქსისის კატეგორიას, არამედ ავტორის ირონიას

წოდებითი ფორმები (vocatives) არის არსებითსახელიანი ფრაზები, რომლითაც მიმართავენ ადრესატს, რომლებიც უმეტეს შემთხვევებში პროსოდიულად არის გამოყოფილი თანმხლები წინადადებისაგან. წოდებით ფორმებს მიეკუთვნება დაძახება/გამოძახების (calls/summonses) და მიმართვის (addresses) ფორმები. მიმართვები პარენტეტიკული ხასიათისაა და შეიძლება შეგვხვდეს ყველა იმ ადგილას, სადაც სხვა ჩართული ფორმები გვხვდება. ფატიკურ წიადსვლებში ხშირად ვხვდებით მიმართვის გამომხატველ წოდებით ფორმებს, როდესაც მიმართვა რეალიზებულია მეორე პირში. მაგალითად, ფილდინგთან: Reader, if thou hast any good wishes toward me, I will repay them by wishing



thee და სხვ. თეკერეიც ხშირად მიმართავს მიმართვის პარენტეტულ წოდებით ფორმებს (მეორე პირში) და ბრძანებითი კილოს ფორმებს. მაგალითად: *my dear reader..., I say, brother..., and let us, my brethren, console ourselves..., dear brethren, let us tremble..., sit down, gentlemen..., my dear sir..., Praise everybody, I say to such..., my dear and civilized reader..., come, children, let us shut the box... , I wonder, brother reader...* და სხვ. ხშირად წოდებითი ფორმები წარმოდგენილია შორისდებულებთან ერთად: *O Dives, Ah ladies, O poor parasite and humble hanger on, Oh, my friend and brother, O poor women! O you poor secret martyrs and victims, O ignorant young creatures, Oh, be humble, my brother* და ა. შ.

ამ მაგალითებიდან მეტ-ნაკლებად გარკვეულია მიმართვის ადრესატი, იქნება ეს მკითხველი, პერსონაჟი თუ სხვა. გაცილებით რთულია კონკრეტული ადრესატის დადგენა, როდესაც მიმართვა რეალიზებულია მეორე პირის ნაცვალსახელით — **you**. ისევე, როგორც „we“ — ს შემთხვევაში, აქაც შესაძლებელია კონტექსტის მოშველიებით დადგინდეს, რა იგულისხმება „You“-ს მიღმა — **ა) you = „შენ“, „თქვენ“ (თავაზიანი ფორმა) = ერთ ადრესატს/ მკითხველს**. მაგალითად, *how much do you and I know of each other, you and I, my dear reader; you, yourself, dear sir; your comedy and mine will have been played; if you are old, as some reader of this may be; you need not be too confident in your own feelings* და სხვ.; **ბ) you = „თქვენ“ = მრავალ ადრესატს**. მაგალითად: *you see a woman; if you are guilty... if you are not guilty; as you ascend the staircase of your house... you may have remarked* და სხვ. და **გ) you = one = ზოგადად, „თქვენ, ყველა“**. მაგალითად: *where you light on the strangest contrasts.... where you may be gentle and pathetic; have you ever had a difference with a dear friend/ when you think; you see* და ა. შ.

მართალია, წიაღსვლის მეშვეობით ავტორი კომუნიკაციას ამყარებს მკითხველთან, მაგრამ ზეპირი, პირისპირი კომუნიკაციისაგან განსხვავებით ავტორს შეუძლია მხოლოდ წარმოიდგინოს მკითხველის რეაქცია, რაზეც ფილდინგის წიაღსვლებში ხშირად არის მინიშნება: *the reader may imagine, which the good-natured reader may think too hard, how pleased will the reader be found, we doubt not that our reader may be rendered desirous to read, what reader but knows... what reader doth not know, nor can the judicious reader be at a great loss, with all these my good reader will doubtless agree* და ა. შ.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ავტორს მიმართვის როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ფორმები ჭირდება არა მხოლოდ მკითხველთან კომუნიკაციის დასამყარებლად, როდესაც ის მოკლებულია მასთან პირისპირი ინტერაქციის შესაძლებლობას და ცდილობს გამოიცნოს ადრესატის/მკითხველის რეაქცია, არამედ გარკვეული სტილური დატირთვის გამოსახატავადაც.

**ადგილის/სივრცობრივი დეიქსისი** ეხება სივრცობრივი ადგილმდებარეობის გამოხატვას სამეტყველო ხდომილებებში მონაწილეთა მდებარეობასთან მიმართებაში. განსახვავებენ პროქსიმალურ/**Proximal** (მთქმელთან ახლოს) და დისტალურ/**Distal** (არა-პროქსიმალურ, ანუ ზოგჯერ ადრესატთან ახლოს) კატეგორიებს, რაც ძირითადად გამოხატულია ჩვენებით ნაცვალსახელებში (**this - that**) და ადგილის დეიქსურ ზმნიშედებში (**here - there**).

სივრცობრივი დეიქსისის განხილვისას აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ლოკაცია მთქმელის პოზიციიდან შეიძლება განხორციელდეს როგორც გონებით, ისე ფიზიკურად: ლოკაციური განსაზღვრის მნიშვნელობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ არსებობს ორი ძირითადი გზა საგანზე მითითების — ერთი მხრივ, მათი აღწერის, ანუ დასახელების/ნომინაციის მეშვეობით, მეორე მხრივ კი, მათი ლოკაციის მეშვეობით. (ლაიონსი, 1977, 648). წიაღსვლებში ნაკლებად გვხვდება წმინდად სივრცობრივი დეიქსისის გამომხატველი გამოთქმები, რადგან ეს არ არის ნარატივის ტიპის დისკურსი, სადაც აუცილებელია საგნების, მოვლენების, პერსონაჟების ადგილის მითითება-განსაზღვრა. იმ შემთხვევებში, სადაც შესაძლებელი იყო ადგილის დეიქსისის გამომხატველი ფრაზების გამოყოფა, ძირითადად ის ფრაზებია, რომლითაც ნაწარმოების კონკრეტულ ადგილზე (თავზე, წიგნზე) არის მინიშნება. მაგალითად, ფილდინგთან: *we shall leave the reader to chew the cud upon it to the end of the chapter; we so delighted ourselves in the preceding chapter; Now, I would desire such reader to look carefully into human nature, page almost the last; to this place, therefore, wherever it was, we will wish her; we shall reveal it in the next chapter; in our last book; in our succeeding book; it may not therefore in this place; in our last initial chapter; I will here put an end; and here we will make concession; I think proper to lend the reader a little assistance in this place* და ა. შ.

თეკერეის წიაღსვლებშიც (უმეტესად „დირიჟორულ“ წიაღსვლებში) ხშირად გვხვდება მითითება ნაწარმოების გარკვეულ ადგილზე

ადგილის დეიქსური გამოთქმების მეშვეობით. მაგალითად, **the present chapter is very mild — others — but we will not anticipate those; our history is destined in this chapter to go backward and forward; this chapter ... would have been** და ა. შ. მაგრამ არის შემთხვევებიც, სადაც მინიშნება ხდება არა ნაწარმოებზე ან მის რომელიმე მონაკვეთზე, არამედ კონკრეტულ ადგილზე, თუნდაც ეს ადგილი იყოს გამოგონილი, წარმოსახვითი ან ალევორიული, როგორც, მაგალითად, თეკერის წილსვლებში რეფერენცია **Vanity Fair**—ზე, რომელსაც ავტორი საკმაოდ ხშირად მიმართავს: **these money transactions — these speculations in life and death — these silent battles — make brothers very loving ... in Vanity Fair; being in the Fair myself; in all Vanity Fair; there is no man in this Vanity Fair of ours; which of us is happy in this world** და სხვ.

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, ხშირად ხდება დეიქსისის რამდენიმე კატეგორიის ურთიერთგადაფარვა — მაგალითად, **in the last/preceding chapter** და ა. შ. მიუთითებს, არა მხოლოდ ნაწარმოების კონკრეტულ ადგილს, არამედ დისკურსის იმ ნაწილზეც, რაზედაც იმ ადგილას არის საუბარი, ანუ დისკურსის დეიქსისის გამო-მხატველიცაა; რაც შეეხება ადგილის პროქსიმალურ ზმნიზებას — **here**, უნდა ითქვას რომ ის ხშირად გულისხმობს „აქ, ამ ადგილას“ და „ახლა“, ე. ი. დროის დეიქსისსაც გამოხატავს.

**დროის/ ტემპორალური დეიქსისი** ეხება ტემპორალური მომენტებისა და მონაკვეთების გამოხატვას გამონათქვამის ზეპირად ან წერილობით გადმოცემის დროსთან მიმართებაში. ამ უკანასკნელს ლევისონი უწოდებს კოდირების დროს — **Coding time — CT**, რომელიც შეიძლება განსხვავებული იყოს მიღების დროისაგან — **Receiving Time — RT**. იმ შემთხვევებში, როდესაც მიჩნეულია, რომ **RT** იდენტურია **CT** — სი, საუბრობენ დეიქსურ სინქრონულობაზე (**deictic simultaneity**). იმ შემთხვევაში, თუ არ არის სინქრონულობა (მაგ. წერილის დაწერა, ან, წილსვლების შემთხვევაში), არჩევანი უნდა გაკეთდეს იმასთან დაკავშირებით, დეიქსური ცენტრი უნდა დარჩეს მთქმელსა და **CT** — ზე, თუ გადავიდეს ადრესატსა და **RT** — ზე (ლევისონი, 1983, 58-60).

ჩემ მიერ გაანალიზებულ წილსვლებში რეალიზებული დრო, მიუხედავად მასში გამოყენებული გრამატიკული ფორმებისა, „ავტორისეულია“, „განცდისეულია“ (ემთხვევა ავტორის მეტყველების დროს, ე.ი. კოდირების დროს — **CT**) მთლიანი ნაწარმოების თხრობითი (სი-

უყუეტური) ნაწილის ნამყო დროსგან — **Perfectum** -ისაგან განსხვავებით.

ამგვარად, წილსვლებში გვხვდება ტემპორალური ცვლილება ნარატივის დროსთან მიმართებაში, რაც წილსვლის ერთ-ერთი უმთავრესი დისტინქციური ნიშანია, ერთგვარი სიგნალიც კი მკითხველისთვის, რომელიც გვამცნობს თხრობის დინამიკის დროებით წყვეტას და წილსვლის გამოჩენას საერთო სიუჟეტურ ქარგაში. აქვე შევნიშნავ, რომ წილსვლის სივრცეში რეალიზებული დროის სამივე ასპექტის ათვლის წერტილი და, ამდენად, წილსვლის მხატვრული დრო — ავტორისეული აწმყო დროა.

ტემპორალური დეიქსისის დისტალური (**distal**) ფორმები შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ როგორც დისტანციური მიმდინარე დროსთან მიმართებაში, არამედ როგორც დისტანციური მიმდინარე რეალობასთან ან ფაქტებთან მიმართებაში.

ზმნის დრო არის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თითქმის ყველა წინადადება წარმოთქმისას დეიქსური თვალსაზრისით მიბმულია გამონათქვამის კონტექსტზე (ლაიონსი, 1977, 682). განასხვავებენ დროის სემანტიკურ ანუ თეორიულ კატეგორიას, რომელსაც შეიძლება ეწოდოს მეტალინგვისტური დრო/**M-tense**, ენაში არსებული ზმნის გრამატიკული დროისაგან/**(language's)-tense** განსხვავებით.

წილსვლებში ძირითადად ყურადღებას იქცევს დროის დეიქსისის გამომხატველი ისეთი გამოთქმები და ფრაზები, რომლებიც რაიმენაირად მიანიშნებს წილსვლის ე. წ. კოდირების დროს (**CT**), რომელიც, ხშირ შემთხვევაში მის მეტალინგვისტურ, ანუ სემანტიკურ/თეორიულ დროზეც მიანიშნებს, ანუ შეიძლება ვთქვათ, რომ **CT = MT**. ფილდინგთან ასეთი ფრაზებია, მაგალითად: **Now, after this short preface..., I have in truth observed and never have a better opportunity than at present to communicate my observations** და ა. შ.

თეკერის წილსვლებშიც გვხვდება ამგვარი მაგალითები (**CT = MT**): **at the time whereof we are writing, the Great George was on the throne...; we are only discoursing at present; which we are now relating** და სხვ.

ზოგჯერ მინიშნება ხდება მხოლოდ მეტალინგვისტურ დროზე, მაგალითად, ფილდინგთან: **Thus, at an age when the gentlemen above mentioned employed their time in toasting the charms of a woman or in making sonnets in her praise ..., at the age which Miss Bridget was arrived seems to**

me as proper a period as any to be fixed on her for this purpose (სიყვარულისთვის — ი. პ.), და ა. შ.

თეკერისთან ამის მაგალითებია: Fancy had carried him back five-and-fifty years in the course of that evening; those awes and terrors of youth may last for ever and ever; some day or other (but it will be after our time, thank goodness); to those great geniuses now in petticoats, who shall write novels for the beloved reader's children (ამ ორ უკანასკნელ მაგალითში იმპლიკაციაა მომავალ დროზე).

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, დროის დეიქსისის გამოხატვისასაც ხდება მისი დეიქსისის სხვა კატეგორიებით გადაფარვა, კერძოდ, აუცილებლად ერთვება პირის დეიქსისი, რადგან დროის დეიქსისის ათვლა, იქნება ეს CT, RT თუ MT, ხდება ავტორის/მთქმელის პირიდან გამომდინარე. რაც შეეხება დროის პროქსიმალურ ზმნიზებას now, ხშირად ის ნიშნავს არა მხოლოდ „ახლა“, არამედ „აქ, წიადსვლის ამ ადგილას“, ისევე, როგორც ეს იყო here-ის შემთხვევაში, ანუ ხდება დროისა და ადგილის დეიქსისის ურთიერთგადაფარვაც.

რაც შეეხება მიღების დროს (RT), მასზე მხოლოდ იმპლიციტურად შეიძლება იყოს მინიშნება წიადსვლაში, რადგან წიადსვლა არ არის კომუნიკაციის ისეთი ფორმა, რომელშიც რეციპიენტის მიერ მისი მიღების („წაკითხვის“) დროის დაფიქსირება იყოს შესაძლებელი. მაგალითად, ფილდინგთან სწორედ ასეთ იმპლიციტური RT არის რეალიზებული შემდეგ წიადსვლაში: „...as the great beauty of this simile may possibly sleep these hundred years till some future commentator shall take this work in hand“. ასევე, სულ ბოლო წიადსვლა-ესეში, რომელშიც ფილდინგი წინასწარმეტყველებს რომ მისი ნაწარმოებები იმაზე გაცილებით დიდხანს იცოცხლებს, ვიდრე მათი ავტორი: „All these works, however, I am well convinced, will be dead long before this page shall offer itself to thy perusal; for however short the period may be of my own performances, they will most probably outlive their own infirm author, and the weakly productions of his abusive contemporaries“.

**დისკურსის, ანუ ტექსტის დეიქსისი** ეხება გამონათქვამში გამოყენებულ სიტყვებსა თუ გამოთქმებს, რომლებიც მიუთითებს დისკურსის იმ ნაწილს, რომელიც ამ გამონათქვამს შეიცავს (თვით გამონათქვამის ჩათვლით).

რადგან დისკურსი იშლება დროში, ბუნებრივია, რომ მასში

გამოყენებული უნდა იყოს დროის დეიქსისის ამსახველი სიტყვები დისკურსის გარკვეულ ნაწილებზე მითითებისას. ამგვარად, last week, next Thursday — ს და ა. შ. ანალოგიურად დისკურსში გვხვდება in the last paragraph, in the next chapter და მისთ. (მაგალითად, „დირიჟორულ“ და მაკავშირებელ წიადსვლებში).

დისკურსის დეიქსისის საილუსტრაციოდ მინდა მოვიყვანო ფილდინგის ერთ-ერთი წიადსვლა-ესეს დასაწყისი: „The reader will be pleased to remember, that, at the beginning of the second book of this history (ხაზი აქაც და ქვემოთ ჩემია — ი. პ. ) we gave him a hint of our intention to pass over several large periods of time, in which nothing happened worthy of being recorded in a chronicle of this kind.“ აქ ავტორი ადგილის დეიქსისის მეშვეობით — at the beginning of this history — მიუთითებს არა მხოლოდ იმ კონკრეტულ დისკურსზე, რომელზედაც საუბარია მითითებულ ადგილზე, არამედ მთელ ნაწარმოებზეც — this history. დისკურსზე მიმანიშნებელი ასეთი დეიქსური ფრაზები — inserting those ornamental parts of our work..., those initial essays which we have prefixed to the historical matter contained in every book..., to intersperse these several digressive essays in the course of this work... (მინიშნება არის წიადსვლა-ესეებზე), that our work..., this heroic, historical, prosaic poem..., this work may, indeed, be considered as a great creation of our own... და სხვ. — უმეტესად სწორედ ფილდინგის წიადსვლა-ესეებში გვხვდება.

თეკერის წიადსვლებშიც (უმეტესად „დირიჟორულში“) ხშირად ვხვდებით მინიშნებას კონკრეტულ დისკურსზე (მთელ ნაწარმოებზე, ან მის გარკვეულ მონაკვეთზე), რაც ზოგ შემთხვევაში ადგილის ან დროის დეიქსისის მეშვეობით არის რეალიზებული. მაგალითად: some reader of this; our history is destined in this chapter; The muse ... who presides over this comic history; what would become of our history and all our friends then?; influence the fates of all the principal characters in this „Novel without a Hero“, which we are now relating (ამ უკანასკნელ მაგალითში ერთდროულად რეალიზებულია დისკურსის, ადგილისა და დროის დეიქსისის კატეგორიები).

როგორც ვხედავთ, აქ დისკურსის, ადგილისა და დროის დეიქსური გამოთქმები ურთიერთდაკავშირებულია. აღსანიშნია ის ფაქტიც, რომ ხშირად ეს დეიქსური გამოთქმები არა მხოლოდ წინარე, არამედ მომდევნო დისკურსზეც მიანიშნებს, რითაც ის ემიჯნება ანაფორულ რეფერენციას. გარდა ამისა, ავტორი ამგვარი ფრაზებით თავის

შემფასებლურ დამოკიდებულებასაც გადმოსცემს (მაგალითად წიადს-ვლა-ესეებში), რაც ამ ტიპის წიადსვლების პუბლიცისტურ-ესეისტური ხასიათითაა განპირობებული.

ინგლისურ ენაში არსებობს მრავალი სიტყვა თუ ფრაზა, რომელიც მიუთითებს დამოკიდებულებას გამონათქვამსა და წინარე დისკურსს შორის. მათ მიეკუთვნება დეიქსური ნაცვალსახელები — **this**, **that** და ისეთი გამოთქმები, როგორცაა **the former**, **the latter**. ფილდინგის წიადსვლებში, მაგალითად, ხშირად გვხვდება წიადსვლის შემომყვანი ისეთი საწყისი ფრაზები, როგორცაა: **but**, **therefore**, **hence**, **indeed**, **in reality**, **to say/confess the truth**, **in short**, **in a word**, **at length**, **in like manner**, **to be plain**, **to conclude**, **on the contrary**, **thus**, **in a word** და სხვ. ამგვარი ფრაზები შეიძლება განვიხილოთ, როგორც დისკურსის (ჩვენს შემთხვევაში — წიადსვლის) თემატური მარკერები. თემატურ მარკერებს წარმოადგენს, აგრეთვე, წიადსვლის თემატური წინადადებებიც (**topic sentence**), რომლებსაც ზემოაღნიშნულ ფრაზებთან ერთად შემოაქვს ახალი თემა, რაც შემდგომ ავტორის კომენტარის სახით იშლება წიადსვლაში. პრაგმატიკული თვალსაზრისით ამ შემთხვევაში სწორედ დისკურსის დეიქსისის რეალიზებასთან გვაქვს საქმე.

**სოციალური დეიქსისი** ეხება სოციალურ განსხვავებათა კოდირებას მონაწილეთა როლებთან დაკავშირებით; კერძოდ, მტქმელსა და ადრესატს/ადრესატებსა ან მტქმელსა და რეფერენტს შორის სოციალურ ურთიერთობათა ასპექტში. სოციალური დეიქსისის გამომხატველია ნაცვალსახელთა მხოლოდობითი/მრავლობითი ფორმით გამოყენება (**T/V distinction** — **tous** — **vous** (ფრ.) განსხვავება), პატივისცემისა და მოწიწების გამომხატველი სიტყვებისა და გამოთქმების (**honorifics**), წოდებითი ფორმების (**vocatives**) და ენაში არსებული ტიტულებისა და მიმართვის სხვადასხვა ფორმების გამოყენება.

ფილდინგის წიადსვლებში ზოგჯერ გვხვდება მკითხველის მიმართ გამოყენებული მოწიწების გამომხატველი სიტყვები და ფრაზები, ტიტულებისა და მიმართვის ფორმები, უმეტესად ფატიკურ წიადსვლებში, სადაც მიმართვაა რეალიზებული პირდაპირ ან ირიბად, რომლებიც არა იმდენად სოციალური დეიქსისის გამომხატველია, (განსაკუთრებით პირდაპირი მიმართვისას მეორე პირის მხოლოდობითი ნაცვალსახელების არქაული ფორმების — **thee**, **thou**, **thy**, **thysself** გამოყენებისას), რამდენადაც ავტორის ირონიას ან ამაღლებულ

ტონს გადმოსცემს.

თეკერის წიადსვლებშიც გვხვდება როგორც მკითხველის, ასევე სხვა ადრესატისა თუ რეფერენტის მიმართ გამოყენებული მოწიწების გამომხატველი სიტყვები და ფრაზები, რომლებიც, მეტწილად, ირონიული მნიშვნელობის მქონეა.

გარდა ამისა, როგორც ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, ხშირად ხდება დეიქსისის ძირითადი კატეგორიების ურთიერთგადაფარვა: დისკურსის დეიქსისი ჩვეულებრივ მოიცავს ტემპორალურ და ადგილის დეიქსისს; ადგილისა და ტემპორალური დეიქსისი კი ზოგჯერ ურთიერთგამომხატველია.

ამგვარად, ავტორისეულ წიადსვლებში რეალიზებული დეიქსისის კატეგორიების კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

1. **პირის დეიქსისის კატეგორია** გამოხატულია განხილულ ავტორთა წიადსვლების უმრავლესობაში. მტქმელის პირი უმეტესად გადმოცემულია მხოლოდობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელით. ფილდინგისა და თეკერის წიადსვლებში მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნაცვალსახელის ხმარებაც ხშირია ავტორის/მტქმელის პირის გამოსახატავად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლებელი იყო შემდეგი დიფერენციაცია: ა) **We** = ავტორს/მტქმელს, ბ) **We** = ავტორს/მტქმელს + მკითხველი/ადრესატი, გ) **We** = ავტორს/მტქმელს + მკითხველი/ადრესატი + ჩვენ ყველა.

ასეთივე დიფერენციაციის დადგენის შესაძლებლობა მქონდა ადრესატთან დაკავშირებითაც, როდესაც მიმართვა რეალიზებული იყო მეორე პირში:

ა) **You** = „შენ, თქვენ (თავაზიანი ფორმა)“ = ერთ მკითხველს/ადრესატს, ბ) **You** = „თქვენ“ = მრავალ ადრესატს, გ) **You** = **one** = ზოგადად „ყველა“.

იმ შემთხვევაში, როდესაც ან ავტორზე/მტქმელზე, ან ადრესატზე, მკითხველზე მესამე პირში ხდება რეფერენცია, პრაგმატიკული თვალსაზრისით ხდება სოციალური დეიქსისის რეალიზება — გამოხატავს დისტანციას/არაფამილარობას, ამასთანავე, ამგვარ ფორმებს სტილისტიკური დატვირთვაც აქვთ — გამოხატავს ავტორის იუმორსა და ირონიას (ფილდინგისა და თეკერის წიადსვლებში).

გარდა პირის ნაცვალსახელებისა, მიმართვის შემთხვევაში წიადსვლებში გვხვდება ჩართული/პარენთეზული არსებითსახელიანი

წოდებითი ფორმები, ასევე ბრძანებითი კილოს ფორმები, ზოგჯერ შორისდებულებთან ერთად (მაგალითად, თეკერის წიაღსვლებში).

2. წიაღსვლებში ნაკლებად გვხვდება წმინდად **სივრცობრივი დეიქსისის** გამომხატველი გამოთქმები, რადგან ეს არ არის ნარატივის ტიპის დისკურსი, სადაც აუცილებელია საგნების, მოვლენების, პერსონაჟების ადგილის მითითება-განსაზღვრა. ადგილის/სივრცობრივი დეიქსისის გამომხატველი ფრაზები, ძირითადად, ნაწარმოების კონკრეტულ ადგილზე (თავზე, წიგნზე) მინიშნებს. ამ მხრივ დეიქსისის ეს კატეგორია მჭიდროდაა დაკავშირებული დისკურსის დეიქსისის კატეგორიასთან, რადგან ნაწარმოების კონკრეტულ ადგილზე მინიშნებით ავტორი არა მხოლოდ ფიზიკურ ადგილს მიუთითებს, არამედ, იმავდროულად ხდება დისკურსის იმ ნაწილზე მინიშნებაც, რაზედაც ამ ადგილას არის საუბარი.

3. წიაღსვლებში ძირითადად ყურადღებას იქცევს **დროის დეიქსისის** გამომხატველი ისეთი გამოთქმები და ფრაზები, რომლებიც რაიმენაირად მინიშნებს წიაღსვლის ე. წ. კოდირების დროს (CT), რომელიც, ხშირ შემთხვევაში, მის მეტალინგვისტურ, ანუ სემანტიკურ/თეორიულ დროზეც მიუთითებს, ანუ  $CT = MT$ . რაც შეეხება მიღების დროს (RT), მასზე მხოლოდ იმპლიციტურად შეიძლება იყოს მინიშნება წიაღსვლაში, რადგან წიაღსვლა არ არის კომუნიკაციის ისეთი ფორმა, რომელშიც რეციპიენტის მიერ მისი მიღების დროის დაფიქსირება იყოს შესაძლებელი.

წიაღსვლებში რელიზებული მხატვრული დრო ავტორისეული აწმყო დროა, ანუ ემთხვევა ავტორის მეტყველების დროს, ე.ი. კოდირების დროს (CT), ნაწარმოების თხრობითი (სიუჟეტური) ნაწილის დროსგან განსხვავებით, რომელიც ნამყო — **Perfectum**. ტემპორალური ცვლილება წიაღსვლებში ნარატივის დროსთან მიმართებაში წიაღსვლის ერთ-ერთი უმთავრესი დისტინქციური ნიშანია, რომელიც გვამცნობს თხრობის დინამიკის დროებით წყვეტას და წიაღსვლის გამოჩენას საერთო სიუჟეტურ ქარავაში.

4. **დისკურსის დეიქსისის** კატეგორია უმეტესად რეალიზებულია მაკავშირებელ და „დირიჟორულ“ წიაღსვლებში, ასევე, წიაღსვლა-ესეებში. დისკურსის დეიქსისი ხშირად ადგილისა და დროის დეიქსური გამოთქმების მეშვეობითაა გადმოცემული. წიაღსვლის თემატიკური წინადადებები და მისი შემომყვანი საწყისი ფრაზები შეიძლე-

ბა განვიხილოთ, როგორც დისკურსის დეიქსისის კატეგორიის თემატიკური მარკერები.

5. პირდაპირ-ფატიკურ წიაღსვლებში გვხვდება **სოციალური დეიქსისის** გამომხატველი სხვადასხვა ტიტულისა თუ მიმართვის (წოდებითი), ასევე მოწიწების გამომხატველი ფორმები, ხშირად ნაცვალსახელების არქაულ ფორმებთან ერთად, რაც ავტორის სხვადასხვა პრაგმატიკულ მიზანდასახულობას გამოხატავს (უმეტესად, ირონიას).

6. ხშირად ხდება დეიქსისის ძირითადი კატეგორიების ურთიერთდაფარვა: დისკურსის დეიქსისი ჩვეულებრივ მოიცავს ტემპორალურ და ადგილის დეიქსისს; ადგილისა და ტემპორალური დეიქსისი კი ზოგჯერ ურთიერთგამომხატველია.

ლიტერატურა

**აიზერი, 1992, 1995** — Iser, W., EUREKA: *The Interpretation of Tom Jones*, Some Remarks Concerning Interpretation, Connotations: A Journal of Critical Debate, Selected Debates: The Reader in Fielding, 1992, 1995.

**ბერლინგი, 1970** — Burling, R., *Man's Many Voices*, Holt, Rinehart & Winston, New York, 1970.

**ენუქიძე 1984** — ენუქიძე, რ., დროულ-სივრცობრივ მიმართებათა ლინგვისტური ორგანიზაცია მხატვრულ ტექსტში, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1984.

**ინგრემი, 1978** — Ingram, D., *Typology and Universals of Personal Pronouns*, In: J. H. Greenberg (ed.) *Universals of Human Language*, Vol. 3, Word Structure, Stanford University Press, Stanford, 1978.

**იული, 1997** — Yule, G., *Pragmatics*, Oxford University Press, 1997.

**ლაიონსი, 1983** — Lyons, J., *An Introduction to Theoretical Linguistics*, Cambridge University Press, 1968.

**ლევინსონი, 1983** — Levinson, S., *Pragmatics*, Cambridge University press, 1983/repr. 1994.

**პეტრიაშვილი 2008** — პეტრიაშვილი, ი., ავტორისეული წიაღსვლების სემანტიკური და პრაგმატიკული თავისებურებები, თსუ, თბილისი, 2008.

IZABELA PETRIASHVILI

**Realization of Deixis in Authors' Digressions**

## Summary

The paper focuses on some linguistic means of realization of deixis in authors' digressions. The research material encompasses 198 digressions from three novels by English writers: 'The History of Tom Jones — a Foundling' by H. Fielding, 'Vanity Fair' by W. M. Thackeray and 'The Moon and Sixpence' by W. S. Maugham.

As is known, deixis deals with the depiction of the relationship between the structure of language and the context in which it is used. Indexical expressions are viewed in the speaker's/writer's context, and the speaker's/writer's location is regarded as the deictic centre. Therefore, any indexical expression is stated in relation with it. The linguistic means of manifestation of traditional categories of deixis — person, place/spatial, time/temporal, as well as discourse and social deixis have been studied, and their pragmatic aim in digressions has been revealed. Besides, the realization and frequency of particular deictic categories according to different types of digressions have been stated.

თამარ შლენტი

**ზღაპრის მზა ფორმულები  
(ტიპოლოგიური ანალიზი)**

ზღაპრის კომპოზიციურ ელემენტებს შორის მნიშვნელოვანია დასაწყისი და დასასრული ფორმულები. სპეციალურ ლიტერატურაში ისინი საკმაო სისრულით არის შესწავლილი და აღწერილი. ჩვენი მიზანია შევადაროთ ქართული, იტალიური და ლაზური ზღაპრების დასაწყისი და დასასრული ფორმულები, მათ შორის გარკვეული ტიპოლოგიური მიმართებების გამოვლენის მიზნით. ცნობილია, რომ ზღაპრის სიუჟეტები მოართულია და ამ თვალსაზრისით მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებში გასაოცარი მსგავსება შეინიშნება. ცხადია, ზღაპრის მზა ფორმულებს შორის ფუნქციური თვალსაზრისით მსგავსება იქნება, მაგრამ მეორე საკითხია, გამოხატვის რა ხერხებს და საშუალებებს მიმართავს მეზღაპრე ამ ფუნქციის შესასრულებლად სხვადასხვა ლინგვოკულტურულ გარემოში. საანალიზოდ შევარჩიეთ განსხვავებული ენობრივი და კულტურული გარემოს ზღაპრები. ერთი მხრივ, ეს არის ქართველურ — ქართულ და ლაზურ — ენებზე შექმნილი ფოლკლორული ზღაპრები. ლაზური ქართულისგან ერთგვარად იზოლირებულია და განსხვავებულ კულტურულ გარემოში ვითარდება; მეორე მხრივ, იტალიური ზღაპრები, როგორც სრულიად განსხვავებული ენობრივი და კულტურული გარემოს ფოლკლორის მაგალითი. სტატიაში აგრეთვე განვიხილავთ ზღაპრის დასასრულ და დასაწყის ფორმულებს მხატვრულ ქრონოტოპთან კავშირში და მათი გამოხატვის ლინგვისტურ საშუალებებს.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ზღაპრის დასაწყისი და დასასრული ფორმულების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ქართული ზღაპრის დასაწყისსა და თვით ზღაპრის შინაარსსა და რიტმს შორის გარკვეულ მსგავსებას ხედავს ქ. სიხარულიძე (სიხარულიძე, 1976, 114).

თ. ქურდოვანიძე გამოყოფს ორი ტიპის დასაწყის ფორმულებს.

პირველი ტიპის ფორმულები თავისი შინაარსით არ ამყდვენ რაიმე კავშირს ზღაპრის შინაარსთან, მაგრამ, ამავე დროს, გარკვეული ფუნქციით იხმარებიან. ეს ფუნქცია, პირველ რიგში, გულისხმობს მსმენელის ყურადღების მობილიზებას, ზღაპრის მოსასმენად საჭირო გარემოს შექმნას და მეზღაპრის ოსტატობის ჩვენებას. მაგალითად: „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, /ტყეში ჩიტი მომკვდარიყო“ (ქურდოვანიძე, 1983, 67). ზღაპრის ზოგიერთი დასაწყისი, გარდა ზემოაღნიშნული ძირითადი მიზნისა, იუმორისტულ ელემენტს შეიცავს: „თქმა იყოს და გაგონება, მუშტის კვრა და გაგორება“. ამის მსგავსი დასაწყისი ფორმულები ქართულ ზღაპრებში საკმაოდ არის დადასტურებული და ჩაწერილი (ქურდოვანიძე, 1983, 67-84; ქურდოვანიძე, 2002, 78; სიხარულიძე, 1976, 114-115).

ზღაპრის დასაწყისის მეორე ტიპს ქართულში წარმოადგენს ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმულა „იყო და არა იყო რა, იყო ერთი...“ და მისი გავრცობილი ვარიანტი „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა... იყო ერთი...“ თ. ქურდოვანიძე მიიჩნევს, რომ ზღაპრის ასეთი დასაწყისი ორგანულად არის შერწყმული ზღაპრის სიუჟეტთან (ქურდოვანიძე, 1983, 67-84). ასეთი დასაწყისი ფორმულით მთხრობელი ამცნობს მსმენელს, რომ იწყებს გამონაგონი ამბის მოყოლას, ამბისა, რომელიც თან მოხდა და თან არც მომხდარა. მეზღაპრის ასეთი დამოკიდებულება მოსათხრობი ამბის მიმართ ოპოზიციური წყვილით (ყოფნის აღმნიშვნელი ზმნის დადებითი და უარყოფითი ფორმით) გამოიხატება. ქართული ზღაპრის ამ დასაწყის ფორმულაში არ ჩანს ადგილის აღმნიშვნელი მარკერი, ის ამ შემთხვევაში ნაგულისხმევაა. სათანადო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართული ზღაპრის ასეთი დასაწყისი ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებს. ზღაპრის მსგავსი დასაწყისი ფორმულები გვხვდება სხვა ერების ფოლკორულ ზღაპრებში. ასეთებია უნგრული, არამეული, სპარსული, ტაჯიკური, ბელუჯური, შუა აზიაში (ქ. სამარყანდი) მცხოვრები ებრაელების ზღაპრები (სიხარულიძე, 1976, 110-113). ქართული ზღაპრის ამ დასაწყისის გვერდით გართულებული და გავცრობილი ვარიანტებიც გვაქვს. ასეთია: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“. ქ. სიხარულიძეცა და თ. ქურდოვანიძეც აღნიშნავენ, რომ დასაწყისის ასეთი ფორმა გარკვეული რელიგიური შეხედულების მაჩვენებელია. როგორც ირკვევა, ასეთი დასასრულის ფორმულა ბელუჯურ და სპარსულ ზღაპრებშიც გვხვდება (სიხა-

რულიძე, 1976, 112).

ქორე დიუმეზილის მიერ ჩაწერილ ლაზურ ზღაპრებს ან საერთოდ არა აქვს რაიმე დასაწყისი (ისინი ყოველგვარი შესავლის გარეშე იწყება) ან დასაწყისი მარტივია: „არ ბადი დო ქჩინი ქორტეს-დორენ“ — „ერთი ბერიაცი და დედაბერი ყოფილან“ („გამხმარი თავი“), „არ ბოზო ქორტუ-დორენ“ — „ერთი ქალიშვილი ყოფილა“ („კაუჭიდან კაუჭზე“), „არ ოხორჯა დო არ ქომოლი ქორტეს-დორენ“ — „ერთი ცოლი და ერთი ქმარი ყოფილან“ („სიმართლის დამცველი თხა“) და ა.შ. მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეგვხვდა ზღაპრის ასეთი დასაწყისი: „მესელ, მესელ, ხახუტა, გო ხვუ-დორენ მწკომ ბუტკა“ — „ზღაპარი, ზღაპარი, ხახუტა, მიმოფანტულა წყავის ფოთოლი“ („ფადიშაპის შვილი მიწისქვეშეთში“, დიუმეზილი, 2009, 63). ასეთი დასაწყისი უდავოდ პოეტურია, მაგრამ რადგან ის მხოლოდ ერთ შემთხვევაში გვაქვს, შესაძლებელია მხოლოდ მთქმელის ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფი იყოს, რომელიც ვერ იქცა ზღაპრის ტრადიციულ დასაწყის ფორმულად.

ირინე ასათიანის მიერ ჩაწერილი ზოგიერთი ლაზური ზღაპრების დასაწყისი ქართული ზღაპრების დასაწყისის იდენტურია (ასათიანი, 1974), მაგალითად: „ტეენ, ვა ტეენ, არ დივი ქორტეენ“ (16. ნუ ეში ჰეჟ აე) — „ყოფილა, არ ყოფილა, ერთი დევი ყოფილა“ (16. ნურიეს ზღაპარი); „რტეენ დო ვა რტეენ ართეი ოხორჯა“ (95. სუმ ჭუმა) — „ყოფილა და არ ყოფილა ერთი დედაკაცი“ (95. სამი ძმა). დასახელებულ ნაშრომში ასეთი დასაწყისი (რტეენ დო ვა რტეენ — ყოფილა არ ყოფილა...) არა მარტო ზღაპრებს, არამედ თქმულებებსაც აქვს. ი. ასათიანის მიერ ჩაწერილ ლაზურ ზღაპრებში (ხოფური კილოკავი) დასასრული მზა ფორმულები არ გვაქვს. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ზღაპრების ასეთი დასაწყისი ფორმულები ქართული გავლენით იყოს დამკვიდრებული.

საკმაოდ მარტივია იტალიური ზღაპრების დასაწყისი მზა ფორმულები. ამ თვალსაზრისით ის არ განსხვავდება დასავლეთ ევროპის ქვეყნების ზღაპრის დასაწყისი ფორმულებისგან. რომანიისა და ემილიის რეგიონში ჩაწერილი 35 ზღაპრიდან (**Fiabe romagnole e emiliane, Milano, 2001**) ოთხი ყოველგვარი დასაწყისი ფორმულის გარეშე იწყება (**Battachio** - „ბატაკიო“, **Pierino disgraziato** — „საწყალი პიერინო“, **Il Gallo che andava a nozze** - „მამალი, რომელიც ქორწილზე მიდიოდა“, **San Giovanni ruba un fegato di agnello** - „წმინდა იოანე ბატკნის

ღვიძლს იპარავს“). სხვა ზღაპრებში კი გვაქვს ყველაზე გავრცელებული ფორმულა: *c'era (c'erano) una volta ...* (იყო (იყვნენ) ერთხელ...), ხოლო ერთ შემთხვევაში გვაქვს *ci fu una volta* (იყო ერთხელ...). პირველ შემთხვევაში ზმნის ფორმაში ხაზგასმულია მოცემული ამბის გარკვეული განგრძობადობა დროში, რაც თხრობის დროს სრულიად ბუნებრივია. ხოლო ერთ შემთხვევაში ზმნა *essere-ს* (ყოფნა) შორეული წარსულის გამოყენებით მოსათხრობი ამბავი დროის სიღრმეშია გადატანილი. ზღაპრებიდან, რომლებსაც არავითარი დასაწყისის ფორმულა არ გააჩნია, ერთ-ერთი ზღაპარი-ანექდოტის ჟანრს განეკუთვნება და წმინდანების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატული (*San Giovanni ruba un fegato di agnello* „წმინდა იოანე ბატონის ღვიძლს იპარავს“).

ი.კალვინოს „იტალიურ ზღაპრებში“<sup>1</sup> ზღაპრების აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს ტრადიციული დასაწყისი: *c'era (c'erano) una volta...* ან ზოგიერთი მათგანი ყოველგვარი შესავლის გარეშე იწყება. ერთ შემთხვევაში (ზღაპარი: *L'uomo che usciva solo di notte* — „კაცი, რომელიც მხოლოდ ღამით გამოდიოდა“) გვაქვს შემდეგი დასაწყისი: *Ai tempi di Babi Babò viveva un vecchio pescatore con tre figlie da marito* — უხსოვარ დროს, იყო ერთი მეთევზე, რომელსაც სამი გასათხოვარი ქალიშვილი ჰყავდა...“). ფრაზეოლოგიური ერთეული *Ai tempi di Babi Babò* მნიშვნელობით იგივეა, რაც *ai tempi che Berta filava* - „იმ დროს, როცა ბერტა ძაფს ართავდა“, ანუ „უხსოვარ დროს“. ზემოაღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეულის ასეთ მნიშვნელობაზე მიუთითებს ი.კალვინო ენდრიუსზე დაყრდნობით (კალვინო, 2002, 17).

როგორც ვხედავთ, იტალიური და ლაზური ზღაპრების დასაწყისისგან განსხვავებით, ქართული ზღაპრების დასაწყისი გაცილებით მრავალფეროვანია. როგორც ქ. სიხარულიძე მიუთითებს, „მხატვრული განზოგადება ქართული ზღაპრის ფორმულაში მეტია“ (სიხარულიძე, 1976, 108-125). ამასთან, ფოლკლორის მკვლევრებს შორის გავრცელებულია თვალსაზრისი, რომ რაც უფრო არქაულია ზღაპარი, მით ნაკლებად გვხვდება მასში დასაწყისი და დასასრული

<sup>1</sup> როგორც ცნობილია, იტალი კალვინომ შეკრიბა XIX-XX საუკუნეში სხვადასხვა დიალექტზე ჩაწერილი ზღაპრები და გადაწერა ისინი სალიტერატურო იტალიურზე. მის ნაშრომს ერთვის შენიშვნები, სადაც მითითებულია, რა ცვლილებები იქნა შეტანილი ზღაპრების თავდაპირველ ვარიანტში. ამდენად, კალვინოს „იტალიური ზღაპრები“ ფოლკლორული ზღაპრების სანდო წყაროდ შეიძლება გამოდგეს.

მზა ფორმულები, რადგან ასეთი ფორმულების წარმოქმნა, ზღაპრის, როგორც დამოუკიდებელი ჟანრის ჩამოყალიბების თანხმობები პროცესია. ამ კრიტერიუმს ჩვენ მიერ განხილული ზღაპრებიდან ყველაზე მეტად უ. დიუმეზილის მიერ ჩაწერილი ლაზური ზღაპრები აკმაყოფილებს. თუმცა მიგვაჩნია, რომ ზღაპრის დამოუკიდებელ ჟანრად ჩამოყალიბება სხვა ჟანრების ჩამოყალიბებასთან ერთად მიმდინარეობს. ეს მთლიანი პროცესია, რომელიც მოიცავს სხვა ფოლკლორული ჟანრების განვითარებასაც. თუ განვითარების პროცესი რაიმე მიზეზის გამო შეფერხდა, ეს აისახება ფოლკლორის ყველა ჟანრზე. თუმცა შესაძლებელია ეს ჟანრები (ჩვენს შემთხვევაში ზღაპარი) მაინც იხვეწებოდეს და ახალი ელემენტებით ივსებოდეს. ამდენად, ლაზური ზღაპრების მეტი არქაულობა რომ ვაღიაროთ, უფრო ფართო კვლევის ჩატარება იქნება საჭირო, როგორც საკუთრივ ფოლკლორის, ასევე ენის თვალსაზრისით.

ზღაპრის დასასრული ფორმულები ქართულსა და იტალიურში საკმაოდ მრავალფეროვანია. იტალიური ზღაპრებისთვის დამახასიათებელი ტიპოლოგიური ნიშანია ერთფეროვანი ზღაპრის დასაწყისი და შინაარსითა და ფუნქციურად მრავალფეროვანი ზღაპრის დასასრული ფორმულები. ლაზური ზღაპრებში დასასრულის ფორმულა სულ სამჯერ შეგვხვდა („ენესთენი“, „ჯადოქარი და მისი მოწაფე“, „გამხდარი მემეტი“).

ზღაპრის დასასრულ ფორმულას, ისევე როგორც დასაწყისს, როგორც ჩანს, ზოგადად ზღაპარში ერთი ფუნქცია აკისრია. მისი საშუალებით მეზღაპრე ახერხებს მონათხრობის დასრულებას. ის მსმენელს რეალურ სამყაროში და რეალურ დროში აბრუნებს. გარდა ამისა, მთხრობელი მისი საშუალებით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ზღაპრის სამყაროს მიმართ, იმის მიმართ, რასაც ცოტა ხნის წინ თვითონ მოუთხრობდა მსმენელს.

ცნობილია, რომ ქართული ზღაპრის ყველაზე გავრცელებული დასასრულია: „ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.“ როგორც თ.ქურდოვანიძე აღნიშნავს, ამ მზა ფორმულაში გამოხატულია მთხრობელის მტრული დამოკიდებულება ზღაპრის სამყაროს მიმართ (ქურდოვანიძე, 1983, 72). შეიძლება ვიკითხოთ, რატომ უჩნდება ზღაპრის მთხრობელს ასეთი დამოკიდებულება იმ სამყაროს მიმართ, რომლის შესახებ რამდენიმე წუთის წინ თვითონ მოუთხრობდა მსმენელს? მიგვაჩნია, რომ ასეთი დამოკიდებულების გამოხატვა ერ-



თავარი ხერხია, რომელიც მზა ფორმულების სემანტიკის ზედაპირზე აღიქმება. სიღრმისეულად კი მოცემული გამონათქვამები გამოკვეთილ პრაგმატიკულ მიზანს ემსახურება. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ხერხი, რომელმაც ფსიქოლოგიური ეფექტი უნდა მოახდინოს. ის წერტილს უსვამს წარმოდგენას, წარმოსახვას, ირეალურობას და უმალ გადმოჰყავს მსმენელი რეალობაში, ის ერთგვარი გამყოფი ზღვარია აზროვნების ორ ტიპს შორის — ოცნებას და საკუთრივ აზროვნებას შორის. ზღაპრის დასასრულმა ფორმულამ უნდა მოთოკოს მსმენელის აზროვნება, ფანტაზიის უნარი. მსმენელის ფსიქიკა მარჯვდ და უმალ უნდა დაუბრუნოს რეალობას. სწორედ ეს არის ზღაპრის დასასრული ფორმულის დანიშნულება, რომელსაც, ზოგადად, ოპოზიციის სახე აქვს. ასეთი ფორმულები კიდევ ერთხელ გვასენებენ, რა დიდი ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა შეუძლია სიტყვას.<sup>1</sup>

გარდა ტრადიციული ზღაპრის დასასრული ფორმულისა, გვხვდება აგრეთვე მისი იუმორითა და დალოცვით გათვლებული ფორმულები. მაგალითად:

ჭირი იქა, ლხინი აქა,  
ქატო იქა, ფქვილი აქა.  
ელასა-მელასა,  
ჭიქა მეკიდა ყელასა,  
მთქმელსაც და გამგონებელსაც  
ჯვარი გვეწეროს ყველასა...

ზემოაღნიშნულის გარდა, როგორც თ. ქურდოვანიძე მიუთითებს, ქართული ზღაპრის დასასრულის ფორმულათა შორის გვხვდება არატრადიციული ვარიანტებიც: „გადაიხადეს ქორწილი და მორჩა ზღაპარიც“, „სამი ცხენი სამი კვიცი, მაგის მეტი აღარ ვიცი, ფქვილი აქა, ჭირი იქა, ქატო იქა, ლხინი აქა“ (ქურდოვანიძე, 1983, 72).

<sup>1</sup> ზღაპრის ზემოაღნიშნულ ფორმულასთან დაკავშირებით, ჩვენთან პირად საუბარში მოსაზრება გამოთქვა პროფ. მიხეილ ქურდიანმა. მისი აზრით, „იქ“ სრულებით არ ნიშნავს ზღაპრის სამყაროს. ადამიანის აზროვნებისთვის ძირითადი ოპოზიციური მიმართება არის „ჩვენ“ და „სხვა“, შესაბამისად „ჭირი იქა, ლხინი აქა...“ არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს მტრულ დამოკიდებულებას ზღაპრის სამყაროს მიმართ, ეს არის დამოკიდებულება „სხვის“ მიმართ, რომელიც ყოველთვის არსებობს ადამიანის ცნობიერებაში. მ.ქურდიანის აზრით, მთხრობელი ზღაპრის თხრობის პროცესში თავადვე გვევლინება სამყაროს შემოქმედად, ამდენად, არ შეიძლება მას მტრული დამოკიდებულება გაუჩნდეს მის მიერვე შექმნილი სამყაროს მიმართ.

ქართულ ზღაპრებში ცალკე გამოიყოფა დასასრული ფორმულები, სადაც ჩანს მეზღაპრის დამოკიდებულება ზღაპარში მოთხრობილი ამბის მიმართ: „გადაიხადეს დიდებული ქორწილი, გუშინწინ იყო, ვერ მივედი, დაბატიყებული კი ვიყავი“ (სიბრძნე I, 1963, 469); „გადაიხადეს დიდი ქორწილი და დროსტარება, სადაც ერთი ჯამი ღვინო მეც მერგო“, „ქორწილში მეც ვიყავი და ლაზათიანად დავითვერი“. როგორც თ. ქურდოვანიძე აღნიშნავს, „ეს და მსგავსი ფორმულები გამიზნულია ზღაპარში გადმოცემული ამბის ტექნიკურებაში მსმენელის დასარწმუნებლად, თუმცა ზღაპრის დასაწყისის ფორმულებში მთქმელს ამბავი მხატვრულ გამონაგონად ჰქონდა აღიარებული“ (ქურდოვანიძე, 1983, 73). ზოგჯერ მთქმელი დასასრულ ფორმულაში გვეუბნება: „ჩემი არაკი გავათავე, წუხელ იქ ვიყავი, დღეს აქ მოვედი (სიბრძნე I, 1963, 466); „გუშინ იქ ვიყავი, დღეს აქ ვარ“ (სიბრძნე I, 1963, 325); „შარშან იქ ვიყავი და წლეულს აქა ვარ“, (ქურდოვანიძე, 1983, 73). როგორც აღვნიშნეთ, აქ მოცემულია მთხრობელის მცდელობა, ზღაპარში მოთხრობილი ამბის რეალურობაში დაარწმუნოს მსმენელი. გარდა ზემოაღნიშნულისა, თ.ქურდოვანიძეს მოყვანილი აქვს აგრეთვე ზღაპრის შემდეგი დასასრულები: „მეც ვიყავი იმ ქორწილში, ბევრი ვსვი და ბევრი ვჭამე, მაგრამ ყელში კი არაფერი ჩამსვლია“, „იქ ვიყავი, კარგა მაგრად ვიქეიფე, იქიდან რომ წამოვედი... თურმე არც წავსულვარ აქედან“, „ქორწილში ვიყავი, კარგი ვსვი, კარგი ვიქეიფე, ბოლოს მცემეს და გამომავდეს“ (ქურდოვანიძე, 1983, 73).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლაზურ ზღაპრებში მხოლოდ სამჯერ შეგვხვდა ზღაპრის დასასრული ფორმულა: „ჟურნეჩი ნდლა დო ჟურნეჩი სე დულუნი დიუუ-დორენ. მა-თი ჰექ ბორტი. ონცორუთენ წკა ი ბზდომტი დო კოჩეფეს გებუბამტი“ - „ორმოცი დღე და ორმოცი ღამე ქორწილი ჰქონიათ. მეც იქ ვიყავი. საცრით წყალი დამქონდა და კაცებს ვუსხამდი“ („ენესტენი“), „მა-თი ჰექ ბორტი. თქუა კა ჰგ ა ეფე მოგიმეტი. გზას ჯოლორეფე მემავეს. მაშქურნუ დონგ ა ეფე ჰენთეფეს მებუხუი. ბიმტი დო ქომოფთი.“ - „მეც იქ იყავი. თქვენ კარგი საჭმელები წამოგიღეთ. გზაში ძალღები შემხვდნენ. შემეშინდა და საჭმელები მათ დავუყარე. გამოვიქეცი და მოვედი“ („ჯადოქარი და მისი მოწაფე“), „მა-თი ჰექ ბორტი. სი ბალლავა დო ბურელი მოგიმეტი-ში გზას არ ლანგონი ქომემაფუ. „ჰაუმ!“ - ა, თქუ-ში, მაშქურნუ დო მებუხუი. მა ბიმტი დო სქანუ ქომოფტი.“ - „ორმოცი

დღე და ორმოცი დამე ქორწილი იყო. მე იქ ვიყავი. შენთვის ფახლავა და ბურელი მომქონდა. გზაში ერთი ძალი შემხვდა. „ჭაუმი!“ რომ თქვა, შემეშინდა და დავუყარე. მე გამოვიქეცი და შენთან მოვედი“ („გამხდარი მემეტი“). როგორც ვხედავთ, მთხრობელი აქაც ცდილობს მონათხრობს მეტი დამაჯერებლობა შემატოს, ამიტომ გვეუბნება, რომ ქორწილს დაესწრო და იქიდან საჭმელიც კი წამოიღო. ლაზური ზღაპრების დასასრული იუმორითაც არის გაჯერებული („ძაღლების შემეშინდა და საჭმელი მათ დავუყარე“). საინტერესო ენობრივი ხატია მოცემული ერთ-ერთი დასასრული ფორმულის შემთხვევაში: „საცრით წყალი დამქონდა და კაცებს ვუსხამდი“. ფრაზეოლოგიური ერთეული „საცრით წყლის ტარება“ გვხვდება სხვა ენებშიც. მაგალითად იტალიურში: *portare acqua col vaglio* (ან *col paniere*) - ცხავით ან კალათით წყლის ტარება; რუსულში: *воду решетом носить* — ცხავით წყლის ტარება. ამ ენებში მოცემულ ფრაზეოლოგიურ ერთეულს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: უაზრო, უშედეგო საქმის კეთება. ქართულში იმავე ენობრივი ხატით შექმნილ ფრაზეოლოგიურ ერთეულს „საცრით წყლის ტარება“ განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. ის შეიძლება ნიშნავდეს „შეუძლებლის გაკეთებას, შეუძლებლის შეძლებას“, მაგალითად: „შენს ქორწილში საცრით წყალი მეტარებინოს“. ამდენად, ლაზური ზღაპრების დასასრული ფორმულები შინაარსის თვალსაზრისით ძირითადად მსგავსია იმისა, რაც ქართული ზღაპრების დასასრულ ფორმულებში გვაქვს.

ახლა კი დავაკვირდეთ იტალიური ზღაპრების დასასრულ ფორმულებს. ის, რაც ითქვა ქართული ზღაპრის დასასრულის მიმართ, მიესადაგება აგრეთვე იტალიური ზღაპრების დასასრულ ფორმულებს. ეს მზა ფორმულები იტალიურ ზღაპრებში აგრეთვე ავლებს ზღვარს რეალურ სამყაროსა და ზღაპარში ნაჩვენებ წარმოსახვით სამყაროს შორის. ამავე დროს, ზოგიერთ მათგანში მინიშნება გვაქვს იმ გარემოზე, რომელშიც ზღაპრის თხრობა მიმდინარეობს. ერთი მთხრობელი, ასრულებს რა თავისი ზღაპრის თხრობას, თითქოს ასპარეზს გადასცემს სხვებს, მოუწოდებს რა მათ, მოჰყენენ ზღაპარს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> აქ გასათვალისწინებელია გარემო, რომელშიც ძირითადად ხდება ზღაპრის თხრობა. ელიდე კახალი ბოლონიელ ფოლკლორისტ კ. გასპარე სარტიზე დაყრდნობით აღწერს იმ ტიპიურ გარემოს ემილიის რეგიონში, რომელშიც ჰყვებოდნენ ზღაპარს. „გარემო, რომელშიც იქმნება და თაობიდან თაობას გადაეცემა ფოლკლორული ზღაპარი ემილიასა და რომანიაში, დაკავშირებულია ტრადიციულ ხალხურ

ასეთი ტიპის ზღაპრის დასასრულის ფორმულები ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია. ის ოდნაც განსხვავებული ვარიანტებით გვხვდება:

“Lunga la favola (e) stretta la via

Dite la vostra che ho detto la mia“. (რომ. ემილ. ზღაპრები 2001, № 8,14,22,35)

(გრძელია ზღაპარი, ვიწროა გზა, მე ჩემი გითხარით, თქვენ კი თქვით სხვა). ზღაპრის ამ დასასრულის სხვა ვარიანტებია:

“Favola lunga e favola stretta

Conta la tua che la mia l’ho detta“. (კალვინო, 2002, № 139)

(გრძელი ზღაპარი და მოკლე ზღაპარი, თქვენი მოჰყევით, ჩემი უკვე გითხარით).

ზოგიერთი იტალიური ზღაპრის დასასრულ ფორმულაში მთხრობელი გვევლინება დამკვირვებლის როლში, ის თითქოს თვალყურს ადევნებს იმას, რაც ზღაპარში ხდება და თავისი იქ ყოფნით, დასწრებით ან დაკვირვებით დამაჯერებლობას მატებს ზღაპარში მონათხრობ ამბავს. ასეთებია:

“Si sposarono, fecero il banchetto,

e a me che me ne stavo sotto il tavolo mi arrivò nella barba un bell’ossetto“.

(რომ.ემილ. ზღაპრები, 2001, № 11)

(დაქორწინდნენ, ლხინი გამართეს, მე კი მაგიდის ქვეშ ვიჯექი, წვერში ერთი მოზრდილი ძვალი მომხვდა);

“E tutti sono stati allegri e contenti,

E a me che ero a vedere non m’hanno dato niente.“

(კალვინო, 2002, № 13)

(ყველანი მხიარული და კმაყოფილი იყვნენ, მე კი ამ ამბის სანახავად ვიყავი, მაგრამ არაფერი მომცეს);

“Fecero tanto lusso e spartusso

კულტურასთან და ე.წ. „ზამთრის საღამოებთან“ („*treb“ invernali*), რომელშიც ოჯახის ყველა წევრი მონაწილეობდა. შრომის პროცესს თან ახლდა ლოცვა. ასეთი საღამოები ძირითადად ტარდებოდა ზამთრის თვეებში (იანვარი/თებერვალი), როგორც მთაში, ასევე ბარში. მთხრობელი (*el fulesta*) დიდი ოსტატობით ჰყვებოდა ზღაპარს. თხრობის დასრულებას ახლდა პაუზა და გაცხოველებული საუბარი, ამ დროს მეორე მთხრობელი იწყებდა სხვა ზღაპარს სიტყვებით: *A j era una volta...* (იყო ერთ დროს...)“. (კაზალი, 2001, 5-50).

**Ma io ero dietro l'uscio,**

**Per mangiare andai all'osteria**

**E così finisce la storia mia.**“ (კალვინო, 2002, №12)

(გამართეს მდიდრული ლხინი, მე კი კარს უკან ვიდექი, ოსტერიაში წავედი, რომ მეჭამა. ასე მთავრდება ჩემი ამბავი);

**“Con gran lusso e spartusso,**

**E a me mi lasciarono dietro l'uscio.**“

(კალვინო, 2002, № 19)

(მდიდრული ლხინი გამართეს, მე კი კარს უკან დამტოვეს);

**“Vissero in pace e in carità,**

**E a me mai nessuno niente dà.**“

(კალვინო, 2002, №45)

(ცხოვრობდნენ მშვიდად და სიამტკბილობით, მე კი არავინ არაფერს მაძლევს);

**“Così stettero e godettero**

**Ed a me nulla mi dettero.**“ (კალვინო, 2002, № 63)

(ცხოვრობდნენ ასე და ტკბებოდნენ, მე კი არაფერი მომცეს).

ასეთი შინაარსის ზღაპრის დასასრული ფორმულებში მთხრობელი არა მარტო დამკვირვებელია, არამედ ის გაუცხოებულიც არის ზღაპრის სამყაროსგან, თხრობის დასრულებასთან ერთად წყვეტს კავშირს მონათხრობთან და წარმოსახვითი, ირეალური სამყაროდან ისევ რეალურ სამყაროში ბრუნდება. ასეთი ფორმით ავლენს ზღაპრს ზღაპარსა და სინამდვილეს შორის მთხრობელი. აღსანიშნავია, რომ ზღაპრის სამყაროდან გამოსვლა ხდება სწრაფად, უმალ, ყოველგვარი მომზადების გარეშე. ამ საკითხს კვლავ დავუბრუნდებით, როცა ზღაპარში დროის პრობლემას შევეხებით.

ზღაპარს, როგორც წესი, ბედნიერი დასასრული აქვს: იმართება ქორწილი და იშლება მდიდრული სუფრა. ზღაპრის ასეთ დასასრულში მყდვენდება ხალხის ოცნება მდიდრულ სუფრაზე, ხორაგსა და სამეღ-საჭმელზე, სიმამღრესა და ხორციელ ტკბობაზე, რასაც ხალხური კულტურის ყველაზე არსებით მახასიათებელ ნიშნად მიიჩნევს მ. ბახტინი (ბახტინი, 1990, 307-334).

უფრო რეალისტურია ზღაპრის დასასრული ფორმულები, რომლითაც სამხრეთ იტალიური ზღაპრები მთავრდება. აქ უფრო მკვეთრია ზღვარი ზღაპრის სამყაროსა და რეალურ სამყაროს შორის. თხრობის დასასრულს მთხრობელი გვატყობინებს, რომ ის უწინდებუ-

რად მშვიერია, ზღაპრულ სუფრასთან მას აღარაფერი აკავშირებს:

**“Loro restarono felici e contenti**

**E noi siamo qui ci freghiamo i denti.**“ (კალვინო, 2002,

№ 148)

(ცხოვრობდნენ ბედნიერად და იყვნენ კმაყოფილი, ჩვენ კი აქ ვართ და კბილებს ვაკრატუნებთ);

**“Così restarono felici e contenti**

**E noi siamo qua ci arrotiamo i denti.**“ (კალვინო, 2002,

№151) (ცხოვრობდნენ ბედნიერად და იყვნენ კმაყოფილი, ჩვენ კი აქ ვართ და კბილებს ვილესავთ);

**“Loro restarono felici e contenti**

**E noi siamo qua che ci nettiamo i denti.**“ (კალვინო, №

152, №159)

(ცხოვრობდნენ ბედნიერად და იყვნენ კმაყოფილი, ჩვენ კი აქ ვართ და კბილებს ვიწმენდთ);

**“E se ne stettero felici e contenti**

**e noi siamo qua a stuzzicarci i denti.**“ (კალვინო, 2002, №

182)

(ცხოვრობდნენ ბედნიერად და იყვნენ კმაყოფილი, ჩვენ კი აქ ვართ და კბილებს ვიჩიჩქნით).

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ზღაპრის ერთმა დასასრულის ფორმულამ, სადაც მთხრობელი თავის თავს მსმენელებთან შედარებით ნაკლებ განსაცდელს უსურვებს. ჩვენი აზრით, ზღაპრის ეს დასასრული შესაძლებელია განკუთრების რიტუალთან იყოს დაკავშირებული:

**“La mia favola non è corta nè lunga**

**Tagliati il ditto ch'io mi taglio un'unghia:**

**La mia unghia ricrescerà,**

**I tuo ditto marcirà.**“ (რომ. ემილ. ზღაპრები, 2001, №1)

(ჩემი ზღაპარი არც გრძელია და არც მოკლე, მოიჭერი თითი, მე კი ფრჩხილს მოვიჭრი, მე ფრჩხილი გამეზრდება, შენ კი თითი დაგილბება).

ცნობლია, რომ ზღაპრის მზა ფორმულები, გარდა ძირითადი ფუნქციების გამოხატვისა, რამდენადმე უკავშირდებიან იმ გარემოს, რომელშიც თხრობა მიმდინარეობს. შესაძლებელია მთხრობელი ერთგვარ გასამრჯელოს მოითხოვდეს ზღაპრის მოყოლისთვის:

**“La mia favola non è più lunga;**

se volete che gliene aggiunga  
con un panetto e una sardella  
ne dico una ancora più bella;  
con un panetto e un pò da bere  
ne dico uno stando a sedere.“ (რომ. ემილ. ზღაპრები,

2001, №№13; 26; 28)

(ჩემი ზღაპარი დასრულდა, თუ გნებავთ, რომ კიდევ მოვეყვ (რამე დავამატო), ერთი პურისა და სარდელის სანაცვლოდ, უფრო ლამაზ ზღაპარს მოგიყვებით. ერთი პურისა და ცოტაოდენის ღვინის სანაცვლოდ, ჩამოვჯდები და ზღაპარს მოგიყვებით).

გარდა ზემოაღნიშნული ფუნქციებისა, მიგვაჩნია, რომ ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის ფორმულები უშუალოდ უკავშირდება ზღაპრის ქრონოტოპს. როგორია მხატვრული ქრონოტოპი ზღაპარში და რა ენობრივი საშუალებებით გამოიხატება იგი. დროის თვალსაზრისით, ამკარაა, რომ ზღაპარი თითქოს არსაიდან იწყება. ზღაპრის დასაწყისის ფორმულა ზღაპრის დროის დასაწყისის მარკერია. ზღაპრის დასაწყისი კი გრამატიკულად წარსულშია გადატანილი. ქართულშიც, ლაზურშიც და იტალიურშიც ის წარსული დროის იმპერფექტით გამოიხატება: „იყო და არა იყო რა... იყო ერთი...“, „c'era una volta...“. რაც შეეხება ადგილს, შესაძლოა ის უშუალოდ ზღაპრის დასაწყისში არც იყოს მითითებული. მაგრამ „ყოფნა“ აუცილებლად გულისხმობს ადგილსაც. შესაბამისად, ადგილი ზღაპრის დასაწყისში იმპლიციტურია.

ზღაპრის დასასრული ფორმულა არ უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ თხრობის პროცესის დასასრულად. თხრობის პროცესთან ერთად სრულდება ზღაპრის დრო. ზღაპრის დასასრულ ფორმულაში შესაძლებელია საბოლოოდ იყოს მითითებული მოქმედების ადგილი. ამდენად, ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის ფორმულები ზღაპრის ქრონოტოპის საწყისი და საბოლოო მარკერებია. ბუნებრივია, ზღაპრის დრო არ არის არც ღია და არც ისტორიული, ის პირობითია, ჩვენ არ ვიცით, როდის ხდებოდა, ვიცით მხოლოდ ის, რომ რაზეც ზღაპარი მოგვითხრობს, ოდესღაც იყო. ის არ არის ღია, რადგან მზა ფორმულები მისი დასაწყისისა და დასასრულის მარკერებია.

პირობითისა და ისტორიულის/ღიასა და დახურულის ბინარულ ოპოზიციებს სრულად შეესაბამება შინაგანი ოპოზიციური სტრუქტურა, რომლის საფუძველზეც იგება დასაწყისისა და დასასრულის

მზა ფორმულები. პირობითობა უფრო ექსპლიციტურია ქართული ზღაპრის დასაწყისში, რაც ყოფნა/არყოფნის ოპოზიციით გამოიხატება. მიგვაჩნია, რომ ნაკლებად ექსპლიციტურია ჩვენ მიერ განხილულ სხვა ენებისა და კულტურის ზღაპრებში.

ქრონოტოპის შიდა სტრუქტურული და აზრობრივი ოპოზიციურობა ყველა აქ განხილულ ზღაპრის მზა ფორმულაში ამკარად ჩანს, რაც ხაზგასმულია ადგილის გარემოებათა ოპოზიციური წყვილების გამოყენებით, მაგალითად: იქა/აქა (ქართულში). იტალიური ზღაპრის დასასრულში ეს შინაგანი ოპოზიციურობა ამკარაა ისეთი ტიპის დასასრულ ფორმულებში, სადაც მთხრობელი დამკვირვებლად, მაყურებლად წარმოგვიდგება. ზღაპრის გმირებმა დიდი წვეულება გამართეს, მაგრამ ზღაპრის მთხრობელი სუფრასთან არ ზის, ის მაგიდის ქვეშაა, მათთან არ არის, ან ის კარს მიღმა დატოვებს და არაფრით გაუმასპინძლდნენ, ან მათ ყველაფერი აქვთ, მთხრობელს კი არაფერი. ამ იტალიური ფილასტროკების (მოკლე, გართმული პოეტური ნაწარმოები, რომლისთვისაც ბუნებრივია ხალხური მეტყველებისთვის დამახასიათებელი სიტყვების გამოყენება, სწრაფი რიტმი და ალიტერაცია) პირველ სტრიქონში ზღაპრის გმირების მოქმედებაზე გვაქვს მითითება, რაც იმპლიციტურად ტოპოსსაც გულისხმობს, მეორეში კი ზღაპრის მთხრობელის ტოპოსზე. შესაბამისად ოპოზიციური ენობრივი ერთეულებია: **fecero il banchetto** (წვეულება მოაწყვეს)/ **me ne stavo sotto il tavolo** (მაგიდის ქვეშ ვიყავი); **sono stati allegri e contenti** (იყვნენ ბედნიერი და კმაყოფილი) / **io che ero a vedere non m'hanno dato niente** (მე კი საყურებლად ვიყავი და არაფერი მომცეს); **loro restarono felici...** (ისინი ბედნიერები იყვნენთუ)/ **noi siamo qui** (ჩვენ კი აქ ვართ...). და ბოლოს, კიდევ ერთი ტიპოლოგიური ნიშანი, რომელიც აახლოებს ქართული და იტალიური ზღაპრების დასასრულ ფორმულებს, არის მათი გართმელობა. რითმი არ არის დამახასიათებელი ლაზური ზღაპრების დასასრულისთვის.

ამდენად, ზღაპრის დასაწყისისა და დასასრულის ფორმულები შინაარსობრივად, მხატვრული ქრონოტოპისა და მისი ენობრივი გამოხატვის თვალსაზრისით სრულად შეესაბამება ზღაპრისა და რეალური სამყაროს ოპოზიციურობას.

ლიტერატურა:

**ასათიანი, 1974** — ირინე ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები, თბ. მეცნიერება, 1974

**ბახტინი, 1990** — М. М. Бахтин, Творчество Франсуа Рабле и народная культура средневековья и Ренессанса. М. 1990

**დიუმეზილი, 2009** - Georges Dumézil, „Contes et récits Lazes“, La variante des texses géorgiennes et le dictionnaire sont rédigés par Manana Bukia, Tbilissi, 2009. ყორჟ დიუმეზილი, ლაზური ზღაპრები და გადმოცემები, ლაზური ტექსტების ქართული ვერსია და ლექსიკონი შეადგინა მანანა ბუკიამ, თბ. 2009

**ზღაპრები, 1991** — ქართული ხალხური ზღაპრები, შეადგინა, გამართა და წინასიტყვა დაურთო ა.ლონტმა, თბ. 1991

**კაზალი, 2001** — E.Casali, „Folclorica romagnola ed emiliana“, წიგნში „Fiabe romagnole e emiliane“, Milano, 2001

**კალვინო, 2002** — FIABE ITALIANE (raccolte dalla tradizione popolare durante gli ultimi cento anni e trascritte in lingua dai vari dialetti da Italo Calvino), 1-3, Milano, 2002.

**რომ.ემილ.ზღაპრები, 2001** — რომანიული და ემილიური ზღაპრები, Fiabe romagnole e emiliane, Milano, 2001.

**სიბრძნე, 1963** — ხალხური სიბრძნე, ქართული ზღაპრები, I. თბ. 1963

**სიხარულიძე, 1976** — ქ. სიხარულიძე, ქართული ფოლკლორის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თბ. 1976

**ქურდოვანიძე, 1983** — თ. ქურდოვანიძე, ქართული ხალხური ჯადოსნური ზღაპარი, თბ. 1983

**ქურდოვანიძე, 1991** — თ. ქურდოვანიძე, ქართული ზღაპარი, თბ. 2002

TAMAR ZGHENTI

## Fixed Forms in Tales

### Summary

The paper deals with the semantics, functions and structure of idiomatized openings and closings in Georgian, Laz and Italian tales. The tale openings and closings are considered chronotope markers. Structurally and semantically the discussed formulas reflect the opposition between the real and tale worlds.

## მარინა სიორიძე

## მეტაფორა და სიტყვათა თაგაზი ბიიომ აპოლინერთან

გიომ აპოლინერის სახელი მათთვისაც კი, ვინც პოეზიის მოყვარული არ არის, პოეზიას განასახიერებს, მისი მარცვლები მიედინება, ვით სენა მირაბოს ხიდქვეშ. აპოლინერი — თვით ფრანგული პოეზია; აპოლინერი — მტერთა და მოყვარეთა შეხვედრის არე; აპოლინერი — ესე იგი, ლირიზმი; ესე იგი, სიყვარული; ესე იგი, გულწრფელობა. ეს არის კაცი, ქცეული ლეგენდად. საფრანგეთისათვის მიღებული ჭრილობა, „ბესტიარიუმის“ ორფეოსი, უიღბლოდ შეყვარებული, მოკლული პოეტი...

აპოლინერის შემოქმედება ერთ რომელიმე მიმდინარეობაში ვერ თავსდება. მასში არის როგორც **სიმბოლიზმის**, ასევე **იმპრესიონიზმისა** და **კუბიზმის** ელემენტები, საბოლოოდ კი **სიურრეალიზმის** მამამთავრადაც კი გვევლინება.

აპოლინერი ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოეტური კრებულებით **„ალკოპოლები“**. მასში შედის სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული და სხვადასხვა ჟანრის **ლექსები**, რომლებსაც აერთიანებთ **პუნქტუაციის** მოხსნა. აპოლინერის შემოქმედებაში ალკოპოლის თემა ორმაგადაა განვითარებული: პოეტი სვამს ალკოპოლს, როგორც თავის ცხოვრებას და სვამს თავის ცხოვრებას, როგორც ალკოპოლს. სამყარო კონცენტრირებულია ღვინოში, ხოლო ღვინოსადმი მიდრეკილება სიმბოლოა სამყაროს შეცნობისა.

მისი ლექსი, რომლის თავისებურებაც ხელიდან გისხლტება მკითხველს, უპუნქტუაციოა, ბოთლისა და ხის, სახლისა და ვარსკვლავის, შადრევანისა და მტრედის მოყვანილობისა, მაგრამ ეს ხომ ძველი ბერძნებისთვისაც კარგად ცნობილი თავის შექცევაა, მეფე არტურის ციკლის რაინდულ თქმულებათა რემინისცენციებით. პეროს ზღაპრებივით სადა. „ათას ერთ ღამესავით“ მორთულ-მოკაზმული. „შვიდი ხმლის“ ირაციონალური საიდუმლოებით მოცული. ჟამთა სვლის შეგრძნებითა და ვიონისებური ვედრებით. მუსიკითა და რიტ-

მებით, ნერვალსა და ვერლენს რომ გაგონებთ. რემბოს მოუსვენარი მუზის მონათესავე სახეებით. ფერწასული პარალელებით. სიტყვათა თამაშით, კალამბურებით, ჯერ კიდევ კლემან მაროს რომ ემარჯვებოდა. და მაინც, აპოლინერი მეოცე საუკუნის ახალი ხელოვნების მოტრფიალე...

გიომ აპოლინერმა ბუნებრივად შეძლო შერწყმობა ფრანგული პოეზიის საუკუნოვან ნაკადს, მის ფარულ არსს. აპოლინერი ფრანგული პოეზიის სტიქიონში გამდნარი ხელოვანია. ეს გარემოება კიდევ უფრო ამძაფრებს მისი სელექციური ლექსისაგან მიღებულ სიამოვნებას, თითქოს საქმე გვექონდეს ეროვნული პოეტური ცნობიერების გაავარგარებულ მაგმასთან. აპოლინერი წარმოუდგენელ სიტუაციას ასახიერებს: მთელი ფრანგული პოეზიის ნაკადის, მისი რიტმებისა და განწყობილებების, ინტონაციებისა და საჭირობოროტო თემების, თვალთახედვისა და ჟღერადობის ერთ სახედ ქცევას; მრავლის დიალექტიურ ერთიანობას, კვანძს. მარტივად რომ ვთქვათ, ჭირს აპოლინერის გამოყოფა ფრანგული პოეზიიდან. უფრო ნათელია პერსპექტივა: აპოლინერი — ფრანგი პოეტი, ვიდრე ფრანგი პოეტი — აპოლინერი.

ყოველივე ეს მქდავდება „მირაბოს ხიდში...“ „მირაბოს ხიდი...“ ისევე იქცა აპოლინერის პოეზიის სიმბოლოდ, როგორც ეიფელის კოშკი — პარიზის პირობით ნიშნად. კაცს შეიძლება პოეტის ლექსები არ ჰქონდეს წაკითხული, მაგრამ „მირაბოს ხიდი...“ უთუოდ გაგონილი ექნება. ჟაკ გომერონის თქმით, ამ ლექსს უნდა უმაღლოდეს გიომ აპოლინერი „თავისი დიდების ოთხმოცდაათ პროცენტს...“ ხედავს რა „მირაბოს ხიდში...“ ვერლენის გამოძახილს, კრიტიკოსი იმ დაბნეულობას აღნიშნავს, რომელსაც აპოლინერის პოეზია იწვევს შეფასების ცდისას: „დაბნეული რჩები. ესოდენი ხელოვნება, ესოდენი ხერხი, ესოდენი თვალთმაქცობა იმისათვის, რომ არაფერი თქვა, რომ გაჰყვე იმავე სენტიმენტალურ ბილიკს, უკვე ამდენჯერ თელილს! საუცხოოა? დიახ. მაგრამ არა ნაკლებ სავალალო“. ამ წამოძახილშია აპოლინერის პრობლემა და ამოცანა.

აპოლინერის ლექსების უმთავრესი თემა თანამედროვეობა, ქალაქური ცხოვრება. ხშირია თანამედროვე ტერმინოლოგიის გამოყენება: ავტომობილები, თვითმფრინავები, ავტობუსები, ინდუსტრიული ქუჩა, აფიშები და ა.შ. მეორე დიდი თემა მოგზაურობაა. მოგზაურობა ხშირად ავტობიოგრაფიასაც უკავშირდება. სივრცეში მოგზაურობას ემატება

დროში მოგზაურობა - წარსული წარმოდგენილია მითების სახით: **ბიბლია, ზღაპრები**, ლათინური და ბერძნული **მითოლოგია**, აღმოსავლური, კელტური თუ გერმანული მითოლოგია. ეს ყველაფერი წარსულის მიმართ ნოსტალგიას ეგზოტიკური და ილუმინალი ელფერით მოსავს. მოგზაურობა თავისუფლების სიმბოლოა და ხშირად სიხარულთან, დღესასწაულთან ასოცირდება. ამავე დროს მოგზაურობა არის საკუთარი თავის ძიების სიმბოლო.

აპოლინერისთვის რეალობას წარმოადგენს ჩვენი წარმოდგენა სამყაროს შესახებ. ოღონდ ეს წარმოდგენა ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული არაა. ჭეშმარიტი ხელოვნების როლი არის ის, რომ "განუწყვეტილად განახლოს ადამიანში სამყაროზე წარმოდგენები" (ესთეტიკური მედიტაციები). ამ გაგებით აპოლინერი ხელოვანში ხედავს ზეადამიანს, რადგან მას ძალუძს თავისი ეპოქის მოდელირება.

აპოლინერი სამწერლობო ენაზე მეტად უპირატესობას ანიჭებს სამეტყველო ენას, ექსტრალინგვისტურ რეალობას, სიმღერას. მეგობრების გადმოცემით იგი ლექსებს წერდა დილინით ან საუბრების დროს. ამით აიხსნება მის პოეზიაში ენის სხვადასხვა რეგისტრის მონაცვლეობა: რთული სიტყვები, ტექნიკური ტერმინები, უცხო სიტყვები და ა.შ. ტექნიკური ორიგინალობით გამოირჩევა აპოლინერის **კალიგრამები**, სადაც სიტყვები ქმნიან ერთგვარ სურათებს, პეიზაჟებს. ზოგან სიტყვები მუსიკალური ნიშნებით ან ნახატებითაცაა შეცვლილი.

გიომ აპოლინერს, მისი პოეზიის თავისებურებებს, ბევრი მკვლევარი გამოუჩინდა განმაზოგადებელი დასკვნებით. აქ მათი თავმოყრაც იკმარებს: ცნობილია აპოლინერის ტონალობა, მისი პოეტიკა სასწაულისა, თანამედროვე სახე, ყოველდღიური ცხოვრების ფეერიზაცია, რომანტიკულად გადმოცემული დროის თემა, რომანტიკული ოხვრა, შთაბეჭდილებათა სიმულტანური გადმოცემის ცდები, ეგზოტიზმი, კოსმოპოლიტიზმი, პრიმიტიული ხელოვნებისადმი ყურადღება, ათეიზმი, გალური ოხუნჯობა, ეროტიზმი; აპოლინერი — უბადლო მეხობტე ქალის სხეულისა და სილამაზისა (გომერონი); წყლისა და ალკოჰოლის სამფლობელო, ფორმათა და ცნებათა ნგრევისა და აშენების პროცესები, რიცხვთა უცნაური პოეზია; აპოლინერის შემოქმედება, ისევე როგორც თანამედროვე ხელოვნება, არის არა მიბაძვის, არამედ ჩანასახის (**conception**) ხელოვნება; ხოლო პოეზია არის უმოკლესი გზა, რომელსაც რეალობამდე მივყავართ (ჟანკლოდ შვეალი); აპოლინერთან უპირველესია გონება (ფრანც ელენ-

სი), მას ახასიათებს გრაციოზულობა; აპოლინერი ფრანგია გულით და ენითაც ფრანგია (კლოდ შონე), მასთან ერთად ახალი რიტორიკა, ახალი პოეტიკა დაიბადა (როჟე შატონე); აპოლინერი ჭეშმარიტად თანამედროვე პოეტიკა (პიერ ლაგრიუ), მომჯადოებელი (ბლეზ სანდრარი); უდიდესი პოეტი, რომელიც კი გვეყოლია საფრანგეთში რონსარის აქეთ (მაქს ჟაკობი); ლირიკული ელვარება (ჟაკ დუსე); გადახიზნულობის, საკუთარ ფესვთა დაკარგვის პოეტი (როჟე ნავარი); უკანასკნელი ელფეიკოსი, პრესიურრეალისტი, სიმბოლიზმს მოწყვეტილი, ხმელთაშუა ზღვის უდიდესი პოეტი, ხმელთაშუა ზღვის სინათლის პოეტი (ანრი მეზონიკი); სიურრეალისტების უშუალო წინამორბედი (ფრანსუა ანი); მის ესთეტიკაშია: აბსოლუტური ტრფიალი ხელოვნებისა, სილამაზისა; წესრიგი და თავგადასავალი, აპოლონი და დიონისე, კლასიციზმი და მოდერნიზმი, მეცნიერება და ხელოვნება, იდეალიზმი და რეალიზმი, ინტელექტუალიზმი და ლირიზმი, ინსტინქტი და გონება, კუბიზმი და ორფიზმი; თანამედროვე სილამაზე, ფორმებისა და ფერების ავტონომია; პლასტიკური დინამიზმი, სიმულტანურობა და კინემატური ხელოვნება; მოულოდნელობა და ენერჯია (ნოემი ბლუმენკრანცი); პოეტის მითიური სამყარო, ფართო კულტურა, სიმბოლოთა მრავალი მნიშვნელობა, მოულოდნელობის ესთეტიკა (ლიონელ ფილე) და სხვ.

ამგვარ მიმოხილვას, თავისი განყენებული ხასიათის გამო, გიომ აპოლინერის სამყაროზე საერთო წარმოდგენის შექმნაც შეუძლია და ამ წარმოდგენის გაფანტვაც. ხმელთაშუა ზღვის შუქისაკენ გზას გავუდგეთ დაბნეულობის წერტილიდან — „მირაბოს ხიდიდან“. ეს ლირიკული შედეგრი, შინაარსის მხრივ, მართლაც სავსებით ბანალურია. ლექსში გატარებული პარალელი: ჟამთა სვლა — წყლის დინება. ჰერაკლიტედან მოყოლებული, ტრუიზმად იქცა. ლექსი მარტივი ჭეშმარიტებით იხსნება: „მირაბოს ხიდექვეშ მიედინება სენა“. პროზას მსგავსი მტკიცებანი მაინცდამაინც არ დაამშვენებდა, არსებული სახით კი ეს სიტყვები ყველას პირზე აკერია. ეტყობა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც მართლდება ჟან-პოლ სარტრის აზრი: „პოეზიაში ის კი არ არის მთავარი, რა ითქვა, არამედ — როგორ ითქვა“. მაგრამ სწორედ ესაა საკითხავი: როგორ? რა არის განსაკუთრებული ამ სტრიქონში, ლექსის დანარჩენ სტრიქონებში, აპოლინერის სხვა ლექსებში?

„Les jours s'en vont je demeure“

„დღენი მიდიან მე ვრჩები“

ამ ტაეპში პოეტი დასტირის ჟამთა სვლას, დღეთა რბენას, დროის უღმობელ დინებას უპირისპირდება ცვალებადობაში უცვლელი ყოფიერება, რომელსაც მომავალი უქადის მიწასთან გასწორებას. ამ შემთხვევაში ჩვენთვის ეს მეორეხარისხოვანია, ნაკლებ მნიშვნელოვანი, გარეგნული. აპოლინერთან მეორე ნახევარტაეპს აკლია მარცვალი და ეს ანიჭებს ლექსს უთანასწორობის, ნერვიულობის ელფერს. თავიდან ბოლომდე თუ ჩავეყვებით „მირაბოს ხიდს“, დავრწმუნდებით, რომ ეს შეგარძნება შემთხვევითი არაა. თუ გადავიკითხავთ მთლიანად აპოლინერის პოეტურ შემოქმედებას, ამ განწყობილებას, ამ წყობას არა ერთხელ წავაწყდებით.

აპოლინერი ესაა გოდება, ვედრება, შეწყნარების თხოვნა, ადამიანის წარმავლობისა და სისუსტის განცდა. პოეტთან ერთი და იგივე სიტყვები ხსნის განწყობილებათა ნაკადს: ღმერთი, შეწყალება, სიცილი (უარყოფითი ნიშნით, უადგილო, უგონო), ცოდვა; აპოლინერის მიმართვაა: ძმებო, ადამის ძენო; ადამიანებო, ყოველი მხრისა და, განსაკუთრებით, აქაურნო. აპოლინერი აუთენტურია, ფიქრითა და მოქმედებით სიტყვასთან შერწყმული, მაგრამ იგრძნობა გაორებაც და განცდათა სტილიზაციაც.

აპოლინერის პოეზია რეფრენზე, სიტყვათა და სტრუქტურათა გამეორებაზეა აგებული. პოეტის ტკივილსა და მოუთმენლობაში უძლურების მელანქოლია იშლება. პოეტის მდიდარი წარმოსახვითი გენია ზოგჯერ დუნდება და სინამდვილესა და პოეტურ ხედვას შორის ადგილს უთმობს ოცნებას:

„Il coule, et nous passons“

„ის მიედინება, ჩვენ კი მივდივართ“

აპოლინერის პოეზიაში მატულობს მეტაფორის ხვედრითი წონა, ფართოდება მისი ფუნქციები. ზოგჯერ მეტაფორა ემსახურება პოეტის ოპტიმისტურ განწყობას, სიხარულის მომცველ მსოფლშეგრძნებას:

„Les étincelles de ton rire dorent le fond de ta vie“

„შენი სიცილის ნაპერწკლები აოქროვებენ შენი სიცოცხლის სიღრმეს“

ზოგჯერ კი აპოლინერისეული მეტაფორა სიცოცხლის ინტენსიურ აღქმას გამოხატავს:

„Et tu bois cet alcool brûlant comme ta vie“

„Ta vie que tu bois comme une eau-de-vie“

„და შენ სვამ ამ ალკოჰოლს მწვავეს, როგორც შენი სიცოცხლეა შენი სიცოცხლე, რომელსაც შენ სვამ როგორც არაყს“

აპოლინერთან, მის ლექსში, ზოგჯერ მეტაფორა ერწყმის სიტყვათა თამაშს, რომელიც მთელის პოეტურ სახეში ახლებურად გაიფლავება:

„Soleil cou coupé“

„კისერმოჭრილი მზე“

პოეტი ერთმანეთში აღრევს ხოლმე წარსულს, აწმყოსა და მომავალს, როგორც ეს გრძნობების, აფექტების სფეროში ხდება. ამ პრინციპით არის დაწერილი უიღბლოდ შეყვარებულის სიმღერა. ამ ლექსის წყობას, ატმოსფეროს შეესაბამება და როგორც წვეთი მთლიანობას, ისე ასახავს ეს მეტაფორა:

„J'ai hiberné dans mon passé“

„გამოვიზამთრე ჩემს წარსულში“

აპოლინერს აქვს ისეთი გაბედული პოეტური აღმოჩენებიც, რომელთა ანალოგიებს დღემდე ვხვდებით პოეზიაში და რომელთა გამოვლინებას ზოგიერთი კრიტიკოსი ჯერაც ვერ შეეგუა:

„Mes rêveuses pensées pieds nus vont en soirée“

„ჩემი მეოცნებე ფიქრები ფეხშიშველები მიდიან საღამოთი“

მეტაფორებისა და კალამბურების საშუალებით პოეტი თავის გულისტკივილს ხან უიღბლოდ შეყვარებულის მელანქოლიით, ხან კი ხუმრობით გადმოგვცემს. აპოლინერის პოეზია ფილოსოფიურიცაა და მარტივიც, ვიზუალური და თვალსაჩინო. თავის ლაიტმოტივებს, როგორც დროის დინების შეგრძნებას, პოეტი საგანგებო მახვილის გარეშე, მსუბუქად გვაწვდის, იქნება ეს „მირაბოს ხიდის“ ცვალებადი პეიზაჟი თუ პოეტის სხვა ცნობილი ლექსები.

ლიტერატურა

**აპოლინერი, 1995** — Apollinaire G. Œuvres poétiques. Paris, Gallimard („Bibliothèque de la Pléiade“), 1995.

**ბონარი, 1970** — Bonnard H. Etude du langage poétique, application à G.Appollinaire. Pais. Ed. Europe, 1970.

**დელეზალი, 1986** — Delesalle S. „Le langage d'Apollinaire“,



Paris, Gallimard, 1986.

**შევალიე, 1979** — Chevalier J.—C. „Apollinaire et le calembour”, Paris, Minard, 1979.

**რუდო, 1998** — Roudaut J. „Le temps et l’espace sacré dans la poésie d’ Apollinaire”, Paris, Gallimard, 1998.

მარინა სიორიძე

**„ქვედალოცვები“ („SOUS-CONVERSATION“) ნატალი  
საროტთან**

MARINA SIORIDZE

**Metaphors and Puns in Guillaume Apollinaire’s Works**

Summary

By means of metaphors and puns Apollinaire expresses subtle changes in his mood ranging from the melancholic disposition of a lover to sorrow or humour. His poetry is simultaneously philosophical and plain, visual and figurative. However, the leitmotifs are not emphasized but conveyed in a plain manner. For instance, the perception of the passing time is reflected in the changeable landscape of Mirabeau bridge.

„ახალი რომანის“ დაბადების თარიღის დადგენა ძნელია. „ახალი რომანის“ ტრადიციული რომანისაგან გამოყოფა XX საუკუნის 50–იან წლებში დაიწყო. ეს სახელი შეარქვეს 1950 წელს გამოცემულ რამდენიმე წიგნს. პირველად კი ამგვარი ტიპის ნაწარმოები „ტროპიზმები“ ნატალი საროტმა 1939 წელს გამოსცა. 1956 წელს იგი გამოცემს „ექვების ხანას“ ლიტერატურულ ესეს, რომელშიც უპირისპირდება რომანის ტრადიციულ ხედვას. ამ ნაწარმოებით იგი აღწერს **რობ გრიეს, მიშელ ბიუტორის, კლოდ სიმონისა** და სხვათა გვერდით ახალი რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელი ხდება.

ნატალი საროტს არავითარი თეორია არ ჰქონდა გამომუშავებული, როცა 1932 წელს რომან „ტროპიზმების“ წერა დაიწყო, მაგრამ „ახალი რომან“ პირველ თეორეტიკოსად მას აღიარებენ. სხვა ახალი რომანისტების მსგავსად საროტი სრულიად უარყოფს ამბავს, პერსონაჟსა და ხასიათს. ის ფსიქოლოგიის წინააღმდეგეცაა. ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ანუ წმინდა ფსიქოლოგია, საროტისათვის არის არაცნობიერი, ქვეცნობიერი, მისი უმცირესი, შეუმჩნეველი გამოვლინებები, მიკროდრამები, რომლებიც ამოძრავებენ ყოველ არსებას, ამის გადმოცემას სიუჟეტი ვერ შეძლებს, საჭიროა საუბრის იქით მყოფი ქვესაუბარი (sous—conversation), სიტყვების იქით – ქვეტექსტები, შინაგანი მონოლოგი, ცნობიერების ნაკადი. მოვლენები, აღწერები, ობიექტური სიტუაციები ქრება და ადვილს უთმობს დიალოგებს, საუბრებსა და რეაქციებს არაცნობიერში. სიტყვების ობიექტურ მნიშვნელობას არავითარი აზრი არა აქვს. ნამდვილი რეალობა იმალემა მათ უკან „მეს“ არაცნობიერში, რომელიც ძალიან ღრმად არის ჩამალული ადამიანში. ამ სიღრმეებშია ჩასვლა საჭირო და აღმოჩნდება რა იმალემა საუბრის, სიტყვების, ფრაზების მიღმა – უამრავი შეგრძნება, სახე, მოგონება, იმპულსი, რომლებსაც ვერავითარ

რი ჩვეულებრივი სიტყვებით ვერ გამოხატავ და ვერ ახსნი. ისინი ცნობიერების ზღურბლთან დგანან, შემდეგ ერთდებიან კომპაქტურ ჯგუფებად და ხანდახან გამოიჭრებიან გარეთ, შემდეგ ისევ იშლებიან, ქმნიან ახალ კომბინაციებს, სხვა ფორმას იღებენ, იმ დროს როცა გარეგნულად ადამიანებს შორის არ წყდება ჩვეულებრივი, ბანალური საუბარი – სიტყვების უწყვეტი ნაკადი. წმინდა ფსიქოლოგია ავტორისათვის არის ცნობიერების ველის ხატვა წმინდა მდგომარეობაში, პერსონაჟისა და გონების ჩარევის გარეშე. საუბარი საროტისათვის კომუნიკაციის საშუალება კი არ არის, არამედ ის, რაც იმალება მათ უკან. „ნაუცბათევი თვალის მოვლება გარშემო, ხელჩაუვლები კონტაქტი, რომელიც მყარდება ორ ადამიანს შორის უფრო საინტერესოა, ვიდრე დახატო პერსონაჟი ისე, რომ ის ვილაცას დაემსგავსოს“.

ამგვარად, მომავალი რომანი უნდა იყოს გაუცნობიერებელი განცდებისა და ყესტების, ინსტიქტური მისწრაფებებისა და „ქვესაუბრის“ ჩანაწერი. ეს მიაჩნია საროტს ნამდვილ რეალიზმად. „ვინ არის ჩემთვის ნამდვილი რეალისტი მწერალი? – ვინ შეიძლება იყოს, თუ არა ის მწერალი, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს (როგორც არ უნდა იყოს მისი მიზანი, გაართოს თანამედროვეები, ასწავლოს რაიმე თუ იბრძოლოს მათი ემანსიპაციისათვის) ხელი ჩავლოს იმას, რაც მას რეალობად ეჩვენება ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლებად მოიტყუოს, არაფერი შეამციროს ან დამალოს იმ წინააღმდეგობებისა და სირთულისა, რომელიც რეალობას ახასიათებს და მთელი გულწრფელობით მიმოიხილოს სიღრმეები, რომელთა წვდომის უნარიც გააჩნია“.

ამ ხაზს ატარებს ნატალი საროტი თავის ხუთივე რომანში. რომანებში „უცნობის პორტრეტი“ და „მარტერო“ მოცემულია მთხრობელი, რომელიც „ამბავს“ ჰყვება. მთხრობელს სურს მოხუცისა და მისი ქალიშვილის ქცევაში, საუბრებსა და ურთიერთდამოკიდებულებაში ხელი ჩავლოს დამალულ, არაცნობიერ გაფიქრებებს, იმ ფარულ სინამდვილეს, რომელიც მომენტალურად ჩნდება ხოლმე და მაშინვე ქრება. მთხრობელს სურს ადამიანის „შინაგანი პეიზაჟის“ „სიღრმეს შეეხოს“, რომელიც ერთდროულად იზიდავს და აშინებს. ამით მას სურს ჩასწვდეს ორი ადამიანის შინაგანი არსების ჭეშმარიტებას.

რომანში რამდენიმე პლანია. მთხრობელი აკვირდება ორ ადამი-

ანს – მამასა და შვილს, ერთი მხრივ, მიმდინარეობს წინააღმდეგობა მთხრობელსა და მამა-შვილს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, თვითონ მოხუცსა და ქალიშვილს შორის. ამ ორ დაჯგუფებას შორის ის განსხვავებაა, რომ მოხუცი და ქალიშვილი ჩაფლულნი არიან ყოველდღიურობაში და დაუფიქრებლად მისდევენ მას, მთხრობელს კი გაცნობიერებული აქვს თავისი გადაწყვეტილება. მამა-შვილის ჩვეულებრივი ბანალური საუბრების დროს, მათი უმნიშვნელო მოქმედებისას მთხრობელი თითქოს ახერხებს კიდევ მისწვდეს რაღაც ნიუანსებს ურთიერთუნდობლობისა, სიძულვილისაც კი, რომელიც გარეგნულად არ ჩანს მათ ქცევასა და დიალოგებში. მოძრაობის თუ მიმოხვრის უმცირეს დეტალში ისეთ რაიმეს ამჩნევს, რასაც სიტყვები ვერ ავლენენ. „სხეული ხომ არასოდეს არ ცდება. ცნობიერების ჩარევამდე ის იწერს, აგროვებს და შემდეგ შეუბრალებელი მოულოდნელობით უამრავ, უსასრულო და ხელშეუვლებ გაბნეულ შთაბეჭდილებებს გვიჩვენებს“. ამ ძიებისას მთხრობელი სიგიჟემდე მიდის, რადგან, როგორც კი ჰგონია, რომ საბოლოოდ მიხვდა, რა ხდება იმ ადამიანებში, რა მიკროდრამა თამაშდება, მაშინვე ხელიდან ეცლება მიგნებული ნიუანსი. დაბოლოს, როცა რწმუნდება, რომ ადამიანური ბუნების ჭეშმარიტების დადგენა შეუძლებელია, ხელს აიღებს ყველაფერზე, ემორჩილება ცხოვრების ყოველდღიურ დინებას, პასიურად აგრძელებს ცხოვრებას და ემსგავსება სხვებს. სხვებსავე უსმენს საუბრებს. ინდიფერენტულად უყურებს მოქმედებებსა და ყესტებს და კვლევას თავს ანებებს. ყველაფერი წესრიგში მოდის

ნატალი საროტის შემდეგ რომანებში „პლანეტარიუმსა“ და „ოქროს ნაყოფში“ ანონიმური მთხრობელიც ქრება. პირველში ამბისა და პერსონაჟების მკრთალი კონტურები მაინც შეიმჩნევა, ხოლო მეორე სრულიად აბსტრაქტულია. „პლანეტარიუმის“ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, ალენი და ჟიზელი, ოცნებობენ, როგორ მოაწყობენ ხუთთაბიან ბინას, რომელსაც დეიდა მისცემს. ალენს ლიტერატორის პრეტენზია აქვს, დიდი გემოვნების პატრონად მოაქვს თავი და ამიტომ ძველებური აგვის კოლექციას აგროვებს. წარმოიდგენენ, რა საინტერესო სადამოები ექნებათ ახალ ბინაში, რომელი ცნობილი მწერლები მოიყრიან მათთან თავს და ა.შ. მთელი რომანი არის ცოლ-ქმრის დავა დეიდასთან, რომელიც არ უთმობს ბინას და, მეორე მხრივ, ცოლის დეიდასთან, რომელიც ვერ შელევია ძველებურ სავარძელს. ხანდახან გამოჩნდება გავლენიანი და მოღუპილი მწერალი ქალი,

რომელიც ალენს მფარველობს. რა შუაშია პლანეტარიუმი? იონესკოს ზოგიერთი პიესის მსგავსად, სახელწოდებას აქაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ თუ ჩავუკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ეს სახელწოდება რომანის ძირითად აზრს გამოხატავს.

ნატალი საროტი ყოველთვის ორპლანიანია. ერთი პლანი ზედაპირულია, გარეგნული, მოჩვენებითი, რაც პირველი შეხედვით ჩანს ან ისმის, მეორე კი – სიღრმისეული, შინაგანი, უხილავი, ნამდვილი. ამ ორი პლანის ურთიერთშეჯახებით ირკვევა ის დამალული მისწრაფებები, რომლებიც ამოძრავებენ ცოლ-ქმარს, ყველა საშუალებით რომ სურთ წავლიჯონ ბინა დეიდას. ჩანს ისიც, რა უნიჭო, უსუსური და უპიროვნოა ალენი, რა სიყალბეშია ჩაფლული და რა ყალბი ხალხი ახვევია გარშემო, იმ დროს, როდესაც გარეგნულად ყველა თითქოს პიროვნებას წარმოადგენს. პლანეტარიუმი ნამდვილი ცა კი არ არის, არამედ ხელოვნური. ხელოვნურია, რადგან „პერსონაჟები“ პიროვნებებს თამაშობენ, ამაღლებულ მისწრაფებებზე, გემოვნებასა და ლიტერატურაზე აქვთ საუბარი იმ დროს, როცა მათი შინაგანი ბუნება უსუსურობასა და სიმდაბლეს მეტყველებს. თითოეული მათგანი მოქმედებს იმ სამყაროს შიგნით, რომელიც თვითონ შეუქმნა თავის თავს. აქედან დასკვნა: როგორც პლანეტარიუმი ვერ მოგვცემს ნამდვილ და ზუსტ შთაბეჭდილებას მზისა და პლანეტების სისტემისა, ასევე, ვერავითარი გარეგნული მოძრაობა თუ ჩვეულებრივი საუბარი, ვერავითარი ხასიათი და ძველებური წესებით პიროვნების ხატვა ნამდვილ ადამიანს ვერ გამოხატავს. ყველაფერი, რაც ზედაპირზეა – ყალბია, ხელოვნურია, ხოლო რაც სიღრმეშია – ნამდვილი. ამიტომ აქვს საროტს ორგვარი საუბარი: ერთი ზედაპირული – ყალბი და მეორე – „ქვესაუბარი“ – ნამდვილი არსის მაჩვენებელი. ყოველივე ამას ნატალი საროტი ხატავს ფსიქოლოგიური ანალიზის გარეშე, არ ერევა, როგორც ამხსნელი ანალიტიკოსი. იგი მხოლოდ ფიქსაციას გვაწვდის.

საროტის რომან „ოქროს ნაყოფის“ მთავარი „გმირი“ გახლავთ ამავე სახელწოდების რომანი „ოქროს ნაყოფი“. ნაწარმოები აგებულია დიალოგებზე, გამონათქვამებზე, აზრების სხვადასხვაობაზე. რის შესახებ? რომან „ოქროს ნაყოფის“ შესახებ. უსახელო და უჩინარი პერსონაჟები მსჯელობენ ახალგაშობულ რომანზე და იმაზე, რაც მისმა გამოცემამ გამოიწვია, მაგრამ დასანახი რეალობა არ არის მოცემული; რომანში არ არის არც რომანის ავტორი, არც გამომცემე-

ლი, არც მკითხველი. ერთი ნაწილის აზრით ეს რომანი შედევრია, მეორენი კი სისულელედ თვლიან, მთელი რომანი ამ აზრების ან ურთიერთდამთხვევა ან შეჯახება.

ნატალი საროტის ყველა რომანში მოცემულია ადამიანებსა და საზოგადოებაში გამეფებული სიყალბე. ადამიანთა „არანამდვილი არსებობა“. ეს არის უპიროვნო მასის ცხოვრება, რომელიც თავს იმშვიდებს ილუზიებით, ნიღბით ცხოვრობს, თამაშობს როგორც თავის თავთან, ასევე სხვებთან. სარტრის აზრით, არც ერთ მწერალს ეს თემა რომანის ძირითად მოტივად არ გადაუქცევია, რადგან ის რომანის ჟანრისათვის არ არის დამახასიათებელი. შესაძლებელია ეს იყოს პაროდია „მეს“ სიღრმეების ძიებისა, რადგან თხრობის ტონი ალაგ-ალაგ ირონიულია, მაგრამ ძირითადი მაინც, სარტრის აზრით, არის „სველა კერძოდან ზოგადამდე... ურვით მოცული ძიება ნამდვილი დამოკიდებულებისა სხვებთან, თავის თავთან და სიკვდილთან“... „საროტმა გამოიმუშავა ტექნიკა, რომელიც საშუალებას აძლევს ფსიქოლოგიის მიღმა დაინახოს რეალობა მისსავე არსებობაში“ ასკენის სარტრი ნატალი საროტის რომანის ერთ-ერთ წინასიტყვაობაში.

დაბოლოს, თავის რომანებში ნატალი საროტი ცდილობს წარმოადგინოს ადამიანთა შინაგანი სამყარო, ცნობიერების მოძრაობა, რომელიც მეტყველების, ე.წ. "ქვედიალოგების" ("sous-conversation") მიღმა იკვეთება და რომელსაც მწერალი "ტროპიზმებს" უწოდებს. ამით იგი ამხელს ენისა და საზოგადოებისათვის დამახასიათებელ მთელ რიგ პირობითობებს. მის ნაწარმოებებში სრულიად შეცვლილია პერსონაჟის, მთხრობელისა და ამბავის სტატუსი, როგორც ეს ზოგადად ახალ რომანს ახასიათებს.

ლიტერატურა

**გაზე, 1976** – Gazier M. Nathalie Sarraute : une avanturière intérieure. Éditions Galiimard, 1976.

**მოლბუა, 1994** – Maulpoix J.M. Le bout de la langue à propos de N. Sarraute. Libération, 1994.

**ნურისიე, 1984** – Nourissier F. Une article dans Le Figaro Magazine, 20 octobre, 1984.

**საროტი, 1970** – Sarraute N. Vous les entendez ? Éditions Galiimard, 1970.

**საროტი, 1980** – Sarraute N. L' usage de la parole. Éditions Galiimard, 1980.

**საროტი, 1990** – Sarraute N. Ce que je cherche à faire. Le Figaro Magazine, 10 septembre, 1990.

ნატალია სარბულაძე

MARINA SIORIDZE

**'Sous conversation' in Natalie Sarot's Works**

Summary

Natalie Sarot's works present interesting insights into man's inner world, they reveal subtle changes of the conscious reflected in the so-called 'sous conversation'. By calling the latter tropisms the writer stresses the existence of conventions typical of a language community. In Sarot's works the status of characters and the narrator is completely altered as is the main trait of the 'nouveau roman'.

**სიმბოლური ხატოვანება და მისი სპეციფიკა ზოგნობის შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში**

მოცემული სტატია ეძღვნება სიმბოლური ხატოვანებისა და მისი სპეციფიკის კვლევას ზოგნობის შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ფრანგულსა და ქართულ ენებში.

საინტერესოა ფრაზეოლოგიის კვლევა კულტურათმცოდნეობის თვალსაზრისითაც. ფრაზეოლოგია სწორედ ის სფეროა, სადაც ყველაზე ნათლად ვლინდება ამა თუ იმ ხალხთა ეთნოფსიქოლოგია და ეროვნულობა. მათი ყოფის, კულტურის, ზნე-ჩვეულებებისა და ტრადიციების თვითმყოფადობა, აგრეთვე მათი ხატოვანი აზროვნების განუმეორებელი ხერხები და საშუალებები.

ფრაზეოლოგთა მნიშვნელოვან ნაწილში არსებობს აზრი იდიომების „არამოტივირების“ შესახებ, რომელიც მათი შინაგანი ფორმის დავიწყებით არის გამოწვეული. მართალია, იდიომების წარმოშობის მეორადობას არავინ უარყოფს, მაგრამ მათი მოტივირება მკვლევართა მიერ ფაქტობრივად იგნორირებულია. ამასთანავე, ფრაზეოლოგია თავის შემადგენლობაში შემოინახავს მრავალ სიტყვას, სიტყვათშეხამებასა და სტრუქტურას. მათ ძალუბთ მიაწოდონ მკვლევარს ენის განვითარების გზების შესახებ ზედმიწევნით საინტერესო მასალა მისი სტადიების, ფუნქციონირებისა და ტენდენციების შესახებ. პოეტურ ენაში მეტაფორასა და სხვა საშუალებების გვერდით საკმაოდ ხშირად იხმარება სიმბოლიკა. პოეტური სიმბოლიკა, ისევე, როგორც პოეტური მეტაფორა, ინდივიდუალურია, იცვლება ერთი პოეტის შემოქმედებიდან მეორემდე, მაგრამ ენაში არსებული სიმბოლიკის წარმოქმნის მექანიზმი, ისევე, როგორც მეტაფორები, პოეტის სფეროს გარეთ აგრძელებს ფუნქციონირებას, წარმოქმნის სულ სხვა სიმბოლოებს. ეს სიმბოლოები ფრაზეოლოგიის ჩარჩოებში ძალზე ხშირად იღებენ განვითარების იმპულსს ან აღნიშნავენ გარკვეულ სოციალურ მოვლენებს, ფაქტებს, რომლებსაც რეალებს უწოდებენ. ასეთი

სახის სიმბოლოები მოკლებულნი არიან ხატოვანებას, თუმცა მეტაფორის მსგავსად შეიძლება საფუძვლად დაედონ ფრაზეოლოგიური ერთეულის მოტივირებას — იდიომებს. თუ პოეტურ ენაში მეტაფორა და სიმბოლო ახლო დგას ერთმანეთთან, ყოველდღიურ ენაში ისინი სხვადასხვა პოლუსზე იმყოფებიან. სიმბოლიზაციასა და მეტაფორიზაციას შორის ზღვარის დადგენა ყოველთვის არ არის ადვილი, სიმბოლოს ფუნქციაა შეენაცვლოს რეალის, ხოლო მეტაფორის ფუნქციაა — შექმნას სახელის ახალი აზრობრივი შინაარსი (გაკი, 1988, 13).

იდიომები ენობრივი კოლექტივის კომპეტენციაში მყოფი ენობრივი ნიშნებია, რომელთა საფუძველს იდიომატურობა წარმოადგენს. იდიომი ჩნდება მაშინ, როდესაც აღმნიშვნელი კარგავს პირდაპირ კავშირს აღსანიშნთან და „ახალი აღსანიშნის“ აღსანიშნავად გამოიყენება (საგნის, რეფერენტის, დენოტატის).

ფრაზეოლოგიისათვის დამახასიათებელია ხატოვანი მეტაფორა. ნებისმიერი იდიომი, რომელსაც საფუძვლად უდევს ხატოვანი მეტაფორა, შესაძლებელია ვეცადოთ „გავშიფროთ“ შედარება-მსგავსების აღდგენის გზით, რომელსაც გაივლის იდიომი, მოტივირებული მეტაფორის საფუძველზე.

მეტაფორები, რომლებიც იდიომების საფუძველს წარმოადგენს, ენობრივი კოლექტივის არსებობის გარკვეულ ისტორიულ პერიოდში სტანდარტულ სიტუაციებს გამოხატავენ. თუმცა ცნობილია ისეთი მეტაფორებიც, რომლებიც წარმოიქმნენ არარეალური საგნებისა და მოვლენების შედარების საფუძველზე, უფრო ზუსტად, უხილავ სამყაროსთან კავშირში, რომელიც მხოლოდ ადამიანთა ცნობიერებაში არსებობს.

ზოგიერთ შემთხვევაში საქმე შეიძლება ეხებოდეს საერთოდ აშკარად არარსებულ „რაღაცას“ ან „ვიღაცას“. მაშინ ეს მოწმობს ენის მატარებლის წარმოსახვის უნარს, რომელიც ასევე იღებს მონაწილეობას კომუნიკაციურ პროცესში. მაგალითად, ბუნებაში „მწვანე თავები“ და „თეთრი ბუხები“ არ არსებობენ, ხოლო „თეთრი ყვავები“ — დიდ იშვიათობას წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, ისინი იდიომატიკაში ფიგურირებენ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ასეთი ტიპის ნომინაციები, წესისამებრ, მხოლოდ იდიომატიკაში არსებობს. თუ ადამიანთა წარმოდგენებში არსებობენ ქაჯები, ეშმაკები და ა.შ., ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სიტყვების მიღმა

ცნობიერებაში იმდენად არის ჩადებული გარკვეული ნიშნები, რომ ისინი გამოიყენებიან გადატანითი მნიშვნელობითაც, თორემ თეთრი ყვავები, თეთრი ბუხები, მწვანე თავები წარმოდგენაშიც კი ვერ იარსებებდნენ. ადამიანთა ცნობიერებაში ისინი გარკვეულ რეაქციას იწვევენ, რომელიც შემდეგი ფორმულის საშუალებით შეიძლება გადმოგვეცა: რაღაც, რაც საერთოდ არ არსებობს (ჩერდანცევა, 1988, 82).

იდიომების მოტივირებას საფუძვლად უდევს არა მარტო მეტყველების ხატოვანი სახეები, არამედ სხვა საშუალებებიც, რომლებიც პირდაპირ არ არიან დაკავშირებული ხატოვან გადააზრებასთან; ერთ-ერთი ასეთი საშუალებათაგანია სიმბოლიზაცია.

ენობრივი სიმბოლოს სპეციფიკა მდგომარეობს ენობრივი ნიშნის მოტივაციაში, რომელიც დაკავშირებულია არა მარტო მნიშვნელობის გადატანასთან, როგორც ეს ტროპებს ახასიათებს, არამედ სამყაროს სურათთან, ფონურ ცოდნასთან და პრაგმატიკასთან, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

ცხოველთა სამყაროს ამსახველი „კინეტიკური იდიომატიკის“ საფუძველზე შევეცდებით წარმოვადგინოთ ენაში მიმდინარე ფრაზეოლოგიზაციის რთული პროცესი, დაკავშირებული როგორც დენოტატის სიმბოლიზაციასთან, ასევე მეტაფორასთან. ტერმინს „კინეტიკური ფრაზეოლოგია“ ვუწოდებთ იდიომებს, რომელთა მოტივირებას საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, ქესტის აღწერა, ხოლო, მეორე მხრივ, შინაგანი ორგანოებისა და სხეულის ნაწილების რეაქცია გარესამეტყველო და არასამეტყველო გამლიზიანებლებზე. ვეყრდნობით რა აქ რ. იაკობსონის ცნობილ გამონათქვამს, რომ სამყაროში მომხდარი ყველა მოვლენა შეიძლება სიტყვიერად გადმოიცეს, მხედველობაში ვიღებთ განვლილ ფრაზეოლოგიზაციის პროცესს, ვერბალიზებულ ქესტებს და შინაგანი ორგანოების რეაქციებს გარე გამლიზიანებლებზე (ჩერდანცევა, 1988, 86).

ქესტების საფუძველზე მოტივირებული იდიომების თავისებურებებს სწორედ მათი სიტყვიერი აღწერა წარმოადგენს და ამასთანავე მასთან დაკავშირებული სიმბოლიკაც, რომელიც თითქმის არასდროს ემთხვევა თავად ქესტის პირველად სიმბოლიკას.

ქესტები, პრინციპში, ყოველთვის სიმბოლოურია, თუმცა როდესაც ქესტი ვერბალური ხდება (სიტყვიერდება), ის უფრო ხშირად განიცდის ფრაზეოლოგიზაციას. როგორც ჩანს, ეს იმიტომ ხდება, რომ

თუმცა საყრდენი კომპონენტები (მონაწილეობენ რა ქესტის აღწერაში კერძოდ, სხეულის გარკვეული ნაწილი, გარკვეული ორგანო) ერთნაირად აღიქმებიან ენის ყველა მატარებლის მიერ მათი საწყისი მნიშვნელობებით, თავად ქესტი აღიქმება არაერთმნიშვნელოვნად. სიმბოლიზაცია კი უფრო ხშირად მოითხოვს ერთმნიშვნელოვნებას, რომელიც უპირველესად მიიღწევა ფრაზეოლოგიზაციის საშუალებით. ხდება ერთგვარი „ხელშეკრულების დადება“ იმასთან დაკავშირებით, რომ ქესტი გულზე ან „მუცელზე დაწყობილი ხელები“ („გულხელდაკრეფილი“) („les mains croisées“) ფრანგულ და ქართულ სოციუმში ვლინდება მაშინ, როდესაც ადამიანმა უბრალოდ არ იცის, სად წაიღოს ხელები, ფრაზეოლოგიზებულ შესიტყვებაში ქესტი „გულ-ხელდაკრეფილი“ შეიძლება ნიშნავდეს რაიმეს გაკეთების სურვილის არქონას, უსაქმურობას ან პირიქით, შრომის შემდეგ დასვენებას. ამავე ქესტმა შეიძლება გამოხატოს რაიმე საქმის გაკეთების აუცილებლობისადმი უსუსურობა.

კინეტიკურ ფრაზეოლოგიას მიაკუთვნებენ არა მარტო ფრაზეოლოგიზირებულ ქესტებს, არამედ გარე გამლიზიანებლებით გამოწვეულ შინაგან ორგანოთა რეაქციებსაც, ასევე გრიმასებს, თვალების გამომეტყველებას და ა.შ. ასეთი მიდგომა გამოხატავს მის მიმართ იმ შეხედულებას, რომ მისი ფუნქციონირება ორმხრივი კომუნიკაციური პროცესის მატარებელია.

სიტუაციის ორივე მონაწილეს, იმისგან დამოუკიდებლად, რომელი ენობრივი სოციუმის წარმომადგენლები არიან, თავისი ორგანიზმის შესაძლებლობების, უპირველესად კი შინაგანი პროცესების გარეგნული გამოხატვის შესახებ გარკვეული ფონური ცოდნა გააჩნიათ, რომლებიც დაკავშირებულია გარე გამლიზიანებლებზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ გარკვეული სიმბოლიკა გააჩნიათ, თუმცა არაერთნაირად გამოხატული.

საკუთარი შეგრძნებების გამოხატვისას, ადამიანები არ მიიჩნევენ თავიანთ ორგანიზმს ერთგვარ მანქანად, რომელიც თავისი ფუნქციის „მე“-დან აბსტრაქტირდება. ამიტომაც, ლაპარაკობენ რა საკუთარ თავზე, ისინი ცალ-ცალკე ორგანოებს იმ ფუნქციებს კი არ მიაწერენ, რომელსაც ისინი ასრულებენ, არამედ გარკვეული დოზით იმ ქმედებებს, რომელთაც თვითონ მიაკუთვნებენ (ჩერდანცევა, 1988, 89).

ამასთან დაკავშირებით აუცილებლად რთულდება ურთიერთგაგება და იკვეთება ფრაზეოლოგიზაციის წარმომქმნელი სისტემის მექა-

ნიზმი, ე.ი. მოტივირებული ქესტების საფუძველზე წარმოიქმნება იდიომები, ორგანოთა რეაქციები, რომელთაც გარე გამლიზიანებლები იწვევენ. უნდა აღინიშნოს, რომ ვერბალიზაციის დროს ხდება ქესტის და განსაკუთრებით, შინაგან ორგანოთა რეაქციების აღწერა, რომელიც შეიძლება ძალზე მიახლოებითი იყოს. ფრაზეოლოგიზაციის პროცესი განსხვავდება ვერბალიზაციისაგან უპირველესად იმით, რომ ფრაზეოლოგიურ ერთეულსა და ვერბალურ ქესტს, ანუ გარე გამლიზიანებლის რეაქციას შორის პირდაპირი კავშირი იკარგება, ე.ი. იკარგება დენოტატი, მხოლოდ სიმბოლო ხდება საერთო. ამასთანავე სიმბოლო გამოიხატება სიტყვა-ნიშნებით ან სიტყვათშეხამებით, იგი თავისი არსით ნიშნის ნიშნად გვევლინება. „კინეტიკური იდიომატიკა“ მოიცავს „ანიმალისტურმა სომატიზმებმა“, რომელთა საშუალებით საინტერესოდ გაიშალა მეტაფორიზაციისა და (ენობრივი სიმბოლიკის) სიმბოლიზაციის პროცესი ფრანგულ და ქართულ ენებში.

ქესტების საფუძველზე მოტივირებული „ანიმალისტური სომატიკები“ ფრანგულ ენაში მიუთითებენ: ა) შინაგან თვისებაზე: **montrer patte blanche** (თეთრი თათის ჩვენება) — პირობითი ნიშნის მიცემა, რათა გზა გაუხსნან სადმე (მომდინარეობს ზღაპრიდან მგელსა და კრავზე) — კეთილსაიმედო, ლოიალური ადამიანი; ან ფიზიკურ მდგომარეობაზე: **ne battre plus que d'une patte** (ცალი თათით ცემა) — ილაჯამოცლილი; **trainer de l'aile** (ფრთის თრევა) — მოქანცვა, არაქათის გამოცლა; ბ) სხვადასხვა სახის მოქმედებებზე, კერძოდ, ფიზიკური შეურაცხყოფა; **coller (flanquer) un pain sur la gueule à qn** (ბურის სახეში სროლა) — სილის გაწვნა, გარტყმა; **carder le poil de qn (vinmes balnis CeCa)** — ზურგზე ბოლის ადენა, მიბეგვა; გააფთრებით ბრძოლა: **donner du bec et de l'aile (an de l'ongle)** (ნისკარტით, ფრთით, ბრჭყალებით ბრძოლა) — კბილებით თავის დაცვა; **casser les pattes à qn** (თათების მომტვრევა) — ზიანის მიყენება; **faire des pattes d'araignée** (ობობას საცეცების გაკეთება) — ღიტინი, ლუტუნ; **attraper par la peau du dos** (ზურგის ტყავში ხელის წაღება) — ქეჩოში ჩაღება; **tanner la peau** (ტყავის თრიმღვა) — ცემა-ტყეპა; **mésurer leurs griffes** (ბრჭყალების აზომვა-გაზომვა) — ძალების მოსინჯვა; **souffler au poil de qn** (ვინმეს ბეწვზე სულის ბერვა) — ვისიმე ხელისგულზე ტარება; **faire peau de tambour** (დოლის ტყავის გაკეთება) — ჩხირკედელაობა.

მიმდევრის საფუძველზე მოტივირებული იდიომები მიუთითებენ: ა) სხვადასხვა ტიპის მოქმედებებზე: **pincer le bec** — ტუჩების მო-

პრუწვა, გაბუტვა, გაფხორვა; **faire le bec à qn** (ნისკარტის გაკეთება) — პრანჭვა-გრეხა; **donner du bec** (ნისკარტის მიწვევა) — კოცნა, ამბორი; **claquer du bec** (ნისკარტის წკაპუნა) — შიმშილისაგან კბილების კაწკაწი; ბ) სახის გამომეტყველების შეცვლაზე: **avoir le bec de travers** (მოღრეცილი ნისკარტის ქონა) — სახის მოღრეცა.

ფრანგულისაგან განსხვავებით ქართულში „კინეტიკური ფრაზეოლოგია“ წარმოდგენილია მხოლოდ **ქულების** საფუძველზე მოტივირებული იდიომებით, რომელთა ბირთვის რეალია „კული“ წარმოადგენს და აღნიშნავს სხვადასხვა ხასიათის მოქმედებებს; „**კულის ქნევა**“ პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს კულის მიმოხვრას აქეთ-იქით. როდესაც ძალი ან კატა ადამიანისაგან საჭმელს მოელის, კუღს აქნევს ხოლმე და ამით გამოხატავს თავის ალერსს. ადამიანში პირუტყვის ასეთი მოქცევა აღძრავს გულუხვობასა და მისთვის ყველაფერს გაამეტებინებს (თ. სახოკია, 1950). აქედან გამომდინარე „**კულის ქნევა**“ იქცა ალერსის, მოფერების, გაიძვერობისა და თვალთმაქცობის სიმბოლოდ. „**კულის მოქნევა**“, რომლის პირდაპირი მნიშვნელობაა კუღის მომართვა დასარტყმელად, ცუდ, არასასიამოვნო საქმის ჩადენას გულისხმობს; დამორჩილება, დაჭერა და დაუფლება მოიაზრება იდიომში „**კულში ხელის წავლება**“. მძიმე სასჯელის სიმბოლოდ შეგვიძლია ჩავთვალოთ „**კულით დაბმა**“; ვინაიდან კულით დაბმულს არ შეუძლია აიწყვიტოს. არანაკლები აგრესია იგრძნობა იდიომში „**კულით დაჭერა**“, რაც ვინმეს შეპყრობასა და არგამოშვებას ნიშნავს. ფიზიკური ანგარიშსწორება მოიაზრება იდიომში „**ზურგზე ტყავის აძრობა**“, ხოლო რეალია „**კლანჭი**“ — წართმევის, მოტაცებისა და ხელში ჩაგდების სიმბოლოდ წარმოგვიდგება იდიომში „**კლანჭის გამოკვრა**“.

უარყოფითი კონოტაციური მნიშვნელობების საპირისპიროდ შეგვხვდა იდიომები დადებითი კონოტაციური მნიშვნელობითაც: „**თითზე შეწვა ქათმისა**“ და „**კულის აწევა**“. პირველ შემთხვევაში ნაგულისხმევია ადამიანი, რომელიც ყველა ღონეს იხმარს ვინმეს საამებლად, ამდენად ის თავდაუზოგველობის სიმბოლოა, ხოლო მეორე შემთხვევაში კი დასუსტებული, დავრდომილი ადამიანია მხედველობაში, რომელსაც დახმარება სჭირდება. აქედან გამომდინარე, „**კულის აწევა**“ ან „**კული ავუწიოთ**“ — შველა-დახმარების სიმბოლოდ შეიძლება ჩაითვალოს.

იდიომთა ტიპოლოგიური კვლევა მნიშვნელოვანია იმით, რომ

იგი საშუალებას მოგვცემს გავერკვეთ მის სირთულეში და აქედან გამომდინარე, დავადგინოთ რა მსგავსება-განხვავება არსებობს ამ ორ არამონათესავე ენას შორის. მსგავსი კვლევა ხელს უწყობს კულტურათა შორის დიალოგის დამყარებას.

ლიტერატურა

**გაკი, 1988** — Гак В.Г. Метафора, универсальное и специфическое. Метафора в языке и тексте. Москва: Наука, 1988.

**ლოსევი, 1982** — Лосев А.Ф. Знак. Символ. Миф. Труды по языкознанию. Москва: наука, 1982.

**სახოკია, 1950** — სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. 1950.

**ჩერდანცევა, 1988** — Черданцева Т.З. Метафора и символ. Москва: наука, 1988.

ღამამარე ლიტერატურა

Французско-русский фразеологический словарь, под ред. Я.И. Речкера. Москва: Прогресс, 1963.

**რეი, შანტო, 1984** — Rey A., Chanteau S., Dictionnaire des expressions et locutions. Paris: Robert, 1984.

NATALIA SURGULADZE

### Symbolic Expressiveness and Specificity in Zoonymic Phraseological Units in French and Georgian

Summary

As is known, symbolization is one of the means of idiom motivation. The specificity of verbal symbols lies in their motivation. The latter implies not only meaning transference but a certain type of presuppositional knowledge as well as pragmatic loading.

The paper explores a complicated process of phraseologization which is closely tied with denotatum symbolization and metaphors. The study has been carried out on the material of French and Georgian kinetic idioms. The analysis has proved that French phraseological units are based on gestures and mimicry, whereas Georgian idioms are focused on gestures only. ‘The

tail’ forms the nucleus of the idioms in question. In both languages zoonymic idioms have either a negative or positive connotation. .

ელენე ფილაშვილი

### მწკრივთა თანამიმდევრობის მოდელები სტატიკურ ზმნა-უმეზამენლიან პარატაქსულ კონსტრუქციებში

ქართულში გვაქვს ზმნების ერთი ჯგუფი, რომელიც ენის განვითარების უძველეს საფეხურს ეკუთვნის. სახელდობრ, იმ საფეხურს, როცა ზმნა მინიმალურად განსხვავდებოდა სახელისაგან. ე.ი. „როცა სახელისა და ზმნის დიფერენციაცია ძალიან სუსტი იყო (ზმნა მდგომარეობას აღნიშნავდა და ეს მდგომარეობა თვისების მსგავსად უცვლელი იყო დროში)“ (ჩიქობავა, 1950). ეს ზმნები „მოქმედებას ერთ ვითარებაში წარმოადგენს“ (შანიძე, 1980). სტატიკა ეს არის „მოქმედება“ უძრავ მდგომარეობაში.

სტატიკური ზმნები მწკრივანაკლია. ყველა სტატიკურ ზმნას საკუთარი აქვს აწმყო, მაგრამ ნამყო წარმოებისას თავს იჩენს სხვადასხვაობა, რის მიხედვითაც ისინი ორ ჯგუფად იყოფა: ერთს აკლია ნამყო უწყვეტელი, მოეპოვება ნამყო წყვეტილი, ხოლო მეორეს აკლია ნამყო წყვეტილი და სამაგიეროდ მოეპოვება ნამყო უწყვეტელი.

„აღნიშნული კლება ორგანულია“, ძველთაგან თანდაყოლილი. შევსება ხდება ახლად შემუშავებულ მწკრივებში მყოფადის წრისაში, რომელიც წარმოიშვა I სერიის დაშლის ნიადაგზე ასპექტის გამოხატვის სისტემის შეცვლის გამო. ე.ი. სტატიკურ ზმნებს, რომლებსაც აქვთ საკუთარი აწმყო და ნასესხები წყვეტილი, ნამყო წყვეტილში ფორმებს სესხულობენ დინამიკური ვნებითისაგან. ცნობილია, რომ ნამყო უწყვეტელი გადმოგვცემს წარსულში მომხდარ ფაქტს განგრძობითი შინაარსით, რითაც უახლოვდება სტატიკურ ზმნათა სემანტიკას, სწორედ ამიტომ ახალ ქართულში სტატიკური ზმნები ნამყოს გამოსახატავად იყენებს ნამყო წყვეტილის ფორმას, რომელსაც შინაარსი ნამყო უწყვეტლისა აქვს.

ასე რომ, სტატიკურ ზმნათა ნამყოსათვის დამახასიათებელია — ფორმა წყვეტილისა, ფუნქცია — უწყვეტლისა.

წარმოვადგენთ საილუსტრაციო მასალას, რაც ნათლად დაგვანა-



ხვებს, რომ წყვეტილის მწკრივის სტატიკურ ზმნას ბუნებრივად მოსდევს ნამყო უწყვეტლის მწკრივის ჩვეულებრივი ზმნა-შემასმენელი. ეს ზმნები ერთმანეთს უმთავრესად უკავშირდებიან „და“ მაჯგუფებელი კავშირის საშუალებით.

### სტატიკურზმნიანი ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადება

იდგა და...

გაშეშებული იდგა და შემკრთალი უმწერდა ბურანიდან (41, 18-19);

ეზიკია ისევ თავისაზე იდგა და სიტყვას სიტყვაზე ისროდა, სულ მაგარ-მაგარებს (153.12-13);

ლუკა მზეზე იდგა და შრებოდა (191,18);

მონუსხულივით იდგა და ადგილიდან არ იძვროდა (181,12-13);

საკურთხევის წინ დანთებულ სანთელთან ანანო იდგა და ლოცულობდა (362, 15-16-17);

ბიჭი კი იდგა, ასე ჯიუტად იდგა და ელოდა (74,31-32);

გალმა რიყეზე თომა იდგა და ელოდებოდა (30,16);

დათო ფილაქანზე იდგა და ელოდებოდა (30,17);

იგი თავის ფანჯარასთან იდგა და ქუჩას გასცქეროდა (194,16-17);

მეთევზე მოთვინიერებულივით იდგა ამ პატარა ქალიშვილის წინ და ბავშვივით გახარებული, ჩასცქეროდა უნისლო თვლებში (52,6-7-8);

დედა საქმიანად იდგა მაგიდასთან და აუთოვებდა (177,16);

წაბლისფერთმიანი ბიჭი ფანჯარასთან იდგა და გარეთ იხედებოდა (104,1-2);

წუხელ სწორედ იქ იდგა მოყაყანე ქალების ჯგუფი და მამაჩემს უტევდა (65, 18-19);

ანანო ჩვენს შორის ხიდივით იდგა და ერთგვარად გვიადვილებდა მამასაც და მეც ურთიერთობას (456,5-6);

ლაურა საათობით იდგა ხოლმე და ალტაცებული შესცქეროდა დათოს (192-193, 1-2);

მამა დოინჯშემოყრილი იდგა და ღიმილით ჩამომცქეროდა (451, 8-9);

დედაბერი მაცხოვრის ხატის წინ იდგა და პირჯვარს იწერდა,

თან ტუჩებს აცმაცუნებდა (32,23-24);

თავზარი დაეცა აბელს, გაშეშებული იდგა და ხმის ამოღებას ვეღარ ახერხებდა (122, 33-34);

ნისლაურელი დედაბრები ისევ წყაროსთან იდგნენ და მასლაათობდნენ (547, 8-9);

დანარჩენები მშვიდად იდგნენ მის ზურგს უკან და მოთმინებით ელოდნენ მოვლენების შემდგომ განვითარებას (313,32-33-34);

ისინი სარკმელთან იდგნენ და გარეთ იხედებოდნენ (89, 20);

დედა ნატო და ზაქარია ინწკირველი იქვე იდგნენ და საუბრობდნენ (246,19-20);

სადარბაზოსთან ჯარისკაცები იდგნენ და უსაშვოდ შიგ არავის უშვებდნენ (179, 2-3-4);

ისინი სარკმელთან მიუყუდებები იდგნენ და ნოტიო სივრცეს გასცქეროდნენ (94,14-15);

სამივენი ხელჩაკიდებულნი იდგნენ და ცნობისმოყვარე ნაღვლიანი თვლებით აკვირდებოდნენ მოფუსფუსე ხალხს (428, 18-19-20);

სანაპიროზე ვიდექი და ძია ლადოს ველოდებოდი (56, 7-8);

დიდი ხნის შემდეგ ისევ ჩვენ აივანზე ვიდექი და მტკვარს გადავცქეროდი (8, 24-25);

იქვე ვიდექი კედელთან ატუზული და საბას მიერ უცნაურად გადარჩენილ დაღოზე ვფიქრობდი (394,22-23-24).

იჭდა და ...

იგი იჭდა და ელოდა (45,20);

ტახტის უკან თავისთვის იჭდა იატაკზე და ყულაბების სამეფოში გამგზავრებაზე ფიქრობდა (583, 14-15-16);

უზალთუნ-ამირსპასალარი გაჯგომული იჭდა და პირდაპირ იყურებოდა (583, 27-28);

აბელი იჭდა მაგიდასთან და ელოდა (127,27);

აბელი იჭდა და უხმენდა (120,7);

იჭდა თავისთვის და ქუჩაში გასასვლელ კარს მოწყენილი გასცქეროდა (254,1-2);

ძია გრიგოლი ოღნავ შებრუნებული იჭდა და გაღმამაცქერალი თავისთვის ფიქრობდა (146, 19-20);

დაფიქრებული იჭდა და ღრმა ნაფაზით ქაჩავდა პაპიროსს (11, 20-21);

ავგანზე თავჩალუნული **იჭდა** ანდუყაფარი და წიგნს კითხულობდა (175, 13-14);

მათ წინ მურა ნაგაზი **იჭდა** და **იღიმებოდა** (62, 31-32);

ნავის აშიაზე ბოლოქანქარა **იჭდა** და **ცქმუტავდა** (300, 14-15);

პლატონი გაყუჩებული **იჭდა** და მძიმედ **სუნთქავდა** (74,4);

ლადო დილიდანვე ცაცხვის ქვეშ **იჭდა** და ბადეს **კემსავდა** (27,21);

პლატონი მყუდროდ **იჭდა** და თავის წილს უხმოდ **შეეცეოდა** (152, 25-26);

ჯერ კიდევ წუხელ ბოგდანა აქ **იჭდა** და შუალამედე **კერავდა** (289, 11-12);

მე კიბეზე **ვიჯექი** და ანანოს დაბრუნებას **ველოდებოდი** (451, 4-5);

მობუზული **ვიჯექი** და თვალს ვეღარ **ვწყვეტიდი** კარიაულის გალავნიან სახლს (360, 24-25);

ისინი ბურბუმელაში **ისხდნენ** და ქალაქს **გაჰყურებდნენ** (191,18);

ისინი კიდევ საკმაო ხანს **ისხდნენ** ერთმანეთის გვერდით და ხმას არ **იღებენ** (140,16-17-18);

სტეფანე და სახლის პატრონი ცაცხვის ჩრდილში **ისხდნენ** და ნარდს **თამაშობდნენ** (14, 3-4).

#### **ეჭდა და ...**

გოგი ჯორჯაძე სასთუმალთან **ეჭდა** და **ამშვიდებდა** (316, 6-7).

#### **იწვა და ...**

**იწვა** და **უმზერდა** ცას (78, 28);

დათო ჯერ კიდევ ლოგინში **იწვა** და **ნებივრობდა** (241,3);

ძუნა კალათაში ლეკვებიანად **იწვა** და დარცხვენითად **შესცქეროდა** პატრონს (159, 11-12-13);

ალბათ შეშინებული თავისთვის **იწვა** ძველ ჩვრებზე და ხმას არ **იღებდა** (66, 22-23-24);

ლევანი სახურავის ფერდზე გულადმა **იწვა** და **ფიქრობდა** (78,14-15);

გულშედონებული, გამოტილი **იწვა** გზაზე და ძლივს **სუნთქავდა** (608, 18-19);

**ვიწექი** და **ვნებივრობდი** მატყლის საბანში გამოხვეული თუ შეფუთული (343,16-17);

#### **ეგდო და ...**

მგლისფერი მიწაზე **ეგდო** და არ **ინძრეოდა** (70, 20-21).

#### **იყო და ...**

ჩიტი ასაფრენად მზად **იყო** და ხელის აქნევას **ელოდებოდა** (503, 30-31);

ფანჯარა ღია **იყო** და პირდაპირ ქუჩაში **გადიოდა** (144, 11-12);

ახლა თითქოს სიცივე ნოტიო **იყო** და ძვალსა რბილში **ატანდა** (199, 20-21);

დათო თავის ოთახში **იყო** და იქიდან ადევნებდა თვალს (73,11-12);

ლუკაც არ **იყო** ლაპარაკის გუნებაზე და ასე უსიტყვოდ **მიდიოდნენ** ერთ ხანს (230, 20-21);

ესენი თავყანისმცემლები **იყვნენ** და რიხტერის გარეთ გამოსვლას **ელოდებოდნენ** (132, 18-19);

ბიჭები კარგ გუნებაზე **იყვნენ** და სულ ხუმრობა **უნდოდათ** (68, 210).

#### **ეკიდა და...**

ლევანს მისი ტანისამოსი ტანზე ჩვარვით **ეკიდა** და სასაცილო იერს **აძლევდა** (80, 5-6).

სტატკურ ზმნებთან (ფორმით წყვეტილთან, შინაარსით უწყვეტელთან) ზოგჯერ მწკრივთა თანმიმდევრობაში უწყვეტლის ნაცვლად გვხვდება სხვა მწკრივიც. მაგალითად:

#### **იღგნენ და ...**

##### **წვეტილი-წვეტილი**

კართან **ვიდექი** და გარკვევით **გავიგონე** ბავშვის ბავშვის ნაბიჯების ხმა (54, 6-7);

მე ჭიშკართან **ვიდექი** და უნებურად ორღობეს **გავხედე** (453,5).

**წვეტილი – უწვეტილი**

მხოლოდ ფლამინგო **იდგა** გაუნძრევლად ცალ ფეხზე და ტბორში ამოზრდილი პატარა კუნძულიდან ცივად **მისჩერებოდა** მაკას (602-603; 34-1-2);

დრაჰმა პირველისა და დედოფალ ზუზას მარყენივ და მარცხნივ სასახლის დიდებულები **იდგნენ** და უხმოდ უხმოდ **მისჩერებოდნენ** მაკას (575, 10-11-12).

**იწვა და ...**

**წვეტილი – II თურმეობითი**

სახელურმოგლეჯილ კალათაში ამობრუნებული **იწვა** და დაჩუტული მუცელი ბრმა ლეკვებისათვის **მიეშვირა** (137, 1-2-3);

**იყო და ...**

**წვეტილი-წვეტილი**

ბატონი პოლიკარპე მახლობელი ნათესავი და ჭირისუფალი **იყო** ამ ოჯახისაც და ახლაც მფარველად და შემწედ **მოევლინა** (291, 3-4-5);

ისინი დარწმუნებულნი **იყვნენ** ჩემს ბოროტმოქმედებაში და სასჯელიც **დამადეს** (90, 4-5-6);

ესენი დასაფლავებაზეც **იყვნენ** და გუშინაც **მომისამძიმრეს** (518, 14-15).

**უკავშირო**

**იდგა**

**წვეტილი-უწვეტილი**

ლიკა ოთახში ხმაგაკმენდილი **იდგა**, შურისძიებაზე, სამაგიეროს მიზღვაზე **ფიქრობდა** (195, 4-5);

ჯგუფურად **იდგნენ**, **საუბრობდნენ**, პაპიროსს **აბოლებდნენ** (74,29-30).

**წვეტილი – II თურმეობითი**

წისქვილის მეორე ნავზე, მოაჯირს იქით ახალგაზრდა კაცი **იდგა**, შიშველი, თავით ფეხებამდე სველი-წყლიდან ეს-ასაა **ამოსულიყო** (147, 31-32-33).

**იჭდა**

**წვეტილი-უწვეტილი**

დეიდა ნატო ტახტზე **იჭდა**, ხელებს თავში **იცემდა** (272, 14-15);

გელა კმაყოფილი **იჭდა** თავის მაგიდასთან, სიგარეტს **აბოლებდა** (220,7-8);

ნაგაზი იქვე **იჭდა** შემკრთალი, თვალებს ფეთიანივით **აცეცებდა** (67, 26-27);

**წვეტილი-წვეტილი**

აბელი ისევ **იჭდა** გაუნძრევლად, ჩამქრალი თვალებით მოყვირებულ კედელზე **ამოიჩემა** ერთი წერტილი და ბურღვა **დაუწყო** (127, 30-31-32).

**იწვა**

**წვეტილი – II თურმეობითი**

მაიკო ახლა გულადმა **იწვა** ტახტზე, დიდრონი თვალები ჭერისათვის **მიეპყრო** (233,15-16);

იულია ტახტზე **იწვა** გულადმა, თვალები ჭერისკენ **მიეპყრო** (49, 13-14).

**იყო**

**წვეტილი-უწვეტილი**

ნოდარი ფიზიკოსი **იყო**, უნივერსიტეტში ასპირანტურას **ამთავრებდა** (69, 25-26);

გაფითრებული **იყო**, მარჯვენა ლოყა **უთამაშებდა** (74, 13-14);

ჰაერი მძიმე და დახუთული **იყო**, **ცხელოდა** (556,8);

უკვე კარგად **იყო**, სმის ეშხში შესული თვალებს უაზროდ **აცეცებდა** (147,15-16);

**წვეტილი – მეოფადი**

წუხელ ასე **იყო**, ამდამაც ასე **იქნება** (50, 28);

ვერცხლის ქუჩა შორს **არ იყო**, ხიდს **გაივლიდა** აბელი და მერე ცოტაღა **დარჩებოდა** გასავლელი (131, 20-21);

### **წვეტილი — II თურმეობითი**

ყველა თავისი საქმით **იყო** დაკავებული, მთელი მწყემსური ავლადიდება ცხენებისათვის **უნდა აეკიდათ** (406, 21-22).

### **სტატიკურზმნიანი რთული თანწყობილი წინადადება**

**იყო**

#### **წვეტილი-უწვეტიელი**

იგი ძველ სკოლასთან შედარებით ახლოს **იყო** და ლუკა შინიდან უკვე ათი წუთით გვიან **გამოდოდა** (223, 21-22-23);

იქნებ მართლა ყრუ **იყო** და დათომ **არ იცოდა** (149, 25-24);

შემოდგომის სუსხიანი დილა **იყო** და გარეთ გვარიანად **ციოდა** (355, 11-12);

თვითონაც მთვრალი **იყო** და არაფრის თავი **აღარ ჰქონდა** (261, 28-29);

რიყე მდინარეში **იყო** შეჭრილი და ავტოსკოლის გარაჟიდან ბეზოს კედლამდე რამდენიმე ეზოს **გასდევდა** (190-191, 35-36-1);

მთავარი სიძნელე ჯერ გადაულახავი **იყო** და წინ **ელოდებოდათ** (214, 20-21);

ის ამაყი **იყო** და მე **მომწონდა** მისი სიამაყე (44, 11);

ნანასავით ეს ბირველი აღმოჩენა **იყო** ბუნების ერთ-ერთი საიდუმლოსი და გული უცნაური სიხარულით **უჩქროლდებოდა** (95-96, 34-1-2);

### **წვეტილი — ხოლმეობითი**

რკინის ალაცაფის კარი ყოველთვის ჩაგმანული **იყო** და შიგ ბუზიც ვერ **შეფრინდებოდა** (180,8-9);

ზიზი უკვე გასროლილი ტყვიასავით **იყო** და უკან ვერ **მოაბრუნებდი** (488, 10-11);

### **წვეტილი — წვეტილი**

კარი ღია **იყო** და **შემოვედი** (253,10);

ეკლესიის კარი ღია **იყო** და მეც უაზროდ იქით **გავწიე** (362, 10-11);

### **წვეტილი — I თურმეობითი**

ანანო საქმით **იყო** გართული და თავი არ **აუღია** (393,17);

### **წვეტილი — II თურმეობითი**

ძალზე გამხდარი **იყო**, მაგრამ სახე მზეს **შეერუჯა** და ჯანსალი იერი დაჰკრავდა (186, 24-25).

**იდგნენ და ...**

#### **წვეტილი-წვეტილი**

გვირაბში იქნებ მართლაც წესიერად **იდგნენ** სკოლის ამხანაგები და მე ცუდად **შევხედე** (111,12-13-14).

**უკავშირო**

**იჭდა**

#### **წვეტილი - უწვეტიელი**

საპარკმახეროს წინ ჯარისკაცების ჯგუფი დავინახე, ზოგი ტროტუარის კიბეზე **იჭდა**, ზოგი ფეხზე მდგარი **საუბრობდა** (472, 10-11);

ალაცაფის წინ დიდ ქვაზე ბიჭი **იჭდა**, მხარზე გუდასტვირი **ჰქონდა** გადაკიდებული (567, 14-15-16).

**იყო**

#### **წვეტილი — უწვეტიელი**

ცივი დღე **იყო**, ნაცრისფერი მტკვრიდან მსუსხავი ქარი **უბერავდა** (254,33-34);

ქუჩაც თითქოს ცარიელი **იყო**, მხოლოდ ანტონას ღუქნის წინ **ირეოდა** ხუთიოდე მამაკაცი (160, 16-17-18);

დეკემბრის უკანასკნელი დღე **იყო** ნოტიო, სუსხიანი, სუსხი ძვალსა და რბილში **ატანდა** (240,28-29);

**ეგდო**

#### **წვეტილი — წვეტილი**

მისი ნავი ახლა ნაპირზე **ეგდო**, გუშინწინ **ამოათრია** შესაკეთებლად (14.18-19).

კაფანდარა **იყო** საშუალო ტანისა, ნაცრისფერი კოსტუმი და თეთრი გაქათქათებული პერანგი **ეცვა** (138, 7-8-9)

**სტატისტიკური ზმნათა ნამყო წყვეტილი პარატაქსული კონსტრუქციაში**

№	სტატისტიკური ზმნა	დინამიკური ზმნა						
		უწყვ.	მყოფ.	ხოლმ.	წყვეტ.	I თურმ.	II თურმ.	საერთო რაოდენობა
1	იღვა	30	—	—	3	—	3	36
2	იჭდა	25	—	—	1	—	—	26
3	ეჭდა	1	—	—	—	—	—	1
4	იწვა	7	—	—	—	—	1	11
5	ეგდო	1	—	—	1	—	—	2
6	იყო	22	2	2	6	1	2	35
7	ეკიდა	1	—	—	—	—	—	1
	საერთო რაოდენობა	87	2	2	11	1	6	112
	პროც.:	78%	2%	2%	11%	2%	6%	100%

გაანალიზებული მასალიდან ჩანს, რომ კომპონენტ ზმნა-შემასმენელთა თანმიმდევრობა განსაზღვრულია, ჯერ სტატისტიკური ზმნაა, შემდეგ დინამიკური, რასაც განაპირობებს სტატისტიკური ზმნათა სემანტიკა, კერძოდ, ჯერ გადმოცემულია საგნისა და მოვლენის ესა თუ ის მდგომარეობა, შემდეგ კი ამ მდგომარეობაში მიმდინარე მოქმედება.

ნათელია, რომ ნამყო წყვეტილის ფორმის მქონე სტატისტიკური ზმნა უმთავრესად გვხვდება დინამიკურ ზმნათა ნამყო უწყვეტლის მწკრივთა თანამიმდევრობაში და სტატისტიკური ზმნები ბუნებრივად იგუბენ უწყვეტლის მწკრივს.

როგორც ერთგვარშემასმენლიანი, ისე რთული ქვეწყობილი წინადადებები, რომელშიც ერთ-ერთ ზმნა-შემასმენლად გვაქვს ნამყო წყვეტილის სტატისტიკური ზმნა, ყურადღებას იქცევს სინტაქსურ-მორფოლოგიური თვალსაზრისით, — ასეთ სტატისტიკურ ზმნათა სემანტიკა უტოლდება უწყვეტლისას. ასე რომ, სტატისტიკურ ზმნათა ნამყო ფორმით წყვეტლია, ხოლო შინაარსით — უწყვეტელი.

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკურ ზმნას ბუნებრივად მოსდევს ნამყო-უწყვეტლის მწკრივის დინამიკური ზმნა-შემასმენელი. ეს ზმნები პარატაქსული კონსტრუქციაში ერთმანეთს უმთავრესად უკავშირდებიან „და“ მაჯგუფებელი კავშირით ან უკავშიროდ.

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა, 1885.

**ბურჭულაძე, 1979** — გ. ბურჭულაძე, ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების შესახებ ქართულში, არნ. ჩიქობავას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ. 1979.

**დოდაშვილი, 1830** — ს. დოდაშვილი, შემოკლებული ქართული გრამატიკა, 1930.

**ენუქიძე, 1987** — ლ. ენუქიძე, ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბ. 1987.

**კვაჭაძე, 1988** — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ. 1988.

**კიზირია, 1969** — ნ. კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძვ. ქართულში, თბ. 1969.

**ფეიქრიშვილი, 1996** — ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, ქუთ. 1996.

**ქუთათელაძე, 1888** — არ. ქუთათელაძე, პირველი დაწყებითი ქართული გრამატიკა: თბ. 1888.

**შანიძე, 1980** — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ. 1980.

**ჩიქობავა, 1968** — არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, მეორე გამოცემა, თბ. 1968.

**ჩიქობავა, 1950** — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I. 1950.

**ჩიქობავა, 1950** — არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ. 1952.

**ძიძიგური, 1973** — შ ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ. 1973.

**ჭიკაძე, 1995წ** — რ. ჭიკაძე, წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში, თბ. 1995.

წყაროები

**არ. სულაკაური** — მოთხრობები, რომანი, ზღაპრები, თბ. 1986.

**არ. სულაკაური** — ლირიკული საუბრები, თბ. 1990.

**არ. სულაკაური** — „ოქროს თევზი“, თბ. 1966.

ELENE PILASHVILI

თავარ ჯანაშვილი

**Models of Series Sequences in Paratactic Constructions  
with Static Verb-Predicates**

Summary

By comparing static and dynamic verbs the paper reveals the nature of the latter. The observations on series sequences have proved that in paratactic constructions the static verbs in the Aorist are usually followed by the dynamic verbs in the continuous mtskrivis. They are joined either by the coordinative conjunction da (and) or with no conjunction. In such cases the static verbs, though used in the past tense, semantically have a continuous meaning.

**„ინტერაქციული სიმულაციების“ ჩარჩოები ფრანგული  
ენის შესასწავლი ზოგიერთი მულტიმედიაური  
პროგრამის მაგალითზე**

ტექნოლოგიების გამოყენება უცხო ენის შესასწავლად ათწლეულებს ითვლის. მანუენოს თქმით, „უცხო ენები მეცნიერების იმ დარგთაგანია, რომლისთვისაც ყველაზე ხშირად და ყველაზე ადრე მიმართავენ ინფორმატიკულ წყაროებს“ (მანუენო, 2002, 129).

ბერტენი (2001) პედაგოგიკაში ინფორმატიკის გამოყენების ისტორიაზე საუბრისას, ევოლუციის სამ ეტაპს გამოყოფს. თავდაპირველად, იგი 1960 წლით დათარიღებულ პროგრამულ სწავლებაზე ამხვილებს ყურადღებას, რომელიც სკინერის ბეავიორისტულ თეორიებს მოჰყვა. ევოლუციის მეორე ეტაპი 1970 წელს, სემიურ პაპერის მიერ განხორციელებულ ექსპერიმენტს უკავშირდება, როცა კომპიუტერი კარგავს ტიუტორის როლს და აქცენტი მოწაფის სურვილებსა და შესაძლებლობებზე გადადის. მესამე ეტაპი საკომუნიკაციო მეთოდების პოპულარიზაციას უკავშირდება, როდესაც მეცნიერებმა განიზრახეს დაეახლოვებინათ პროგრამისა და სალაპარაკო ენა, რისთვისაც კომპიუტერს უნდა გაეშიფრა ამა თუ იმ ენის სემანტიკური ასპექტები და კონკრეტული შეკითხვებისთვის ადეკვატური პასუხები გაეცა.

უკვე 1990 წლიდან, ანუ ნამდვილი მულტიმედიის დაბადებიდან, იწყება მსჯელობა მის მთავარ ღირსებაზე — ინტერაქციულობაზე.

შეგვიძლია თუ არა ვისაუბროთ ნამდვილ ინტერაქციაზე ენის შესასწავლ პროგრამებში? მოცემულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, ზოგიერთი ტერმინის განმარტების შემდეგ, გავანალიზოთ ფრანგული ენის შესასწავლ სხვადასხვა პროგრამაში და ერთ-ერთ CD ROM-ში შემოთავაზებული სიმულაციები.

კერბრა-ორეკჩიონის თქმით, „ინტერაქცია შეიძლება განიმარტოს, როგორც ადგილი კოლექტიური აქტივობისა რაიმე აზრის ჩამოსაყალიბებლად, აქტივობისა, რომელიც მიზნად ისახავს დასრულებულ ან შეწყვეტილ ექსპლიციტურ თუ იმპლიციტურ ურთიერთობას“

(კერბრა-ორეკჩიონი, 1990, 28).

სიმულაცია კი არის პედაგოგიკური ხერხი, რომელსაც უცხო ენის შესწავლისას განსაკუთრებით საკომუნიკაციო მეთოდების დაწინაურების შემდგომ მიმართავენ და რომლის ძირითადი მიზანია მოწაფეს შეაძენინოს საკომუნიკაციო კომპეტენციები (დეუანი, 2001).

კარეს განმარტებით, „სიმულაცია სტატიკური და უძრავია, მასში იმპროვიზაცია თითქმის უკუგდებულია, წინადადებები კი მყარად სტერეოტიპული და სპეციალური ტერმინებით დატვირთული“ (კარე, 1983, 138).

ფრანგული ენის შესასწავლ სავარჯიშოებზე დაკვირვებისას ორი ტიპის სიმულაციას ვხვდებით:

პირველი ტიპი, ანუ ე.წ. „ღია“ სიმულაციები (**Les simulations ouvertes**), ითვალისწინებს კომპიუტერის ერთ რეპლიკაზე მოწაფის ერთ პასუხს, როდესაც ამ უკანასკნელს ეძლევა როლი და ზეპირად პასუხობს ეკრანზე გამოჩენილი ვირტუალური პერსონაჟის შეკითხვებს. მოცემული ტიპის სიმულაცია მოწაფეს ავალდებულებს, კონკრეტული საკომუნიკაციო სიტუაციისთვის ადაპტირებული ფრაზები ააგოს. დიალოგის სქემა სწორხაზოვანია და მოწაფე უძღვრება შეცვალოს იგი.

სიმულაციათა მეორე ტიპს შერჩევითი, ანუ „დახურული“ სიმულაციები წარმოადგენს (**Les simulations à choix multiples**). ამგვარი სიმულაციები მოწაფეს სთავაზობს არჩევანს რამდენიმე (ძირითად სამ) რეპლიკას შორის. მოცემული სიმულაციების ორი ქვეტიპი გამოიყოფა:

ა) ისეთი სიმულაციები, რომლებიც მოცემული სიტუაციისთვის მაქსიმალურად ადაპტირებული პასუხის მოძიებას გულისხმობს;

ბ) სიმულაციები, რომელთა მიზანია ინფორმაციის მაქსიმუმის მოძიება.

**1. Je vous ai compris 2 (JVC 2)** (ავტორები: ივ შვეალიე, დომინიკ პერენი, ბეტინა დერვილი; უნივერსიტეტი — ლილი 3).

ფრანგული ენის შესასწავლ მოცემულ პროგრამაში, კონკრეტულად კი რუბრიკაში სახელწოდებით „ინტერაქტიული თავგადასავლები“ მომხმარებელს ეძლევა როლი და ხდება მონაწილე სხვადასხვა ინტერაქციისა. თითოეული დიალოგი ითვალისწინებს სისტემის მიერ ჩაწერილ ხუთ რეპლიკას და მომხმარებლის მიერ გაცემულ ხუთ პასუხს, რომელიც იწერება მიკროფონის საშუალებით. მაგალითად,

ერთ-ერთ ინტერაქციაში სახელწოდებით „აეროპორტი“ მოწაფემ უნდა შეასრულოს როლი პერსონაჟისა, რომელიც დაპატიჟებულია ტულუზაში მეგობრებთან. პარიზში, გარ დე ნორში მისული, იგი უნდა ჩაჯდეს საზოგადოებრივ ტრანსპორტში და მივიდეს რუასიმდე, შემდეგ კი გაფრინდეს თვითმფრინავით. მატარებლისა და თვითმფრინავის ბილეთის ყიდვისა თუ მეგობრებთან საუბრის პროცესში მოწაფე ეხმარება ეკრანზე გამოჩენილი ვირტუალური პერსონაჟის რეპლიკებს. დიალოგები ეძღვნება ყოველდღიური ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ყოფით სცენებს. საუბრის დასასრულს, მოწაფეს შეუძლია მოუსმინოს საკუთარ დიალოგსა და ნახოს ეტალონი დიალოგის ტრანსკრიპცია.

JVC 2-ში შემოთავაზებული ინტერაქციები ღია სიმულაციათა კატეგორიას მიეკუთვნება, სადაც მომხმარებლის ინტერვენცია ვერ შეცვლის მის სქემასა თუ პრაგმატულ ორიენტაციას და ნებისმიერ შემთხვევაში აპოვინებს იმ რეპლიკას, რომელიც წინასწარ ჩაწერილი დიალოგის ნაწილია. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სისტემა უძღვრება შეაფასოს მომხმარებლის მიერ გამოგონილი რეპლიკები და შესთავაზოს მას დაშვებული შეცდომების გასწორების ხერხები.

ინტერაქციაში „აეროპორტი“ შემოთავაზებულ დიალოგებზე დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია ვისაუბროთ მათ ტიპოლოგიაზე. სირთულის თვალსაზრისით, მოცემული ე. წ. „ხელოვნური“ (გამოგონილი) დიალოგები ხუთ კრიტერიუმს ითვალისწინებს. ესენია:

1. სცენარების წინასწარი განჭვრეტისა და მოქნილობის ხარისხი;
2. მოწაფის მიერ განსახორციელებელი ინტერვენციის ტიპი (რეაქციული ან რეაქტიულ-ინტერვენციული);
3. აქტივობის პირობის სირთულის ხარისხი;
4. მოწაფის მიერ გამოსაგონებელი ენობრივი აქტების რაოდენობა და ტიპი;
5. იმპლიციტურობის ხარისხი.

თითოეულ კრიტერიუმს თუ შევუსაბამებთ ორ ან სამ დონეს (სირთულის მიხედვით), რომელთაც შემდგომ დავუკავშირებთ პროგრამის დიალოგებს, აღმოვაჩინებთ, რომ შემოთავაზებული დიალოგები ორი ტიპისაა:

1. პირველ ტიპს მიეკუთვნება დიალოგები, სადაც მომხმარებელთა ინტერვენცია მხოლოდ რეაქციულია:

**მაგალითი 1<sup>1</sup>**

*Maintenant faites votre déclaration de vol au commissariat.*

1L2 : Bon, je vais prendre votre déclaration. Ça s'est passé où?

2L1 : Dans le RER, à la gare du Nord, j'ai été bousculé, je pense que c'est là qu'on m'a volé.

3L2 : Et qu'est-ce que vous avez perdu comme papiers?

4L1 : Ma carte d'identité et mon permis de conduire.

2. მეორე ტიპის დიალოგების ინტერვენციები კი რეაქციულ-ინიციატიური ხასიათისაა პრაგმატულ-ცნებითი თვალსაზრისით, ისინი უფრო რთულია და, შესაბამისად, მათი წინასწარ განჭვრეტა ნაკლებად შესაძლებელია (დააკვირდით შემდეგი მაგალითის დახრილ ფრაზებს):

**მაგალითი 2**

1L2 : Bonjour!

2L1 : Bonjour! Je voudrais un billet pour l'aéroport d'Orly, s'il vous plaît. Est-ce que c'est direct?

3L2 : Ça dépend, vous prenez Orlyval ou Pont de Rungis?

4L1 : Quelle est la solution la plus rapide?

მოცემული მაგალითის მეოთხე ფრაზის პასუხი შეიძლება ყოფილიყო „Orlyval“ ან „Pont de Rungis“, მაგრამ სავარჯიშოს პირობა მოწაფეს ავალდებულებს ახალი შეკითხვის გამოგონებას.

მაშინ, როდესაც რეალური ინტერაქცია ისეთი საკომუნიკაციო კონსტრუქციების აგებას გულისხმობს, რომელში მონაწილე ადამიანებიც თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, ვირტუალურ ინტერაქციაში მონაწილე ადამიანი (მოცემულ შემთხვევაში, ენის შემწავლელი) იძულებულია, გაითვალისწინოს წინასწარ განსაზღვრული ჩარჩოები. როგორც თავად JVC2-ის ავტორები განმარტავენ, „მოწაფე უნდა მოერგოს პროგრამას და არა პირიქით“ (დერვილი, პერენი, 1998, 67-68). სწორედ „არსებული ზღვრების გათვალისწინება განაპირობებს

სეკვენსის თანამიმდევრულობას“ (მეშლერი, რებული, 1994, 468).


2. **A la recherche d'un emploi** (ავტორები: მაგი პოტიე, ტიერი შანიე, უნივერსიტეტი კლერმონ-ფერანი).

პროგრამის პირველი ნაწილი გვთავაზობს ორ სიმულაციას. პირველი სიმულაციის თემაა გასაუბრება სამსახურში მისაღებად, ხოლო მეორისა — ტელეფონზე საუბარი შეხვედრის დასანიშნად. მოცემული სიმულაციები პროგრამის ძირითადი თემის (დერძული თემის) კონკრეტული ნაწილებია. JVC2-ის დიალოგებისაგან განსხვავებით, ამ პროგრამაში შემოთავაზებული დიალოგების სიმულაციები შერჩევითია, ანუ მომხმარებელს შეუძლია გააკეთოს არჩევანი ეკრანის მარცხენა ნაწილზე გამოჩენილ რამდენიმე რეპლიკას შორის. პასუხზე დილაკის დაჭერით პროგრამა იძლევა რეპლიკათა მომდევნო მწკვრივს. მოწაფის პასუხი ავტომატურად იწერება სისტემაში, რაც მას საშუალებას აძლევს მოისმინოს როგორც საკუთარი მონაწილეობით აგებული, ასევე სისტემის მიერ შემოთავაზებული დიალოგები და შეადაროს ისინი ერთმანეთს. აქტივობები ეფუძნება ვიდეოჩანაწერებს, რითაც შესაძლებელი ხდება თანამოსაუბრის მიმიკებსა და ჟესტებზე დაკვირვება. თუ დავაკვირდებით პროგრამის ნებისმიერ დიალოგს, აღმოვაჩინოთ, რომ ისინი ძირითადად სწორხაზოვანია, მხოლოდ რამოდენიმე რეპლიკა თუ ცვლის მათ სტრუქტურას. ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად არჩევანისა, მომხმარებელი აუცილებლად მოისმენს სისტემაში დაფიქსირებულ, დამსაქმებლის მიერ წარმოთქმულ ათივე რეპლიკას:

<sup>1</sup> ტრანსკრიპციის განმარტება: დახრილი შრიფტი: მოხრობლის მიერ წარმოთქმული ფრაზები და მითითებები. L1: ენის შემსწავლელი. L2: ვირტუალური პერსონაჟი.



### მაგალითი 3<sup>1</sup>



<sup>1</sup> დიალოგის სტრუქტურა:

E: დამსაქმებელი

G. L.: ყვარარ ლევრანი (სამსახურის მაძიებელი).

პირველი და მეორე ინტერვენცია დამსაქმებლის ერთსა და იმავე რეაქციას იწვევს და გადავდივართ შეკითხვაზე ხელფასის შესახებ. მესამე ინტერვენციაში სამსახურის მაძიებელი ითხოვს დაწვრილებით ინფორმაციას სამუშაო პირობების შესახებ, რასაც დამსაქმებლის სხვაგვარი რეაქცია მოჰყვება, მაგრამ როგორც კი ეს უკანასკნელი გასცემს პასუხს მოცემულ შეკითხვას, დიალოგი უბრუნდება ძველ შეკითხვას ხელფასთან დაკავშირებით.

როგორც ვხედავთ, *A la recherche d'un emploi*-ს პირველი ნაწილის სიმულაციების სტრუქტურა ძირითადად სწორხაზოვანია, პროგრამის მეორე ნაწილის, კონკრეტულად — სიმულაციის „L'acte de vente“-ისა კი საკმაოდ განტოტვილია და მოწაფის არჩევანიც სხვადასხვა ალტერნატივას გულისხმობს, ანუ თანამოსაუბრის რეაქციები დიალოგს განსხვავებულ პრაგმატულ ორიენტაციას სძენს. ამგვარ სიმულაციებს მანჯენო (მანჯენო, 1998, 84) „პრაგმატულ სიმულაციებს“ უწოდებს.

მოცემული დახურული სიმულაციების მიზანია კონკრეტული სიტუაციისათვის მაქსიმალურად ადეკვატური პასუხების მოძიება. აქვე საინტერესოა თუ რა კრიტერიუმით უნდა განისაზღვროს ამა თუ იმ პასუხის ადეკვატურობა? პროგრამაში შემოთავაზებული რეპლიკების ანალიზმა დაგვანახა, რომ არ არსებობს „სწორი“ ან „მცდარი“ პასუხი. უბრალოდ, სწორად ითვლება ის რეაქცია, რომელიც ყველაზე გამართლებულია რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში. როგორც მენჯენო (მანჯენო, 1996, 61) აღნიშნავს, „რელევანტურია ცნება, რომელიც ყველაზე უკეთ ერგება თავის კონტექსტს“. აქედან გამომდინარე, შერჩევითი სიმულაცია კონტექსტისთვის ზედმიწევნით მორგებული პასუხის პოვნას გულისხმობს.

### 3. Versailles, complot à la cour du roi Soleil (კულტურულ-გასართობი CD ROM-ი).

მაშინ, როდესაც „A la recherche d'un emploi“-ში მოცემული „დახურული“, ანუ შერჩევითი სიმულაციები კონკრეტული რეპლიკისთვის მაქსიმალურად მორგებული პასუხის გაცემას გულისხმობს, Versailles-ს შერჩევითი სიმულაციების მიზანი რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მოპოვებაა.

აქ მოწაფე ლალანდის როლშია და ლუი XVI-ს პირველი ვეზირის, ბატონი ბონტამის მიერ, დავალებული აქვე მეფის წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულების ჩაშლა. შემოთავაზებული რეპლიკები შინა-

არსობრივად სხვადასხვაგვარია. ისინი ან რეაქციულია, ან რეაქციულ-ინიციატიული.

#### მაგალითი 4<sup>1</sup>

*Le Brun* : Eh bien, Monsieur que voulez-vous?

- *Vous semblez contrarié, Monsieur.*

- Vous rendez-vous au grand lever, Monsieur?

- Au revoir...

*Le Brun* : On le serait à moins. Je devais, ce matin, poursuivre la décoration de plafonds mais quelqu'un m'a dérobé mes esquisses.

- *Qui donc aurait pu commettre pareil larcin, Monsieur?*

- Que représentent vos esquisses, Monsieur?

- Vous voulez parler des plafonds de la petite galerie?

- Au revoir...

*Le Brun* : Je ne sais pas, mais ce château se nourrit de complots. Que Mignard mène encore une cabale contre moi ne me surprendrait guère.

- *Que représentent vos esquisses, Monsieur?*

- Pourquoi soupçonnez-vous Mignard?

- Au revoir...

*Le Brun* : Simplement tous les motifs que je dois peindre aujourd'hui sur les plafonds du salon de la guerre. Vous comprenez mon embarras.

- Qui donc aurait pu commettre pareil larcin, Monsieur?

- *Monsieur Bontemps m'a chargé d'une enquête. Si vous le voulez, je pourrais également me renseigner sur vos esquisses.*

- Veuillez me pardonner, Monsieur, mais je n'ai rien vu qui ressemble à

<sup>1</sup> დიალოგის სტრუქტურა:

E: დამსაქმებელი

G. L: ჟერარ ლევრანი (სამსახურის მაძიებელი).

<sup>1</sup> მოწაფის მიერ შერჩეული რეპლიკები მოცემულია მეტი, დახრილი შრიფტით

vos esquisses.

- Au revoir...

მოცემულ მაგალითში, რომელიც ტიპურია ამ პროგრამისათვის, ერთი და იგივე რეპლიკა რამდენიმეჯერ მეორდება. ადრე თუ გვიან, მოწაფე აუცილებლად აირჩევს სისტემის მიერ შემოთავაზებულ ყველა რეპლიკას. რეპლიკის „au revoir“ არჩევის შემთხვევაში, დიალოგი მაინც არ დასრულდება მანამ, სანამ მოწაფე არ დააგროვებს რეპლიკების გარკვეულ რაოდენობას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემული ტიპის სიმულაციის მიზანია ინფორმაციის მაქსიმუმის დაგროვება.

4. **Qui est donc Oscar Lake?** (ინგლისურ ენაზე შექმნილი პროგრამა, რომელიც შემდგომ ოთხ ენაზე ითარგმნა).

პროგრამაში მოწაფე ასრულებს მთავარ როლს. მან უნდა იპოვოს დაკარგული ბრილიანტი და მისი სავარაუდო ქურდი, სახელად Oscar Lake. ზემოთ განხილული პროგრამებისაგან განსხვავებით, რომლებშიც ინტერაქციები საერთო აქტივობათა გარკვეულ ნაწილს წარმოადგენს, **Qui est donc Oscar Lake** არის პროგრამა, რომელიც მთლიანად სიმულაციებზეა აგებული. დილაკზე დაჭერით ვისმენთ სისტემის მიერ შემოთავაზებულ და მოწაფის მიერ მოგონილ რეპლიკებს. აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მომხმარებლის მიერ წარმოთქმული რეპლიკების უმრავლესობა წარმოადგენს ერთი და იმავე სამეტყველო აქტის განსხვავებულ ფორმულირებას:

#### მაგალითი 5

*Cécile Caprice*: Est-ce votre métier?

- Qui, je suis marchand de diamants.

- Qui, J'achète et je vends des diamants.

#### მაგალითი 6

*Un collaborateur de Madame Valcourt*: Oui?

- Je voudrais voir Madame Valcourt.

- Bonjour. Je suis un ami de Madame Valcourt.

მაგალითებიდან ჩანს, რომ ყველა რეპლიკა კორექტულია ლინგვისტურად, სემანტიკურად და პრაგმატულად. მოცემული სიმულაციების მიზანი არ არის მოწაფემ ამოარჩიოს სწორი პასუხი მცდარ პასუხებს შორის, უბრალოდ Versailles-ს მსგავსად, საჭიროა, დააგროვოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. დიალოგთა სტრუქტურა ძი-

რითადად სწორხაზოვანია, მოწაფის მიერ შერჩეული რამდენიმე რეპლიკა თუ იწვევს მის განტოტვას.

**მაგალითი 7**

*Le commissaire de police: Reconnaissez-vous Oscar Lake?*

<b>-Qui est Oscar Lake?</b>	<b>- Est-ce que je ressemble à Oscar Lake?</b>
<i>Le commissaire: Oscar Lake est un voleur international.</i>	<i>Le commissaire: Oscar Lake est un maître dans l'art du déguisement.</i>
- Comment est Oscar Lake?	Personne ne sait à quoi ressemble Oscar.
- Est-ce que je ressemble à Oscar Lake?	- Pourquoi pensez-vous que je suis Oscar Lake?
	- Qui vous dit que je suis Oscar Lake?

მაგალითიდან ჩანს, რომ მოწაფის არჩევანი თავდაპირველად ახდენს გავლენას დიალოგის სტრუქტურაზე, მაგრამ მომდევნო რეპლიკებზე დაკვირვებისას ვხვდებით, რომ სისტემა ისევ უბრუნდება დიალოგის ძველ სქემას.

ამრიგად, ზემოთ განხილული ენის შესასწავლ პროგრამებსა და CD ROM-ზე დაკვირვებისას, აშკარად იკვეთება ვირტუალური ინტერაქციის სისუსტე სხვადასხვა კონსტრუქციის აგების, არავერბალური დიალოგების, ამა თუ იმ სამეტყველო აქტის წინასწარ განჭვრეტის პროცესში.

განხილულ აქტივობებს ვერ დავარქმევთ ნამდვილ ინტერაქციას, რადგან სიმულაციათა აგება მთლიანად მოწაფის მიერ სხვადასხვა შეზღუდვების გათვალისწინებით ხერხდება. ლანსიენის (ლანსიენი, 1998, 59) თქმით, „არ შეიძლება ვისაუბროთ ენობრივ ინტერაქციაზე, როდესაც ენის შემსწავლელი იმყოფება პროგრამაში“. ჭეშმარიტი ინტერაქცია მხოლოდ რეალურ სამყაროს უკავშირდება. განხილული აქტივობები უფრო რეპროდუქციულია, ვიდრე ინტერაქციული.

მიუხედავად ამისა, ინტერესი ამგვარი აქტივობების მიმართ მზარდია, რადგან ისინი დადებითად მოქმედებს მოწაფეთა მოტივაციაზე, ეფექტურია ზეპირმეტყველებისა და მართლწერის დასამუშავებლად, ავითარებს მეტალინგვისტურ შემეცნებას, მოწაფის დისკურსიულ მგრძობელობას. ამასთან, ვირტუალური ინტერაქციაზე მსჯე-

ლობისას, ისევ ძალაში რჩება ძველი, მაგრამ კვლავ აქტუალური შეკითხვა: შეიძლება კი მკვლევრები პროგრამული ენის დახვეწას ისე, რომ მან შეძლოს დიალოგური ინტერვენციისას მოწაფის იმპროვიზაციის გათვალისწინება?

ბიბლიოგრაფია

**ბერტენი, 2001** — Bertin, J-C. (2001). *Des outils pour des langues*. Paris: Ellipses.

**დეჟანი, 2001** — Dejean, Ch. (2001, décembre). Intérêt et limites des “simulations d’interactions“. In R. Bouchard & F. Mangenot (Ed.), *Interactivité, interactions et multimédia* (Vol. 5). Lyon : ENS Editions.

**დერვილი, პერენი, 1998** — Derville, D. et Perrin, D. (1998). “Je vous ai compris : un outil multimédia pour l’autonomie”, *Les Cahiers de l’Asdifle*, 9.

**კარე, 1983** — Caré, J-M. (1983). “Jeux de rôles”, *Le français dans le monde*, 176.

**კერბრა-ორეკჩიონი, 1990** — Kerbrat-Orecchioni, C. (1990). *Les interactions verbales*, t. 1, Paris, Armand Colin.

**ლანსიენი, 1998** —Lancien, Th. (1998). *Le multiédia*. Paris : CLE international.

**მენგენო, 1996** —Maingueneau, D. (1996). *Les Termes clés de l’analyse du discours*, Paris, Seuil.

**მანუენო, 1998** — Mangenot, F. (1998). “Synthèse de trios cours de FLE sur cédérom”, *Les Cahiers de l’Asdifle, Multimédia et français langue étrangère*, 9.

**მანუენო, 2002** — Mangenot, F. (2002). L’apprentissage des langues. In D. Legros & J. Crinon (Ed.), *Psychologie des apprentissages et multimédia*. Paris : Armand Colin.

**მეშლერი, რებული, 1994** — Moeschler, J. et Reboul, A. (1994). *Dictionnaire encyclopédique de la pragmatique*, Paris, Seuil.

TAMAR KATSANASHVILI

**The Framework of Interactive Simulations**

(on the material of some multimedia programmes for teaching French)

## Summary

Is it possible to consider the activities some multimedia means for teaching a foreign language offer, an interaction? The observations on the interactive simulations some programmes for teaching French suggest, have proved that virtual interactions are the question of the future. The question when the programme language will be able to consider the student's ability for improvisation during an interaction remains to be burning.

ლია ყაგლაშვილი

**ბელგიური ფრანგული და ბელგო-რომანული დიალექტები**

ბელგია სამი ლინგვისტური სფეროს შეხვედრის ადგილია: ჩრდილოეთით — ფლანდრია, სადაც იხმარება ნიდერლანდური ენა; სამხრეთით — ვალონია, ფრანგული ენით და ქვეყნის უკიდურეს აღმოსავლეთით — გერმანული. თუ ამ უკანასკნელს უარვყოფთ, რადგან იგი ვრცელდება ქვეყნის ძალიან მცირე ტერიტორიაზე, შეიძლება ითქვას, რომ ბელგია წარმოდგენილია ორი თანაბარი ლინგვისტური რეგიონით, რომლის ცენტრალური ნაწილი, ბრიუსელი, ფლანდრიული წარმოშობისაა, თუმცა ამჟამად მნიშვნელოვნადაა გაფრანგულებული.

ამ ორი რეგიონის გამყოფი საზღვარი დასავლეთიდან აღმოსავლეთითაა გადაჭიმული: ლილიდან (Lille) ექს-ლა-შაპელისაკენ (Aix-la-Chapelle), რაც გამოწვეული იყო რაინისპირა რეგიონებიდან ფრანკების გადასახლებით სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ბელგიის ტერიტორიაზე რომანულ-გერმანიკული ლინგვისტური საზღვარი შეიქმნა X საუკუნეში და გამოირჩევა სტაბილურობით. თავდაპირველად ეს იყო დიალექტური საზღვარი, რომელიც გამოყოფდა, ერთი მხრივ, ქვემო გერმანიკული ოჯახის კილოებს (des parlers de la famille bas-allemande) და, მეორე მხრივ, d'oïl-ის ოჯახის ნეო-ლათინურ კილოებს (des parlers néo-latins de la famille d'oïl), კერძოდ, ვალონურს (wallon), (რომელიც მოიცავს რომანული ბელგიის თითქმის მთელ ზონას), ასევე პიკარდიულს (picard), ლოტარინგიულსა (lorrain) და შამპანურს (champegnois).

ვალონური დიალექტი გავრცელებულია ბელგიის სამხრეთ ნაწილში: ლიეჟის (Liège), ნამურის (Namur), ლუქსემბურგის (Luxembourg) პროვინციებში და ასევე არდენის (Ardenne) ფრანგული დეპარტამენტის ჩრდილოეთით.

ლინგვისტურ ლიტერატურაში ვალონური დიალექტის უფრო

ვრცელი განმარტებაც არსებობს. რიგ ნაშრომებში ტერმინით «ვალონური» აღინიშნება ბელგიაში არსებული ყველა რომანული დიალექტი; ვალონურის გვერდითაა პიკარდიულის ბელგიური სახესხვაობა, ე. წ. რუში (**rouchi**) და ლოტარინგიულის ბელგიური ვარიანტი, ე. წ. გამე (**gaumais**); რომანული დიალექტების გავრცელების ზონა კი ბელგიის ტერიტორიაზე, შესაბამისად, იწოდება ვალონიად (**Wallonie**), რომელიც რომანისტიკაში გამოიყენება «რომანული ტრადიციების მქონე ბელგიის მნიშვნელობით» (**Belgique de la tradition romane**) და არა მხოლოდ ვალონური დიალექტების გავრცელების ზონად» (**aire des dialectes wallons**).

ჩვენ მიერ ჩამოთვლილი დიალექტები, სხვა მრავალ დიალექტთან ერთად, დასაბამს იღებენ რომის იმპერიის დასასრულს გალიაში დამკვიდრებული ხალხური ლათინურისაგან. ყველა ეს დიალექტი 3 ძირითად ჯგუფში ერთიანდება, რომელთა დიფერენციაციაც შესამჩნევია უკვე IX საუკუნიდან და უფრო თვალშისაცემი ხდება X საუკუნეში. ეს ჯგუფებია:

1. **La langue d'oïl (du nord)** — ჩრდილოეთის დიალექტები, რომლებიც გავრცელებულია გალიის ჩრდილო-დასავლეთით.

2. **La langue d'oc (du midi)** — სამხრეთის დიალექტები, გალიის სამხრეთით.

3. **Les dialectes franco-provançaux** — ფრანკო-პროვანსული დიალექტები, შვეიცარიის საზღვრებთან მდებარე პროვინციებში.

თითოეული ეს მსხვილი ჯგუფი შეიცავს მრავალ დიალექტს. ასე მაგალითად: **La langue d'oïl**-ში გაერთიანებულია ილ-დე-ფრანსის (**ile-de-France ou le francien**), პიკარდიული, ნორმანდიული (**le norman**), ვალონური, ლოტარინგიული, შამპანური, ბურგუნდიული (**le bourguignon**) და სხვა დიალექტები; ხოლო **La langue d'oc**-ში პროვანსული კილოები (**les parlers provençaux**): ლანგედოკური (**le languedocien**), ოვერნული (**l' auvergnais**), ლიმოჟური (**le limousin**), გასკონური (**le gaskon**) დიალექტები.

ჩრდილოეთ გალიაში ვალონური დიალექტების გავრცელების სფერო ისტორიულად მარგინალური არეალის ხასიათს ატარებს ფრანგულ ენასთან დაკავშირებით, რადგანაც მდებარეობდა ამ უკანასკნელის სახელმწიფო საზღვრებს მიღმა.

თავად ფრანგული ენაც **d'oïl**-ის ჯგუფს მიეკუთვნება და დასაბამს იღებს ფრანსიული დიალექტისაგან, რომელიც XII საუკუნიდან სა-

რგებლობდა გარკვეული უპირატესობით სხვა დიალექტებთან შედარებით, რის შედეგადაც გააფართოვა თავისი გავრცელების სფერო და თანდათანობით ჩამოყალიბდა სახელმწიფო ენად.

ამავე პერიოდში (XII-XIVსს) ხდება ვალონური დიალექტის ინდივიდუალიზაცია და მისი საბოლოო იზოლირება ცენტრალურფრანგულია და მეზობელი დიალექტებისაგან (პიკარდიული და ლოტარინგიული). ცენტრალურფრანგული ზონისაგან ვალონური დიალექტის დამოუკიდებლად ხანგრძლივი განვითარების შედეგად ხდება მისი ფორმირება რამდენიმე ადგილობრივი კილოს ერთიანობად, რომლებსაც გააჩნდათ ნიშანთა სპეციფიკური ერთობლიობა.

ვალონური დიალექტის კილოთა ჯგუფებად დაყოფის ამჟამინდელი ფორმა რემაკლის (**Remacle**) მიერაა დადგენილი, რომლის მოსაზრების თანახმადაც არსებობს 2 ვალონური ზონა:

1. ლიეჟის, ანუ აღმოსავლეთ-ვალონური ზონა (**l'est-wallon avec notamment le wallon liégeois**) — მოიცავს ლიეჟის პროვინციას, დინანის (**Dinant**) რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთს, მარშისა (**Marche**) და ბასტონის (**Bastogne**) ოლქების ჩრდილოეთ ნაწილს. ლიეჟის ზონის კილოებში გამოიყოფა შემდეგი სახესხვაობები: უის (**Huy**), აღმოსავლეთ მალმედის (**Malmedy**) და ვერვიეს (**Verviers**) კილოები.

2. ნამურის, ანუ ცენტრალურვალონური ზონა (**centre-wallon ou namourois**) აერთიანებს ნამურის (**Namour**) ოლქს, ფილიპევილის (**Philippeville**) ოლქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს, ჟივეს (**Givet**) ჩრდილოეთ ნაწილს, ასევე დინანის ოლქის ჩრდილოეთს, მარშის ოლქის 3 პუნქტს და ნეფშატოს (**Neufchateau**) ოლქის 2 პუნქტს ჩრდილოეთით.

ბელგიაში არსებულ ვალონურ და არავალონურ ზონებს შორის გამოიყოფა შერეული ხასიათის დიალექტური ზონები. დასავლეთით — ვალო-პიკარდიული, იგივე დასავლურ ვალონური (**wallo-picard ou l' ouest-wallon**) და სამხრეთით — ვალო-ლოტარინგიული ე. წ. სამხრეთ-ვალონური (**wallo-lorrain ou le sud wallon**). როგორც თავად სახელი მიუთითებს, ვალო-პიკარდიული და ვალო-ლოტარინგიული, მეზობელ კილოებთან ერთად ქმნიან გარდამავალ ზონებს, რომელთა გავრცელების სფეროც ძირითადად საფრანგეთში მდებარეობს.

ცნობილია, რომ ენობრივი სისტემებიდან ყველაზე ღია ლექსიკაა, ამიტომაც ლექსიკური ელემენტები უდიდეს ცვალებადობას ავლენენ ენათა ურთიერთობის შედეგად. არამონათესავე ენების ენოვრივი სის-

ტემების ურთიერთობა არ ხასიათდება მათი ძლიერი ურთიერთგეგმვით, რაზეც მეტყველებს რომანულ-გერმანიკული ლინგვისტური საზღვრის სტაბილურობა და სიმტკიცე; ხოლო ახლომონათესავე ენების კონტაქტები ატარებს უფრო ღრმა ხასიათის შედეგებს. ამგვარად, ვალონური დიალექტის მრავალსაუკუნოვანმა კონტაქტმა ფრანგული ენის ისეთ დიალექტებთან, როგორებიცაა პიკარდიული და ლოტარინგიული, წარმოქმნა ვალო-პიკარდიული და ვალო-ლოტარინგიული გარდამავალი ზონები.

ვალონურ, პიკარდიულ და ლოტარინგიულ დიალექტებზე საუბრისას უნდა დავაზუსტოთ, რომ ისინი მიეკუთვნებიან ჩრდილოეთ ვალო-რომანულ დიალექტებს (*des dialectes gallo-romans du Nord*) და არა «ფრანგულ დიალექტებს» (*dialectes français*) ან «ფრანგულის დიალექტებს» (*dialectes du français*).

ვალო-რომანული დიალექტების შემადგენელი ელემენტები მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან *d'oïl*-ის სხვა დიალექტებისა და ფრანგული ენისაგან. შესაძლოა მათი მეტ-ნაკლებად განმასხვავებელი თავისებურება იყოს მათი მნიშვნელოვანი კავშირი ახლობელ გერმანიკულ ელემენტებთან (ნიდერლანდული და გერმანული ენები, ფლამანდიური და რაინის დიალექტები).

ბელგო-რომანული დიალექტების ლექსიკურ ფონდზე მნიშვნელოვანია ფრანკთა გავლენა, რამაც განაპირობა *d'oïl*-ის დიალექტების ორიგინალური ხასიათი და მათი განსხვავება დასავლურრომანული ენებისაგან. მთელი ჩრდილო გალიის ლექსიკურ ფონდში სიტყვების დიდი ნაწილი ფრანკული წარმოშობისაა და, შესაბამისად, ისინი გვხვდება ვალონურში, პიკარდიულში, ლოტარინგიულში და, გარკვეულწილად, ფრანგულშიც, მაგრამ ბელგო-რომანული დიალექტებისგან განსხვავებით, რომლებშიც შენარჩუნებულია ეს სიტყვები, ფრანგულ ენაში ისინი უარყოფილი და შეცვლილი იქნა სხვადასხვა ეპოქაში. ასე მაგალითად, ნამურულ დიალექტში შენარჩუნებულია ფრანკული წარმოშობის სიტყვა «buk», რომელიც ფრანგულ ენაში შეიცვალა სიტყვით «tronc» (ღერო, ტანი), პიკარდიული და ნამურული «oder» — «fatiguer» (დაღლა, დაქანცვა).

ასევე მნიშვნელოვანია შედარებით ახალი გერმანიკული ელემენტების რიცხვი, რომლებიც ნასესხებია ნიდერლანდური და გერმანული ენებიდან; ასევე ამ ენებთან მონათესავე დიალექტებიდან, რაც გამოწვეულია მათი გეოგრაფიული მდებარეობით, როგორც ჩრდილო-

ეთით, ასევე აღმოსავლეთით.

ბელგო-რომანული დიალექტების ლექსიკურ ფონდზე გაცილებით დიდია ფრანგული ენის გავლენა, ვიდრე ახალი გერმანიკული ელემენტების და ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, რომელიც დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო მცირდება, ის არ წყვეტს პროგრესირებას. ეს გავლენა განპირობებულია როგორც ქვეყნის გარედან — საფრანგეთიდან, ასევე თვით ბელგიის შიგა ტერიტორიიდანაც; რადგანაც ვალონიაში ფრანგული ენა კულტურისა და კომუნიკაციის ენად იყო აღიარებული საუკუნეების განმავლობაში, რის გამოც, საფრანგეთიდან ყველაზე მოშორებულ რეგიონშიც კი ფრანგული ელემენტები მნიშვნელოვნად გამოკვეთილია.

შუასაუკუნეების ბელგიაში არსებული ლინგვისტური საზღვარი, რომელიც ერთმანეთისგან ყოფდა რომანულ და გერმანიკულ დიალექტებს, დღესდღეობით წარმოადგენს სტანდარტულ ენათა საზღვარს ნიდერლანდულ და ფრანგულ ენებს შორის. თუმცა აღსანიშნავია, რომ თავისი ისტორიული განვითარების ცალკეულ პერიოდში ფრანგულს ფლანდრიულ მიწაზე გამოყენების სხვადასხვა ეტაპები გააჩნდა. ასე მაგალითად, მას უპირატესობას ანიჭებდნენ ლათინურთან მიმართებით და გამოიყენებდნენ სხვადასხვა აქტსა და წესდებაში XII საუკუნის ვალონიაში. ეს ცვლილება აღწევს ფლანდრიის საგრაფოსა და ბრაბანის საჰერცოგოშიც, ასევე ბრიუსელშიც, სადაც ფრანგული ენა გარკვეულ გავრცელებას პოულობს. არსებული სიტუაცია იცვლება XIV საუკუნეში, როცა ბელგიაში ფრანგულს უჩნდება 2 კონკურენტი: გერმანიკული კილოები დიალექტური საზღვრის ჩრდილოეთით და რომანული კილოები — სამხრეთით. მათი შეჯერებით ფრანგული იმარჯვებს მეორე შემთხვევაში, თუმცა არახელსაყრელ პირობებში აღმოჩნდება — პირველთან.

ვალონური დიალექტი, მთელი მისი ისტორიული ეპოქის განმავლობაში, ხასიათდებოდა ფრანგულ სალიტერატურო ენასთან ურთიერთობით, რომელიც ჰერ კიდევ დიალექტის ფორმირების პროცესში დაიწყო. თავიდანვე აღინიშნებოდა საზოგადოებრივი ფუნქციების გაყოფა ვალონურ დიალექტსა და ფრანგულ ენას შორის; პირველი დამკვიდრდა, როგორც ყოველდღიური ურთიერთობის საშუალება, ხოლო მეორე — ოფიციალურ-საქმიანი ენა. ფრანგული ენის გავლენა ხასიათდებოდა მუდმივი მატებით და მოგვიანებით, ბელგიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, იგი ხდება ქვეყნის სახელ-

მწიფო ენა. თუმცა XIX საუკუნის II ნახევრამდე ვალონური დიალექტი ბატონობდა ყოველდღიური ურთიერთობის სფეროში და ამ ფუნქციით საზოგადოების ყველა კლასის მიერ გამოიყენებოდა. მოგვიანებით, ვალონური დიალექტი, რომელზეც მეტყველებდა სოფლის მოსახლეობა, ხდება ადმინისტრაციული ფუნქციის მატარებელი ელემენტი ადგილობრივ ადმინისტრაციებში. XX საუკუნის II ნახევრიდან ვალონური დიალექტი ნელ-ნელა მკვიდრდება ვალონელი ბილინგვების პასიურ მარაგში, რის შემდეგაც იგი კვლავ გამოიყენება ფრანგული ენის გვერდით განსაზღვრულ ექსპრესიულ სიტუაციებში. ამგვარად, ვალონური დიალექტი ფუნქციონირებს ბელგიური ლინგვისტური სიტუაციის პირობებში არა მარტო როგორც არსებული ფრანგული ენის დიალექტური ფორმა, არამედ როგორც მისი ფამილიარულ-სამეტყველო სტილი, რომელიც უმეტესად ზეპირმეტყველების ფორმით გამოიხატება.

ვალონური დიალექტისა და ფრანგული სალიტერატურო ენის ურთიერთზემოქმედების შედეგად ბელგიაში გაჩნდა ფრანგული ენის არსებობის შუალედური ფორმები, რის გამოც ვალონური გვევლინება ფრანგული ენის ერთგვარ რეგიონალურ ფორმად. ფრანგული ენის ამ სპეციფიკური ფორმის არსებობა აღინიშნება ბელგიური ლინგვისტური ტერმინით «რეგიონალური ფრანგული ენა».

რეგიონალური ფრანგულის სახელით იწოდება საფრანგეთის საზღვრებს გარეთ გავრცელებული ფრანგული ენა (ბელგია, შვეიცარია, კანადა). ამ ქვეყნებში გამოყენებულ ფრანგული ენის სახეობებს შორის განსხვავება, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკაში გამოიხატება. ხშირად ესენია სტანდარტულფრანგული (საფრანგეთში გავრცელებული ფრანგული) სიტყვის ეკვივალენტები: «avant-midi» — *matinée* (დილა). ხოლო «septante», «octante» და «notante» საყოველთაოდ ცნობილი ბელგიციზმები და ჰელვეციზმებია (ფრანგული ენის კონსტრუქცია ბელგიასა და რომანულ შვეიცარიაში) — *soixant-dix* (70), *quatre-vingt* (80) და *quatre-vingt-dix* (90) ფრანგული ფორმებისა.

რეგიონალური ელემენტების წილი ენაში, რომელსაც შეიძლება ენის დიალექტური ნაწილიც ვუწოდოთ, ძალიან მცირეა საერთო ლექსიკურ ფონდთან მიმართებაში, რაც იწვევს მათი გაგების გაადვილებას გავრცელების ფართო ტერიტორიაზე.

დიალექტებში დამკვიდრებული სტანდარტულფრანგული სიტყვების პარალელურად, თავად ამ უკანასკნელის ლექსიკურ ფონდშიც

არსებობს ნასესხები სიტყვების გარკვეული რიცხვი, რომელიც დამკვიდრდა რეგიონალური ენების გავლენით, რომელთა ტერიტორიაზეც გამოიყენებოდა სხვადასხვა დიალექტი.

ფრანგულ ენასთან ხანგრძლივი თანაარსებობის მიუხედავად, ვალონურმა დიალექტმა შეძლო თავისი ინდივიდუალობის შენარჩუნება, რისი ნათელი მაგალითიცაა ვალონური ლიტერატურული ტრადიციების შექმნა XVI საუკუნეში. მოგვიანებით დიალექტური ლიტერატურის აქტივიზაციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ლიტერატურულმა საზოგადოებამ, რომელიც 1856 წელს შეიქმნა ლიეჟში და გააჩნდა საკუთარი სტამბა «Bulletin de la Société de Langue et de Littérature wallonnes», სადაც იბეჭდებოდა როგორც ვალონურ დიალექტზე შექმნილი ლიტერატურა, ასევე სამეცნიერო ნაშრომები ვალონურ დიალექტოლოგიაში. ამრიგად, ვალონური დიალექტი მიეკუთვნება ცოცხალი ლიტერატურული დიალექტების რიცხვს, რომელიც უპირისპირდება დღესდღეობით თითქმის სრულიად გამქრალ ე. წ. «ისტორიულ დიალექტებს», წარმოდგენილებს მხოლოდ ზეპირმეტყველებით.

XX საუკუნის II ნახევრიდან ვალონურ დიალექტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განათლების სისტემაშიც. განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, იგი ხდება ფაკულტატური საგანი დაწყებით და საშუალო სკოლებში. ასევე შედის უმაღლესი ჰუმანიტარული განათლების სისტემაში. ლიეჟის უნივერსიტეტში იქმნება ვალონური ლიტერატურის ისტორიისა და ვალონური დიალექტოლოგიის კურსები, რომლებსაც კითხულობდა ჰაუსტი (J.Haust). ლიეჟისა და ლუვენის უნივერსიტეტებში ფუნქციონირებს დიალექტოლოგიური კვლევის ცენტრები. ვალონური დიალექტი გამოიყენება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, მცირე ტირაჟით გამოიცემა რეგიონალური მნიშვნელობის ვალონური ჟურნალ-გაზეთები. ვალონურ დიალექტზე არსებობს რადიო და სატელევიზიო გადაცემები.

ვალონური დიალექტი სხვადასხვაგვარ სიტუაციაში იმყოფება ბელგიის სხვადასხვა რეგიონში, საზოგადოების სხვადასხვა ფენაში. დიალექტი უფრო მეტად შენარჩუნებულია სოფლად, ვიდრე ქალაქურ ყოფაში; იგი უფრო გამოიყენება მამრობითი სქესის წარმომადგენლების მიერ, ვიდრე — მდედრობითის; ვალონურ რეგიონებში უფრო მეტად, ვიდრე პიკარდიულსა და ლოტარინგიულში.

დღესდღეობით ვალონური დიალექტი მოიცავს რომანული ბელგიის მნიშვნელოვან ნაწილს, გამონაკლისს წარმოადგენს პიკარდიუ-

ლი, ლოტარინგიული და შამპანის გავრცელების ზონები. იგი უმნიშვნელოდ ვრცელდება საფრანგეთშიც, კერძოდ, ჟივეს, ფუმეს (Fumay), რევენის (Revin) რეგიონებში ნამეტრულის სახესხვაობით. XIX საუკუნეში ბელგიური ფრანგული გატანილ იქნა ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც გავრცელდა ვისკონსენის (Wisconsin) ნაწილში.

ლიტერატურა

**ბლანპენი, 1997** — Blampain, Daniel; Goosse, André; Klinkenberg, Jean-Marie; Wilmet, Marc — «Le français en Belgique. Une langue, une communauté», Louvain-la-Neuve, Duculot, 1997;

**გრევისი, 1986** — Grevisse, Maurice; goosse, André — «Le bon usage», 12-e éd, Gembloux. Duculot, 1986;

**კუნე, 1990** — Counet, Marie-Thérèse — «Mots et choses de Wallonie, Aspects du lexique dialectale de nos régions. Catalogue d'exposition SLLW et BDW», Liège, SLLW, 1990;

**პირონი, 1979b** — Piron, Maurice — «Anthologie de la littérature dialectale de Wallonie», Liège, Mardaga, 1979b;

**პოლი, 1979** — Polh, Jacques — «Les variétés régionales du français. Études belges (1945-1977)», Bruxelles, Éditions de l'Université, 1979;

**რემაკლი, 1948** — Remacle, Louis — «Le problème de l'ancien wallon», Liège, Faculté de Philosophie et Lettres, 1948;

**რემაკლი, 1992** — Remacle, Louis — «La différentiation dialectale en Belgique romane avant 1600», Geneve, Droz, 1992.

**ფრანკარი, 1995** — Francard, Michel; Latin, Daniel; (édit) — «Le régionalisme lexical», Louvain-la-Neuve, Duculot, 1995;

**შორანი, 1999** — Chaurand, Jacques — «Nouvelle histoire de la langue française », Editions du Seuil, Janvier 1999;

Petit Atlas Linguistique de la Wallonie (PALW), Liège, Institut de dialectologie wallonne, 3 vol., 1990.

LIA KAVLASHVILI

## Belgian French and Gallo-Romance Dialects

### Summary

As is known, the term Walloon denotes the Romance dialects spoken in Belgium. The Walloon dialects originate from Vulgar Latin spoken in Gallia. They are divided into the following groups:

1. Northern dialects spoken in north-west Gallia.
2. Southern dialects.
3. Franco-Provençal spoken along the border with Switzerland


In the 12-14<sup>th</sup> centuries the Walloon dialect was individualized and isolated from Standard French and other neighbouring dialects.



მეზობა ჩუხუა

ლაზურის თავისებურებანი ჟ. დიუმევილის ტექსტების მიხედვით

ენობრივი მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გაირკვევა, რომ თანამედროვე ლაზები განეკუთვნებიან იბერიულ-კავკასიური მოდემის ქართველურ ჯგუფს. ამავე ნიშნით კავკასიელებიდან ლაზებისთვის ყველაზე ახლომონათესავე დღევანდელი ქართველები აღმოჩნდებიან. შესაბამისად ცხადი ხდება, რომ ლაზური მეტყველება საერთო-ქართველური ფუძე-ენისაგან წარმოიშვა, რაც სქემატურად შემდეგნაირად ჩაიწერება:



სახელები **ლაზი** და **ჭანი** საუკუნეების მანძილზე ურთიერთმონაცვლეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი სიტყვა დღეს თითქმის ერთმანეთის ტოლფასია, ისტორიულად ტერმინ ჭანს უფრო ვიწრო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, როგორც ეტყობა, თავდაპირველად **ჭანი** მიემართებოდა მთაში მცხოვრებ ლაზს, ანუ ჭანი = მთიელი ლაზი.

თანამედროვე ლაზური მეტყველების გავრცელების არეალი მეტად თავისებურია. იგი მოიცავს ტერიტორიას შავიზღვისპირეთში სოფ. სარფიდან ქ. ტრაპიზონამდე. გარდა ამისა, საინტერესოა ლაზთა იმ ნაწილის მეტყველებაც, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს დასავლეთ ანატოლიაში რომ გადასახლდნენ. მათმა დიდმა ნაწილმა ლაზური დღესაც იცის და უფრო ტრადიციონალისტები არიან, ვიდრე ისტორიულ ლაზეთში მცხოვრები თანამოდემები. ტრაპიზონსა და მის შორიანლო ტერიტორიებზე მცხოვრებმა ლაზებმა დიდი ხნის წინ განიცადეს ელინიზაცია. მათ დავიწყებული აქვთ ლაზური, მაგრამ ახსოვთ თავიანთი ლაზური წარმოშობა. ასევე დაკარგული აქვთ ლაზუ-

რი ქ. ტრაპიზონიდან ქ. ზონგულდაქამდე მცხოვრებ ლაზებსაც, ისინი თურქულად მეტყველებენ, თუმცა იციან, რომ წარმოშობით ლაზები არიან. სტამბოლში, ანკარასა და სხვა დიდ ქალაქებში ახალგადასახლებული ლაზები, რომლებიც მხოლოდ წელიწადში ერთხელ და ისიც დასასვენებლად ჩადიან თავიანთ კუთხეში, ლაზურად ვერ ლაპარაკობენ და მეტად მჭიდროდ არიან ინტეგრირებულნი თურქულ საზოგადოებაში.

ლაზური მეტყველება შედგენილობის თვალსაზრისით არც საქართველოში ყოფილა ერთგვაროვანი. როგორც ცნობილია, სარფში ხოფური კილოკავია გავრცელებული, მაგრამ თხირნალში ათინურის ართაშნული თქმისათვის დამახასიათებელი თვისებები შენიშნა არნ. ჩიქობავამ, ხოლო ს. მახოში კი — ვიწური მეტყველება. აფხაზეთში სოფელ შაწკვარაში, ფაჩანთასა და ფშალთილულში, ასევე წარა-შუბარაში (ეშერის თემი), არქაბული და ათინური მეტყველება ვლინდებოდა.

ისტორიულ ლაზეთში ს. სარფიდან ქ. რიზემდე მცხოვრებლებმა ყველაზე უკეთ შემოინახეს ლაზური მეტყველება და ადათ-წესები. ქალაქებიდან განსაკუთრებით ეს ეხება არქაბეს, სადაც საურთიერთობო ენა ლაზურია. ცნობილია ფრანგმა ლინგვისტმა ჟორჟ დიუმევილმა 1930 წელს სწორედ არქაბული კილოკავით დაიწყო ლაზურის შესწავლა. ორი წლის განმავლობაში 1930-31 წწ. არქაბელი ნიაზ ბენისაგან ჩაიწერა სხვადასხვა ხასიათის ტექსტები, რომლებიც 1937 წელს პარიზის უნივერსიტეტის ეთნოლოგიური ინსტიტუტის ნაშრომებისა და მემუარების XXVII ტომად გამოსცა. 1967 წელს გამოცემული „ანატოლიური დოკუმენტები“ 56 არქაბულ ტექსტს შეიცავს, რაც 4 ციკლია გაერთიანებული. საყურადღებოა 1972 წელს „ბედი ქართლისაში“ გამოქვეყნებული შვიდი ტექსტი, რომლებიც უკვე ართაშნული და ხოფური ვარიანტებითაა წარმოდგენილი.

ჟ. დიუმევილის მიერ ჩაწერილი ტექსტები არაერთ ფონეტიკურ-მორფოლოგიურ, სინტაქსურ-ლექსიკურ თავისებურებას ავლენს.

საყურადღებოა პალატალიზებული ხმოვნების გამოჩენა. მათ პირველად აკად. ნ. მარმა მიაქცია ყურადღება. მას პალატალიზებული **ლ** და **შ** უმლაუტის ნიშნითა აქვს გამოხატული — **ჭ**. არათურქული წარმომავლობის სიტყვებში ჟ. დიუმევილიც პალატალიზებულ ხმოვნებს გრაფიკულად უმლაუტის ნიშნით გადმოგვცემს, რასაც პროფ. ნ. ქუთელიამ მიაქცია ყურადღება: კოჩი ოხომუშიში მოხუცი ი ის ნა

უჭოფუ შე ეფე ქომეჩუ „კაცი რომ თავის სახლში მოვიდა, ყველას მისცა, რაც რამ ნაყიდი ჰქონდა მათთვის“; ფენჯერეს კამა გ უსუ „ფანჯარას ხმალი გაუსვა“. ეს ფორმები განსაკუთრებით არის საყურადღებო, ვინაიდან -ს უშუალოდ მოსდევს უ — შენიშნავს მკვლევარი (ქუთელია, 2005, 34). არქაბულშივე გამოჩნდება უმლაუ-ტიანი სიტყვაში მკ ფუ „ტურა“.

და რომ მართლაც -სთან არის დაკავშირებული ა ო უ ხმოვან-თა უმლაუტი, კარგად გამოჩნდება ლაზური და ა წ ყ ე ბ ა სიტყვის განხილვისას. კერძოდ, ამ ზმნის პირველ პირში გვექნება გე-ბ-ო-ჰკამ „ვიწყებ“ ფორმა, სადაც ბ I S პირის ნიშნის მომდევნო პოზიციაში ო ხმოვანი უცვლელად არის შემონახული, მაგრამ III პირში როგორც კი -ის შემდეგ აღმოჩნდება ო ხმოვანი, ო თანმიმდევრობა გადადის უმლაუტიზებულ წყვილში და გვექნება გ - -ჰკამს „იწყებს“, გ - -ჰკამ-ან „იწყებენ“, შდრ. მასდარი გ - -ჰკამუ „დაწყება“.

მორფოლოგიური თავისებურებებიდან აღსანიშნავია ისეთი მო-ვლენები, რომლებიც მხოლოდ დიუმეზილის ტექსტებში შევნიშნეთ და აქამდე არ იყო ფიქსირებული. ასეთია ნო- პრეფიქსიან ზმნურ ფორმათა წარმოება ლაზურში.

როგორც ცნობილია, ქართველურ ენა-კილოებში დამოუკიდებელ უღვლილებს ერთეულებად გამოყოფილია ნა-/ნო- პრეფიქსიანი ზმნური ფორმები.

მეგრულში ნო- პრეფიქსიანი ფორმების ცალკე სერიად გამოყოფა პროფ. გიორგი როგავას სახელთანაა დაკავშირებული. მკვლევარმა აღნიშნული ფორმები დრო-კილოთა IV ჯგუფში გააერთი-ანა და აწმყოს თურმეობითის მწკრივები უწოდა. დრო-კილოთა IV ჯგუფში შემდეგი მწკრივები შევიდა: III თურმეობითი, IV თურმეობი-თი, IV კავშირებითი, IV პირობითი.

III თურმეობითის ფორმები იწარმოება ნო- პრეფიქსით და -უ სუფიქსით მიღებულ სახეობაზე ორე(ნ) „არის“ მეშველი ზმნის და-რთვით: ნო-ჰკირ-უ-ე-(ნ) ← \*ნო-ჰკირ-უ(ო)რე(ნ) „ჭრის/ჭრიდა თურ-მე“ (როგავა, 1953, 23). ჩვენთვის საინტერესო წარმოების სრული პარადიგმა შემდეგი სახისაა:

I პ. ნო-პ-ჰარ-უ-ე-ქ „წერდი თურმე“

II პ. ნო-ჰარ-უ-ე-ქ „წერდი თურმე“

III პ. ნო-ჰარ-უ-ე(ნ) „წერდა თურმე“

მეგრული ნო- პრეფიქსიანი თურმეობითის ანალოგიური წარმოე-

ბა გვაქვს დასავლურ ქართულ დიალექტებში. კერძოდ, იმერულში, ლეჩხუმურში, რაჭულში (კახაძე, 1954, 173-174; ძოწენიძე, 1973, 92-93), სადაც ნა- პრეფიქსით ნაწარმოები სამი მწკრივი გამოიყოფა: III თურმეობითი, IV თურმეობითი, IV კავშირებითი. დასავლურქართული ნა- პრეფიქსიანი ყალიბი მეგრ. ნო- პრეფიქსიანი პარადიგმის იდენ-ტური ჩანს როგორც წარმოების, ისე მნიშვნელობის თვალსაზრისი-თაც, შდრ.:

I გ-ნა-წერავ-არ

II ნა-წერავ-ხარ

III ნა-წერავ-ა(რს) (დადიანი, ფუტკარაძე 2005, 40)

ნა- პრეფიქსიანი ყალიბი ზოგადად უნახავ მოქმედებას აღნიშ-ნავს. გავრცელებული თვალსაზრისით, ვარაუდობენ, რომ ნა- პრეფიქ-სიანი ფორმები ქართული ენის დასავლურ დიალექტებში მეგრულის გავლენით არის დამკვიდრებული (ჩიქობავა, 1936: 146). ასკვნიან, რომ „თურმეობითის წარმოების მხრივ ქართულიცა და მეგრულიც საფუძვლიანად განსხვავდება ერთმანეთისაგან, განსხვავდება ერთმანე-თისაგან მეგრულიცა და ჰანურიც“ (ჩიქობავა, 1936, 146). ცხადია, აქ მხედველობაში აქვთ ნა-/ნო- წარმოების შემთხვევები, რომელიც ლაზურში აქამდე არ იყო დაფიქსირებული. უფრო მეტიც, ვარაუდო-ბენ, რომ „მეგრულის ნო- პრეფიქსიანი ფორმები გაჩნდა მას შემდეგ, რაც მეგრული და ჰანური ერთმანეთს დაშორდა“ (შეროზია, 2004, 86).

არადა უ. დიუმეზილის არქაბულ ტექსტებში ფიქსირდება, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც, ნო- პრეფიქსიანი თურმეობითე-ბი, არქაბულისთვის დამახასიათებელი დორენ მეშველი ზმნისა და მის წინ უ მეგრულისებური დაბოლოების მეშვეობით. ასეთად გვესა-ხება ნო-ძიც-უ-დორენ „გახუმრებია თურმე“ ტიპის წარმოება, შდრ.

ლაზური მეგრული

I პ. მა ნო-ბ-ძიც-უ-დორენ „გამხუმრებია“ — ნო-ბ-ძიც-უ-ენ

II პ. სი ნო-გ-ძიც-უ-დორენ „გახუმრებია“ — ნო-რ-ძიც-უ-ენ

III პ. ემუს ნო-ძიც-უ-დორენ „გაჰხუმრებია“ — ნო-ძიც-უ-ენ

მსგავსი წარმოების სხვა მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ლაზური ნო-წირ-უ-დორენ „თურმე აჩვენებდა“, შდრ. მეგრ. ნო-წურ-უ-ენ „თურმე მისწავლიდა“. სამწუხაროდ, სხვა შემთხვევები ნო-პრეფიქსიანი წარმოებისა ჩვენ ჯერჯერობით ვერ დავაფიქსირეთ, მაგ-რამ ვიმედოვნებთ, რომ მომავალი კვლევა-ძიება არქაბული მონაცემე-

ბისა აუცილებლად გამოაჩინს ისეთ შემთხვევებს, რომლებიც მეგრულ-ლისეზური ნო-პრეფიქსიანი დერივაციის კანონზომიერებებს დააზუსტებს ლაზურში. აქ კი ვიტყვით: არც ნო-პრეფიქსიანი წარმოებით სცილდება ლაზური და მეგრული ერთმანეთს. უფრო მეტიც, ნა-პრეფიქსიანი თურმეობითების რეკონსტრუქცია უნდა მოვახდინოთ საერთოქართველური ფუძე-ენისათვისაც, რასაც ლაზურის მონაცემებიც უჭერს მხარს.

აქვე უნდა ვთქვათ კიდევ ერთ თავისებურებაზე, რომელიც თურმეობითის წარმოებასთან არის დაკავშირებული, რაზეც თვითონ ყ. დიუმეზილი აღრევე მიუთითებდა. ეს არის დორენ მეშველი ზმნის რედუცირებული დონ ვარიანტიანი წარმოება. კერძოდ, რეგულარულად თურმეობით პირველში, რომელიც ლაზურში ეყრდნობა აორისტის ფუძეს, ვლინდება ზუმ-ეს-დონ, ძირ-ეს-დონ, ჭარ-ეს-დონ ალო-მორფები ნაცვლად ზუმ-ეს-დორენ, ძირ-ეს-დორენ, ჭარ-ეს-დორენ სრული ფორმებისა. დორენ//დონ მონაცვლეობა ქართველ მკვლევართა მიერ ჩაწერილ ტექსტებში არ შეიმჩნევა.

აღრე არნ. ჩიქობავა აორისტის წარმოებასთან დაკავშირებით შენიშნავდა, რომ „აორისტში მეგრულს ორი სუფიქსი აქვს გამოყენებული: -ე და -ო... ამით მეგრული შორდება ჭანურს, რომელსაც მხოლოდ ერთი მაწარმოებელი -ი გააჩნია (ჩიქობავა, 1936, 135-136). ყ. დიუმეზილის არქაბულ ტექსტებში ხშირია შემთხვევები, როდესაც ი-პრეფიქსიანი ზმნებში აორისტის წარმოებისას, ისევე როგორც ქართულსა და მეგრულში, -ე დაბოლოებიანი ფორმები ფიქსირდება: ბ-ი-შინახ-ე „მევიანახე“, ელე-ბ-ი-სვარ-ე „ჩამოვითალე“, ბ-ი-ქიან-ე „გავთეთრდი“, ბ-ი-შუგ-ე „დავსველდი“, ბ-ი-ლურძულ-ე „გავძეხი“.

ასევე ყ. დიუმეზილის ტექსტების თავისებურებად უნდა ჩათვალოს -ე დაბოლოებიანი აწმყოს წარმოება არქაბულში, რაც საკმაოდ ხშირია, შდრ.: მე-ბ-ა-გ-ე „ვხვდები“, ოკო-ბ-ი-ხე-ე „ვიშლები“, დო-ბ-არჩ-ე „მივრბივარ“, თოლი ო-ბ-უ-დუმ-ე „თვალს ვუხუჭავ“; აქ ალბათ აწმყოს ფუძის გამარტივებასთან გვაქვს საქმე და ბოლოკიდური რ დაბოლოება არის უკვალოდ გაუჩინარებული, ანუ უნდა გვქონოდა სტატიკური ზმნებისთვის დამახასიათებელი რ სუფიქსი პირველ სამ ზმნაში: მე-ბ-ა-გ-ე-რ, ოკო-ბ-ი-ხე-ე-რ, დო-ბ-არჩ-ე-რ; ხოლო ო-ბ-უ-დუმ-ე „ვუხუჭავ“ მოქმედებითი გვარის ზმნა აქ ისევე კარგავს რ (resp. მერ) დაბოლოებას, როგორც სხვა შემთხვევებში იყო მითითებული ქართველი კვლევარების მიერ: დოუწუმე ← დოუწუმე-რ

„ვეტყვი“, ქიშიმე ← ქიშიმე-რ „ამოილო“, დობდუმე ← დობდუმე-რ „დავდებ“ (შეროზია, 2005, 96).

გვინდა აღვნიშნოთ ყ. დიუმეზილის ტექსტებში გამოვლენილი ლექსიკური თავისებურებების შესახებაც, რომელიც მრავალ შემთხვევაში უნიკალურია და მეტად მნიშვნელოვანია სიტყვის ისტორიის დადგენისათვის არა მხოლოდ მეგრულ-ლაზურში. მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი ფუძის ფარგლებში შეიმჩნევა სისინა // შიშინა სუბსტიტუცია სიბილანტურ თანხმოვნებში; მაგალითად:

მე-ნწ-უ „შეხება“ — მე-ბ-ო-ნწ-ამ „ვეხები“

ბურწულ-ი // ბურჭულ-ი — მეგრ. ბურჭულ-ი „წალი“

ბრიწ-ერ-ი // ბრიჭ-ე — მეგრ. ბირიწ-ერ-ი // ბურიწ-ელ-ი „დაფხრეწილი“

გო-გ-ო-წკონდ-უ-ტ-ა-ს // გო-გ-ო-ჭკონდ-უ-ტ-ა-ს — მეგრ. გო-გ-ო-ჭკორდ-უ-დ-ა-ს „დაგავიწყდეს“

ნომჩქა // ნომჩქვა — მეგრ. ნორცხვა „ფერფლი“...

აღნიშნულ სიტყვებში თავჩენილი შიშინა → || სისინა სუბსტიტუცია, რომელიც ზოგჯერ მხოლოდ ლაზურში, უფრო მეტად მეგრულსა და ლაზურს შორის იჩენს თავს, ძვირფასია იმ შემთხვევების ასახნელად, როდესაც ქართულის სისინა სიბილანტებს ზანურში შიშინა ალოფონებთან ერთად სისინა სახეობებიც შეესატყვისება. შიშინა → სისინა გადაბგერება, ფიქსირებული ყ. დიუმეზილის ჩანაწერებში, ამტკიცებს, რომ მსგავს შემთხვევებში შეხება გვაქვს ფონეტიკურ პროცესებთან, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საერთოქართველურ რეკონსტრუქციებში, რათა გავმიჯნოთ ბგერობრივი ფონემურისაგან ფუძე-ენაში.

დაბოლოს, შეიძლება თამამად დავასკვნათ, რომ ყ. დიუმეზილის ხელახალი უკვე ქართულენოვანი გამოცემის (დიუმეზილი, 2009) აქტიური შემოსვლა საქართველოს ლინგვისტურ სამეცნიერო მიმოქცევაში არის მკვიდრი საფუძველი იმისა, რომ ამ ტექსტების გამოწვლილვითი მეცნიერული კვლევა არაერთ საინტერესო და დღემდე უცნობ ენობრივ ფაქტს წარმოაჩინს ლაზური ფონეტიკის, მარფოლოგიისა თუ ლექსიკის სრულყოფილი შესწავლისათვის.

ლიტერატურა

**დადიანი, ფუტკარაძე 2005** — ე. დადიანი, ტ. ფუტკარაძე, ნა-  
/ნო- პრეფიქსიან ზმნურ ფორმათა წარმოების ზოგიერთი საკითხი  
ქართველურ ქვესისტემებში. — ქართველოლოგიური კრებული. IV,  
თბ., 2005.

**დიუმეზილი 2009** — ჯ. დიუმეზილი, ლაზური ზღაპრები და  
გადმოცემები, თბ., 2009.

**კახაძე 1954** — ო. კახაძე, ოკრიბულის თავისებურებანი. — იკე,  
VI, თბ., 1954.

**როგავა, 1953** — გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნა-  
კვთები ქართველურ ენებში. — იკე, V, თბ., 1953.

**ქუთელია 2005** — ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური  
სტრუქტურა, თბ., 2005.

**შეროზია 2004** — რ. შეროზია, ნო- პრეფიქსიან თურმეობითებ-  
თან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის მეგრულში. — ქართველო-  
ლოგიური კრებული, III, თბ., 2004.

**შეროზია 2005** — რ. შეროზია, მყოფადისათვის ლაზურში. —  
ქართველოლოგიური კრებული, IV, თბ., 2005.

**ჩიქობავა 1936** — არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკური ანა-  
ლიზი, თბ., 1936.

**ძაწენიძე 1973** — ქ. ძაწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ.,  
1973.

particular interest. The reduced variant **don** of the auxiliary verb **doren** is encountered only in Dumezille's texts. In some words the replacement of sibilants is noticeable. This phenomenon may be important for stating the etymology of roots not only in Laz-Megrelian.

MERAB CHUKHUA

### Some Peculiarities of Laz According to J. Dumezille's Texts

#### Summary

The paper deals with some phonetic, lexical and morphological peculiarities of Laz in the texts recorded by J.Dumezille. According to J. Dumezille the palatalization of the vowels **a o u** occurs in the position **j+a/o/u**. The sporadic usage of the Resultative with the prefix **no** is of

## იზოლდა ჩობახაძე

## ინგლისური იუმორის ენობრივი სტრუქტურა

ენციკლოპედიაში „Britannica“ აღნიშნულია, რომ იუმორის გრძნობა კმაყოფილების გრძნობას ბადებს ადამიანში "This creative type of mental activity seems to innately delightful to human beings, at least in the context of a humorous appreciation of life" (ბრიტანიკა, 1997). იუმორი ყველა ერის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა, ამიტომაც მისი შესწავლა ლინგვისტური, კულტურული, სოციალური, ეთნიკური, ფოლკლორული და ა. შ. კუთხით, რომელიც დღესდღეობით აქტიურად ხორციელდება, ძალიან მნიშვნელოვანია ყველა ქვეყნისათვის. მოცემულ სტატიაში ინგლისური იუმორი ენობრივი სტრუქტურის პოზიციიდან არის განხილული, რომელიც, რა თქმა უნდა, განსხვავდება სხვა ენათა სტრუქტურებისგან. აქ ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ გრაფიკული, ფონეტიკური, მორფოლოგიური, ლექსიკური, სინტაქსური და დისკურსული იუმორი. ინგლისურენოვანი იუმორისტული ტექსტების ერთ-ერთი სპეციფიკა ჰომოგრაფებისა და ჰომოფონების სიუხვეშია. კომიკური ჰომოგრაფიის ნიმუშია მაგ: **What did one sheep say to the other? I love ewe (ewe - a female sheep ჟღერს ისე როგორც პირის ნაცვალსახელი you).**

გრაფიკული იუმორისტული იუმორის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ შრიფტით თამაში (შრიფტის გადიდება, კურსივი და ა.შ.) **TOO MUCH SEX MAKES YOU SHORT SIGHTED** — (ძალზე ბევრი სექსი იწვევს ახლომხედველობას). ჩვენ წინაშეა პრიმიტიული სასაცილო ჟანრის ერთი-ერთი ხერხი, რომელიც შეიძლება პარაგრაფემიკას უფრო მივაკუთვნოთ.

ფონოლოგიური იუმორი „ინგლისური ენის ენციკლოპედიაში“ განმარტებულია, როგორც გადახრა მიღებული წარმოთქმის ფორმებისაგან: ხმოვნებისა და თანხმოვნების გადატანის, მიმატების, გამოტოვების, შეცვლის საშუალებით. მაგ.

Teacher: Use the word antennae in a sentence

Charlie: There antennae sweets left (aren't any)

ინგლისური წარმოთქმა სიტყვის „antennae“ (ანტენა) სიტყვათშეთანხმების „aren't any“ (არაფერი) ომონიმურია, რაც მოტანილ კონტექსტში იწვევს ღიმილს.

ამ სახის იუმორს განეკუთვნება სხარტი გამონათქვამები „სხარტულები“ (Betty Better bought some butter but she thought the butter bitter and a bit of better butter would make the butter better). სპუნერიზმები (ოქსფორდის ერთ-ერთი კოლეჯის დეკანის არჩიხალდ სპუნერს ჰქონდა ჩვევა გადაენაცვლებია მარცვლები სიტყვაში: **You have hissed all my mystery lessons**) და მალაპროპიზმები (სიტყვათა კომიკური შემცვლელი წარმოთქმის ნაწილობრივი მსგავსებით, რომლებსაც ეს ტერმინი რ. მარიდანის ნაწარმოების პერსონაჟის მისის მალაპროპის მეტყველების გამო ეწოდა). მაგ. **darangement of epitaphs** — (ეპიტაფიის დარღვევა) „**arrangement of eliphets**“-ის (ეპიტეტის შერჩევა) ნაცვლად. გრაფიკული და ფონოლოგიური იუმორის მაგალითებს აქტიურად იყენებს ამერიკელი პოეტი ორდენ ნეში თავის ნაწარმოებებში: მაგ. **A bit of talcum is always walcum.** „ტალკი“, ბავშვის პუდრა გამოიყენება „**walcum**“-თან რითმისათვის და ამიტომაც დამახინჯებულად არის ნათქვამი სიტყვა „**welcome**“ (ნეში, 1985).

მორფოლოგიური იუმორი დაკავშირებულია მორფემების სასაცილო გააზრებასთან, რომლებიც სიტყვებთან დაპირისპირებისას სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირდება: მაგ.

Did you hear about Robin Hood?

He just had an arrow escape (a narrow escape).

არტიკლის შეერთება სიტყვასთან "arrow" (ისარი) ომონიმს ქმნის "narrow"-სთან (ვიწრო), რაც მოცემულ კონტექსტში იუმორს წარმოშობს (რობინ ჰუდმა შეძლო თავი დაეღწია ისრისაგან; რობინ ჰუდი ძლივს გადარჩა).

ლექსიკურ იუმორთან ახლოს დგას კალამბური, რომელშიც ორი ტიპი შეიძლება გამოვყოთ: სემანტიკური და ფონეტიკური. დ. კრისტალი სემანტიკურ კალამბურებს პოლისემიის შემთხვევებს აკუთვნებს (კრისტალი, 1995). მაგ:

What has four legs and one foot? - A bed.

სიტყვა "foot"-ს ინგლისურში მრავალი მნიშვნელობა გააჩნია, რაც სხვადასხვა კონტექსტში იუმორის იწვევს.

ფონეტიკური კალამბურები კი ომონიმის მაგალითებია, მაგ:

Waiter, waiter, what's this?

It's **bean** soup

I can see that but what is it now?

სიტყვათა თამაში მდგომარეობს სიტყვათა ჟღერადობის დამთხვევაში, "bean" — (ლობიო) და "been" — (ყოფნა).

ლექსიკურ იუმორს ეკუთვნის ნეოლოგიზმები, მაგალითად: **alcohol-holiday da bedventure** (alcohol+holiday, bed-adventure). ეს მოვლენები სპეციფიკურია ინგლისური ენისათვის მისი სუსტი აფიქსაციის გამო. შევადაროთ **Watergate, Koreagate, Zippergate**, სადაც სიტყვის მეორე ნაწილი "gate" ჟურნალისტებმა გამოიყენეს როგორც რაღაც სკანდალური მოვლენის წარმოსადგენად. ლექსიკურ სასაცილო წარმონაქმნებს რ. კრისტალი მიაკუთვნებს აგრეთვე ბავშვური მეტყველების მაგალითებს, როცა ისინი რაიმე სიტყვას ანალოგიების მიხედვით ქმნიან მაგ: „**outskirts — inskirts**“ (კრისტალი, 1995). თუმცა, ჩვენი აზრით, ეს შემთხვევა უფრო ენის გრამატიკული წყობის მაგალითებია. ბავშვი, იყენებს რა ენის სიტყვათწარმოების შესაძლებლობას, ქმნის ახალ სიტყვებს ანალოგიის საფუძველზე. თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ამ სიტყვებს უფროსებისათვის გაუგებარი (და ე.ი. სასაცილო) აზრი აქვს.

ორი სხვადასხვა სინტაქსური მოდელის ერთდროული რეალიზაცია ერთსა და იმავე წინადადებაში ხშირად იუმორისტულ ეფექტს იძლევა:

**Call me a cab! - Sir you are a cab!**

მოცემულ შემთხვევაში ზმნის **call**-ის ამბივალენტურ კონსტრუქციებთან შეჯახებას აქვს ადგილი — („დაძახება ვილაცის ან რაღაცის" და „ეწოდება ვილაცს ან რაღაცას"). ამ მრავალმნიშვნელობას სინტაქსური საფუძველი გააჩნია. ამავე სახის იუმორად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი მაგალითი:

**We're having your mother -in-law for dinner tonight**

**I'd rather have chicken.**

(დღეს ვახშმისათვის სიდედრი იქნება ჩვენთან — მე კი წიწილა მიირჩევნია). „**have**"-ს ორგვარი გაგება აქვს „ქონება" და „მირთმევა".

ასეთ სტრუქტურულ განზოგადოებულ კომიზმის ტიპებს დ. კრისტალი განაკუთვნებს სიტყვის შიგა ფორმის სხვაგვარ გადააზრებას (კრისტალი, 1995):

**Do you feel disheartened? asked the cannibal.**

ზმნა **to dishearten** მამაცობის დაკარგვას ნიშნავს. რაც აღდგენილია სიტყვის შიგა ფორმაში (უარყოფითი პრეფიქსი **dis+** სიტყვის ძირი **heart** „გული") და ამ დროს კითხვას სვამს კანიბალი.

ანალოგიურია საკუთარი სახელის შიგა ფორმის აღდგენის მაგალითები: **Oscar did it wildly** (**Oscar Wild** - "**wild**" — ველური, გვარი ცნობილი ინგლისელი მწერლის ოსკარ უალდის). ცნობილია, რომ რ. კიპლინგის გვარს, რომლის დაბოლოება ემთხვევა გერუნდივის ფორმას, ჟურნალისტები იყენებდნენ დასაცინად მისი იმპერიული პოზიციის გამო, მაგ:

**When will Rudyard end his Kipling?**

ასეთი მაგალითები შეიძლება მოვიძიოთ ქართულსა და სხვა ენებშიც (მაგ. მგელაძე, მხეცაძე, მელაძე).

ჩვენი აზრით, სინტაქსურ იუმორს ეკუთვნის ასევე იმიტაციის შემთხვევები, რომლებიც სიტყვათა არაჩვეულებრივი წყობით ხასიათდება, (რთული კონსტრუქციები, რომლებიც იმიტირებენ იურიდიულ კაზუსტურ ლათინურად აწყობილ წინადადებებს, წინადადებაში რითმული ორგანიზაციის დარღვევა და აზრობრივი ჯგუფების გადაწევა და ა.შ.). თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს შემთხვევები არ შეიძლება ჩაითვალოს წმინდა სინტაქსურად, რადგან ისინი აგრეთვე შეიცავენ ფონეტიკურ, ლექსიკურ და კომუნიკაციის ვერბალურ კომპონენტებს.

დისკურსული იუმორის სხვადასხვა ფორმას შორის გამოიყოფა ურთიერთობის განმეორებადი გარემოებები, რომლებიც სახუმარო ტექსტებშია დაფიქსირებული (მაგ. ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისელი, ირლანდიელი და შოტლანდიელი...), გამოცანებში (რით განსხვავდება **A B**-საგან, პასუხი უნდა იყოს მოულოდნელი და სასაცილო). ზოგიერთი დისკურსული იუმორი აგებულია ურთიერთობის პროცესის დარღვევის საფუძველზე:

**- Hello, doctor I've lost my voice.**

**- Good morning, Mr. Smith and what can I do for you?**

მოცემული მაგალითის კომიზმი ის არის, რომ ექიმს არ ესმის პაციენტის შეკითხვა.

ინგლისური ტრადიციონალიზმი ყველაფერში გამოიხატება, იმაშიც კი, როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ საკუთარი ორთოგრაფიისადმი, რაც სირთულეს უქმნის როგორც უცხოელებს, თვით ინგლისელებსაც კი. ქვემოთ მოყვანილი ტექსტი თვალნათლივ გვიჩვენებს

ნებს, რომ ძველი ორთოგრაფია მთელი თავისი ნაკლოვანებებით უკეთესია, ვიდრე ახალი ორთოგრაფიის ნებისმიერი პროექტი.

#### Europe is coming

The European Commission has just announced an agreement whereby English will be the official language of the European Union rather than German, which is the other possibility.

As part of the negotiations, Her Majesty's Government conceded that English spelling had some room for improvement and has accepted a 5-year phase-in plan that would become known as "Euro-English".

In the first year, 's' will replace the soft 'c'. Certainly, this will make the sivil servants jump with joy. The hard 'c' will be dropped in favour of the 'k'. This should klear up konfusion, and keyboards kan have one less letter.

There will be growing publik enthusiasm in the sekond year when the troublesome 'ph' will be replased with the T. This will make words like Totograf 20% shorter.

In the 3rd year, publik akseptanse of the new spelling kan be expekted to reach the stage where more komplikated changes are possible. Governments will enkourage the removal of double letters which have always ben a dete-rent to akurate speling. Also, al wil agre that the horibl mes of the silent 'e' in the languag is disgras-ful and it should go away.

By the 4th yer peopl will be reseptiv to steps such as replasing 'th' with 'z' and V with 'v'.

During ze fifz yer, ze unesesary 'o' kan be dropd from vords kontaining 'ou' and similar changes vud, of kors, be aplid to oza kombinations of letas.

After ziz fifz yer, ve vil hav a reli sensibl riten styl. Zer vil be no mor trubl or difikultis and evrivun vil find it ezi tu understand ech oza.

Ze drem of a united urop vil finali kum tru!

მოცემული ტექსტის კომიკური ეფექტი, რომელშიც ფიგურირებს ინტერნეტული ანკდოტების ნაკრები, მდგომარეობს, ერთი მხრივ, მაღალი ოფიციალური სტილის პუბლიცისტური სტილის სტატიებთან პარადოქსულ შეთანხმებაში, მეორე მხრივ, კარიკატურულ ორთოგრაფიაში, რაც ტექსტს საბოლოოდ აბსურდად აქცევს. ინგლისური ტექსტი ემსგავსება გერმანულს, მასში თანდათან იცვლება ასოები, ბგერები და საკუთრივ ინგლისური ფონემები, ფრიკატები და სონანტები. რამდენადაც ტექსტში საუბარია გაერთიანებული ევროპის პროექტზე, ეს იუმორი შეიძლება ჩავთვალოთ ევროპის გაერთიანების

იდეის დაცინვად და იმ შიშის გამოხატვად, რომ გერმანიამ შეიძლება დომინირება მოიპოვოს საერთო ევროპულ სახლში. რაც ერთი შეხედვით გასართობ ტექსტს შემფოთებისა და გარკვეული ეთნოკულტურული წინასწარგაფრთხილების ელფერს აძლევს.

ასე რომ, ჩვენი აზრით, იუმორის დამოკიდებულება და ცვლილება სიტუაციებისა და კონტექსტის მიხედვით ითვლება მის ფუნდამენტურ, უნივერსალურ თვისებად. სასაცილოა ის, რაც აქტუალურია, მაგრამ აქტუალურია ის, რაც ხდება აქ და ახლა.

#### ლიტერატურა

**ბრიტანია, 1997** – Encyclopedia Britannica. Electronic Version, 1997.

**კრისტალი, 1995** – Crystal D., The Cambridge Encyclopedia of the English Language, Cambridge, 1995.

**ნეში, 1985** – Nash W., The Language of Humour/Forew. By Randolph Q., London; N.Y., Longman, 1985.

**ჰენდრიკონი, 1997** – Hendrickson R., The Wordsworth Book of Literary Anecdotes, London, 1997.

<http://joke.co.uk>

<http://whatsfunny.farfan.com>

**IZOLDA CHKHOBADZE**

### Language Structure of English Humour

#### Summary

As is known, humour is of particular importance for any nation. It is a multi-dimensional phenomenon which can be studied from different perspectives: linguistic, cultural, social, ethnic, folklore etc. The paper discusses some linguistic peculiarities of English humour at phonetic, morphological, lexical and discourse levels. The analysis has proved that a specific combination of a variety of linguistic features makes English humour unique.

როინ ზიკაძე

**მრავალგზისობის სემანტიკურ-ფუნქციური განდახლება  
მიხეილ ჯავახიშვილის პროზის ენის მიხედვით**

საგებობით სამართლიანადაა მიჩნეული, რომ „მიხეილ ჯავახიშვილის ენის შესწავლა, მისი დამსახურების შეფასება ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში თანამედროვე ქართული ენათმეცნიერების ერთ-ერთი საპატიო ამოცანათაგანია“ (სარჯველაძე, 1984, 3). მიხეილ ჯავახიშვილის ღვაწლი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში განპირობებულია მის თხზულებების ენის მჭიდრო კავშირით ხალხურ სასაუბრო ენასთან, რაც გამოიხატება არა მხოლოდ ლექსიკური დიალექტიზმების ზომიერი გამოყენებით, არამედ თხრობის სტილითაც, რაზედაც თვით მწერალი მიგვანიშნებს: „თუ ამას მხატვრული სტილიზაცია არ მოითხოვს, უპირატესობას ყოველთვის ხალხურ იერს მივაკუთვნებთ“ (ჯავახიშვილი, 1964, 295). მისი აზრით, „ნამდვილი ქართული ლიტერატურა და ხალხური სალაპარაკო ენა ღვიძლი ძმები არიან“, — მწერალი წუხს, რომ „ზოგმა მწერალმა ქართულში უცხო ენის ბუნება გადმოიტანა, მისი ნათელობა დანისლა, ლექსიკოლოგიურად გააღარიბა, ჩვენი სინტაქსი დაამახინჯა და ხალხურ-ლიტერატურული ერთმანეთს დააშორა“ (ჯავახიშვილი, 1964, 294).

მიხეილ ჯავახიშვილის პროზის ენა სწორედაც რომ ხალხური ცოცხალი მეტყველებისა და სალიტერატურო ენის დაახლოების საუკეთესო ნიმუშია.

მიხეილ ჯავახიშვილის ენობრივი სტიქიაა მოქმედების პროცესის დინამიკური თხრობა, რასაც უმთავრესად აღწევს ზმნა-შემასმენელთა მრავალრიცხოვნობით, რომლებსაც ხშირად მრავალგზისობის სემანტიკით ტვირთავს. თხრობის ეს სტილი მას აახლოებს ხალხურ სასაუბრო ენასთან და იმავდროულად ცხადყოფს ქართული ზმნა-შემასმენლის სემანტიკურ-ფუნქციურ შესაძლებლობათა უსაზღვრობას.

ქართულ ზმნას აქვს უნარი, აღნიშნოს არა მარტო ისეთი მოქმე-

დება, რომელიც ერთხელ მოხდა, არამედ მრავალჯერ განმეორებულიც. აკაკი შანიძემ ეს მოვლენა ზმნის ერთ-ერთ გრამატიკულ კატეგორიად მიიჩნია და თავდაპირველად მას უწოდა ჯერობა (შანიძე, 1953, 214), შემდეგ კი — გზისობა (შანიძე, 1973, 209). თანამედროვე ქართულში ერთგზისობა — მრავალგზისობა მკრთალადაა გამოხატული (მაჭავარიანი, 1974, 121); ამიტომაცაა, რომ გზისობა დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ცალკე გრამატიკულ კატეგორიად არ მიიჩნევა; იგი ასპექტის სემანტიკური სახესხვაობაა და მოქმედების სახეს წარმოადგენს (ჭუმბურიძე, 1967, 353); „გარკვეულ შემთხვევაში ზმნას შესაძლებლობა აქვს აღნიშნოს მოქმედების განგრძობითობა — წყვეტილობა და ერთგზისობა — მრავალგზისობა. რამდენადაც ეს უკანასკნელი აგრეთვე ზმნით გამოხატული მოქმედების მიმდინარეობაზე გვაძლევს წარმოდგენას, მაგრამ დამოუკიდებელი მორფოლოგიური კატეგორიის წონა და მნიშვნელობა არ მოეპოვებათ, ამიტომ ისინი ასპექტის კატეგორიის გარკვეულ ვარიანტად უნდა მივიჩნიოთ... მის შესატყვისად ქართულში მიზანშეწონილი იქნება ვიხმაროთ **მოქმედების სახე** (ჭუმბურიძე, 1967, 351).

მკვლევარს მოქმედების ერთ-ერთ სახედ მიაჩნია ხოლმეობითობა (ჭუმბურიძე 1967, 353). თუმცა მისივე მართებული აზრით, მოქმედების სახე არ წარმოადგენს ცალკე გრამატიკულ კატეგორიას, ვერ ქმნის მკაფიო პარადიგმულ წყვილებს და ზმნათა შორის ლექსიკური სხვაობის სფეროში რჩება (ჭუმბურიძე 1967, 352).

ჩვენი აზრითაც, ხოლმეობითობა და, შესაბამისად, მრავალგზისობა სწორედაც რომ მოქმედების სახეა, რომელსაც მხატვრულ ტექსტში აქვს სემანტიკური, ფუნქციური და სტილური დატვირთვა.

მრავალგზისობის გადმოსაცემად ძირითადად გამოიყენება ხოლმეობითისა და მყოფადის მწკრივები, აგრეთვე უწყვეტელი და აწმყო, ხოლო გარკვეულ კონტექსტში — წყვეტილიც კი.

საერთოდაც, ხოლმეობითობა და მრავალგზისობა თითქმის იდენტური ცნებებია; „ის, რაც მუდმივია, ჩვეულებრივ ხდება, მეორდება კიდევ, მრავალგზისია. ამიტომ... ხოლმეობითს შეეძლო ეტვირთა და იტვირთა კიდევ მრავალგზისობა, როგორც თანმხლები ფუნქცია“ (მაჭავარიანი, 1974, 124).

ამ მხრივ საკმაოდ უხვ მასალას იძლევა მიხეილ ჯავახიშვილის პროზის ენა:

დარჩოს პატარა ბიჭი ერთ ჭიქა ჩაისა და ორ ნაჭერ პურს



გამოუტანდა და თავს **მიანებებდა**, 92.

სწორედ ამ დროს ისევ ვინმე **მიეპარებოდა**, ფეხებში **მისწვდებოდა** და შიშისაგან დარტყანიებული კურკაც ხელმეორედ **ასტეხავდა** ღრიალს, 77.

დილით ნიკას მუხების ან ცაცხვის ქვეშ **გაიყვანდნენ** და ჩრდილში **დააწვენდნენ**, საღამოზე კი ისევ შინ **შეიყვანდნენ**, პავლე ნიკას **მიუჭდებოდა**, ჭრაქს **მიუდგამდა** და... ბევრჯერ **ჰკითხავდა**, 130.

ყბაჩა ათასში ერთხელ რასმეს **მოიმიზეზებდა**, თინასთან **შემოირბენდა**, დროს **მოიხელთებდა** და თავის მეგობარს ხუმრობით **ჩაიხუტებდა**. ან მკლავში **უჩქმეტავდა**, ან ანთებულ ტანზე **გაეხახუნებოდა**; ხელცარიელიც არ **მოვიდოდა**: ხან ხილს **მოუტანდა**, ხან ფრინველს **მოუყვანდა**, ხან კიდევ რაიმე საკრავს ან სათამაშოს **მოართმევდა**, 315.

მრავალგზისობის სემანტიკურ-ფუნქციური დატივრთვის გასაძლიერებლად ხოლმეობითს არც თუ იშვიათიად ერთვის „ხოლმე“ ნაწილაკი:

ჩანჩურა **შეიბრალებდა ხოლმე**, 4.

ქალს შეაცდენენ და მერმე თავს **დაანებებენ ხოლმე**, 324.

მრავალგზისობის აქტივიზაციისათვის ხოლმეობითს ზოგჯერ ერთვის როგორც „ხოლმე“ ნაწილაკი, ისე სათანადო ლექსიკური შინაარსის ზმნისართი:

ბოლოს თვეში ერთხელაც ძლივს **გამოჩნდებოდა ხოლმე**, 317.

სხვის ჯავრს უმადური მურა **ყოველთვის** ისევ ჩანჩურაზე **ამოიყრდა ხოლმე**, 4.

კურკა წამ-და-უწუშ უკან **ჩამოირბენდა ხოლმე**, 77.

მრავალგზისობა რომ მოქმედების სემანტიკური სახეა და არა გრამატიკული კატეგორია, იქიდანაც ჩანს, რომ მყოფადის ხოლმეობითი მრავალგზისობის გამოსახატავად იყენებს ისეთ ლექსიკურ საშუალებებს როგორცაა: ხშირად, ზოგჯერ, წამდაუწუშ, ხანდახან, ხელმეორედ, ისევ, საღამოობით...

თათარი წამ-და-უწუშ ხალიჩას გარეთ **გადმოიშლიდა**, 77.

**საღამოობით** პავლე ორ-სამ ალაგს ხაფანგს **დააგებდა...** უფრო ხშირად მგელსა და მელას **აწყდებოდნენ**, უფრო იშვიათად — აფთარსა და ფოცხვერს, 120.

**ზოგჯერ** კურკას თვალს **ჩაუკრავდა**, 83.

**ზოგჯერ** გოგიას ძველ ტანისამოსს, ქუდსა და ფეხსაცმელს ბალახით **გასტენავდა**, იმ ტიკინას იქ მიაწვენდა, 131.

**ზოგჯერ** გორაზედაც **ავიდოდა** და იქიდან ყურს **მიუგდებდა**, 116.

თამაშობაში და ერთმანეთის დევნაში ყბაჩა უჩინო ობოლს **ხშირად** ორივე ხელს **მოჰწვევდა**, გულში **ჩაიკრავდა**, და კარგა ხანს ხელს **აღარ გაუშვებდა**, 315.

ხანდახან ყელში რალაც **მოაწვებოდა**, 317.

სოლო ხელცარიელი არ **მოვიდოდა** და დანიშნულს **მუდამ** მცირე საჩუქარს **მოუტანდა**, 321.

ჩვეულებრივი, განმეორებადი, მრავალგზისი მოქმედების გადმოსაცემად გამოიყენება აგრეთვე მყოფადის მწკრივი; „ასეთი მყოფადი ახლანდელის მნიშვნელობისაა, უფრო სწორად, მას ე.წ. „ზოგადი აწმყოს“ ფუნქცია აქვს (გეგუჩიძე 1980, 76).

კურკაც ნამუშევარს თითებზე **ჩამოსთვლის** და ფულს „ხაზიენს“ **ჩააბარებს**, 80.

ჩანჩურა ამ ნაჭერს დამბალ ჩვარში **გაახვევს**, უბეში **ჩაიდებს** და მეორე ყსაბს **ეწვევა**, 5.

მრავალგზისობის აქტივიზაციისათვის მყოფადი იყენებს ლექსიკურ საშუალებებსაც:

**ზოგჯერ** ღამის მეხრეებს ფეხაკრფით **წაადგება**, ან დაგვიანებული მეზვრეს გზას **გადაულობავს**, ან ვინმე გლესს ეზოში **მიუვარდება**, ლანდივით თვალწინ **აეტუზება** და პირში **მიანლის**, 134.

თინა მიღეულ თვალს **ზოგჯერ** ოდნავ **გახილავს** და ქურდულად ყბაჩას **გადაავლებს**, 338.

**ხანგამომშვებით** ბაზრის რომელიმე ბიჭი ისევ **მიეპარება** კურკას, **წასწვდება** ფენში და ძალღვივით **დაჭყეფს**, 97.

ბუნება **ყოველთვის** თავისას **გაიტანს** ხოლმე, 311.

როგორც ვხედავთ, „მყოფადის მწკრივით მრავალგზისობის გამოხატვის ფაქტი აშკარაა“ (გეგუჩიძე, 1980, 73); ამასთანავე „ზოგჯერ მყოფადს აქვს ახლანდელი, უფრო ხშირად კი — ზოგადი აწმყოს მნიშვნელობა“ (გეგუჩიძე, 2005, 90). თვით აწმყოს მწკრივისათვისაც უცხო არაა მრავალგზისობის გამოხატვა:

თინა ლიანდაგზე **გადის**, ხელგაშვერით **მისდევს** გზას და ზარის ხმით **ჰკივის**, 321.

თინა **ზოგჯერ** ნატკენისაგან ცხარედ **სტირის** და ავად **იწყევლე-**

ბა, 316.

ზოგჯერ კიდევ ჩანსურას გრძელ კანაფს **გამობაჰამს** ყელზე, ბაზარში **დაჰყავს**, ტაშს **უკრავს** და **მღერის**, 6.

კურკას ყოველ დღე დარჩოს ბინიდან წუწუნითა და ბურტყუნით ცხელი წყალი **მიაქვს**, 80.

ყველა ყოველდღე **ჰხედავს** მობუზულ ჩანსურას, 2.

ბაზარში ყველაზე ადრე ჩანსურა **გამოდის** და ყოველდღე მხოლოდ იმას **ჰხედავს**, რომ დუქნებში დილით აუარებელი ხორცი **აწყვია**; მერე ყასბები ამოდენა ხორცს ნაჭერ-ნაჭრად **სჭრიან** და ვირაც-ვიდაცეებს **ურიგებენ...** ისინი თავაზიანად დუქანში **შეჰყავთ**, ხორცის უშველებელ ნაჭრებსაც **აძლევენ** და ზრდილობიანად **ისტუმრებენ**, 3.

შუალამისას პაპაშა და ჭიაყელა შინ **მიდიან**, ორივენი ერთ ქეჩაზე **წვებიან** და **ხშირად** მთელი საათობით ისევ თავიანთ გვრიტებსა, ჭუკებსა და წიწილებზე **ლაპარაკობენ**, თანაც შურით **იგონებენ** თავიანთ ბრწყინვალე წარსულს, **ოხრავენ**, **ჰკვნესიან**, სამოთხის დაკარგვას ერთმანეთს **აბრალებენ** და თავიანთ ლაპარაკს **იხევენ** გვრიტებისა წიწილების მოგონებით **ათეგებენ...**, 29.

ჭიაყელა ნახველს სისხლს **აყოლებს** და ყოველდღე სიკვდილს **ელოდება**, მაგრამ პაპაშას მაინც **არ შორდება**. ორივენი ბინდით შუა დამემდე ხანუმას სახლის წინ **დადიან**, ფანჯრებში, კარებში **იცქირებიან**, გვრიტებზე და წიწილებზე **მსჯელობენ** და შიგ შესვლას **ნატრულდებიან**, მაგრამ ვერა **ჰბედავენ**, 28-29.

თინას თანამგზავრი და მფარველი ვილაც გიორგი გაუთავებელს **ლაპარაკობს**, თინას ათას უცნაურს **ეკითხება**, თვითონაც **უამბობს**, თინაც **იხევენ** და **ენახუნება** უჩინო ქიტოს... , 327.

**მიდის** და **დროგამოშვებით** გრძელის თათით ოფლს **იწმენდავს**, 317.

**მიდის** თომა და **ასჯერ** ნაფიქრავს ერთხელ კიდევ **ჰფიქრობს**, 313.

ტყის კაციც **ხან** აქეთ **გარბის**, **ხან** იქით და **დღე-ღამით** თავის შვილებს **დაეძებს**, 134.

მეორე დღეს კურკა **იხევენ** ჩუსტებს **ჰკერავს**, დარჩოს **ეფიცება**, ნამუშევარს **სთვლის**, საღამოზე **იხევენ** ჩაის **სვამს** და მამლის ყვირილამდე **ჰფიქრობს**, 80.

ჩანსურა... **ჩვეულებრივად** ქუჩაში **დანეტილობს** და საღამომდე

ახალ მეგობრებს **უცდის**, 7.

აწმყო-ყოფადის მრავალგზისობის სემანტიკურ-ფუნქციურ მსგავსებაზე მიგვიჩვენებს დრო-კილოთა თანამიმდევრობა:

თომა ხან ალერსით **ამშვიდებს**, **ხან** ოდნავ **შეუტევს**, **ხან** კიდევ ქვეით **გაიხედავს** და **ზოგჯერ** თინასაც **გაანარებს**, 320.

**ზოგჯერ** გულის ტკივილს **ვეღარ უძლებს** და ბავშვურ ტირილს **მოჰყვება**, 322.

პავლე... **ზოგჯერ**, უფრო კი ავდარში, თოფს **აიკიდებს** და ტყეს **დაათვალიერებს**. **ზოგჯერ** ნადირსაც **მოიტანს**, მაგრამ შორს წასვლას მაინც **ვერა ჰბედავს**, 115.

ცნობილია, რომ ხოლმეობითი ნაწარმოებია უწყვეტელის მწკრივიდან, რაც განაპირობებს მათ სემანტიკურ-ფუნქციურ სიახლოვეს; ამასთანავე, „უღლების კატეგორიათა მიხედვით დახასიათება უწყვეტელისა და ხოლმეობითისა იდენტურია“ (გოგოლაშვილი, 1988, 83). ამიტომაცაა, რომ უწყვეტელიც ისევეა მრავალგზისობის გამომხატველი, როგორც ხოლმეობითი:

ნადირის ხორცი თ ძალღებს **ასუქებდნენ**, ხოლო ტყავს **ამარილებდნენ** და **ახმობდნენ**, 120.

ისინი **ხშირად** **ჰბლაოდნენ** და გოგისაც **აბლავლებდნენ**, 119.

შეშინებული პელო **ხშირად** **ეხვეწებოდა** თავის ტოლსადებ მეუღლეს, 113.

უფრო **ხშირად** კი ტყე **ხმაურობდა**, **დუდუნებდა**, **შრიალებდა**, **ჰფუსფუსებდა**, 116.

თინა თავის მეგობარს სიზმარში **ხშირად** ელანდებოდა, უწინდელივით **ეხუტებოდა** და აღრინდელზე უარესად **სწვავდა** და **სტანჯავდა**, 315.

**რამდენიმე წლის განმავლობაში** ვერელებს ყოველ დღე **ესმოდათ** კურკას ყვირილი, 77.

**თვისა** და **თვის** ბოლოზე ხანუმას თამასუქებზე **ხელს უწერდა**, 21.

პავლე **მაინც** **ნაღვლობდა** და **ნიადაგ** მომავალზე **ჰფიქრობდა**, 119.

პავლე **ხან** შინ **მუშაობდა**, **ხან** მთელი დღით ტყის დასათვალიერებლად და სანადიროდ მთებში **ადიოდა**, შინ ხელცარიელი **არ ბრუნდებოდა**, 113.

ხოლმეობითისა და უწყვეტელის სემანტიკურ-ფუნქციური სიახ-

ლოვე განსაკუთრებით საგრძნობია დრო-კილოთა თანამიმდევრობისას, სადაც ორივე მწკრივი თანაბრად გამოხატავს მრავალგზისობას:

მთაზე წამომკდარი დევი **ზოგჯერ ქოხის ოდენა პირს დააღებდა** და ქვეყანას **უბერავდა**. ზოგჯერ კი მუგუზალ-მზეს სულაც **გადამაღავდა**, ერთ დიდ საცერს **აიღებდა** და იმ საცრით ქვეყანას **რწყავდა**, ზოგჯერ კი იქაურობას ცივის ბამბით **ჰბენტავდა**, 314.

პავლე წამ-და-უწუმი ნიკას **მიუჭდებოდა, ანჭღრევდა და ეკითხებოდა**, 132.

თათარი წამ-და-უწუმი ხალიჩას გარეთ **გადმოფენდა** და კურკას დუქანს **უბნებდა**, 78.

კურკა კი ყვირილს ძლივს **გაათავებდა** და მთელ ბაზარს **შეჭყრიდა**, თან შიშისაგან აქეთ-იქით **იცეცებოდა** და **წუწუნებდა**, 77.

ხანდახან ყელში რაღაც **მოაწვებოდა** და **ანჩობდა**, თავის ტკივილს **სჩიოდა**, გოგია **ელანდებოდა** და მასთან ლაპარაკს **აბამდა ხოლმე**, 314.

ყბაჩა თინას სხვებზე ადრე **მიეგებებოდა**, ხელში ხელს **წაავლებდა, ააბორიალებდა**, ათასნაირად **ართობდა, აცინებდა, ჰშველოდა** და **ეჩურჩულებდა**, 315.

კურკა მალე **მიჩუმდებოდა**, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ **ღსევასტყდებოდა** და თათარს სიცოცხლეს **უმწარებდა**, 78.

როგორც ვხედავთ, დასახელებულ ნიმუშებში ხოლმეობითს მოსდევს უწყვეტელი, ვინაიდან მრავალგზისობის გამოხატვის უნარი ხოლმეობითს უფრო მეტი აქვს.

ხოლმეობითის ეს ფუნქცია კიდევ უფრო საგრძნობია მწკრივთა ისეთ თანამიმდევრობაში, როგორიცაა: ხოლმეობითი-მყოფადი-აწმყო:

ქალი ხან ყელამდე **ჩაცუცქდებოდა** წყალში, ხან ისევ **გასწორდებოდა**, ხან **დაიხრება**, სველ თმას ხის სავარცხლით **ივარცხნის**, მკერდს **იხელავს** და ტანს **იბანს**, 318.

ზოგადი აწმყოს ტიპის მოქმედების გადმოცემა ზოგჯერ I თურმეობითაც ხერხდება (ფხაკაძე, 1984, 90; ფეიქრიშვილი, 1974, 58):

**ხშირად მოუკლავს** პავლეს ირემიც, ფოცხვერიც, აფთარიც, **რამდენჯერმე** დათვიც **ჩამოუტანია**, 113.

წყვეტილი, ჩვეულებრივად, სრული ასპექტისა და ერთგზისი მოქმედების გამოხატველია. მაგრამ შესაძლებელია წყვეტილის მწკრივითაც აღწერილად გადმოიცეს მრავალგზისი მოქმედება:

ქალმა **რამდენჯერმე მოიხედა** მუშისაკენ, 318.

თომა შეიშმუნა. **ბევრჯერ მოარიდა** თინას ნამდვილი პასუხი, 309.

თინა კიდევ **დიდხანს ატარეს**, 331.

მეთორმეტე დღეს ექიმმა **ერთხელ კიდევ დაიბარა**, 335.

**დიდხანს იცადეს** და **ბევრი იარეს**. ხან კიბუზე **ავიდნენ**, ხან მარცხნივ **შეუხვიეს**, ხან მარჯვნივ **გაუხვიეს**, 330.

წყვეტილის მწკრივი მრავალგზისობის გაგებას იძენს არა მხოლოდ ლექსიკური საშუალებებით, არამედ მაშინაც, როცა ის მოხვდება ხოლმეობითისა და უწყვეტელის მწკრივთა თანამიმდევრობებში:

იმ დღიდან უკვე **ხშირად ჩამოდიოდა** სოფლიდან და მარიამის მაგივრად ოჯახს **უვლიდა**, მაგრამ სიარულს **თანდათან დაუკლო** და ბოლოს თვეში ერთხელაც ძლივს **გამოჩნდებოდა ხოლმე**, 317.

მიხეილ ჯავახიშვილის პროზის ენაში ყურადღებას იქცევს მრავალგზისი ფორმების გამოყენება ქვეწყობილი წინადადების კომპონენტებში; ასეთ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება უსწრებს მთავარს და მისი ზმნა-შემასმენელი ფაქტობრივად განკარგავს მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლის მრავალგზისობასაც. ამასთანავე გასათვალისწინებელია დამოკიდებული და მთავარი წინადადების ზმნა-შემასმენლის მწკრივთა თანამიმდევრობა, სადაც დამოკიდებულის ზმნა-შემასმენელი ან მყოფადის ხოლმეობითია, ან მყოფადი, უწყვეტელი, აწმყო. მთავარი წინადადების სხვადასხვა მწკრივიც მრავალგზისობის გამოხატველია:

**როცა ძილის დრო მოუვიდოდა**, უცებ გუნებას **გამოიცვლიდა**, პირსახეს **მოიდუშავდა**, შუბლს **შიჭმუხვნიდა**, 92.

თომა რომ გზას **გაჰყვებოდა** და **ხევიტ წავიდოდა**, თინა წკებლას **აიღებდა**, ლიანდაგს **დაადგებოდა** და ქვევით **წამოვიდოდა**, 322.

მწყემსების ხმაურობა რომ სატრფოს **მისწვდებოდა**, ხელებგამვერილი და მოლიმარე თინა ნახირისაკენ **გასწევდა** და თან უხილავ მეგობრებს **ეძებდა**, 314.

**ბოლოს მანძილის შიში რომ დასძლევდა**, ისევ **მოტრიალდებოდა**, ღრინიასავით თავს **ჩაჰლუნავდა** და კვნესით და ტირილით თავის ქოხს **დაუბრუნდებოდა**, 323.

თინა უწინ რომ ვინმეს **წააწყდებოდა** ან ხელს **წაავლებდა**, ქალს და ვაჟს ერთმანეთისაგან ძლივს არჩევდა, 315.

ვაჟს რომ ხელით მიეფერებოდა, ტანში რაღაც ნაპერწკალი გაჰკრავდა, 315.

ვინმე ნაცნობი რომ შეჰხვდებოდა, აიღმიჭებოდა და რაღაცეებს ანიშნებდა, 83.

ზოგჯერ რომ დაიგვიანებს, თინა აიბურძენება და აიბრიზება, 321.

ჩაის სმას რომ გაითავებს, კარებს შიგნიდან კიბებს მიაყუდებს, იატაკზე მისდებს და შუალამედის შამფურივით სტრიალებს, 80.

კარგად რომ შემოლამდება, ჭიაყელას მოსძებნის და ისევ თავის ჭუკებსა და წიწილებთან მიდის, 28.

დაღლილი და დაქანცული კურკა სადამოზე სახლში რომ დაბრუნდებოდა, თავისივე ოთახში შესვლა სცხვენოდა და ეუცხოვებოდა, 92.

ქალი რომ ჩემი ხნისა შესრულდება, გათხოვდება ხოლმე, 311.

ბავლე... ტყეში რომ მიდიოდა, ზოგჯერ ნიკასაც წაიყვანდა და სახლს დაჰკეტავდა, ხოლო გიგის და საქონლის პატრონებს ნასყიდას მიაბარებდა, 113.

მატარებელი რომ მიდის, თინა სადარაჯოსთან წითელი ბაი-რალით სდგას, რკინის ფრინველს უღიმის, უცნობ მგზავრებს უყვირის და ხელს უქნევს, 316.

დალამდება თუ არა, დუქანში დარჩო შემოიხედავს და იკითხავს, 80.

მოვიდოდა თუ არა მუშტარი, ისიც იქვე აიტუზებოდა და დაუწყებდა ვაჭრობას, 79.

დასახელებულ ნიმუშებში დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ადგილის მიხედვით, როგორც წესი, წინ უსწრებს მთავარს. მსგავსი სემანტიკურ-ფუნქციური ურთიერთმიმართება აგრეთვე ვითარების გარემოების შემცველ დამოკიდებულ წინადადებასა და მთავარს შორის, რასაც განაპირობებს მათი ზმნა-შემასმენლების მრავალგზისობა. თუმცა ასეთი დამოკიდებული წინადადება, როგორც წესი, მოსდევს მთავარს:

დღე ისე არ გავა, რომ დარჩომ არ დააყვედროს, 80.

დღე ისე არ გავიდიდა, რომ კურკას ექვსიოდე აბაზი არ მოეტანა „ხაზეინთან“, 79.

ზოგჯერ ისე დამთავრდებოდა დღე, რომ მამა-შვილი ერთმანეთს ხმასაც არ გასცემდნენ ან ორიოდე სიტყვას ძლივს ეტყოდნენ, 119.

მაშო ისე დაწვებოდა და დაიძინებდა, რომ კურკას ხმასაც არ გასცემდა, 92.

წვრილმანი საჩუქარი თინას... ისე აგიუებდა, რომ ძლივს დაამზიდებდნენ ხოლმე, 321.

ბაზარი ისე შეეჩვია კურკას ბლავილსა და ტირილს, რომ მშველელი იშვიათად გამოუჩნდებოდა, 77.

დროისა და ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ ქვეწყობილი წინადადების ნაწილებში რომ ხშირად გამოხატული მრავალგზისობა, ამის თაობაზე მიგვივითებს ლ. კვაჭაძე (კვაჭაძე, 1996, 426; 434).

რთულ ქვეწყობილი წინადადების კომპონენტები მრავალგზისობას გამოხატავენ პირობითი დამოკიდებული წინადადების მეშვეობითაც:

თუ უბარათო ვინმეს მოასწრობდა, ცულს, უღელს, ჯამბარას წაართმევდა და საჩივარს აღძრავდა, 113.

თუ ნადირი ხაფანგში აღრე გაებმებოდა, ხშირად ვაბმულ ფეხს საკუთარი კბილით მოიჭამდა და წავიდოდა, და თუ დილით გაებმებოდა, მონადირეებს ცოცხლად ჩაუვარდებოდა ხელში.

ასე რომ, მრავალგზისობა ბუნებრივად გადმოიცემა ისეთ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, რომელიც შეიცავს დროის, ვითარებით და პირობით დამოკიდებულ წინადადებას.

მრავალგზისი ფორმების სიხშირე იგრძნობა ისეთ კონტექსტში, სადაც პირველ წინადადებაში ნაჩვენებია შედეგი იმისა, რასაც მოსდევს მოქმედების მრავალგზისი პროცესი ამ შედეგის მიღწევისა:

ბავლე და ნიკა წელზე ფეხს იდგამდნენ... ხან სთოხნიდნენ, ხან მარგლიდნენ, ხან ჭირნახულსა რწყავდნენ, ხან კიდევ, როცა ძალიან წამოცხებოდა, იმ გოლიათ მუხების ჩრდილში სკებსა და გოდრებს სწნავდნენ.

სამხარი რომ მოატანს, შინ შევლენ, გოგიას ააყენებენ, პირს დაჰბანენ, მოუვლიან, თვითონაც შენაყრდებიან და ძვევ მინდორში გავლენ. თან გოგიასაც წაიყვანენ და სანოვაგესაც წაიღებენ. მუხების ქვეშ ცეცხლს გააჩენენ, ზედადგარზე ქვებს შესდგამენ და სადილს იქ მოჰხარშავენ, კეცსაც გაახურებდნენ და ხმადს ან მჭადს გამოაცხობდნენ. დასაკერებელსაც თვითონ დააკერებდნენ და გასარეცხსაც თვითონ გარეცხავდნენ, 115.

ჭერ კიდევ სამუშაო ჰქონდათ ბავლეს და ნიკას: რიჟრაჟზე

**ადგებოდნენ**, იქვე წყაროზე პირს **დაიბანდნენ**, ძროხებსა და ცხვარს **მოსწველიდნენ**, რძეს **აადულებდნენ**, მერმე დილის ძილში წასულ გოგიას სადარაჯოდ ერთგულ ძალს — ბოდრიას ან ყურბანას — კიბესთან **მიუბავდნენ** და თვითონ კი ცულით, წალდით, ბარით და თოხით სამუშაოდ **გავიდოდნენ**, თან საქონელს **გარეკავდნენ**, იქვე მინდორზე **გაუშვებდნენ** და მერმე მეორე ძალს **მიუჩინდნენ**, ნიადაგ ტაფობს **დასტრიალებდნენ**, მუდმივ საქონელს **გარს უვლიდნენ**, თუ ხარი, ძროხა, კამეჩი ან ცხვარი ნახირს **მოსწყდებოდა და ტყისკენ წავიდოდა**, ძალი ღრენით და ყვეფით **მოუჭრიდა** გზას, ფეხებში **მივარდებოდა**, **ჭებენდა** და **იქამდე არ მოასვენებდა**, სანამ ნახირში არ **დააბრუნებდა**, 115.

**ქუჩის ბიჭები და მასხარა მაწანწალებმა კურკას სიცოცხლეს უმწარებდნენ**: ყოველ დღე უკნიდან ვინმე ჩუმიად **მიეპარებოდა**, კლანჭში **მოსწვდებოდა** და **დაჭეფდა**, მშიშარა კურკა კი ჯერ სავინლად **დაიბლავლებდა**, **მერმე** მიწაზე **გაგორდებოდა**, გრძელ ხელებსა და მოკლე ფეხებს ისე **დაუშენდა** ჰაერს, თითქოს ძალს **იგერიებდაო**, და ყვირილს **მორთავდა**, 76.

**დღეს დღე მისდევდა და კვირას კვირა**. თინას მარიამის კვნესა, ოხვრა და ქშინვა **ესმოდა** და მუდამ თავს **დასტრიალებდა**: გვერდით **მოუჯდებოდა**, რამდენიმე საათით **გახევდებოდა**, პირსახეს და ხელებს **უცაცუნებდა** და **წამ-და-უწუმი ეკითხებოდა**, 316.

**ტყის კაცი მუშაობასაც გადაეჩვია**. ბარზე ან თოხზე **დაეყრდნობოდა** და იქამდე **ჩასტკეროდა ერთ წერტილს**, სანამ ვინმე არ **გამოაფხიზლებდა**. აღარც პირსახეს იბანდა, არც თმასა და წვერ-ულვას ივარცხნიდა და უწინდელ ულუფის ნახევარსაც კი **აღარ სჭამდა**, 131.

**თავიდან კურკა ყველას დაბრიყვებულნი ჰყავდა**. ვისაც არ ეზარებოდა, თავში **ჩაუფაჩუნებდა**, ან უკნიდან **მიეპარებოდა**, კლანჭში **მოსწვდებოდა** და ძალღივით **დაჭეფდა**, ან კიდევ სულ უმიზეზოდ **მარს მოსდებდა** და **მისტყებავდა**, 76.

**ზოგჯერ ტყეს მთელი კვირით ნისლი დააწვებოდა და ღრუბლიანი ცა წვიმით იცრებოდა**. ასეთ დროში ბავლე და მისი შვილები **ვერ იხვენებდნენ**, გალიაში მომწყვდეულ მხეცებივით **დაბორიალებდნენ** პატარა სახლში და უფრო ხშირად საქონელს, დათვის ბელებს და ძაღლებს **ელაპარაკებოდნენ**, ვიდრე ერთმანეთს, 120.

ვინაიდან „ნებისმიერი ენობრივი ფუნქცია დგინდება და რეალუ-

რად არსებობს მხოლოდ და მხოლოდ კონტექსტში“ (ჯორბენაძე, 1980, 372), ამ დებულების საილუსტრაციოდ გთავაზობთ ამონაწერს მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობიდან „ტყის კაცი“, სადაც მრავალგზისი ფორმების მთელი კასკადია წარმოდგენილი:

**უთავბოლო, უზარმაზარი, უღრანი და ბნელი ტყე ათასი იდუმალებით იყო სავსე**: **ზოგჯერ** ტყეში ისეთი სიჩუმე **ჩამოვარდებოდა**, რომ საკუთარი სუნთქვაც კი ისმოდა. უფრო ხშირად კი ტყე **ხმაურობდა, დუდუნებდა, შრიალებდა, ჰფუსფუსებდა**.

მაისის ღამეს მოულოდნელად **გაიელვებდა, დაიჭექებდა** და **მთელი ღამე** უსუილით **წვიმდა**. **ზოგჯერ** უცებ გრივალი **ამოვარდებოდა**, იქაურობას ღრიალით **დააყრუებდა** და **ღვევ უცებ ჩავარდებოდა**.

დიდ ქარში **ღამ-ღამობით** ტყე **ჭლმუოდა, ჰკვნესოდა, ზანზარებდა** და გრივლი **გაჰქონდა**, მერმე კი საამური, მოლხენილი და მზიანი დილა **გათენდებოდა**. **ასეთ დღეში** ნიკა და გოგია ტაფობს **დაიბრუნდნენ** და ახლო-მახლო ტყეშიც **შეერეოდნენ**, **თან** ყურმას და ბოდრიასაც **წაიყვანდნენ**.

ნამიანი ტყე და ტაფობი ათას ფერად პრწყინავდა. ფრინველების ყრიაშული იქაურობას **აყრუებდა**; კვერნა, ციყვი, თრითინა, დედოფალა და კატუნა მზიარულად **დანავარდობდნენ**, გრივალის შემდეგ ტყე **წაქცეულ** და დაჩხილ ხეებით **ივსებოდა**, და იგი ამ დროს დახოცილი ვაჟკაცებით დაფრენილს ბრძოლის ველს **ჰგავდა**.

ცაში არხეინად **დასცურავდნენ** ცის მეფენი — არწივი, ქორი, სვავი და ძერა. **ზოგჯერ** რომელიმე ონავარი ფრინველი ისარივით **დაეშვებოდა** დაბლა წვრილფეხა ფრინველებში ერთი ყრიაშული და ყვილ-ხივილი **ასტყდებოდა**. ტუტტუცი და მშიშარა ოფოფი უმაღლე გულადმა **გაწვებოდა**, ნისკარტს ზევით **აიწევდა** და ვითომ თავს **იცავდა**. კრუნები **აიბურძენებოდნენ**, კუხკუხს **ასტენავდნენ** და წიწილებს **დაუვლიდნენ**; გოგია „ჰაია-ჰაის“ **გაჰკიოდა**, ხოლო ნიკა თოფს **უმიზნებდა** და ხან ძერას და ხან ქორს **ჩამოავდებდა**.

შრომანა ცხვარს **ჰხიბლავდა**; შაშვი ზილით **ჰხანჭანებდა**; მოლალული მუდმივ „ბიჭო გოგიას“ **გაჰკიოდა**; გუგული **ჰგუგუნებდა**; კოდალა **აკაკუნებდა** და მემატლიეს, ჩხიკვის, ყაპყაპის, დალდის, ანკარისა და ასნაირ ჩეტების ყვილ-ხივილი იქაურობას **ავსებდა**.

**შუადღე რომ მოატანდა**, სიცხისაგან დათენთილი ფრინველი და ცხოველი **მიყუჩდებოდა**; ტყეც თვლემას **მიეცემოდა**; გვრიტი **მაინც**

**დვრინავდა;** კოდალა ისევ აკაკუნებდა, ქედანი ლულუნებდა, ანცი ციყვი ისევ დაპხტოდა.

როცა დაღამდებოდა, ღამის ფრინველი და ნადირიც მაშინ გაივიძებდნენ, სორო-ბუნავებიდან და ბუდეებიდან **გამოვიდოდნენ, ახმა-ურდებოდნენ** და ამ უღრან ტყეს ღამის ჩამუნით, ფუსფუსით და კივილ-წირბინით **აცოცხლებდნენ;**

ერთი ოლოლა მეორეს გადასძახებდა:

- იპოვე ეე-ე?

მეორე უპასუხებდა:

- ვერა, ვერ-ა!

ასიღამა წვრილ ხმაზე **გაიძახოდა:**

- კლიპ-კლიპ! კლიპ-კლიპ!

ჭოტი კი ისევ თავის ობლურს **გაჭკიოდა.**

**ზოგჯერ** ხევში საღმე მიკიოტი საზარლად **დაიყვილებდა.** მის ყივილზე ძაღლები ყმუილს **ასტენავდნენ.** პავლე **პირჯვარს იწერდა** და ბურტყუნით **იწყევლებოდა.** ძაღლები **დიღამდე იღრინებოდნენ, ჰყეფდნენ** და ხილულსადა უხილავ ნადირს **იგერიებდნენ.**

ღამის წყვილიადში **ხან** ახლო-მახლო და **ხან** მომორებით მგლის ყმუილი ტურის ყეფა, მაჩვის ჩხავილი, **ზოგჯერ** აფთარის გოდება, მელიის წირბინი და დათვის ბურტყუნიც **გაისმოდა.**

ნიკა **ზოგჯერ** ფუტკარს **ეძებდა:** ცვილს **დასწავდა** და სუნით **მოიზიდავდა.** მერე ფუტკარს **გამოუდგებოდა** და ბუდემდე **მიჰყვებოდა.** კვალს რომ მიაგნებდა, **ჯერ** იმ ხეს **დაჰმორავდა** წალდით, საცა ფუტკარი **ბუდობდა** და მერე მამას **დაუძახებდა.** ორივენი ფუტკარის ამოსაყვანად **წავიდოდნენ, თან** დაწნულ სკას **წაიღებდნენ.** ფუტკარს რომ შეუბოლებდნენ და ხის ფულუროდან **გამოაფრენდნენ,** იმ ხეს **მოსჭრიდნენ,** თაფლს **ამოიღებდნენ,** სკაში **ჩასდებდნენ,** შიგ ფუტკარს **ჩაჰყრიდნენ — წამოიღებდნენ** და ცაცხვის ქვეშ **დასდგამდნენ,** 116-117.

ზოგიერთი ზმნის სემანტიკა თავისთავადს ასახავს მრავალგზისი მოქმედების პროცესს:

სოლო დამტვრეული ფეხებით ცეკვას **უხშირებს,** 321.

მგლების ყმუილი და ტურა-მელას ჩხავილიც **განშირდა,** 120.

ნადირობას **მოუხშირეს,** 120.

მიხეილ ჯავახიშვილი მოქმედების მრავალგზისობისა და ინტენსიურობის გამოსახატავად ლექსიკურ საშუალებებთან ერთად მიმარ-

თავს სასაუბრო ენისათვის დამახასიათებელ ხერხს — ზმნა-შემასმენელთა განმეორებას:

თათარი ლუქნის ქირას არ იძლეოდა, დარჩო კი იჯარის ფასს **ისევ უმატებდა** და უმატებდა, 79.

აგერ, **რამდენი წელიწადია,** რაც ყოველდღე, **დღიდან საღამომდის,** ორ-აღლიანი ფიცრები ორად მოხრილი ზის და **განუწყვეტილვ ჰკერავს, ჰკერავს** და **ჰკერავს,** 80.

ამრიგად, მრავალგზისობის სემანტიკურ-ფუნქციური განდასების განხილვითაც ცხადად იკვეთება, რომ მიხეილ ჯავახიშვილის პროზის ენა, მწერლის თხრობის სტილი მჭდროდაა დაკავშირებული ხალხურ სასაუბრო ენასთან; იგი შესანიშნავად ფლობს და მარჯვედ იყენებს მშობლიური ენის ამოუწურავ შესაძლებლობებს, რითაც მიხეილ ჯავახიშვილი გვევლინება ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთ საიმედო მეციხოვნედ.

#### ლიტერატურა

**გეგუჩიძე 1980** — ლ. გეგუჩიძე, მყოფადის მნიშვნელობისათვის ქართულში, ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1980.

**გეგუჩიძე 2005** — ლ. გეგუჩიძე, მწკრივთა შესაძლო შეფარდებებისა და დროთა თანამიმდევრობის საკითხები რთულ კონსტრუქციებში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2005.

**გოგოლაშვილი 1988** — გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნის უღლებების სისტემა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1988.

**კვაჭაძე 1996** — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, მეოთხე შევსებული გამოცემა, გამომცემლობა „რუბიკონი“, თბილისი, 1996.

**მაჭავარიანი 1974** — გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, გამომცემლობა — „მეცნიერება“, თბილისი, 1974.

**სარჯველაძე 1984** — ზ. სარჯველაძე, მიხეილ ჯავახიშვილი და ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1984.

**ფეიქრიშვილი 1974** — ჟ. ფეიქრიშვილი, თურმეობითის მნიშ-

ვნელობა და გამოყენება ახალ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1974.

**ფხაკაძე 1984** — დ. ფხაკაძე, I თურმეობითის ფუნქციები ქართულში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1984.

**შანიძე 1953** — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1953.

**შანიძე 1973** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1973.

**ჭუმბურიძე 1967** — ზ. ჭუმბურიძე, ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის ქართულში, კრებული „ორიონი“, მიძღვნილი ა. შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1967.

**ჯავახიშვილი 1964** — მ. ჯავახიშვილი, ლიტერატურული განცხადება, რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, ტ. VI, გამომცემლობა — „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964.

**ჯორბენაძე 1980** — ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1980.

ROIN CHIKADZE

### Distribution of the Frequentative in the Language of M. Javakhishvili's Fiction

#### Summary

The language of M. Javakhishvili's fiction is rightly recognized as a perfect sample of Standard Georgian.

In his works the dynamic type of narrative is achieved by the abundant use of verb-predicates and their frequentative semantics. The writer's style shows close ties with the colloquial variant of Georgian, at the same time it reveals the semantic and functional potency of the Georgian verb.

მეფა სალიანი

### მეთევან მარგიანი-სუბარი „ზემოსვანურ დიალექტთა მორფო-სინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი“, სადინტაქსიკო ნაშრომი, 2008 წ.

(მეზუნიასა და კოლორის ხეობათა მოსახლეობის მატყველების მიხედვით)

#### რეცენზია

ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ (1970 წელს) პროფესორი მაქსიმე ქალდანი სტატიაში „დიალექტთა შერევა კოლორის ხეობის სვანურში“ საგანგებოდ მსჯელობდა იმ რთული თავისებურებების შესახებ, რომლებიც კოლორის (**resp.** დალის) ხეობის სვანურენოვანი მოსახლეობის მეტყველებისთვის იყო დამახასიათებელი. სწორედ ეს დიალექტოლოგიური სურათი განაპირობებდა, მისი აზრით, ამ ხეობაში მცხოვრებ სვანთა მეტყველების ახალ, მეტად რთულ და საინტერესო დიალექტად ჩამოყალიბებას (მ. ქალდანი). როგორც ცნობილია, აღნიშნულ ხეობაში დღემდე მიმდინარეობს სამეტყველო კოდების შერევა, რაც გამოიხატება ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტთა ურთიერთშერევის (**ინტერფერენცის**) პროცესში. ეს ზოგადენათმეცნიერული პრობლემა, პროფ. ი. ჩანტლადის აზრით, შესწავლილ უნდა იქნას არა მხოლოდ ერთი კონკრეტული სტრუქტურის, არამედ ყველა მახასიათებლის მიხედვით — კოლორის ხეობის 13-ივე სოფლის (რომელთაგან ექვსში ცხოვრობენ ბალსზემო ან ბალსქვემო სვანეთიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები, ხოლო შვიდში — როგორც ბალსზემოელები, ისე ბალსქვემოელები) **მეტყველება** უნდა შეუპირისპირდეს ზემოსვანურ დიალექტებს, რისთვისაც საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს მორფონოლოგიურ სპეციფიკასა და ლექსიკას. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სვანური ენის შემსწავლელი ჯგუფი (ი. ჩანტლადი, ე. ვაზდელიანი, რ. ჭყაღუა, მ. სალიანი, ქ. მარგიანი-სუბარი, ქ. მარგიანი, რ. იოსელიანი) უკვე რამდენიმე წელია სწორედ ამ კუთხით იკვლევს სვანური ენის თითქმის შეუსწავლელ უბანს — კოლორის (**resp.** დალის) ხეობის მეტყველებას ზემოსვანურ დიალექტთა მონაცემების მიხედვით.

თუმცა, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოსვანურ დიალექტთა მონაცემების გარდა, კოდორულ ტექსტებზე მუშაობის პერიოდში ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ამავე არეალში, კერძოდ, სოფელ გვანდრაში, მცხოვრები ლაშხელი რესპოდენტის<sup>1</sup>, კოდორელი ბალსქვე-მოვლების, გუჯეჯიანების, რძლის, ორმოცი წლის ირმა კოჭბიანის, მეტყველების თავისებურებებმა, რომელმაც საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ინტერფერენციული მოვლენები ისეთ დაშორებულ დიალექტებს შორის, როგორცაა ლაშხური და ბალსქვემოური. იგი 1997 წლიდან ცხოვრობს კოდორის (**resp.** დალის) ხეობაში ბალსქვემოელთა გარემოცვაში, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მის მეტყველებაზე. ეს გავლენა, ჩვენი დაკვირვებით, აისახა როგორც ლექსიკაზე, ასევე ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსზეც.

კოდორული დიალექტები და ამ დიალექტებში შემავალი კილოკავები, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთს უპირისპირდებიან სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის (ხმოვანთა სიგრძე, უმლაუტი, რედუქცია, დელაბილიზაცია, მეტათეზისი, ბგერის ჩართვა-დაკარგვა...), მორფოლოგიურ-სინტაქსურ თუ ლექსიკურ თავისებურებათა არსებობა-არარსებობით, რაც, ფაქტია, განაპირობა ზემოსვანური დიალექტების წარმომადგენელთა წლების განმავლობაში ერთმანეთის გვერდით თანაცხოვრებამ (მ. სალლიანი, ბალსქვემო სვანეთიდან კოდორის (რესპ. დალის) ხეობაში ჩასახლებულთა მეტყველების თავისებურებანი, თბ., 2007, 75).

როგორც ცნობილია, „კოდორის (**resp.** დალის) ხეობის მოსახლეობის მეტყველებაში დასტურდება ორგვარი ინტერფერენცია:

ა) ქართული ენის (განსაკუთრებით დასავლური დიალექტების) ლექსიკისა და გრამატიკული ფორმებისა;

ბ) სვანური ენის ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტთა მონაცემებისა“ (ი. ჩანტლაძე, ხმოვანთა სიგრძე როგორც ინტერფერენციული მოვლენა კოდორის (**resp.** დალის) ხეობაში გადასახლებულ ბალსქვემოელთა მეტყველებაში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XVIII, თბ., 2007).

ქეთევან მარგიანი-სუბარის მიერ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ზემოსვანურ დიალექტთა (ენგურისა

<sup>1</sup> კოდორის რეგიონში მცხოვრები სხვა ქვემოსვანი რესპოდენტის მეტყველების ნიმუშები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

და კოდორის ხეობათა მოსახლეობის მეტყველების მიხედვით) წმინდა ენათმეცნიერული ასპექტით საკითხის მონოგრაფიულად შესწავლის პირველ, და ამავე დროს, საკმაოდ წარმატებულ ცდას.

ნაშრომი „ზემოსვანურ დიალექტთა მორფო-სინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი“ შედგება შესავლისა, ორი თავისაგან (რომლებიც დაყოფილია გარკვეულ პარაგრაფებად) და დასკვნითი დებულებებისაგან. ნაშრომს, როგორც წესი, ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და კოდორის ხეობაში ჩაწერილი რამდენიმე ტექსტი.

შესავალში დისერტანტი მოკლედ მიმოიხილავს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს კოდორის ხეობის იმ ისტორიული ტერიტორიის შესახებ, რომლისკენაც მეცნიერთა თვალი ყოველთვის ინტერესით იყო მიპყრობილი და რომელსაც „როგორც ანტიკურ, ისევე საშუალო საუკუნეთა ეპოქაში მიუხიანეთი (**Mivssiavoi**) ეწოდებოდა“, და, აგრეთვე, საკითხის შესწავლის მოკლე ისტორიას.

კოდორის ხეობის სვანური მეტყველების ინტერფერენციის თვალსაზრისით კვლევა, ჩვენი მოსაზრების თანახმად, მორფოლოგია-სინტაქსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ნაშრომის აქტუალურობას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მასში, მიუხედავად ცნობილ ენათმეცნიერთა (ნ. მარი, ს. ჯანაშია, კ. დონდუა, ა. შანიძე, ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, გ. მაჭავარიანი, მ. ქალდანი, თ. შარაძენიძე, ზ. ჭუმბურიძე, ა. ონიანი, ი. ჩანტლაძე, გ. თოფურია, ნ. აბესაძე...) მიერ სვანური ენის ფუნდამენტურად გამოკვლევისა, ზოგი ასპექტი (სახელთა ორფუძიანი ბრუნება, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ზმნაში, თურმეობითის მწკრივთა სპეციფიკურობა...) კოდორის ხეობის სვანური მეტყველებისა პირველადაა წარმოდგენილი საპაექროდ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. დისერტაციის ძირითადი ნაწილი სწორედ მორფო-სინტაქსური საკითხების კვლევით შემოიფარგლება, რაც ენათმეცნიერული თვალსაზრისით, ბუნებრივია, მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია.

ნაშრომის პირველი თავი, რომელიც ორი პარაგრაფისაგან შედგება, ძირითადად, ეძღვნება მორფოლოგიის საკითხებს. დისერტანტი პირველ პარაგრაფში განიხილავს ზემოსვანურ დიალექტთა ინტერფერენციულ მოვლენებს სახელთა ორფუძიანი ბრუნების სისტემაში. სწორედ სვანური ბრუნების სირთულის შესახებ აღნიშნავდა დიდი მეცნიერი აკაკი შანიძე: „...ძნელია, ნათლად გაერკვეს კაცი იმ არეულ-დარეულ ფორმებში, რომელთაც იძლევა სვანური ბრუნება დღეს“. ეს სირთულე



უკავშირდება როგორც თავად სისტემას, ისე ბრუნვის ნიშანთა მრავალფეროვნებას. ნაშრომის ავტორი გამოწველივით აანალიზებს ყველა იმ მოსაზრებას, რაც გამოთქმულია სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, და ცნობილ მეცნიერთა არაერთგვაროვანი შეხედულებებიდან საგულისხმოდ მიაჩნია ი. ჩანტლაძის დასკვნა: „ერთფუძიანი (მარტივი) ბრუნებიდან გარკვეული ფონეტიკური პროცესების საფუძველზე მივიღეთ ორ- (**resp.** სამ) ფუძიანი (რთული) სისტემა, ხოლო ენობრივ ფორმათა გაერთმინიშვნელიანების ტენდენცია და ანალოგიისკენ სწრაფვა კვლავ ამარტივებს საქმის ვითარებას სვანური ენის თანამედროვე ეტაპზე, ამიტომაც ერთმანეთისაგან მკაცრად უნდა გაიმიჯნოს ძველი და ახალი სიმარტივე“. დისერტანტი სვამს კითხვას: „როგორია ამ მხრივ სურათი კოდორელ სვანთა დღემდე თითქმის შეუსწავლელ მეტყველებაში?“ დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ მ. ქალდანი აღნიშნავდა, რომ კოდორის ხეობის სვანურში მნიშვნელოვნად არის გამარტივებული სახელთა ბრუნების სისტემა და ახალი თაობის მეტყველებაში თითქმის არ განიჩქევა ერთმანეთისაგან ბრუნების I, II და IV ტიპის სახელები“ (ქალდანი 1970, 90).

დიდალი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე დისერტანტმა შეძლო გაერკვია და დაესაბუთებინა, თუ რა შეიცვალა მას შემდეგ კოდორელ სვანთა მეტყველებაში ამ მხრივ, რა ბედი ეწია ორფუძიანობას და რა გავლენა მოახდინეს ერთმანეთის მეტყველებაზე ერთსა და იმავე სოფლებში გვერდიგვერდ მცხოვრებმა ბალსზემოელი და ბალსქვემოელი სვანების შთამომავლებმა. მისი აზრით, დღესაც გრძელდება ბრუნების გამარტივების ტენდენცია კოდორელ სვანთა მეტყველებაში (გვ. 11).

ვახდენტ ციტირებას ნაშრომიდან: „საუკუნენახევრის წინ კოდორში გადასახლებულ სვანთა მემკვიდრეების (როგორც ბალსზემოური, ისე ბალსქვემოური კილოს თანამედროვე წარმომადგენელთა) მეტყველებაში ბრუნების I ტიპი ცდილობს გაბატონებას. მოთხრობითი ბრუნვის დონიან ფორმებს თითქმის ცალსახად ირჩევენ ორივე დიალექტის წარმომადგენლები. მაგ., ბზ. თხერე-დ „მგელმა“, მუხტბე-დ||მუხტბა-დ „ძამა“, მარე-დ „კაცმა“, მუ-დ „მამამ“, ჭან-დ „ქმარმა“ ...“. დისერტანტი იქვე დასძენს: „როგორც ვხედავთ, -დ ფორმანტიანი ფორმები მოცემულ შემთხვევებში გამოყენებულია იმ სახელებთანაც, რომელთაც პარალელური (-ემ-იანი) ფორმები მოეპოვებათ“ (გვ. 12). ჩვენი აზრით, თითქმის ანალოგიური სურათი იხატება ენგურის ხეობის ბალსქვემოურშიც.

მართალია, ბრუნების გამარტივების ტენდენცია კოდორელ სვანთა მეტყველებაში, დისერტანტის აზრით, დღესაც გრძელდება, თუმცა ხშირია ორფუძიანი ნათესაობითის ფორმებიც როგორც კოდორელ ბალსზემოელთა მეტყველებაში, ასევე ბალსქვემოელების შთამომავალ კოდორელთა მეტყველებაშიც.

სავსებით ვეთანხმებით დისერტანტს, როდესაც ინტერფერენციულ ფორმად თვლის ბალსზემოურ **მარამ-დ**ს „კაცმა“, რომელიც იშვიათობას წარმოადგენს.

ინტერფერენციასთან ერთად სახელთა ბრუნებისას დისერტანტი ანალოგიის შემთხვევებზეც მიუთითებს (მაგ.: ბქ. **წოსგიდიჟ ჭუედეშ ჭურუქა** — გაიხედა კედლის ხერელში, გვ. 19). რადგანაც მოქმედი (ყოფილი სუბელიანი) წარმოშობით ენგურის ხეობის ბალსქვემოური დიალექტის წარმომადგენელია, მას **ჭუედეშ** ფორმის ნაცვლად უნდა ეთქვა — **ჭუედიშ** (შდრ. ბზ. **ჭუადწშ**).

პირველი თავის მეორე პარაგრაფი ეძღვნება ზედსართავ სახელთა ხარისხის ფორმებს, სადაც განხილული და გაანალიზებულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა. დისერტანტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ნაშრომზე მუშაობისას გ. მაჭავარიანის სტატიას (მისი იშვიათობის გამო) არ იცნობდა და მიუხედავად ამისა ზედსართავ სახელთა ხარისხის „გაქვავებულ“ ფორმათა (**ხ-ა-შ-ა** „შურს“, **ხ-ა-ლ-ა** „სწყინს“, **ხ-ა-ჩ-ა** „უხარია, ელიმება“) და შესაბამისი ზმნების ძირთა იდენტურობის შესახებ მოსაზრებამდე დამოუკიდებლად მივიდა და ზმნური შესატყვისობაც ყველა „გაქვავებულ“ ფორმისთვის ივარაუდა (გვ. 27-28). რაღა თქმა უნდა, სათანადო მაგალითებიც უხვად აქვს დაძებნილი როგორც სვანური პროზისა და პოეზიის ნიმუშებში, ასევე ცოცხალ მეტყველებაშიც და „გაქვავებული ფორმების“ ოპოზიციას ისტორიულ ჭრილში შემდეგნაირად წარმოგვიდგენს:

შესაბამისი ძირის ზმნა	უფროობითი ხარისხი	აღმატებითი	დადებითი ფორმა
საარვისო ქცევა <b>ხ-ა-შ-ა</b> („ებევრება, ენანება, ეწხედ“)	<b>ხ-ო-შ-ა</b>	<b>მა-შ-ენ-ე</b>	<b>*-შ-</b>
<b>ხ-ა-ჭურ-ა</b> („ეცოტავება“)	<b>ხ-ო-ხ<sup>1</sup>ურ-ა</b>	<b>მა-ჭ<sup>1</sup>ურ-ენ-ე</b>	<b>*-ჭურ-/*-ხურ-</b> და ა. შ.

საყურადღებოდ გვეჩვენება ამავე თავში (§ 1.) მოცემული დისერტანტისეული საინტერესო დაკვირვებანი პირის ნიშნებთან დაკავშირებულ ინტერფერენციულ მოვლენებზე. როგორც პროფ. ვ. თოფურია აღნიშნავდა: „ქართველური ზმნის მექანიზმი საერთოდ რთულია, მაგრამ სვანურისა — განსაკუთრებით“. ამ სირთულის ერთ-ერთი საფუძველი კი ენაში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის არსებობაა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საენათმეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ცნობილია, არაერთი საინტერესო მოსაზრება არსებობს, თუმცა ამაზე აქ არ შევიჩერდებით. ეს მორფოლოგიური კატეგორია აისახება არა მარტო ზმნაში, არამედ კუთვნილებითი ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის I პირის ფორმაშიც. მისი გამოხატვა თანამედროვე სვანურ დიალექტებში განსხვავებულია: ქვემოსვანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის მიხედვით დაპირისპირებას მხოლოდ სუბიექტური პირის ფორმებში აქვს ადგილი, ზემოსვანურ დიალექტებში კი — როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის ფორმებში (ვ. თოფურია, ა. ონიანი).

დისერტანტი ვრცლად მიმოიხილავს საკითხის შესწავლის ისტორიას და შემდგომ გვთავაზობს საკმაოდ არგუმენტირებულ მეცნიერულ ანალიზს ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის შესახებ კოდორის ხეობაში მცხოვრებ სვანთა თანამედროვე მეტყველების მიხედვით. დისერტანტის მსჯელობიდან მოვიყვანთ რამდენიმე საინტერესო ციტატას:

ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიასთან აქ კილოთა შორის ინტერფერენცია მოსალოდნელი არ იყო, რადგან ამ ტერიტორიაზე მხოლოდ ბალსზემოურ და ბალსქვემოურ დიალექტთა წარმომადგენლების მემკვიდრეები სახლობენ, რომლებმაც ინკლუზივ-ექსკლუზივი დღემდე ცოცხლად შემოგვინახეს. ჩვენ სხვა კუთხით დავინტერესდით — ხომ არ შესუსტდა ეს ფენომენი საუკუნენახევრის წინ ზემო სვანეთიდან გადასახლებულ, ენგურის ხეობიდან მეტ-ნაკლებად იზოლირებულად მცხოვრებ სვანთა მეტყველებაში, რომელიც დღემდე თითქმის შეუსწავლელია და რომლის კვლევაც ამჟამად მიმდინარეობს არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის პროექტით „კოდორის ხეობის მოსახლეობის მეტყველება და მისი მიმართება ზემოსვანურ დიალექტებთან“ (გვ. 41-42).

როგორც საკითხის მეცნიერულმა შესწავლამ აჩვენა, „რთული დიალექტოლოგიური სურათის გამარტივების პროცესი“ (მ. ქალდანი) ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიასაც უახლოვდება, სისუსტე გარკვეულწილად მართლაც „**შეჰპარვია**“ ამ უნიკალურ ფორმებს (გვ. 42).

არგუმენტირებული მეცნიერული მსჯელობის საფუძველზე დისერტანტი დაასკვნის: ენგურის ხეობაში მცხოვრები სვანების მეტყველები-საგან განსხვავებით, სადაც ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები დღემდე მკაცრად გამიჯნულია როგორც ზმნაში, ისე ნაცვალსახელში, კოდორელ სვანთა მეტყველებაში საანალიზო კატეგორია შესუსტებული ჩანს. საილუსტრაციო მასალის მიხედვით, ჯერჯერობით, ეს ენება მხოლოდ ზმნას და მხოლოდ სუბიექტური წყობის ინკლუზივს; ანომალიის შემთხვევაში სწორედ ობიექტის ინკლუზიური ფორმის **გჷ**- პრეფიქსი იკავებს ობიექტის ინკლუზიური ფორმის **ნ**- პრეფიქსის ადგილს (მაგ.: **გჷ**-ინვრინადა **ო** „მივყავდით“ ნაცვლად ექსკლუზიური ფორმისა — **ნ**-ინვრინადა, **გჷ**-იხალდა **ო** „ვიცოდით“ ნაცვლად ექსკლუზიური ფორმისა — **ნ**-იხალდა...), პირიქით კი — არასოდეს (მსგავსი ვითარებაა ძველ ქართულშიც) (გვ. 46).

ამავე თავში დისერტანტი განიხილავს უწყვეტლის წარმოების თავისებურებებს კოდორელ სვანთა მეტყველებაში და გვთავაზობს ყურადსაღებ დასკვნებს:

1. ბალსზემოურ და ბალსქვემოურ სვანურში არსებული სიჭრელე უწყვეტლის წარმოებისა კოდორელთა მეტყველებაშიც დასტურდება; ამ მწკრივისთვის გამოყენებული ყველა ფორმანტი (-ა, -და, -ჷ, -გნ) ხეობის მკვიდრთა ენაშიც ცოცხალია და მოქმედი.

2. ერთმანეთისაგან განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები. პირველი მათგანი ძირითადად იცავს ხაიმ-ეცერის ტერიტორიაზე დღეს გაბატონებულ უწყვეტლის წარმოებათა ტიპებს, ხოლო ბალსქვემო სვანეთიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში გადასახლებულთა მემკვიდრე ახალგაზრდობა მიმართავს ბალსზემოურ დიალექტში დადასტურებულ -დჷს, -და მორფემიან მონაცემებს (ი-ღრ-ალ-და „მღეროდა“, ი-ზელ-ალ-და „დადიოდა“, ბ-ცხრ-ი-და „იგებდა“) და თანდათან აბატონებს მათ, რაც ინტერფერენციულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

3. კოდორელთა მეტყველებაში დადასტურდა თანამედროვე ბალსზემოური თუ ბალსქვემოური დიალექტებისათვის იშვიათი უწყვეტლის ისეთი ფორმები, როგორიცაა: ხად-და-ნ „ჰქონდა“, მიჰრ-ი-და-ნ „მთხოვლობდა“, მეყ-დ-და-ნ „მყავდა“, ნიხალ-და-ნ „ვიცოდით“, რომლებიც, შესაძლოა, ხალტ-გნ-და „უყვარდა“ და მისთანათა ფორმების შექცეულ პროცესს წარმოაჩენენ (გვ. 57-58).

როგორც ცნობილია, სვანური ზმნის უღლებაში თურმეობითი გან-

საკუთრებით რთული დროა როგორც წარმოების, ისე სემანტიკური ნიუანსების მრავალფეროვნების თვალსაზრისით. დისერტანტი ვრცლად განიხილავს აღნიშნულ გრამატიკულ საკითხთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურას და კოდორულ დიალექტებზე დაკვირვების შედეგად გვთავაზობს საინტერესო მოსაზრებებს. მისი აზრით, ინტერფერენციის პროცესმა, რომელიც კოდორის (**resp.** დალის) ხეობაში მცხოვრებ ბალსზემოელ-ბალსქვემოელთა მეტყველებაში აშკარაა, არც თურმეობითებს აუარა გვერდი. კოდორელი ბალსზემოელები ნამყოსრულისა და ნამყოწინარეწარსულის ფორმებში -**ნნ-/-ენ-** ელემენტს არა თუ არ უგულებელყოფენ, შეიძლება ითქვას, მათს მეტყველებაში სუფიქსიანი ფორმების გამოყენება სისტემურიც კია, უსუფიქსოებს მხოლოდ აქა-იქ თუ შეეხვდებით (მაგ.: ხულუნენ-**ნნ-ხ** „ჰქონოდათ“, ხახლუნენ-**ნნ-ხ** „სცოდნოდათ“) (გვ. 76). მანვე შეამჩნია ფრიად საინტერესო ინტერფერენციული მოვლენა კოდორულ ბალსზემოურში, კერძოდ: პრევერბის **ა-**, რომელიც ბალსქვემოურში **ა'**დ არის წარმოდგენილი, ხშირად კოდორში ჩასახლებული ბალსზემოური კილოს წარმომადგენლების მეტყველებაშიც იჩენს თავს და ბალსზემოური **ამჭკეჟელის** „გაწყვეტილან“, **ჩუალშიხელი** „დამწვარა“ ლექსემების ნაცვლად გვხვდება გრძელი ხმოვნებით გაფორმებული თურმეობითის ბალსქვემოური ფორმები: **ომჭკეჟელის, ჩუოლშიხელი...** (გვ. 76). მსგავსი სიტუაცია იქნა ჩვენს მიერ დაფიქსირებული კოდორის ხეობაში მცხოვრები ლაშხელი რესპოდენტის, ირმა კოჭბიანის, მეტყველებაშიც, იგი ლაშხური **ჩუალბერგელის** „უჭიდავიათ“, **ალმაზინ** „მიდიოდა თურმე, \*მინავალა“, **ალზიგელი** „დასახლებულა“ ფორმების ნაცვლად ხმარობს **ჩ'ოლბერგელის, ოლმაზინ, ოლზიგელი** ფორმებს.

ნაშრომის მეორე თავი, რომელიც პირველ თავთან შედარებით უფრო მოკლეა, ეხება სინტაქსის საკითხებს. პირველ პარაგრაფში დისერტანტი მიმოიხილავს სათანადო სამეცნიერო ლიტერატურას მირთვასა და თანდებულის ფორმებზე და კოდორულ დიალექტებზე დაკვირვების შემდგომ მიდის იმ დასკვნამდე, რომ „სინტაქსის საკითხებში აქ განსაკუთრებული თავისებურებები არ შეიმჩნევა“ (გვ. 90).

რაც შეეხება ამავე თავში განხილულ საკითხს „სხვათა სიტყვა ზემოსვანურში და „**მცა**“ ნაწილაკის შესატყვისი კონსტრუქციები“, უხვი საილუსტრაციო მასალის ანალიზის საფუძველზე დისერტანტი ასკვნის: „საუკუნენახევრის წინ კოდორის ხეობაში გადასახლებულ სვანთა მეტყველებაში, რომელიც ბალსზემოურ და ბალსქვემოურ კილოთა შერე-

ვის თუ დომინანტ ენაზე მეტყველ მოსახლეობასთან ხშირი კონტაქტის გამო ინტერფერენციულობით გამოირჩევა, ქართულმა ენამ გავლენა სინტაქსზე უფრო ადვილად მოახდინა, რაც საანალიზო თემასთან მიმართებაში ნათლად გამოვლინდა“ (გვ. 106).

ნაშრომს, როგორც წესი, ახლავს დასკვნითი დებულებები, სადაც ნათლად ჩანს ის ფრიად საინტერესო ლინგვოკულტუროლოგიური სურათი, რაც ენგურისა და კოდორის (**resp.** დალის) ხეობათა მოსახლეობის მეტყველების ურთიერთშეპირისპირებამ წარმოადგინა. ნაშრომის ძირითადი დებულებები, ასევე, საკმარისი სისრულით არის ასახული ავტორეფერატსა და გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში.

ნაშრომი შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, თუმცა დისერტანტს, როგორც ოფიციალური ოპონენტი, სურვილების სახით ვთავაზობთ რამდენიმე რჩევას ზოგ უნებლიე შეცდომასა თუ ხარვეზზე:

1. დისერტანტი სახელთა ორფუძიანი ბრუნების განხილვისას აცხადებს, რომ „საუკუნენახევრის წინ კოდორში გადასახლებულ სვანთა მემკვიდრეების (როგორც ბალსზემოური, ისე ბალსქვემოური კილოს თანამედროვე წარმომადგენელთა) მეტყველებაში ბრუნების I ტიპი ცდილობს გაბატონებას. ვფიქრობთ, ეს პროცესი მხოლოდ კოდორულ დიალექტებში არ მიმდინარეობს, რადგანაც ჩვენი აზრით, თითქმის ანალოგიური სურათი იხატება ენგურის ხეობის ბალსქვემოურშიც.

2. დისერტანტისეული მახვილი დაკვირვება და დასკვნა კოდორული სვანურის ორფუძიანობის შესახებ, როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, ძალზე საყურადღებოდ გვეჩვენება, თუმცა ვერ დავეთანხმებით, როდესაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბალსქვემოელ კოდორელთა მეტყველებაში მოსალოდნელი **უჩხ-ემ** „წვიმამ“ ფორმის ნაცვლად შეხვდა **უჩხე-დ**, რომელიც ენგურის ხეობის სვანური ენის დიალექტებში არ შეხვედრია (გვ. 12). დღესდღეობით, ძირითადად, სწორედ **უჩხე-დ** ფორმაა გაბატონებული ენგურის ხეობის ბალსქვემოურ კილოკავებში, მათშორის ნაკრულ-ჭუბერულშიც, ხოლო **უჩხ-ემ**, რომელიც არქაული ფორმაა, იშვიათად იხმარება.

3. დისერტაციის მე-13 გვერდზე სქოლიოში დისერტანტი შენიშნავს, რომ „კოდორული **ხემთქუნდა** ირნტერფერენციული ფორმაა: **ხემთქუნ** (უწყვ.) ბალსქვემოურისთვის დამახასიათებელი ფუძეა, ბალსზემოურში უნდა იყოს **ხემთქუნან** ან **ხემთქუნანდა**“ (გვ. 13), რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით, რადგანაც **ხემთქუნდა** ფორმა ენგურის ხეობის ბალსქვემოური მეტყველებისათვის სრულიად ბუნებრივი ფორმაა და

მას ინტერფერენციულ ფორმად ვერ ჩავთვლით. კოდორული დიალექტების კვლევის პროცესში აუცილებელია ყურადღება მიექცეს და გათვალისწინებულ იქნას ენგუტრის ხეობის ბალსზემოურ და ბალსკვემოურ დიალექტთა კილოკაური მონაცემებიც.

ვფიქრობთ, დისერტანტმა ქეთევან მარგიანმა-სუბარმა წარმატებულად გაართვა თავი დასახულ ამოცანას და საპაექროდ წარმოადგინა წმინდა ენათმეცნიერული და ლინგვოკულტუროლოგიური ნაშრომი, რომელიც სრულიად აკმაყოფილებს აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. ამასთანავე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს დისერტაცია კარგი შენაძენია ქართველოლოგიური ენათმეცნიერებისთვის. სასურველია მისი გამოქვეყნება.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

ც. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი — ფრანგული ფონოლოგიური სისტემის თეორიული და პრაქტიკული მოდელები.....	3
ც. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი — სოციოლინგვისტურ კვლევათა მნიშვნელობა ენის ევოლუციის ნიშანთა გამოსავლენად (ფრანგული ენის მასალაზე).....	12
ე. ბ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი — სემანტიკური მაჩვენებელი „Where? — სად?“ საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში.....	20
ც. ბ ე ნ დ ე ლ ი ა ნ ი — კუნცხურის ენობრივი სტრუქტურა სამეტყველო კოდების შერევის თვალსაზრისით.....	26
ნ. ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე — თარგმნის თეორიისა და პრაქტიკის საუნივერსიტეტო სწავლების ზოგიერთ ლინგვისტურ-მეთოდურ საკითხთან დაკავშირებით .....	32
ქ. გ ა ბ უ ნ ი ა — ეთნოსოციოლოგიური კვლევის ზოგადი კონცეფციები .....	44
ს. გ ე ლ ა ძ ე — პოეტური ტექსტის თარგმნის პრინციპი და სტრატეგიები .....	50
თ. გ ი გ ა ნ ი — კონსტანტინე გამსახურდია ქართული სალიტერატურო ენის შესახებ.....	58
ი. გ რ ძ ე ლ ი ძ ე — დისკურსის ანალიზის ორი მოდელის მნიშვნელობის შესახებ.....	63
ნ. დ ა რ ა ს ე ლ ი ა — გრიგოლ კიკნაძისეული „ფიქსირებული ფორმის“ ცნება და თანამედროვე ლინგვისტური თეორიები.....	68
ი. დ ე მ ე ტ რ ა ძ ე — ინგლისური ენის ქართულ შემსწავლელთა ზოგიერთი ტიპური შეცდომის შესახებ.....	74
ი. დ ე მ ე ტ რ ა ძ ე — თავმდაბლობის ვერბალური გამოხატულება ინგლისურსა და ქართულში.....	83
თ. თ ვ ა ლ ა ძ ე — შორისდებულით გადმოცემული ემოციების შეფასების ნიშნები .....	92
ე. თ ო ფ უ რ ი ა — დეიქტურ ელემენტთა ტემპორალიზაცია .....	101
ვ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი — დეფისის ხმარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.....	106
ი. კ ი კ ვ ი ძ ე — შეპირისპირებითი კვლევა და მისი ადგილი ახალ მეცნიერულ პარადიგმაში .....	116
თ. ლ ო მ თ ა ძ ე — სოციოლექტების სტრუქტურა.....	120
ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი — პირველი სერიის თურმეობითთა	

აფიქსების მიმართება სემანტიკასთან სვანურ ენაში ..... 127

ბ. მაჭავარიანი — მწერთა აფხაზური სახელწოდებების სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი ..... 134

თ. მახარობლიძე — ისევ მესამე სერიისა და ინვერსიის შესახებ ..... 138

თ. მახარობლიძე — თანდებულები ერგატივის სემანტიკით ..... 145

ს. მორალიშვილი — გენდერული ასპექტი თანამედროვე ინგლისურ ენაში ..... 149

მ. მჭედლიშვილი — ფატიკური კომუნიკაციის ფუნქცია „მისაღმების“ და „დამშვიდობების“ ფორმებში (ფრანგული, ესპანური და ქართული ენების მასალაზე) ..... 156

ნ. თინაშვილი — ელ სუფიქსიანი გვარები ქსნის ხეობიდან ..... 161

ს. ოშიაძე — გაგების პრობლემისათვის საკომუნიკაციო აქტი ..... 165

ს. ოშიაძე — სტილისტიკური შეცდომის კვალიფიკაციისათვის ..... 171

ე. ონიანი — სიტყვის ცნება ლინგვისტურ ლიტერატურაში ..... 176

ი. პეტრიაშვილი — დეიქსისის რეალიზაცია ავტორისეულ წიაღვლებში ..... 185

თ. ყდენტი — ზღაპრის მზა ფორმულები ..... 210

მ. სიორიძე — მეტაფორა და სიტყვათა თამაში გიომ აპოლინერთან ..... 216

მ. სიორიძე — „ქვედიალოგები“ ("SOUS-CONVERSATION") ნატალი საროტთან ..... 223

ნ. სურგულაძე — სიმბოლური ხატოვანება და მისი სპეციფიკა ზოონომების შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ..... 229

ე. ფილაშვილი — მწკრივთა თანამიმდევრობის მოდელები სტატიკურ ზმნა-შემასმენლიან პარატაქსულ კონსტრუქციაში ..... 237

თ. ქაცანაშვილი — „ინტერაქციული სიმულაციების“ ჩარჩოები ფრანგული ენის შესასწავლი ზოგიერთი მულტიმედიაური პროგრამის მაგალითზე ..... 249

ლ. ყავლაშვილი — ბელგიური ფრანგული და ბელგო-რომანული დიალექტები ..... 261

მ. ჩუხუა — ლაზურის თავისებურებანი ქ. დიუმევილის ტექსტების მიხედვით ..... 270

ი. ჩხობაძე — ინგლისური იუმორის ენობრივი სტრუქტურა ..... 278

რ. ჭიკაძე — მრავალგზისობის სემანტიკურ-ფუნქციური განდასება მიხეილ ჯავახიშვილის პროზის ენის მიხედვით ..... 284

მ. საღლიანი — ქეთევან მარგიანი-სუბარი „ზემოსვანურ დიალექტთა მორფო-სინტაქსური ანალიზის ზოგი ასპექტი“, სადისერტაციო ნაშრომი, 2008 წ. (ენგურისა და კოდორის ხეობათა მოსახლეობის მეტყველების მიხედვით) ..... 299

Contents

Ts. Akhvlediani — Theoretical and Practical Models of French Phonological System ..... 11

Ts. Akhvlediani — The Importance of Sociolinguistic Research for Revealing Language Evaluation Markers ..... 19

E. Baliašvili — The Semantic Indicator ‘Where?’ in Informative Newspaper Articles ..... 25

Ts. Bendeliani — The Linguistic Structure of *kunxuri* from the Standpoint of Code Mixing ..... 31

N. Bolkvadze — Some Linguistic and Methodic Issues of Teaching the Theory and Practice of Translation at the Tertiary Level ..... 43

K. Gabunia — General Conceptions of Ethnosociological Studie ..... 49

S. Geladze — Translation Principles and Strategies of a Poetic Text ..... 57

T. Gigani — Constantine Gamsakhurdia on Standard Georgia ..... 62

I. Grdzeldze — Towards the Importance of Two Models of Discourse Analysis ..... 67

N. Daraselia — Grigol Kiknadze’s Notion of Fixed Form and Modern Linguistic Theories ..... 73

I. Demetradze — On Certain Typical Mistakes of Georgian Learners of English ..... 82

I. Demetradze — The Verbal Expression of Modesty in English and Georgian ..... 91

T. Tvaladze — Interjections as Emotion Evaluation Markers ..... 100

E. Topuria — Temporalization of Deictic Elements ..... 105

V. Imnaishvili — Some Issues of Hyphen Usage ..... 115

I. Kikvidze — A Contrastive Study and its Place in the New Scholarly Paradigm ..... 119

T. Lomtadze — The Structure of Sociolects ..... 126

K. Margiani-Subari — Semantics of Resultative Affixes in Series I in Svan ..... 133

N. Machavariani — Structural and Semantic Analysis of Abkhazian Insect Names ..... 137

T. Makharoblidze — Series III and Inversion Revisited ..... 144

T. Makharoblidze — Postpositions with Ergative Semantics ..... 148

S. Moralishvili — The Aspect of Gender in Current English ..... 155

M. Mchedlishvili — The Function of Phatic Communication in Greetings and Leave-takings (on the material of French, Spanish and Georgian) ..... 160

N. Otinaishvili — Family Names with the Suffix *el* in the Ksani

Valley.....	164
S. O m i a d z e — Towards the Problem of Understanding during a Communicative Act.....	170
S. O m i a d z e _ Towards the Qualification of Stylistic Errors .....	175
E. O n i a n i _ The Concept of Word in Linguistic Literature .....	184
I. P e t r i a s h v i l i — Realization of Deixis in Authors' Digressions.....	200
T. Z g h e n t i — Fixed Forms in Tales .....	215
M. S i o r i d z e _ Metaphors and Puns in Guillaume Apollinaire's Works.....	222
M. S i o r i d z e — 'Sous conversation' in Natalie Sarot's Works .....	228
N. S u r g u l a d z e — Symbolic Expressiveness and Specificity in Zoonymic Phraseological Units in French and Georgian.....	236
E. P i l a s h v i l i — Models of Series Sequences in Paratactic Constructions with Static Verb-Predicates.....	248
T. K a t s a n a s h v i l i — The Framework of Interactive Simulations (on the material of some multimedia programmes for teaching French) .....	260
L. K a v l a s h v i l i — Belgian French and Gallo-Romance Dialects.....	269
M. C h u k h u a — Some Peculiarities of Laz According to J. Dumezille's Texts.....	276
I. C h k h o b a d z e — Language Structure of English Humour .....	283
R. C h i k a d z e — Distribution of the Frequentative in the Language of M. Javakhishvili's Fiction .....	298